რატომ ცვლის მადლი ყველაფერს

ჩაკ სმიტი



თარგმანი: გიორგი ფიროსმანაშვილი
მიმი ტიელიძე

სარჩევი

შესავალი: სიყვარულის ურთიერთობა ღმერთთან

1. მიტევებული!
2. კარი ყოველთვის ღიაა
3. სამეფოში მიკერძოება არ არის
4. მადლის პორტრეტი
5. თითო ნაბიჯი
6. არა ქარხანა, არამედ ბაღი
7. კურთხევებისთვის რწმენა
8. ბრძოლა იწყება
9. ნამდვილად თავისუფალი!
10. არ გაველურდებიან?
11. ხაფანგები და ნაღმები
12. ყველაფერი ან არაფერი
13. სამეფო ოჯახის წევრები
14. ჩვენი ერთადერთი პასუხისმგებლობა

შესავალი: სიყვარულის ურთიერთობა ღმერთთან

ოდესმე გიფიქრიათ ამ უბრალო ფრაზის მნიშვნელობზე: „ღმერთს უყვარხარ“? ამან შესაძლოა უმნიშვნელოვანესი ჭეშმარიტება გვაჩვენოს, რომელიც ყველასთვის გასაგებია: ღმერთმა მასთან სიყვარულის ურთიერთობაში მიგვიწვია. ჩვენ მხოლოდ უნდა ვენდოთ და გვწამდეს იმ ღრმა ზრუნვისა და თანაგრძნობის, რომელსაც ღმერთი ჩვენ მიმართ თავისუფლად ავლენს.

რა მშვენიერია ღმერთთან სიყვარულის ურთიერთობით გამოწვეული თავისუფლებისა და სიხარულის განცდა! მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ბევრია ისეთი, ვინც დაჟინებით მოითხოვს ღმერთთან ლეგალისტური გზით ურთიერთობას. მათი სიმართლე იმას ემყარება, რისი გაკეთებაც თავად შეუძლიათ უფლისთვის, ნაცლად იმისა, რომ ემყარებოდეს იმას, რაც ღმერთმა უკვე გააკეთა მათთვის. მათ „უნდა და არ უნდა“-ს უდიდესი სია აქვთ, რათა ღმერთთან კავშირი შეინარჩუნონ.

ჩემთვის ნაცნობია ეს დამთრგუნველი უარყოფითი სიმართლე. როდესაც ვიზრდებოდი, თავს ერთ-ერთ ყველაზე ღვთისმოსავ ბავშვად ვთვლიდი იმის გამო, რასაც არ ვაკეთებდი: არ ვეწეოდი; არ ვცეკვავდი; არ დავდიოდი შოუებზე. მასწავლეს, რომ ასეთი რაღაცები ცოდვით სავსე იყო. ასე რომ, არა მხოლოდ თავიდან ავიცილე ეს ყველაფერი, არამედ მჯეროდა, რომ ბევრად უფრო მართალი ვიყავი, ვიდრე ჩემი სუსტი მეგობრები, რომლებიც თავს ამ ყველაფრის უფლებას აძლევდნენ. მეგონა, რომ მე უფრო წმინდა ვიყავი, ვიდრე მქადაგებლის შვილი, რომელზეც ცნობილი იყო, რომ სიგარეტის ნამწვავებს იღებდა და ჩუმად ეწეოდა. მე ამ ყველაფერზე მაღლა ვიდექი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთი ამას ამჩნევდა.

მაინც დიდი პრობლემა მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ შოუებზე არ დავდიოდი, მაინც მინდოდა „ფიფქიას“ ნახვა, ამიტომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ყოველ კვირა დღეს გადარჩენას ხელახლა ვიღებდი და ღმერთს ვპირდებოდი, რომ მომავალი კვირა განსხვავებული იქნებოდა. გამიმართლებდა, თუ მასთან ურთიერთობას მეორე დღის საუზმემდე შევინარჩუნებდი.

მალე ღმერთთან ურთიერთობა უსაშველოდ დამეძაბა იმის გამო, რომ ჩემი სიმართლე ჩემს ნებისყოფასა და ძალისხმევაზე იყო დამოკიდებული. ყოველ ზაფხულს დავდიოდი ჩვენი ეკლესიის ახალგაზრდულ ბანაკებში. ბოლო საღამოს უზარმაზარი კოცონის ირგვლივ შევიკრიბებოდით ხოლმე და უფლის თაყვანისცემის საგალობლებს ვმღეროდით, როგორიცაა „სრულიად გნებდები“ და „მე შენ მოგყვები, ჩემო უფალო“. ამ ემოციურად დატვირთულ დროს გვთხოვეს ქაღალდზე დაგვეწერა ჩვენი ცხოვრების ის სფერო, რომელიც გვსურს, რომ ღმერთმა შეცვალოს, ან - მიძღვნის სურვილი. თითოეული ჩვენგანი ფიჭვის გირჩას აიღებდა ხოლმე, შიგ ჩაჭედავდა მიძღვნის ფურცელს და ცეცხლში აგდებდა. როდესაც ვუყურებდი როგორ იწვოდა ჩემი ფიჭვის გირჩა, ცრემლები ჩამომდიოდა ლოყებზე და ღმერთს ვეუბნებოდი, რომ მინდოდა ჩემი ცხოვრება მის სიყვარულში შთაფლულიყო და მთლიანად მიმეძღვნა ჩემი თავი მისი მსახურებისთვის.

კოცონიდან პატარა მაგიდასთან გადავინაცვლებდით ხოლმე, სადაც ბანაკის ლიდერებს ბარათების დასტა ჰქონდათ გამზადებული, რომლებზეც ეწერა: „პირობას ვდებ, ღვთის მადლით, მომავალ წელს არ წავალ თეატრში, არასოდეს მოვწევ სიგარეტს, არასოდეს დავლევ ალკოჰოლურ სასმელს, არასოდეს გამოვიყენებ უხამს სიტყვებს და არ დავესწრები არცერთ ცეკვას.” ამ მიძღვნის ბარათებს ხელს ვაწერდით და მთელი წლის განმავლობაში საფულეებით თან ვატარებდით.

ყველა ჩემი ვალდებულების შესრულებას ვცდილობდი, მაგრამ ღმერთთან მაინც სრულიად მშრალი, ლეგალისტური ურთიერთობით ვასრულებდი. ქრისტესთან ერთად ძალიან მცირე სიხარულით დავდიოდი, რადგან ღმერთთან ხელშეკრულებით ვიყავი დაკავშირებული. ვერ დავარღვევდი ჩემს შეთანხმებას; განა მე არ მოვაწერე ხელი, დავთქვი თარიღი და არ დავატარებ მას უკანა ჯიბით? მე ამ

ხელშეკრულების შესრულებას მივეძღვენი და მტკიცედ მჯეროდა, რომ ჩემი ძალისხმევის გამო ღმერთი ჩემთან ვალში იყო. ღმერთი ჩემ მიმართ კარგი უნდა ყოფილიყო... ყოველ შემთხვევაში, იმაზე უკეთესი მაინც - ვიდრე მათ მიმართ, ვინც არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს უფლის წინაშე.

წარმოიდგინეთ ჩემი შოკი, როდესაც ჩემი მეგობრები, რომლებიც უფლის წინაშე არ იყვნენ იმდენად მართლები, რამდენადაც მე, იმარჯვებდნენ კონკურსში, სადაც ვცდილობდით ქილაში არსებული მარმელადის ბურთულების რაოდენობა გამოგვეცნო! ვბრაზდებოდი და კითხვა მიჩნდებოდა: „ღმერთო, რატომ არ მაკურთხე? ხომ იცი, რომ გამარჯვებას მე უფრო ვიმსახურებ." ამაზე ფიქრი მეტად მაბნევდა. მე აქ გარიგების ჩემს მხარეს ვასრულებ, ღმერთი კი, როგორც ჩანს, ამას ყურადღებას საერთოდაც არ აქცევს. გამუდმებულ იმედგაცრუებას ვგრძნობდი.

დროდადრო, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს გულწრფელად ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რომ ისეთი მართალიც არ ვიყავი, როგორც ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ ჩემი დამოკიდებულება ხშირად არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. იყო მომენტები, როდესაც ვიცოდი, რომ ჩემს ცხოვრებაში ღმერთის ნებას სრულიად უკან ვრჩებოდი. მახსოვს, საშუალო სკოლაში რომ ვსწავლობი, ერთ-ერთ შოუზე შევიპარე. ამის შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში, სრულ მსჯავრდადებაში ვცხოვრობდი, რადგან ჩემი დაპირება დავარღვიე. ხშირად ჩავიქნევდი ხოლმე ხელს იმ აზრზე, რომ ღმერთი ოდესმე საჭიროდ ჩათვლიდა ჩემს კურთხევას. ბევრი რამისთვის მინდოდა ლოცვა, მაგრამ რა უფლება მქონდა რაიმე მეთხოვა, როდესაც ასე ძლიერ გავუცრუე იმედი?

საქმეებით გამართლების მძიმე ტვირთი ჩემი მსახურების ადრეულ წლებშიც თან მსდევდა. მაშინ ტუსონში, არიზონაში ვმსახურობდი. დიდი დრო არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ მსახურება უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ის, რასაც მე ვაკეთებდი და ღმერთთან ურთიერთობა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ის, რითიც მე ვკმაყოფილდებოდი. რაც უფრო ცუდია, დღის საუკეთესო მახარებელთა შეხვედრებს ვუყურებდი ხოლმე, როდესაც ისინი ჩვენს შტატში გამოივლიდნენ და იმ კარვების თვითმხილველები ხდებოდნენ, რომლებიც ახლად მონანიებული ხალხით იყო სავსე, ზოგი კი სასწაულებრივ კურნებას იღებდა.

ძლიერ მსურდა ჩემს ცხოვრებასა და მსახურებაში ამგვარი ძალაუფლება აშკარად მენახა. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით ვცდილობდი, რომ ტუსონის უდაბნოში უფლის სახე მარხვითა და ლოცვით მეძია. უფალთან შესახვედრად მარტო მივდიოდი ხოლმე. თან მხოლოდ წყლის დოქს, ბიბლიასა და რვეულს დავიმგზავრებდი. ღმერთს ჩემს ცხოვრებაში კურთხევას, ძალასა და ცხებულებას ვთხოვდი. ასეთი სულიერი დისციპლინის განხორციელების შემდეგ აღტაცებაში მოვდიოდი და მჯეროდა, რომ ღმერთი ჩვენს ეკლესიას აკურთხებდა, რადგან მე ვილოცე და ვიმარხულე. მომდევნო მსახურებას მოუთმენლად ველოდი, რომ მენახა, ღმერთი რის გაკეთებას აპირებდა.

სამწუხაროდ, კვირამდე იმდენად ვსუსტდებოდი, რომ კათედრასთან ძლივსღა ვიდექი. გონება იმდენად მეფანტებოდა, რომ თანმიმდევრულად ქადაგებაც მირთულდებოდა. ხალხს ჩაეძინებოდა ხოლმე. მე კი თავს განადგურებულად ვგრძნობდი. აქ მე ღმერთის უდიდეს გამოვლინებას ველოდი, ნაცვლად ამისა კი, ხვრინვათა ორკესტრული თანწყობა გაისმოდა. გავღიზიანდებოდი, გავბრაზდებოდი და ვიფიქრებდი ხოლმე: „მაგრამ ღმერთო, ნუთუ ჩემი ლოცვა და მარხვა არ შეგიმჩნევია? სანამ დრო გაქვს, აუცილებლად უნდა აკურთხო ეს ეკლესია და მეც!"

იმ დროს არ მესმოდა, რომ ჩემი მარხვითა და ლოცვით იმას ვცდილობდი, რომ ღმერთისთვის ჩემი სურვილების ასრულება მეიძულებინა. ვფიქრობდი, რომ ადამიანებს იესო ქრისტეს რეალურობაში „მოციქულთა საქმეებში" აღწერილი სასწაულების ცოცხლად ხილვა დაარწმუნებდა.

მაგრამ მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ საუკეთესო მოწმობა, რაც შეგვიძლია შევთავაზოთ ქვეყნიერებას, ერთმანეთის მიმართ არსებული სიყვარულია, რომელიც თავად ღმერთის გულიდან მოედინება. ურთიერთობებში წესებისა და რეგულაციების დაცვას უბრალოდ არ შეუძლია მსგავსი სიყვარულის შობა. შეგვიძლია ურთიერთობებში კანონების შემოტანა ვცადოთ, მაგრამ ღმერთის სიყვარული ერთადერთი გზაა სტაბილურობისა და უსაფრთხოების მოპოვებისათვის, რაც ჩვენ ძლიერ გვსურს. ბიბლია გვეუბნება, რომ სიყვარული რჯულის შესრულებაა. ფაქტობრივად, როდესაც იესოს ჰკითხეს, თუ რომელია ყველაზე დიდი მცნება, მან უპასუხა: უნდა გვიყვარდეს უფალი მთელი გულით, გონებით, სულითა და ძალით, და მოყვასი - როგორც საკუთარი თავი. სიყვარული - არა კანონი, არამედ ღმერთთან და ერთმანეთთან ურთიერთობაა.

ღმერთს სურს, რომ მასთან მიზიდულობის სილამაზე რაღაც უფრო აღმატებულის მეშვეობით განვიცადოთ, ვიდრე რჯულის ვალდებულების ქვეშ ყოფნა და მსჯავრდადებაა. ღმერთთან ჯერაც წესებითა და კანონებით რომ ვიყოთ დაკავშირებულნი, მალევე აღმოვაჩენდით, რომ ანკესზე ვართ წამოგებულნი და შებოჭილობას ვებრძვით. სიხარულით აღსავსე სიყვარულის მეშვეობით ურთიერთობასა და ვალდებულებისა და მსჯავრდადების ქვეშ მყოფ ურთიერთობას შორის უზარმაზარი განსხვავებაა.

ღმერთს არასოდეს განუზრახავს, რომ მისი ხალხი გარეგანი ზეწოლების უსასრულო სიით ყოფილიყო შეკრული. მისთვის საამური არაა ჩვენი კვნესისა და წუწუნის მოსმენა: „აუ რა ტანჯვაა! ისევ ეკლესიაში უნდა წავიდე, როდესაც ასი სხვა რამის გაკეთება მირჩევნია. მაგრამ თუ არ წავალ, ღმერთს აღარ ვეყვარები და მქადაგებელი ბოროტი თვალით შემომხედავს მისი მსახურების გაცდენის გამო“.

თუ აღმოვაჩენთ, რომ ასეთი მძიმე დამოკიდებულებების ქვეშ ვიმყოფებით, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ღმერთთან ნამდვილად არ გვაკავშირებს სიყვარულის ურთიერთობა, არამედ ლეგალიზმში გადავვარდით. ღმერთს ჩვენთვის, რა თქმა უნდა, იმაზე გაცილებით უკეთესი რამ სურს, ვიდრე უფერული და უსიყვარულო არსებობაა!

ღმერთს არასოდეს დაუწერია გრძელი კონტრაქტი, რომელშიც ნათქვამია: „დაიცავით ჩემი ყველა პირობა და მე შეგიყვარებთ და გაკურთხებ; მაგრამ თუ დაარღვევთ თუნდაც უმცირეს დებულებას, მაშინ ყველაფერი უქმდება და ჩემს სამეფოს აღარ ეკუთვნით!“ ქრისტიანები ღმერთთან რაიმე მძიმე ხელშეკრულებით არ არიან დაკავშირებულნი. პავლემ განაცხადა, რომ მისთვის ერთადერთი მამოძრავებელი ძალა იესო ქრისტეს სიყვარული იყო (2 კორინთელთა 5:14).

ღმერთი ჩემს ცხოვრებაში წლების მანძილზე მოთმინებით შრომობდა, რომ ჩემი საკუთარი სიმართლის მონობიდან გავეთავისუფლებინე. წლების განმავლობაში მესმოდა ადამიანები რომაელთა წიგნიდან როგორ იღებდნენ უზარმაზარ კურთხევას. და საბოლოოდ, რადგანაც ყოველთვის კურთხევას ვეძებდი, გადავწყვიტე ამ წიგნს ჩავძიებოდი. და მაინც, როგორც არ უნდა მეცადა, ვერაფერს ვიგებდი. მაინც გადავწყვიტე შესწავლა გამეგრძელებინა და მენახა, შემეძლო თუ არა იმის აღმოჩენა, რაც სხვებმა ასე დამაჯერებლად მიიჩნიეს.

ერთ დღეს, როდესაც ამ დიდებულ წიგნს ვსწავლობდი, ღმერთმა ჩემთან ურთიერთობაში, არც მეტი, არც ნაკლები, რევოლუცია მოახდინა. სწორედ მაშინ გამიმხილა იმ მარტივი, ხშირად გამოყენებული, მაგრამ იშვიათად გააზრებული სიტყვის - მადლის მნიშვნელობა. იმ დროიდან მოყოლებული, ღმერთთან ისეთ თავისუფალ და სიყვარულით აღსავსე ურთიერთობაში შევედი, რომ აღარც კი მაინტერესებდა, ჩემს მსახურებაში ოდესმე თუ მოხდებოდა სანახაობრივი სასწაული. აღმოვაჩინე, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაბრკოლებისა და დაცემისაკენ ვიყავი მიდრეკილი, ჩემმა შეცდომებმა ღმერთისგან არ გამაუცხოვა.

ქრისტესთან ჩემი ურთიერთობა აღმასვლებისა და დაღმასვლების ატრაქციონს კი აღარ ჰგავდა, არამედ მის მშვენიერ სიყვარულში უფრო სტაბილურ მოგზაურობად გადაიქცა.

წარმოიდგინეთ, რას ვგრძნობდი, როდესაც აღმოვაჩინე ღრმა ჭეშმარიტება: „თუ ღმერთი ჩვენს მხარეს არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ?“ (რომაელთა 8:31). წლების განმავლობაში მცდარი წარმოდგენის ქვეშ ვიყავი. მეგონა ღმერთი ჩემს წინააღმდეგ იყო. წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ ელოდა ჩემს რიგს, რომ ცეცხლოვანი განაჩენით გავენადგურებინე. ბოლოს მივხვდი, რომ ღმერთს სურდა, მის უპირობო სიყვარულში სიმშვიდით დავმტკბარიყავი და არ ვყოფილიყავი შიშის ქვეშ, რომელიც ლეგალიზმს ყოველთვის თან ახლავს. ღმერთთან ურთიერთობა სრულიად ახალი გზით დავიწყე.

ვისწავლე, რომ რჯული ღვთის ხალხის დამცავ სახელმძღვანელოდ იყო გამიზნული. მისი შეზღუდვები უნდა ფუნქციონირებდეს როგორც მშობლის უსაფრთხოების მითითებები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ ბავშვის კეთილდღეობისთვის. როდესაც აღმოვაჩენთ, რა საოცარია ღვთის მადლი, აღარ დაგვჭირდება რჯულის მარწუხებში ყოფნა. შეგვიძლია თავისუფლად ვიცხოვროთ, რადგან გვიყვარს ღმერთი და ისეთს არაფერს ვიზამთ, რაც მასთან სიყვარულის ურთიერთობას დააზიანებს. როდესაც ღმერთთან ურთიერთობის სიხარული განგვიცდია, აღარ გვსურს რაიმე ბარიერი, რაიმე დაბრკოლება გაჩნდეს ჩვენსა და მას შორის.

რეალურად, რაც უფრო მეტად გამოვცდით ღვთის სიყვარულს, მით უფრო მეტად ხდება ის ჩვენი ცხოვრების მთავარი სურვილი და მიზანი. რჯულის იძულებითი ასპექტები ზედმეტი ხდება. ვგრძნობთ, რომ მხოლოდ იმიტომ გვსურს ღმერთს ვასიამოვნოთ, რომ ის უბრალოდ გვიყვარს.

ღმერთთან ნამდვილი სიყვარულის ურთიერთობის განცდა ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიხარულია. იმის ცოდნა, რომ ის ჩვენს მხარესაა და ვუყვარვართ, უსაფრთხოების უდიდესი წყაროა, რაც ადამიანმა შეიძლება იცოდეს. ღვთის დიდებული მადლის აღმოჩენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩემს სულიერ გამოცდილებაში. ღმერთთან ურთიერთობა სრულიად ახალ საფუძველზე ვისწავლე: არა ჩემი საქმეების ან ჩემი სიმართლის საფუძველზე, არამედ ღმერთის სიყვარულის საფუძველზე იესო ქრისტეს მეშვეობით.

ეს არის მადლი და ეს არის ის, რის გამოც ღირს სიცოცხლე. სინამდვილეში, ეს ის არის, რაც სიცოცხლეს - რეალურ სიცოცხლეს, უხვ სიცოცხლეს, სრულყოფილ და დამაკმაყოფილებელ სიცოცხლეს - შესაძლებელს ხდის. რადგან როდესაც გასაოცარი ჭეშმარიტება თვალს აგვიხელს, რომ ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა დამოკიდებული არ არის ჩვენი ძალისხმევის კენჭებზე, არამედ მისი უცვლელი და მოსიყვარულე ხასიათის უზარმაზარ კლდეზე, სიცოცხლე ჩვენს წინაშე გასაოცარი შესაძლებლობების მქონე კაშკაშა აფეთქებით გადაიშლება.

მადლი უდაბურ და ბნელ დაბლობებს მდიდარ და ხასხასა საძოვრებად გარდაქმნის. ის კბილთა ღრჭენის გამომწვევ მოვალეობას მოსიყვარულე, ენთუზიაზმით სავსე მომსახურებით ცვლის. ის ჩვენივე წარუმატებელი ძალისხმევის ცრემლებსა და დანაშაულს ღვთის მარჯვნივ მიტანილი სიამოვნებების მარადიული მღელვარებითა და სიცილით ანაცვლებს. მადლი ყველაფერს ცვლის!

აღმოგიჩენიათ ღვთის მადლში ცხოვრების ღრმა სიხარული? ნებას მომცემთ, რომ შეგახსენოთ, ღმერთთან ჩვენი დგომა დამოკიდებულია არა ჩვენს უმწეო ძალისხმევაზე, არამედ იმაზე, რაც მისმა ყოვლისშემძლე ხელმა ჩვენთვის მოიმოქმედა? რაშიც არ უნდა გადიოდეთ ახლა თქვენს სულიერი ცხოვრებაში, მოდით რამდენიმე წუთი დავუთმოთ და ერთად განვიხილოთ ღვთის საოცარი მადლი, რომელიც მან ჩვენთვის გადმოღვარა.

თქვენ იცით ჭეშმარიტება: მადლი ყველაფერს ცვლის!

1. მიტევებული!

ერთ საღამოს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, დოქტორ ჰენრი კისინჯერის გამოსვლა მოვისმინე. მან მსმენელს უთხრა, რომ მისი პირველი შეცდომა ნახსენებია მის ავტობიოგრაფიაში 1159-ე გვერდზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს მისი ბოლო შეცდომა იყო.

ავტობიოგრაფიას რომ ვწერდე, ჩემი პირველი შეცდომა ალბათ წიგნის პროლოგშივე იქნებოდა, თუ არა თავად სარჩევში! არავითარ შემთხვევაში არ ვეცდები ღვთის წინაშე ჩემი საკუთარი სიკეთის საფუძველზე დავდგე. იმიტომ კი არა, რომ ლპობის პროცესში მყოფი, მორალურად გარყვნილი ინდივიდი ვარ; უბრალოდ, არ ვარ საკმარისად კარგი, რომ აბსოლუტურად წმინდა ღმერთის წინაშე მისაღები ვიყო.

სიმართლის ჩიხი

ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული გზა, რომ მართალნი ვიყოთ, იმის განსაზღვრაა, თუ რა არის სიმართლე და რა - არა; შემდეგ კანონის მიღება და ამ კანონის მიხედვით ცხოვრება. აქ მხოლოდ ერთი პრობლემაა: არავინ იცავს საკუთარ კანონს, ამიტომ უამრავი საბაბი მოვიგონეთ იმის ასახსნელად, თუ რატომ ვერ ვახერხებთ ამას. მათ შორის ყველაზე გავრცელებული კი ისაა, რომ ეს ჩვენი ბრალი არ არის.

ჭიქა რომ დამივარდა და გატყდა, იმას არ ნიშნავს, რომ მოუხელთებელი ვარ; ეს იმიტომ მოხდა, რომ ვიღაცამ უდროო დროს დამირეკა. სხვები ზედმეტად ხმაურობდნენ მეორე ოთახში, ასე რომ, ჩემი შეცდომა რეალურად მათი ბრალია. „შეხედე, რა გამაკეთებინე!“ - ვამბობ. „შენ მაიძულე ამის გაკეთება, ასე რომ, ჩემი ბრალი არ არის.“ ბრალის აღიარება არცერთ ჩვენგანს არ მოგვწონს.

ეს დამოკიდებულება სათავეს ადამის დროიდან იღებს. მან თავისი წარუმატებლობა ევას გადააბრალა. ღმერთს უთხრა: „ქალი, რომელიც შენ მომეცი; მისი ბრალია, რომ მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ“ (იხ. დაბადება 3:12). იგავების წიგნი აცხადებს: „არის ხალხი, რომელსაც თავი სუფთა ჰგონია, მაგრამ სიბინძურისგან არ განბანილა“ (იგავები 30:12).

თუ გგონიათ, რომ ძალიან წმინდა ადამიანი ხართ, მაგრამ ჯერაც არ ჩამოგირეცხავთ სიბინძურე, სიმართლეს მიუტოვებიხართ. ბიბლია ამბობს: „თუ ვიტყვით, რომ ცოდვა არ გვაქვს, საკუთარ თავს მოვიტყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში... თუ ვამბობთ, არ შეგვიცოდავსო, ცრუდ ვსახავთ მას და მისი სიტყვა არ არის ჩვენში“ (1 იოანე 1:8,10). წმინდა წერილი ჩვენს პრობლემას ნათელს ხდის: „მთელი წუთისოფელი დამნაშავეა ღვთის წინაშე... ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“ (რომაელთა 3:19,23).

როდესაც ჩვენი სიმართლის წარმოჩენას წესების დაცვით ვცდილობთ, საბოლოოდ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ვმოქმედებთ სრიალა შკალით, ანუ მე ზნეობრივად ყოველთვის უკეთესი ვარ შენთან შედარებით და შენ მორალურად ყოველთვის უარესი ხარ ჩემთან შედარებით. შემიძლია შენს ცხოვრებას შევხედო და ნებისმიერი სახის ნაკლი დავინახო; მაგრამ როდესაც საკუთარ თავს ვუყურებ, ჩემში დანახული რამდენიმე ნაკლი არც ისე ცუდად გამოიყურება.

თუნდაც ჩემით მივაღწიო გარკვეულ სიმართლეს, ეს მაინც მხოლოდ მოჩვენებითი სიმართლეა. ბიბლია ამბობს: „უწმიდურივით გავხდით ყველანი და ყოველი ჩვენი მართალი საქმე ბინძური სამოსელივითაა“ (ესაია 64:6).

ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა ჩვენს სიმართლესა და სიკეთეზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მას ვერც ვერასოდეს მივაღწევდით.

თითქმის სასაცილოა იმის დანახვა, რომ ზოგიერთი ადამიანი სხვების დასანახად ამ „ბინძური სამოსით“ მოძრაობს. თავისი თავმომწონე „შენზე წმინდა ვარ“ რელიგიურობითა და „ჰიპერ-სულიერი ატმოსფეროთი“ ირგვლივ ტრიალებს. ჩურჩულით საუბრობს, რადგან მიაჩნია, რომ ეს წმინდად და სამართლიანად ჟღერს. ზოგი ძველ ქართულს იყენებს, რადგან, როგორც ყველამ ვიცით, „თქუენ“ და „თქუენი“ ბევრად უფრო მისაღებია, ვიდრე „თქვენ“ და „თქვენი“. ვხედავთ მათ თავიანთი სიმართლით გაბერილებს, თავის წარმოსაჩენად ირგვლივ რომ ტრიალებენ... მაგრამ ამ დროს ღმერთი თავს აქნევს და ამბობს: „დასვრილი სამოსელი“.

ღმერთთან ჩემი ურთიერთობა თუ ჩემს სიმართლესა და სიკეთეზე იქნებოდა დამოკიდებული, მაშინ მას ვერასდროს მივაღწევდი. დავმარცხდი. მოკლებული ვარ ღვთის დიდებას. საუკეთესო, რისი მიღწევაც შემიძლია, ისაა, რომ შესაძლოა კარგი დღეს მქონდეს, ჩემი ბიოლოგიური რიტმიც სწორი იყოს და ყველაფერი კარგად მიდიოდეს - ნამდვილად მაგარია. „მაგარი ვარ. ძმაო, მე ნამდვილად მაგარი ტიპი ვარ.“ მაგრამ ჩემს საუკეთესო დღეებშიც კი ღმერთი გადმომხედავს და ამბობს: „დასვრილი სამოსელი“. ჩემი საუკეთესო ძალისხმევა საკმარისი უბრალოდ არ არის.

კანონის დაცვის მცდელობა მადანაშაულებს, რადგან ჭეშმარიტი კანონი შინაგან დამოკიდებულებებს ეხება. როდესაც საკუთარი სიმართლის სტანდარტის ქვეშ ვიყავი, აღმოვაჩინე, რომ ადამიანთა გარკვეული ქმედებები მწყინდა. გავმწარდი. მივხვდი, რომ ისინი მძულდა, ვეჭვიანობდი და მათ საკუთრებაში არსებული ნივთები მსურდა. შევამჩნიე, რომ ჩემი საკუთარი კანონი დავარღვიე და ღმერთთან ურთიერთობა გავინადგურე. ყველაფრის თავიდან დაწყების გარდა აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი.

სამწუხაროდ, ზუსტად იმ დროს, როდესაც ვგრძნობდი, რომ თითქოს ღმერთთან სწორი ურთიერთობა აღვადგინე, რაღაც მოხდებოდა ხოლმე. ისევ აფეთქება, ისევ აღმასვლა და ისევ დაღმასვლა. იძულებული ვხდებოდი კარგი საქმეების კიბეზე ასვლა კიდევ ერთხელ დამეწყო, სანამ არ მივიდოდი იმ საფეხურამდე, სადაც საბოლოოდ ვიგრძნობდი, რომ შემეძლო ღმერთთან ურთიერთობა. თუმცა, როგორც კი ამ საფეხურს მივაღწევდი, ავტომაგისტრალზე ვიღაც სულელურ მანევრს მოახდენდა ხოლმე და მეც დავუყვირებდი: „მართვის მოწმობა ვინ მოგცა, შე იდიოტო?!“ და მთელი პროცესი თავიდან იწყებოდა.

რა არის სტანდარტი?

მათ, ვისაც სჯერათ, რომ იესოს გარეშე შეუძლიათ ღვთისთვის მისაღები იყვნენ, უნდა უპასუხონ რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას. თუ მათ სჯერათ, რომ სამოთხეში შესვლას სიკეთის გარკვეული დონის მიღწევით შეძლებენ, მაშ რა არის სტანდარტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილონ? რას მოითხოვს ღმერთი მათგან? ბევრი ამბობს: „ვგრძნობ, რომ ძირითადად კეთილი და კარგი ადამიანი ვარ და მზად ვარ საკუთარი დამსახურებით წარვდგე ღმერთის წინაშე“.

მაგრამ ეს ხალხი არ ითვალისწინებს იმას, რომ უფლის სტანდარტები განსხვავდება ჩვენი სტანდარტებისგან. იესომ ღვთის მოთხოვნა მათთვის, ვინც სამოთხეში შესასვლელად საკუთარი ძალით იღწვის, მაშინ დაგვანახა, როდესაც თქვა: „იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე 5:48). სტანდარტი იმ ადამიანისთვის, რომელსაც სურს მართალი იყოს ღმერთის წინაშე, არის აბსოლუტური სრულყოფილება - არა მხოლოდ მცდელობა, ან გულწრფელობა, არამედ უნაკლო შენარჩუნება იმ ყველაფრისა, რაც ღმერთს ადამიანისგან ოდესმე მოუთხოვია. ცხადია, მათ, ვისაც სჯერა, რომ მარადიული სიცოცხლის მოპოვება თავიანთი კეთილი საქმეებით შეუძლიათ, ღვთის სიწმინდისა და გამართლების შესახებ დამახინჯებული შეხედულება აქვთ.

თუ სამართლიანი ქცევის სტანდარტის ჩამოყალიბებას ვაპირებთ, უნდა გამოვიყენოთ ის, რაც იესო ქრისტემ დააწესა. ის ერთადერთი ადამიანია, ვისმა ცხოვრებამაც ღმერთს უბიძგა ეთქვა: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე“ (მათე 3:17). ღმერთთან მოზიარეობით რომ ვისიამოვნოთ, იესოსავით მართალნი უნდა ვიყოთ. იოანეს 16:8,10-ში იესომ თქვა: „და როცა მოვა [სულიწმიდა], ამხელს ქვეყნიერებას... სიმართლის გამო, მამასთან რომ მივდივარ და ვეღარ მიხილავთ“. იესოს ზეცად ამაღლება ღმერთის მოწმობა იყო ქვეყნიერებისთვის მისი ძის შესახებ. თითქოს ამბობდა: „ეს ის სიმართლეა, რომელსაც ზეცაში მივიღებ.“ იესოს ცხოვრება სიმართლის ერთადერთი სტანდარტია. თუ მსურს ღმერთმა მიმიღოს, ისეთივე მართალი უნდა ვიყო, როგორც იესო ქრისტე. წმინდა წერილები გვიჩვენებს, რომ არსებობს ღმერთისთვის მისაღები მხოლოდ ერთი სახის სიმართლე - თავად ქრისტეს სიმართლე. ასე რომ, თუ გვინდა ღმერთის წინაშე ჩვენივე კარგი საქმეების საფუძველზე წარვდგეთ, მაშინ ისეთი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, რომ მივაღწიოთ იმ სიკეთეს, რომელსაც იესოში ვხედავთ.

მაგრამ ვაცნობიერებ, რომ ეს შეუძლებელია. მე ასეთ სიმართლეს ვერ მივაღწევ. თავად იესომ თქვა: „გეუბნებით თქვენ, რომ ვინც ქალს გულისთქმით უყურებს, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“ (მათე 5:28). მან თქვა: „გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, განკითხვის წინაშე აღმოჩნდება“ (მათე 5:22). მან ასევე თქვა: „გიყვარდეს შენი მტრები, სიკეთე გაუკეთე შენს მოძულეებს. აკურთხე შენი მაწყევარნი და ილოცე მათთვის, ვინც შეგაწუხებს. და ვინც ერთ ლოყაში გაგარტყამს, მეორეც მიუშვირე; და ვინც შენი მოსასხამის წართმევა მოისურვოს, სამოსიც თან გაატანე. მიეცი ყველას, ვინც გთხოვს და ვინც წაგართმევს რაიმეს, აღარ მოსთხოვო“ (ლუკა 6:27-30); და მან გვიბრძანა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, აკეთეთ სიკეთე, გაასესხეთ და უკან არ მოითხოვოთ!“ (ლუკა 6:35).

ვის შეუძლია ასეთი მართალი იყოს? ვიცი, რომ მე არ შემიძლია. საშინლად ჩავფლავდი. ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს სამუდამოდ უნდა ჩამოვშორდე? არის რაიმე გზა ღმერთთან მოზიარეობისა? აუცილებელია ამ სიცარიელეში, ამ იმედგაცრუებაში დარჩენა, ძიება და იმისკენ ლტოლვა, რასაც ვერასდროს მივაღწევ?

თუ არსებობს რაიმე იმედი იმისა, რომ ღმერთი გვაპატიებს, მას ჩვენი საქმეების გარდა სხვა საფუძველი უნდა ჰქონდეს. როგორც პავლე აცხადებს: „რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე“ (რომაელთა 3:20).

თუ გვინდა ღმერთთან მოზიარეობით ოდესმე ვისიამოვნოთ, ეს ჩვენი სიმართლისგან განსხვავებულ საფუძველზე უნდა იყოს. წესები, რომლებიც ღმერთმა სიმართლისთვის დააწესა, ჩვენთვის ზედმეტად რთული დასაცავია, ვერ შევძლებთ. ჩვენი ერთადერთი იმედი ისაა, რომ სიმართლის სხვა ფორმა გახდა ხელმისაწვდომი, რომელიც ჩვენი საქმეებისგან სრულიად განსხვავებულ პრინციპზეა დაფუძნებული.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ასეთი პრინციპი! მას მადლი ჰქვია.

რა არის მადლი?

სიტყვა „მადლის“ ძირეული მნიშვნელობა არის „სილამაზე“. ახალ აღთქმაში მადლი ნიშნავს „ღვთის დაუმსახურებელ სიკეთეს“. მადლია, როდესაც ღმერთი გვაძლევს იმას, რასაც ჩვენით ვერ მივიღებდით. მადლი ღმერთის მიერ გვენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიმსახურებთ და არ ვართ ამის ღირსი.

ბიბლია ასწავლის, რომ მადლს ჩემი რწმენისა და ღმერთისადმი ნდობის საფუძველზე ვიღებ. ებრაელთა 11:6 აცხადებს, რომ რწმენის გარეშე შეუძლებელია ღმერთს ასიამოვნო. წმინდა ღმერთი უბრალოდ იესო ქრისტესა და ჩვენ მაგიერ მისი სიკვდილის რწმენის გამო გვპატიობს. როდესაც ვირჩევთ, რომ მივენდოთ მას, ჩვენი დანაშაული იწმინდება.

პატიების მიღება რაიმე კანონის ან რელიგიური სისტემის დაცვით არ შეგვიძლია. ქრისტეს ჯვარზე ასვლა აუცილებელი იყო, რათა დაედო საფუძველი, რომლითაც ღმერთთან მიახლოება შეგვეძლებოდა.

როდესაც იესო ბაღში ლოცულობდა, მან თქვა: „მამაო, თუ გსურს, ამარიდე ეს სასმისი, მაგრამ იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი“ (ლუკა 22:42). ის ამბობდა: „თუ შესაძლებელია, რომ ადამიანები ჩემი სიკვდილის გარეშე გადარჩნენ; თუ მათი გადარჩენა შესაძლებელია მათივე რელიგიურობით, საკუთარი სიმართლის მოპოვებით - მაშინ მე არ მინდა ჯვარზე სიკვდილი. გთხოვ, ნუ გამატარებ ამ საშინელ განსაცდელს.“ მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და ამიტომაც ავიდა ჯვარზე, მოკვდა, დამარხეს და აღდგა. მისმა სიკვდილმა ღმერთისთვის შესაძლებელი გახადა თავისი მადლი შენზე და ჩემზე გადმოეღვარა.

შესაძლოა ილუსტრაციამ მეტი ნათელი მოჰფინოს ამას. წარმოიდგინეთ, რომ დანაშაულში ბრალი დაგდეს. მეზობლის ტერიტორიაზე შეპარვაში ხართ ეჭვმიტანილი. როგორც ნებისმიერმა ადვოკატმა იცის, ბრალის მოხსნის ორი შესაძლო გზა არსებობს. პირველი, სცადოთ დაამტკიცოთ, რომ არ გადაგიკვეთავთ საზღვარი, ან მეორე, სცადოთ დაამტკიცოთ, რომ იქ ყოფნის სრული უფლება გქონდათ.

ახლა ეს ლოგიკა ჩვენს სულიერ მდგომარეობას მოვარგოთ. ღმერთმა ბრალი დაგვდო. ცოდვილები ვართ იმიტომ, რომ მისი კანონისა და მისი ნების წინააღმდეგ ავჯანყდით. ბრალად ურჯულოება გვედება.

როგორ გავმართლდეთ? ვერ ვიტყვით, რომ უდანაშაულოები ვართ, რადგან სინამდვილეში დავაშავეთ. ყველა ჩვენგანმა შესცოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ გვქონდა იმის უფლება, რაც გავაკეთეთ, რადგან არ გვქონია. ჩვენი ქმედებები ნამდვილად არასწორი იყო. მაშ, როგორ შეიძლება კანონის გათვალისწინებით გვაპატიონ? პასუხი არის: არ შეიძლება. საქმე აშკარაა და დახურული. ამის უფლება არ გვქონდა, მაინც გავაკეთეთ და ამიტომაც დამნაშავეები ვართ.

ბანკის დიდებული ძარცა

მოდით შევცვალოთ ილუსტრაცია. დავუშვათ, რომ ბანკი ჩემი ნებით, განზრახ გავძარცვე. ვიდეოკამერამ დამაფიქსირა. ვერ ვიტყვი ან ვერ დავამტკიცებ, რომ არ გამიკეთებია, ამიტომ კანონი ბრალს მდებს. ვერ ვიტყვი, რომ მქონდა ამის უფლება, რადგან ყაჩაღობა უკანონო ქმედებაა. ამიტომ კანონის ფარგლებში ამის პატიება არ შეიძლება.

სასამართლო პროცესის დროს შეიძლება ვთქვა: „გპირდებით, სანამ ცოცხალი ვარ, ბანკებს აღარ გავძარცვავ. ამიერიდან კარგი, სუფთა ცხოვრებით ვიცხოვრებ. უსამართლოდ აღარასოდეს არავის არაფერს წავართმევ“. ეს სულაც არ მამართლებს იმაში, რაც უკვე ჩავიდინე. შეიძლება ვთქვა, რომ უნდა მაპატიონ, რადგან ფულით ბევრი სიკეთე გავაკეთე, ეკლესიასაც შევწირე და ოჯახიც გამოვკვებე, მაგრამ ჩემი „მართებული“ საქციელი ვერ გადაწონის და ვერ გამათავისუფლებს ჩემი დანაშაულისაგან.

მოსამართლემ შეიძლება ბრძანოს, რომ ბანკს დავუბრუნო სრული მოპარული თანხა. შევაგროვო თუნუქის ქილები ავტომაგისტრალებიდან, რომ ამერიკის სილამაზე შენარჩუნდეს. შეიძლება მთელი ცხოვრება სიკეთის კეთებაში გავატარო, მაგრამ მაინც ვერ გავამართლებ იმას, რაც გავაკეთე. კანონის ყველა საქმეც ვერ წაშლის ჩემს დანაშაულს. წარსულში ჩადენილი არასწორი ქმედებები ჯერ კიდევ არსებობს. მე მძარცველი ვარ და განაჩენი ნათელია.

მაშ, რატომ არის ისე, რომ სულიერ საკითხებში ამდენი ადამიანი ცდილობს ღმერთის წინაშე უდანაშაულო გამოიყვანოს თავისი თავი კეთილი საქმეების წყალობით?

ბევრი ჩვენგანი ცოდვას, დანაშაულსა და უსამართლობას სინანულითა და ახალი გადაწყვეტილებებით პასუხობს. შესწორების შეტანა და გადაფურცვლა გვინდა, მაგრამ ეს ძალისხმევა პატიებას ვერ მოგვცემს. ჩვენი უდიდესი ძალისხმევაც კი ვერ მოგვიხსნის იმ დანაშაულს, რაც უკვე ჩავიდინეთ. კარგი საქმეებით

ვერასოდეს გავმართლდებით. მთელი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი კეთილი საქმეები ერთ ცოდვასაც კი ვერ გამოისყიდის.

ღმერთისგან პატიების მიღების საფუძველი მისი მხოლოდშობილი ძის მსხვერპლია. მთელი ჩვენი დანაშაული, ჩვენი წარსული და მომავალი შეცდომები იესო ქრისტეს დაეკისრა, უდანაშაულო კრავს, სრულყოფილს, რომელმაც არ იცოდა ცოდვა. ის ჩვენთვის მოკვდა. მან იტვირთა ჩვენი დანაშაული; ის ეტანჯა და მოკვდა ჩვენი ცოდვებისთვის. პავლე წერდა: „ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა ცოდვად ჩვენ გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სიმართლე მასში“ (2 კორინთელთა 5:21). იესო ჩვენთვის ცოდვად იქცა, რომ მისი მეშვეობით პატიება მიგვეღო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ჩვენი ადგილი დაიკავა. „თუმცა მდიდარი იყო თქვენთვის გაღატაკდა, რათა მისი გაღატაკებით თქვენ გამდიდრებულიყავით“ (2 კორინთელთა 8:9). მან ჩვენი ცოდვა აიღო და მისდამი ჩვენი უბრალო რწმენისა და ნდობის გამო გვაპატია.

იესო - ჩვენი იმედი

როდესაც ღმერთმა ყველა ჩვენი დანაშაული იესოს დააკისრა, ჩვენი ცოდვების საფუძველზე გამოტანილი განაჩენი ქრისტემ საკუთარ თავზე აიღო. სასჯელი, რომელიც ჩვენ დავიმსახურეთ, მან მიიღო. ბიბლია აცხადებს, რომ ეს სასჯელი სიკვდილია (იხ. რომაელთა 6:23). ღმერთმა გამოაცხადა, რომ თუ იესო ქრისტეს ვირწმუნებთ, როგორც ჩვენს უფალსა და მხსნელს, გვეპატიება ყველა არასწორი რამ, რაც კი ოდესმე ჩაგვიდენია. „მისი ძის, იესო ქრისტეს, სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისგან“ (1 იოანე 1:7). ეს ის განწმენდაა, რასაც კანონი ვერასოდეს გააკეთებს; ეს მადლითაა უზრუნველყოფილი.

შეგვიძლია ჩვენი ძალისხმევით თავად ვცადოთ ზეცაში მოხვედრა, ან - ვერწმუნოთ იესოს.

ფაქტი ისაა, რომ ჩვენი ერთადერთი იმედი რწმენაა. ჩვენი კარგი საქციელები, ძალისხმევა თუ საქმეები ღვთისგან პატიებას ვერასოდეს ვერ მოგვიტანს. პავლემ მტკიცე სიტყვებით განაცხადა: „საქმის აღმსრულებელს საზღაური ჩაეთვლება არა მადლის, არამედ ვალდებულების მიხედვით; მას კი, ვინც არ აღასრულებს საქმეს, მაგრამ სწამს უკეთურთა გამმართლებელი, თავისი რწმენა ჩაეთვლება სიმართლედ“ (რომაელთა 4:4-5). მას, ვინც საქმეს გამართლებისთვის არ აკეთებს, არამედ უბრალოდ სწამს, ღმერთი სიმართლეს ანიჭებს. ღმერთი იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმისადმი ჩვენი რწმენის გამო გვაძლევს პატიებას.

არჩევანი შენია

შენ გაქვს არჩევანი. შეგიძლია ეცადო, რომ სამოთხეში შენი ძალისხმევით შეხვიდე და შეეცადო ისეთივე კარგი იყო, როგორიც ქრისტეა, ან შეგიძლია ერწმუნო იესოს და მისგან მადლის საჩუქრად ღმერთის წინაშე სწორად დგომის უფლება მიიღო.

ჩემთვის ეს საერთოდ არ არის არჩევანი. ვიცი, რომ მე ჩემი კარგი საქმეებით სამოთხემდე ვერასდროს მივაღწევ. ჩემი წარსული ცოდვის გამო უიმედოდ მსჯავრდადებული ვდგავარ. სხვა შანსი (გარდა უფლის წყალობისა), რომ ღმერთმა მიმიღოს, არ მაქვს.

კარგი ამბავი ისაა, რომ ღმერთმა მის წინაშე მისასვლელი გზა მოგვცა. აბსოლუტურად წმინდა, უმწიკლო და იმდენად მართალმა ღმერთმა, რომ მის წინაშე ვერანაირი ცოდვა ვერ დამკვიდრდება, ჩვენნაირ ადამიანებს მასთან მოზიარეობის გზა შეუქმნა. როდესაც იესო ქრისტეს მიერ ჩვენთვის გაღებული მსხვერპლის გვწამს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიმსახურებდით ამას, მამა სრულყოფილ პატიებას გვაძლევს.

ეს მადლის სახარებაა. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ღმერთთან ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილებისგან შორს ვართ. ჩვენ კვლავ შეგვიძლია ღმერთთან ლამაზი ურთიერთობა გვქონდეს მისი ძის, იესო ქრისტეს, მეშვეობით.

როდესაც მამას რწმენით ვუერთდებით მისი ძის მეშვეობით, მასთან მყარი ურთიერთობა გვაქვს. ახლა ღვთის შვილები ვართ და რადგანაც ის ჩვენი მამაა, აღარ უნდა ვიფიქროთ, მასთან მისვლის ღირსები ვართ თუ არა. ღმერთთან არა ჩვენი ღირსების, არამედ მასთან ურთიერთობის საფუძველზე მივდივართ.

სწორედ ეს არის მადლის სახარება. ღმერთი ისე გვიყურებს, თითქოს არასოდეს არაფერი ჩაგვიდენია მის წინაშე. ახლა მიჭირს საკუთარ თავს ასე შევხედო. სარკეში ჩემს თავს ვუყურებ და ვეუბნები: „ჩაკ, ცოდვილი ხარ, მადას ვერ აკონტროლებ, იმდენი ნაკლი გაქვს.“ და მაინც, ღმერთი მიყურებს და მეუბნება: „გაპატიე!“ მას ვუყვარვარ და მიღებს ისეთს, როგორიც ვარ, რადგან იესო ქრისტეში ვარ. ზუსტად ისე, როგორც მან მიიღო თავისი ძე, ახლა მეც მიმიღო. პავლე გვეუბნება, რომ ჩვენ მიგვიღეს „საყვარელში“ (ეფესელთა 1:6). „საყვარელი“ კი (უფლის მიერ შეყვარებული) არის ქრისტე; და შენ ქრისტეში ყოფნისას ღმერთმა მიგიღო ისე, როგორც თავისი ძე - იესო ქრისტე.

ამიტომაც მადლის სახარება საუკეთესო ამბავია, რაც კი ოდესმე მსმენია. ღმერთი გვპატიობს, რადგან გვწამს მისი ძის, რომელიც მან ჩვენი ცოდვების გამო სიკვდილისთვის გამოგზავნა. ჩვენი ყველა ცოდვა წაშლილია. დანაშაული აღარ ითვლება. როგორც პავლე გვეუბნება: „ნეტარია, ვისაც ეპატია დანაშაული, ვისი ცოდვებიც დაიფარა. ნეტარია კაცი, ვისაც არ ჩაუთვლის ცოდვას უფალი“ (რომაელთა 4:7-8).

როგორც ღვთის შვილებს, სრული უფლება გვაქვს მამასთან მივიდეთ, რათა მას ყველაფერი ვთხოვოთ, რაც გვჭირდება. სრული უფლება გვაქვს, ჩვენი მამის სიბრძნეს ვენდოთ, რომ დააკმაყოფილოს ან უარყოს ჩვენი თხოვნა, მისი ცოდნის შესაბამისად, რადგან მან იცის რა არის ჩვენთვის საუკეთესო. შეგვიძლია თავი მივუძღვნათ ჩვენს ზეციერ მამას, რომელსაც ძლიერ ვუყვარვართ. ის მხოლოდ საუკეთესოს მოგვცემს.

რა დიდი სიხარულია იმის ცოდნა, რომ ღმერთს თავისი სიყვარულის სიმდიდრისა და სისრულის მონიჭება სურს არა იმიტომ, რომ ჩვენ ამას ვიმსახურებთ, არამედ იმიტომ, რომ მას ვუყვარვართ. ეს არის მადლის სახარება იესო ქრისტეში!

2. კარი ყოველთვის ღიაა

რამდენად მშვენიერიც არ უნდა იყოს, პატიება მადლის სახარების მხოლოდ ნახევარია. ბევრ ადამიანს სჯერა, რომ ღმერთმა გვაპატია ქრისტეში, მაგრამ კეთილი უწყების მეორე ნახევარს ვერ იაზრებს: ღმერთი მართლებად მიგვიჩნევს მხოლოდ იმიტომ, რომ იესო ქრისტეს ვერწმუნეთ.

ყველას არ სჯერა, რომ ეს ასე მარტივია. სხვადასხვა ჯგუფებმა სტანდარტები ჩამოაყალიბეს, თუ როგორ უნდა იყო მართალი, მაგრამ მათი სტანდარტები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

გარეგნული ოქრო თუ შინაგანი ოქრო?

არც ისე დიდი ხნის წინ, ზოგიერთი ჯგუფი ასწავლიდა, რომ ღილების ტარება უმართლო საქციელია. ტანსაცმლისთვის კაუჭებსა და თვლებს იყენებდნენ და ღილების ტარებას სულაც არ ფიქრობდნენ. ასე ამბობდნენ: „ღილებს ატარებ?! რაოდენ უმართლო ადამიანი ხარ, სირცხვილი შენ!“ დღესაც არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ასწავლიან, რომ ოქროს ტარება სრულიად ცოდვილი საქციელია; ოქროს თუ ატარებთ, შეუძლებელია მართალი იყოთ. ისტორიის მანძილზე ადამიანები უფლის წინაშე სიმართლით

დგომის სხვადასხვა სტანდარტებს ადგენდნენ იმ იდეით, რომ თუ ისინი დაიცავდნენ ამ კონკრეტულ სტანდარტს, ღმერთი მიიღებდა მათ.

თუმცა რეალური პრობლემა არსებობს - სამართლიანობის დამკვიდრების მცდელობა კანონით ან საქმეებით. ფაქტი ისაა, რომ ჩვენსავე საკუთარ სტანდარტებს იშვიათად ვასრულებთ!

თითოეული ჩვენგანისთვის ის მორალური სტანდარტებია მისაღები, რომლებიც კარგი და მართებული გვგონია. „მე ნამდვილად ასეთი ვარ, ან ვიქნებოდი, რომ არა გარე ფაქტორები." ფსიქოლოგები ამას „სუპერეგოს" – „იდეალურ მეს" უწოდებენ. სამწუხაროდ არავინ იცნობს „ნამდვილ მეს". რატომ? რადგან გარემოებები გამუდმებით გვიშლიან ხელს, რომ ისეთი მშვენიერი ვიყოთ, როგორიც სინამდვილეში ვართ.

სუპერეგოსთან ერთად ფსიქოლოგები საუბრობენ „ეგოზე", რომელიც „არის ნამდვილი მე". სამწუხაროდ, შენი „ნამდვილი მე" შენი „იდეალური მეს" სტანდარტებს არასოდეს შეესაბამება.

ახლა, თუ შენს სუპერეგოსა და ეგოს შორის დიდი განსხვავებაა, არადახვეწილ ადამიანად ითვლები. მეორეს მხრივ, თუ იცი, რომ სრულყოფილი არ ხარ და არ გაქვს ასეთი მაღალი სტანდარტი შენი იდეალური მესთვის, მაშინ გილოცავ, შენ დახვეწილი ადამიანი ხარ.

ფსიქოლოგები ხშირად ცდილობენ ადამიანის სუპერეგოს სტანდარტების დაწევას. ისინი პაციენტს ეუბნებიან, რომ მან არაპრაქტიკული მიზნები დაისახა: „არავინ არის ასეთი სრულყოფილი; არავინ არის ასეთი კარგი. რასაც თქვენ აკეთებთ, ნორმალურია. ამას ყველა აკეთებს, მაგრამ თქვენ არ უნდა ცდილობდეთ საკუთარი თავისთვის ასეთი მაღალი სტანდარტების დაწესებას!" თერაპევტები სუპერეგოსა და ეგოს შორის არსებული განსხვავების შემცირებას მუდმივად ცდილობენ, რათა ჩვენ უფრო კარგად დაბალანსებული ცხოვრებით ვისიამოვნოთ. ისინი კურნებას სუპერეგოს დამარცხებით ეძებენ.

ეს იესოს ქმედებას შევადაროთ. ის სუპერეგოს დაქვეითებას არ ცდილობს, არამედ ეგოს აღზრდას ისახავს მიზნად. მას სურს „ნამდვილი შენ" აგამაღლოს!

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი „ნამდვილი მე" ჩემს „იდეალურ მეზე" ბევრად დაბალია, მე მაინც მართალი ვარ ღმერთის წინაშე. ის მიყურებს, როგორც სრულყოფილად მართალს იესო ქრისტესადმი ჩემი რწმენის გამო.

ეს მადლის სახარების მეორე ასპექტია. პირველი - შენი ყველა ცოდვა ჩამორეცხილია და ნაპატიები იესო ქრისტესადმი შენი რწმენის გამო. მეორე - ღმერთი გხედავს, როგორც მართალს იესო ქრისტეს რწმენის გამო. მიუხედავად იმისა, რამეს აკეთებ თუ არ აკეთებ, იცავ თუ არა ეთიკურ ნორმებს, ღმერთი სიმართლეს მაინც განიჭებს, რადგან იესო ქრისტესი გწამს.

ეს არის დიდებული სახარება, სასიხარულო ამბავი. იმის ცოდნა, რომ ღმერთმა მიმიღო იესო ქრისტეს რწმენით და რომ ჩემი სიმართლე იესო ქრისტეს რწმენით არის, ნამდვილად კარგი ამბავია!

კარი ღიაა

რატომ არის ეს ამბავი ასეთი კარგი? არაა საჭირო შიშით ვამბობდე: „ო, როგორ გავბედავ ღმერთთან მისვლას, როდესაც ახლახანს მოვიტყუე. თავი ვერ შევიკავე. ის ადამიანი უბრალოდ მოვატყუე. ო, მე ახლა უფლება არ მაქვს ღმერთს დახმარება ვთხოვო, რადგან ამ დავალებას თავი ვერ გავართვი". თუ ჩემი სიმართლე ჩემი საქმეებიდან გამომდინარეობს, მაშინ სატანას შეუძლია ღმერთთან მისასვლელი კარი თითქმის ყოველთვის ჩარაზოს, რადგან ვერასოდეს ვაკეთებ იმდენს, რამდენსაც ვგრძნობ, რომ უნდა ვაკეთებდე. არასოდეს ვარ ისეთი კარგი, როგორიც ვიცი, რომ უნდა ვიყო. ვერ მივაღწიე ჩემს „სუპერ-

ეგომდე“. არ ვცხოვრობდი ჩემი საკუთარი სტანდარტების (რაც სწორად მიმაჩნდა) შესაბამისად. იმის გამო, რომ ჩემს იდეალურ სტანდარტებს ვერ მივაღწიე, სატანა ჩემს წარუმატებლობას გამოიყენებს და ხელს შემიშლის ღმერთთან მისვლაში: „არ გაქვს უფლება ღმერთს დახმარება სთხოვო, როდესაც ისევ გაუცრუე იმედი. იცი, რომ შენი ქმედება ღმერთს არ მოსწონს, მაგრამ მაინც გააკეთე. გასაჭირში ხარ და გინდა ღმერთი ახლა დაგეხმაროს. გგონია მოგისმენს? არავითარ შემთხვევაში!“

სატანამ თუ შეძლო და ჩემს შიგნით ჩამახედა ან საკუთარ თავს შემახედა, მაშინ ღმერთის კარის ჩარაზვა ყოველთვის შეეძლება, მაგრამ მე თუ იესო ქრისტეს ვუყურებ, მივხვდები, რომ ქრისტესადმი ჩემი რწმენის გამო ვარ მართალი და სატანაც ვეღარასოდეს დაკეტავს კარს.

მაგრამ ის მაინც მოდის ჩემთან და მეუბნება: „ჩაკ, უბედურო და საწყალო, არ გაქვს უფლება ხალხის წინაშე იდგე და დიდებული სიხარულის უწყება ახარო იესო ქრისტეს შესახებ. ამ სფეროში ჩავარდნა გაქვს, იმ სფეროში - შეცდომა. არეული ხარ!“

ასეთ დროს ყოველთვის ვიღიმი, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე საკითხში კი გამომიჭირა, მაგრამ კიდევ არის რამდენიმე რამ, რაც მას არც კი უხსენებია! მე მას ვეუბნები: „ეშმაკო, შენ ვერ შემაშინებ შენი ბრალდებებით. არ ვაპირებ სადმე გაქცევასა და დამალვას. ფაქტობრივად, რასაც ამბობ, სიმართლეა. ვიცი, რომ შემეშალა. ვიცი, რომ სისუსტე მაქვს, მაგრამ შენ ამით ვერ ჩამომაშორებ იესო ქრისტესგან. პირიქით, მისკენ მიგყავარ, რადგან ჩემი ერთადერთი იმედი იესო ქრისტეს ჯვარია!”

ასე რომ, მე გავრბივარ ერთადერთ ადგილას, სადაც უსაფრთხოდ ვარ, ერთადერთ ადგილას, სადაც იმედი არსებობს. რა თქმა უნდა, საკუთარი თავისა და საკუთარი სიმართლის იმედი არ მაქვს, მაგრამ დიდი იმედი მაქვს იმ საქმისა, რომელიც იესო ქრისტემ ჩემთვის გააკეთა და იმ საქმისა, რომელსაც ღმერთი აკეთებს ჩემში თავისი სულიწმიდის ძალით, როდესაც ის ქრისტეს ხატებად გარდამსახავს.

რასაც საკუთარი თავისთვის მე ვერ ვაკეთებ, ის აკეთებს ჩემთვის. მან გამაძლიერა იმ ადგილებში, სადაც ასეთი სუსტი ვიყავი. ჩემი სისუსტე გავაცნობიერე და საკუთარ უმწეო თავს მისკენ მთელი ძალით ვუბიძგე. ოდესღაც სუსტ მხარეებში, ხშირად რომ წავიბორძიკებდი ხოლმე, ახლა ძლიერად ვდგავარ, რადგან მისი ძალა სრულყოფილი გახდა ჩემს უძლურებაში (2 კორინთელთა 12:9).

რა თქმა უნდა, ჯერ ისეთი არ ვარ, როგორიც ღმერთს სურს, რომ ვიყო. მანამდე ჯერ კიდევ შორი გზაა! მაგრამ მადლობა ღმერთს, არ ვარ ისეთი, როგორიც ვიყავი. ჩემი ახლანდელი არასრულყოფილების პირობებშიც კი, ღმერთი მიყურებს და მართლად და წმინდად მთვლის. სწორედ ამიტომ არ მსურს ქრისტე იესოს გარდა სადმე სხვაგან მნახონ. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავინახოთ საკუთარი თავი მისგან განცალკევებით.

სიმართლეს ხარისხი არ აქვს

თუ ღმერთმა იმიტომ გვიბოძა ქრისტეს სიმართლე, რომ ჩვენ გვწამდა, მაშინ სისულელეა ვცდილობდეთ ამ სიმართლის გაუმჯობესებას საქმეების კეთებით. ღვთის სიმართლის გაუმჯობესება არ შეგვიძლია. არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ის სწორი პოზიცია, რომელიც მან მოგვცა. ჩვენ მართალნი ვართ. ასე აღიქვამს ღმერთი ჩვენს ცხოვრებას, რადგან ჩვენ გვწამს და ვენდობით იესო ქრისტეს საქმეს (ჯვარცმასა და აღდგომას).

ჩვენი სიმართლე, ახლა და სამარადისოდ, ღვთის ძისადმი, იესო ქრისტესადმი ჩვენი რწმენის შედეგია.

ზეცაში ვერავინ დაიკვეხნის იმით, რომ თავიანთი მცდელობით გამართლდნენ. არ მოგვიწევს აბრაჰამის, დავითისა თუ პავლეს მოყოლილი ყველა იმ მშვენიერი საქმის მოსმენა, რომლებიც მათ ღვთის წინაშე გამართლებისთვის გააკეთეს. მათ უბრალოდ სწამდათ ღმერთის და ეს რწმენა ჩაეთვალათ სიმართლედ.

არც ერთი ჩვენგანი არ დადგება სამოთხეში კარგი საქმეების შესადარებლად, რადგან ღვთის ტახტის წინაშე მხოლოდ ერთადერთი მიიღებს დიდებას. მხოლოდ ერთი მანათობელი ვარსკვლავი იქნება. არ იქნება რაიმე სახის სულიერი პრივილეგიის სისტემა, სადაც ზოგი თავისი საქმეების დიდებით დატკბება, ხოლო ზოგი ჩვენგანი კუთხეში დადგება იმის ფიქრში, თუ საერთოდ როგორ შევაღწიეთ იქ. იესო და მხოლოდ იესო მიიღებს დიდებას ჩვენი გადარჩენისთვის. რომ არა ის, არცერთი ჩვენგანი იქ არ იქნებოდა.

როგორც პავლე ამბობდა, „მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით“ (გალატელთა 6:14). მისთვის რამდენი კეთილი საქმეც არ უნდა გავაკეთოთ, რამდენი ადამიანიც არ უნდა მივიყვანოთ მასთან ან რამდენი ეკლესიაც არ უნდა დავაარსოთ მისთვის, ჩვენი ერთადერთი დიდება ქრისტეშია, რომელიც ჩვენთვის მოკვდა. ჩვენი სიმართლე კარგი საქმეები, ადამიანური ძალისხმევა, გარკვეული რიტუალების შესრულება ან დიეტური კანონების დაცვია არ არის. ჩვენი სიმართლე - აქ, ახლა და სამარადისოდ - არის ჩვენი უბრალო რწმენის შედეგი ღვთის ძის, იესოს მიმართ.

რწმენით სიმართლე ყველა განსხვავებას შლის მათ შორის, ვინც ქრისტეს ეკუთვნის. არც მე ვარ შენზე უკეთესი და არც შენ - ჩემზე. ყველანი ცოდვილები ვართ და მხოლოდ ღმერთის დიდებული მადლით გადავრჩით. ღმერთის წინაშე სწორი დგომისთვის სხვა გზა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთი სახის სიმართლე, რომელსაც ღმერთი მიიღებს და ეს არის იესო ქრისტეს სიმართლე, რომელიც მოგვენიჭა.

თუ ღმერთთან დაახლოებას ჩემი საკუთარი სიმართლის ან საქმეების საფუძველზე ვეძებ, ან თუ ველი, რომ კურთხეული და წარმატებული ვიქნები, რადგან ამ კვირაში კარგად ვიქცეოდი ან ბევრი თავი წავიკითხე ან ბევრი ვილოცე, მაშინ ღმერთთან ჩემი ურთიერთობა ყოველთვის სუსტი იქნება. ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ღმერთთან ჩემი ურთიერთობა კარგია; ზოგჯერ ვგრძნობ, რომ ცუდია. რატომ? იმიტომ, რომ ვცდილობ მას ჩემი სიმართლის საფუძველზე დავუახლოვდე.

მადლის გარეშე ღმერთთან ურთიერთობა არასოდეს არაა დამკვიდრებული რეალობა და შეუძლებელია მშვიდობით დავტკბე. ღმერთთან ურთიერთობას ვერც შევძლებდი, ეს რომ ჩემს გრძნობებზე ან ჩემს ცხოვრებაზე ან ჩემს სიმართლეზე ყოფილიყო დამოკიდებული.

როდესაც ღმერთთან ჩემი ურთიერთობა ჩემდამი ღმერთის მადლზეა დაფუძნებული, კურთხევის კარი არასოდეს იკეტება. ღვთის კურთხევები მისი მადლისა და დაუმსახურებელი კეთილგანწყობის საფუძველზე გვენიჭება. კურთხევას არასოდეს ვიმსახურებ და ვერც ვერასოდეს მოვიპოვებ. კურთხევები, რომლებიც ჩემს ცხოვრებაში შემოდის, ყოველთვის ჩემს მიმართ ღვთის დაუმსახურებელ კეთილგანწყობას ეფუძნება. ღმერთს ძლიერ ვუყვარვარ და ამიტომაც მაკურთხებს. ღმერთი ძალიან კარგია! როდესაც ჩვენ მიმართ მის საოცარ მადლს ვაცნობიერებთ, ჩვენი გულებიდან სპონტანურად ამოდის ჭეშმარიტი ქება.

ჯიუტი ტენდენცია

ძალიან გვიჭირს ხოლმე თავის დაღწევა ამ კონცეფციიდან: ჩვენი სიმართლე გარკვეულწილად იმ საქმეებთანაა დაკავშირებული, რომლებსაც ღმერთისთვის ვაკეთებთ. ჩვენ იმისაკენ ვართ მიდრეკილნი, რომ ზოგიერთი მორწმუნე მათი საქმეების გამო სხვებზე უფრო წმინდად მივიჩნიოთ. ზოგჯერ იმაშიც გამოგვიჭერია თავი, რომ ამ სტანდარტების მიხედვით სხვებს განვიკითხავთ. თუ ვინმე იმავე დონის მსახურებას არ ეწევა ან ისეთი გულმოდგინე არაა, როგორიც ჩვენ, მაშინ ეს ადამიანი ნამდვილად არ არის იმდენად მართალი, რამდენადაც ჩვენ.

ჩვენი აზროვნებიდან საქმეებით გამართლების იდეის ამოღება ძალიან რთულია. ეს ცნება ძალიან ღრმად არის ფესვგადგმული, ამიტომ ბევრი ჩვენგანი მუდმივად ებრძვის დანაშაულის გრძნობას. ჩვენ,

ქრისტიანებას კი, შეიძლება გვქონდეს დანაშაულის გრძნობის საზიანო ეპიზოდები. ღვთისადმი სიყვარულის გამო ქცევის ისეთ სტანდარტებს ვადგენთ, როგორიც ჩვენი აზრით ღვთის შვილების იდენტობას შეესაბამება. ახლა, როცა ქრისტე მკვიდრობს ჩემში, მისი სიყვარულის გამოვლენა მსურს, რომელიც მომთმენი, სულგრძელი, კეთილი, ნაზი და მოწყალეა.

და მაინც, რამდენად მსხვრევადი შეიძლება იყოს ჩემი სიყვარული! მაგისტრალზე მანქანის ტარების დროს ჩემს წინ მყოფმა მძღოლმა შესაძლოა შეცდომა დაუშვას და ჩემს სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას. მყისვე სიბრაზე შეიპყრობს ჩემს გონებას. მომინდება იმ იდიოტს დიდხანს დავუსიგნალო და ბრაზით გადავხედო, რომ ვაჩვენო, რას ვფიქრობ მის მძღოლობაზე, მაგრამ ყველა ამ უაზრობის გაკეთების შემდეგ მახსენდება, რომ ჩემს სანომრე ნიშანზე „გოლგოთა“ წერია. ჩემი ძველი და კარგად ნაცნობი დანაშაულის გრძნობა გულში იმ მომენტშივე მეღვრება. ჩემს გონებას ბრალდებები ტბორავს, როგორიცაა „რა სამაგალითო მორწმუნე ხარ!“ და თავს სრულიად უმართლოდ მაგრძნობინებს. კიდევ ერთხელ დავეცი. კიდევ ერთხელ ვუღალატე ღმერთს და მისგან სრული გაუცხოების გრძნობა დამრჩა.

ძალისხმევისა და საქმეების საფუძველზე ღმერთთან ურთიერთობის მცდელობა ყოველთვის ფუჭი ბრძოლაა. ღვთის მშვიდობას ვერ შევიმეცნებთ, სანამ თავად არ გამოვცდით მის მადლს.

რთული გასაგებია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი საქციელი არასწორია, ეს ვერ შეცვლის იმას, რომ მე ღმერთის წინაშე სწორ პოზიციაში ვარ. ძნელია სიმართლის იდეა საქმეების და კანონის ცნების გარეშე განიხილო! ჩემი ქმედებები და ღმერთის წინაშე ჩემი დგომა ერთმანეთთან თითქოს განუყოფლად არიან დაკავშირებულნი, მაგრამ რეალურად მათ შორის არანაირი კავშირი არაა.

სიმართლე ის არის, რომ სწორ პოზიციაში თავად ღმერთმა დამაყენა მხოლოდ იმიტომ, რომ მე მისი ძის, იესო ქრისტესი მწამს. თუ ისეთი წესების სიის დაცვით, როგორიცაა „მანქანის მართვისას არასოდეს გაბრაზდე“ ან „შვილებთან მოთმინება არასოდეს დაკარგო“, შეგვეძლო ღმერთთან სწორი ურთიერთობის დამყარება, მაშინ ჩემი საქციელი და ღმერთთან ჩემი პოზიცია ერთმანეთთან იქნებოდა დაკავშირებული. მაგრამ არ არსებობს წესები, რომლებიც სიცოცხლეს იძლევიან, რადგან ცოდვამ გაუცხოება და სიკვდილი მოიტანა. იმისათვის, რომ ჩვენ სიცოცხლე გვქონოდა, ღმერთს ახალი აღთქმა უნდა დაემყარებინა, რომელიც დაფუძნებული იყო უკეთეს დაპირებებზე, ვიდრე საქმით გამართლებაა. ეს ახალი აღთქმა არის მადლის სახარება.

მადლი და მშვიდობა

შესაძლოა უბედური ხარ, გამაღიზიანებელი და საცოდავი და გრძნობ, რომ შეუძლებელია ღმერთს უყვარდე. შენი ხორცის დაცემის გამო თავს სრულიად საზიზღრად გრძნობ. იცი, რომ ღმერთისგან მხოლოდ სასჯელს იმსახურებ.

და უეცრად, არსაიდან, ღმერთი გასაოცრად გაკურთხებს. ასეთ მომენტში შენი გულიდან უფლის მიმართ სპონტანური ქება და თაყვანისცემა იწყება. ეს ქების ყველაზე ჭეშმარიტი ფორმაა - თაყვანისცემა, რომელიც სპონტანურად ამოხეთქავს ხოლმე ღმერთის მადლის საპასუხოდ. ეს ისეთი ქებაა, რომელიც ამბობს „ღმერთი ისეთი კეთილია ჩემ მიმართ. ამას საერთოდაც არ ვიმსახურებ“.

იმის გამო, რომ ღმერთთან ურთიერთობა მადლის საფუძველზე მაქვს, მის კურთხევებს არასოდეს ვწყდები. მაგრამ მე თუ ჩემი კეთილი საქმის საფუძველზე ველოდები ჩემს ცხოვრებაში ღვთის ჩარევას, მაშინ მეტწილად მოწყვეტილი ვარ მის კურთხევებს.

აღმოვაჩინე, რომ ჩემს ცხოვრებაში ღვთის კურთხევების ნაკლებობა არაფერ შუაშია ჩემს გარეგნულ ქმედებებთან, არამედ ღვთის მადლისადმი ჩემი რწმენის ნაკლებობიდან გამომდინარეობს. ვისწავლე, რომ ღვთის კურთხევა უპირობოა. რაც უფრო მეტად ვხედავ მის კურთხევას ჩემს ცხოვრებაში, მით უფრო

ვხვდები, რომ საერთოდ არ შემიძლია რაიმეს დამსახურება. შემიძლია, ამ ჭეშმარიტების გამო, დიდებული სიმშვიდე მქონდეს. საჭირო არ არის დარდი.

თუ გვჯერა, რომ ღმერთთან ჩვენი ურთიერთობის საფუძველი ჩვენი სიმართლეა, მაშინ მუდმივი მშვიდობა ვერასოდეს გვექნება. ძალისხმევისა და საქმეების საფუძველზე ღმერთთან ურთიერთობის მცდელობა ყოველთვის ჭიდილი, დაძაბულობა და ზეწოლაა. თუ გვინდა ღმერთის მშვიდობა ოდესმე შევიცნოთ, უნდა გვესმოდეს, რომ პირველ რიგში ღვთის საოცარი მადლი მოედინება ჩვენკენ, მიუხედავად იმისა, რომ გახრწნილნი ვართ და არ ვიმსახურებთ.

ღმერთის დიდებული მადლის მიღების შემდეგ ჩვენს გულებსა და ცხოვრებას ღვთის მშვიდობა ავსებს. ვიცით, რომ მას ვუყვარვართ, მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილებისგან შორს ვართ და თან წარუმატებელნი ვართ. თუნდაც ერთი შეხედვით არავის ვუყვარდეთ (მათ არც ვადანაშაულებთ, რადგან საკუთარი თავი თვითონვე არ გვიყვარს), ღმერთს მაინც ვუყვარვართ.

ოდესმე გსმენიათ ახალი აღთქმის სიამის ტყუპების შესახებ? ესენია ორი პატარა სიტყვა: „მადლი და მშვიდობა“. ისინი ყოველთვის ამ თანმიმდევრობით არიან ერთად დაწყვილებულნი. შეიძლება ითქვას, რომ ტყუპებში უფროსი მადლია. ყოველთვის ასეა: მადლი და მშვიდობა. ვერასდროს წაიკითხავთ მშვიდობისა და მადლის მისალმებას. რატომ? რადგან ეს ცხენის წინ ეტლის დაყენება იქნება. სწორი თანმიმდევრობა ყოველთვის ასეთია - მადლი და მშვიდობა - რადგან შეუძლებელია გულებში ღვთის სიმშვიდე ვიგრძნოთ, თუ ჯერ მისი მადლი არ განვიცადეთ ჩვენს ცხოვრებაში.

იესოს მსგავსად წმინდა

ბიბლია ამბობს, რომ ის, ვისაც იესოსი სწამს, გამართლებულია. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთმა მის წინაშე ისე დაგვაყენა, თითქოს ცოდვა არასდროს ჩაგვიდენია.

ღმერთისთვის ეს მცირე მიღწევა არ იყო! რადგან თუ ყველამ შევცოდეთ და აცდენილი ვართ მიზანს, როგორ შეიძლება ღმერთი ისე გვიყურებდეს, თითქოს არასოდეს შეგვიცოდავს და მაინც სამართლიანი იყოს? თუ ის ხედავს ჩვენს ცხოვრებას ისეთს, როგორიც სინამდვილეშია და მისი სამართლიანობის შესაბამისად უნდა იმოქმედოს, როგორღა შეუძლია ისე მოგვექცეს, თითქოს სრულყოფილები ვიყოთ?

სახარების ძალა სწორედ აქ შემოდის. ღმერთმა უცოდველი იესო ჩვენთვის ცოდვად აქცია. წმინდა წერილი აცხადებს, რომ ღმერთმა ჩვენი ყოველი ურჯულოება უდანაშაულო ქრისტეს მოჰკითხა. იესომ, პირდაპირი გაგებით, ჩემი ადგილი დაიკავა და მიიღო სასჯელი, რომელიც მე მეკუთვნის, როგორც დამნაშავე ცოდვილს.

ეს არის დიდებული მადლის სახარება. ღვთის წინაშე ჩვენი სამართლიანად დგომა აღემატება იმ ყველაფერს, რასაც კანონით მივაღწევდით. რაც არ უნდა ზედმიწევნით ვცდილობდეთ კანონის დაცვას, ყოველთვის გვაკლია რაღაც. სიმართლე, რომელიც ქრისტეს რწმენით მოდის, ჩვენ გადმოგვეცა და სრულია. ამას ვერაფერი დაემატება. ქრისტეში მე მაქვს აბსოლუტურად სრულყოფილი, მართალი პოზიცია ღვთის წინაშე. ჩემ წინააღმდეგ ბრალი არ არსებობს. მის თვალში მე იდეალური ვარ. ეს არ ნიშნავს, რომ მე სრულყოფილი მამაკაცი ვარ - ჯერაც ძალიან შორს ვარ აქედან! ეს ნიშნავს, რომ იესო ქრისტე არის სრულყოფილი და მისდამი რწმენის გამო მისი სიმართლე ჩემს ანგარიშზე აღირიცხება.

რა ძლიერ ვადიდებ ღმერთს მისი მადლის ცოდნისთვის, რომელიც მან ჩემს გულში მოიტანა, და სიყვარულის ურთიერთობისთვის, რომელიც მასთან მაქვს! ეს შეუცვლელია. არ იცვლება, როდესაც დეპრესიული, შემცდარი ან გაბრაზებული ვარ. ეს ურთიერთობა მიმდინარეა, სტაბილურია და ყოველთვის არსებობს. მას ვუყვარვარ, როცა საყვარელი ვარ და ვუყვარვარ, როდესაც ბოროტი ვარ. რა კარგია ღვთის მადლისა და მადლისმიერი სახარების შეცნობა!

3. სამეფოში მიკერძოება არ არის

შეგიმჩნევიათ თუ არა ღმერთის მოქმედება: ადამიანები, რომლებზეც ვამბობდით, რომ შეუძლებელია გადარჩნენ, სწორედ ისინი არიან მომდევნოები, ვინც ქრისტესკენ მოექცნენ?

„Calvary Chapel“-ში („გოლგოთის სამლოცველო სახლი“) დიდი ხნის დაკარგული მეგობრები მოულოდნელად რომ ხვდებიან ხოლმე ეკლესიის დერეფანში, ერთმანეთს შეხედავენ და ერთხმად ამბობენ: „შენ აქ რას აკეთებ?!“ ეკლესიაში სახეზე ღიმილითა და ბიბლიით ხელში ერთმანეთის დანახვა მათ უბრალოდ მოსრავს. არცერთს არ ეგონა, რომ მეორის გადარჩენა შეიძლებოდა.

არა მგონია, ადრეულ ეკლესიაში ბევრ ადამიანს ელოცა სავლეს გადარჩენისთვის. ისინი ალბათ ამბობდნენ: „უფალო, გაანადგურე ის ბიჭი. ის აპირებს ეკლესიის მოკვლას. შეაჩერე, უფალო!“ ისინი ალბათ იმედოვნებდნენ, რომ ღმერთი მას მსჯავრს დაატეხდა.

მაგრამ მათი მოლოდინებისგან განსხვავებით, ღმერთს სავლეს შესაჩერებლად უკეთესი გზა ჰქონდა. ღმერთმა მისი სიცოცხლე შეაჩერა, როდესაც ის დამასკოს გზაზე იყო და იქ 180 გრადუსით შემოაბრუნა. სავლე ხელახლა დაიბადა როგორც პავლე და მადლის სახარების ისტორიაში უდიდესი მაუწყებელი გახდა.

ღმერთი ყველაზე ნაკლებად სავარაუდო კანდიდატების არჩევაში და თავისი მადლის მეომრებად გარდასახვაში სპეციალისტია. მას შეუძლია თითოეულ ჩვენგანში უმშვენიერესი ცვლილება შეიტანოს, ჩვენი ფასეულობები შეცვალოს და ქრისტეში ახალ ქმნილებებად გარდაგვქმნას. ის მოგვიწოდებს იმის მაგალითი ვიყოთ, რისი გაკეთებაც მის მადლს შეუძლია.

არავინაა ძალიან პატარა

ზოგჯერ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც ვფიქრობთ, რომ ღმერთი იყენებს მხოლოდ „განსაკუთრებულ“ ადამიანებს, როგორიცაა ძლიერი, ჭკვიანი, ლამაზი... არ ვფიქრობთ, რომ მას ჩვენთვისაც აქვს ადგილი. ამაში კი ძალიან ვცდებით!

ღმერთს არ ჰყავს „მნიშვნელოვანი“ ხალხი. ღმერთი იყენებს ჩვეულებრივ ადამიანებს და მოქმედებს უბრალო ადამიანების მეშვეობით. ამიტომაც წერდა პავლე: „ნახეთ, ძმებო, ვინა ხართ მოწოდებულნი: ბევრი არ არის ხორციელად ბრძენი, ბევრი არ არის ძლიერი და ბევრი არ არის წარჩინებული; არამედ წუთისოფლის უმეცარნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ბრძენნი; და წუთისოფლის უძლურნი ამოირჩია ღმერთმა, რათა შეარცხვინოს ძლიერნი“ (1 კორინთელთა 1:26-27).

ღმერთს უბრალო ხალხი ვუყვარვართ და საჩუქრებით უზრუნველგვყოფს, რათა ქრისტეს სხეულში ჩვენი ადგილი დავიკავოთ. ჩვენი ნებისმიერი უნარი საჩუქარია მისი ხელიდან. ყველაფერი, რაც გვაქვს, მოგვეცა, როგორც პავლემ თქვა 1 კორინთელთა 4:7-ში: „რა გაქვთ, რაც არ მიგიღიათ?“

როგორ შემიძლია ვიამაყო ჩემი მსახურებით, თითქოს ის არ მიმიღია, თითქოს ის, რისი გაზიარებაც შემიძლია, ჩემი გენიოსობის ან ბრწყინვალების დამსახურებაა? რაც ღირებული მაქვს, ყველაფერი ღმერთისგან მივიღე. ვერანაირად ვერ ვიამაყებ და ვერ დავიკვეხნი, თითქოს მისგან დამოუკიდებელი ადამიანი ვიყო. მის გარეშე არაფერი ვარ. მის გარეშე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

ადამიანები ხშირად გაბერილ შეხედულებებს ავითარებენ საკუთარი მნიშვნელობისა და სიდიადის შესახებ და ღვთის საქმეში თავიანთი ადგილით ტკბებიან. მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ღმერთს არც ერთი ჩვენგანი არ სჭირდება. ვწუხვარ, თუ თავს უმნიშვნელოდ გაგრძნობინებთ, მაგრამ ეს ასეა. მან

გადაწყვიტა ჩვენი გამოყენება, მაგრამ ვალდებული არ არის. მას სხვისი გამოყენებაც ისევე ადვილად შეეძლო.

ჩემთვის ეს ამაღელვებელია. იმიტომ არ ამირჩიეს მსახურებისთვის, რომ ასე შესანიშნავი ვარ. ღმერთი არ გვირჩევს ჩვენი სიდიადის, შესაძლებლობების ან პოტენციალის გამო. ის გვირჩევს, რადგან თავად წყვეტს ასე. ეს არ მოსწონთ მნიშვნელოვან და ამაყ ადამიანებს. ისინი რჩეულებზე „მაღლა“ დგანან, ასე რომ, როგორც წესი, ისინი რჩეულები არ არიან. ღმერთი ირჩევს თავისი მადლით. მან მე ამირჩია. მან შენ აგირჩია.

სამოთხე სიურპრიზებით იქნება სავსე. როდესაც გარშემო მიმოვიხედავთ, პირველი სიურპრიზი ის ადამიანები იქნებინ, ვისზეც გვეგონა, რომ აქ ვერ მოხვდებოდნენ. შემდეგი სიურპრიზი წინა რიგში, საპატიო ადგილებში მსხდომნი იქნებიან. ჩვენ ვიტყვით, „ვინ არის ეს ხალხი? აქამდე არ მინახავს“; „ზოგი მათგანი Calvary Chapel-ში დადიოდა“. ვინმე იტყვის, „მაგრამ სად არის ჩაკი?“ და სადღაც გასასვლელისკენ, ხალხის უკან, არაქისის გალერეაში, ვიყვირებ: „აქ ვარ! მადლობა ღმერთს, მისი მადლით რომ მოვხვდი აქ.“

სამეფოში ყველა თანასწორია

სანამ დამასკოს გზაზე იესოს პირისპირ შეხვდებოდა, მოციქულმა პავლემ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ფარისევლად გაატარა. როგორც გახსოვთ, ფარისევლები იყვნენ მკაცრი, ლეგალისტური ებრაული სექტის წევრები, რომლებიც რადიკალურად ეწინააღმდეგებოდნენ იესოს. მათი ლოცვების გათვალისწინებით, რომელთაგან რამდენიმე შემონახულია ჩვენთვის, კარგად მიხვდებით, თუ ვინ იყვნენ ისინი. ყოველ დილით რაბინები ლოცულობდნენ: „მადლობა მამაო, რომ არ დავიბადე წარმართად, მონად ან ქალად.“ ეჭვგარეშეა, რომ ეს პავლეს მიძღვნილი ცხოვრების ნაწილი იქნებოდა მრავალი წლის განმავლობაში.

მაშ, რაოდენ საინტერესოა, რომ გალატელთა 3:28-ში მოციქული ამ ტრადიციული ლოცვის სამივე კომპონენტს თავდაყირა აყენებს. ის წერს: „და აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი (წარმართი), არც მონა და არც თავისუფალი, არც მამრი და არც მდედრი, ვინაიდან თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში.“

იესომ ღმერთთან წვდომა ყველასთვის თანაბრად მარტივი გახადა. ღმერთი გვიღებს როგორც თავის საყვარელ შვილებს - ეს არის სახარების სილამაზე.

იესო დიდებული გამათანაბრებელია. მისი მადლი ერთ ადამიანს მეორეზე მეტად არ აამაღლებს. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ, რადგან ღმერთი ერთ ცოდვილს ისევე ადვილად იღებს ქრისტეში, როგორც მეორეს. ის თითოეულ ინდივიდს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

სახარებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რომელსაც კი მისწვდა. განვიხილოთ ქალთა უფლებები. ახალ გვინეაში ქრისტიანობის მისვლამდე ქალები ღვთის თაყვანისცემის ღირსად არ ითვლებოდნენ. საკმარისი იყო მხოლოდ თაყვანისცემის ადგილს შეხებოდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. ასეთი მეორე კლასის მოქალაქეობა ქმნიდა შიშითა და სირცხვილით სავსე გარემოს და ქალებში თვითმკვლელობის უკიდურესად მაღალ მაჩვენებელს იწვევდა. მათ ძალიან ცოტა რამ ჰქონდათ, რისთვისაც ცხოვრება ღირდა და მძიმე შევიწროვებაში ცხოვრობდნენ. წარმოიდგინეთ ამ კულტურაზე გავლენა, როდესაც ასპარეზზე მადლის სახარება გამოჩნდა. უცებ მამაკაცებმა და ქალებმა აღმოაჩინეს, რომ ქრისტეში არ არსებობს განსხვავება კაცსა და ქალს შორის.

იესომ ღმერთთან წვდომა ყველასთვის თანაბარად მარტივი გახადა, განურჩევლად მათი დემოგრაფიული ჯგუფისა. ღმერთი არ გვიღებს როგორც გამართლებულ უცნობებს ან შორეულ ნაცნობებს, არამედ როგორც მის საყვარელ შვილებს. იოანე გვეუბნება, რომ „ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა.“ (იოანე 1:12). ეს არის სახარების სილამაზე.

არ აქვს მნიშვნელობა როგორები ვიყავით ან რა დავაშავეთ, თუ რწმენას ქრისტეზე დავამყარებთ, ყველა ცოდვა გვეპატიება. ამ თითქმის ჩაუწვდომელი კურთხევის მიღმაც კი, ღმერთი თავის შვილებად გვღებულობს. სწორედ ამას გულისხმობდა პავლე, როდესაც წერდა: „რადგან თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოს რწმენით“ (გალატელთა 3:26). სიტყვა „შვილები“ ამ მონაკვეთში სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოთავსებული, როგორც ძე“.

ღმერთს არ ჰყავს მნიშვნელოვანი ხალხი. მის მადლს მხოლოდ ძლიერნი, ლამაზნი, ან გონიერნი არ იღებენ. ის თავის გვერდით უბრალო ხალხს მოგვიწოდებს და თავის ძლიერ მკლავებს სიყვარულის ნაზი ჩახუტებით შემოგვხვევს. ეს არის მადლის სახარება.

მადლით ამორჩეულნი

პავლემ მთელი თავისი ცხოვრება დაინახა, როგორც ღვთის მადლიანი არჩევანის შედეგი. მან თქვა: „კეთილინება ღმერთმა... გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე“ (გალატელთა 1:15-16). ეს არის ის, რაც ღმერთს სურს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში გააკეთოს. ეს არის ის, რისი გაკეთებაც ღმერთს ახლა შენში სურს. ღმერთს სურს თავისი ძე მსოფლიოს წინაშე შენი მეშვეობით გამოავლინოს.

ფაქტობრივად, ღმერთი შენს ცხოვრებაში იმ მომენტიდან მოქმედებს, როდესაც ჯერ მხოლოდ ჩაფიქრებული იყავი, რათა მისი ძის გამოსავლენად სრულყოფილ ინსტრუმენტად გარდაგსახოს. ამიტომაც წერდა პავლე: „ღმერთმა... გამომარჩია დედის საშოდან და მომიწოდა თავისი მადლით“ (გალატელთა 1:15). გასაოცარია იმის დანახვა, თუ როგორ მოამზადა ღმერთმა პავლე მსახურებისთვის დიდი ხნით ადრე, სანამ მოუწოდებდა.

ღმერთმა იცოდა, რომ წარმართებთან მადლის სახარების მისატანად განსაკუთრებული ადამიანი დასჭირდებოდა. ამ კაცს მოუწევდა იუდეველთა (რომლებიც ამბობდნენ, რომ კლანური ხალხი იყვნენ) ფესვგადგმული ტრადიციის დარღვევა. ისინი არ შერევიან წარმართებს, უარს ამბობდნენ მათთან ჭამაზე ან მათ სახლებში შესვლაზე. ფაქტობრივად, როდესაც ფარისეველი ქუჩაში დადიოდა, მოსასხამი მჭიდროდ ეჭირა იმის შიშით, რომ მისი კიდეები წარმართს შეეხებოდა. თუ ფარისეველი შემთხვევით არაებრაელს შეეხებოდა, ის მიდიოდა სახლში, განიბანებოდა, ირეცხავდა ტანისამოსს და იმ დღეს ტაძრიდან შორს რჩებოდა. თავს უწმინდურად თვლიდა. მიუხედავად ამისა, ადამიანი, რომელიც ღმერთს სჭირდებოდა კეთილი უწყების გასაცხადებლად, უნდა წასულიყო, წარმართებთან ეცხოვრა და ერთ-ერთი მათთან გამხდარიყო.

რა საინტერესოა, რომ ღმერთმა ამ განსაკუთრებული ამოცანის შესასრულებლად აირჩია ებრაელი, რომელიც თავისი მამების ტრადიციებისადმი ყველაზე გულმოდგინე იყო!

როდესაც პავლემ უკან მოიხედა, დაინახა, რომ მის ცხოვრებაზე თავიდანვე უფლის ხელი იყო. მას შემდეგ, რაც ქვეყნიერება ბერძნული კულტურით გაჯერდა, ღმერთის რჩეული ადამიანი მისი ადათ-წესებითა და ფილოსოფიით უნდა ყოფილიყო გაჟღენთილი. მას რომის მოქალაქეობა სჭირდებოდა იმის გამო, რომ ინტენსიურად მოუწევდა რომის იმპერიაში მოგზაურობა და ყველანაირი სახის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა.

ამიტომ ღმერთმა სავლეს რომის მოქალაქედ დაბადება მოაწყო. უცნობია, როგორ მიაღწია მან რომის მოქალაქეობას, მაგრამ პავლე ამას ნამდვილად დიდ უპირატესობად გამოიყენებდა, გადარჩებოდა რთულ და სიცოცხლისთვის საშიშ გარემოებებში (იხ. საქმეები 22 და 25 თავები).

ტარსუსი ასევე ძლიერი ბერძნული კულტურით სარგებლობდა. პავლეს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე უბრალოდ მცირე ელინისტური წეს-ჩვეულებები და აზროვნება, ის ამის ნაწილი იყო, რამაც წარმართებთან ეფექტური გამკლავება და ბერძნული აზროვნების ნიუანსების ცოდნა შესაძლებელი გახადა. მისმა წარმომავლობამ მას საშუალება მისცა, იესო ქრისტეს ჭეშმარიტება ბერძნებისთვის ეცნობებინა.

ამავდროულად, ღმერთს სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც მთლიანად ებრაელი იყო. როდესაც პავლე დაახლოებით 12 წლის იყო, მშობლებმა იერუსალიმში გაგზავნეს, რათა გამალიელის, იმ დროის ერთ-ერთი დიდი ებრაელი სწავლულის ფეხებთან ესწავლა. იქ პავლე ებრაულმა კულტურამ და ტრადიციებმა შეიპყრო. დაეუფლა თალმუდსა და ებრაულ წერილებს. პავლე კანონის მიმართ უკიდურესად მოშურნე იყო და მისი მაქსიმალურად დაცვით ცდილობდა გამართლებულიყო. ის თავის თანამედროვეთა შორის გამორჩეული იყო. ის ფილიპელებს სწერდა: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ხორცს მიენდოს, მე - მით უმეტეს“ (ფილიპელთა 3:4). პეტრე და სხვა მოწაფეები (თავიანთი წარმომავლობით მეთევზეები და მებაჟეები) კანონის გასაგებად ისე არ იყვნენ მზად, როგორც პავლე.

როდესაც საბოლოოდ დადგა დღე, რომ ღმერთს დამასკოს გზაზე პავლეს მიმართ თავისი მადლი გამოევლინა, მოციქულმა იესო ქრისტეს გამოჩენასთან დაკავშირებით ძველი აღთქმის წმინდა წერილების გააზრება მყისიერად შეძლო. ის მესიას ახალი კუთხით ხედავდა. პავლე შესანიშნავი არჩევანი იყო მადლის სახარების საქადაგებლად, რადგან თუ ვინმე ცდილობდა კანონით მართალი ყოფილიყო, ეს იყო პავლე - კაცი, რომელსაც შეეძლო ეთქვა: „რჯულის სიმართლით უმწიკვლო [ვიყავი]“ (ფილიპელთა 3:6). მან კანონით გამართლების მცდელობის ამაოება იცოდა, ამიტომ, როდესაც იესო ქრისტე შეიცნო, ახალი სიმართლე, რომელიც მას იესო ქრისტეს რწმენით მიეცა, სიამოვნებით მიიღო.

არაფერი შეცვლილა

პავლეს ისტორია დრამატულია, მაგრამ ერთი წამითაც არ იფიქროთ, რომ ამგვარი ღვთაებრივი მომზადება მხოლოდ მისთვის ან ახალი აღთქმის სხვა წმინდანებისთვისაა. მე, მაგალითად, შემიძლია გამოვიკვლიო ჩემი საკუთარი ცხოვრება და დავინახო, რომ ღმერთმა დედაჩემის მუცლიდანვე გამომარჩია იმ საქმისთვის, რაც მან გამიმზადა გასაკეთებლად.

უკან ვიხედები და მნიშვნელოვან მოვლენებს ვხედავ, რომლებიც იმ დროს არც ისე მნიშვნელოვანი ჩანდა. ახლა ვხვდები, რომ ეს ინციდენტები იყო გზაჯვარედინები ჩემს ცხოვრებაში, რამაც ჩემი ბედის ჩამოყალიბებას და განსაზღვრას შეუწყო ხელი. უკან რომ ვიხედები, ვხედავ ღმერთის ხელს თითოეულ ამ სიტუაციაში, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ვერც კი ვიზრებდი, რომ ღმერთის ხელი სადმე ახლოს შეიძლებოდა ყოფილიყო. მეგონა, რომ ღმერთმა მიმატოვა. მაგრამ ახლა ვხედავ, როგორ მუშაობდა ღმერთი ჩემი ცხოვრების ყველა რთულ ვითარებაში, რათა მოვემზადებინე იმ საქმისთვის, რომელიც მან დამიწესა. ამაღელვებელია კრიტიკულ მომენტებში მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილების გახსენება და გაცნობიერება, რომ ღვთის ხელი მიმიძღვოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში.

ჩვენ ვმღერით: „მთელს გზაზე ჩემი მხსნელი მიმიძღვის“. უკან ვიყურები და ვხვდები, რომ შემიძლია დავამოწმო ღვთის ხელის შესახებ, რომელიც ჩემს ცხოვრებაზე თავიდანვე იყო. ზოგჯერ ღმერთი ჩემს დასაცავად ზებუნებრივად ერეოდა. მას ჩემთვის განსაკუთრებული სამუშაო ჰქონდა და ამისთვის მწვრთნიდა.

ჩემს დაბადებამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩემი ბიძაშვილი ზურგის მენინგიტით გარდაიცვალა. ჩემი დაც დაინფიცირდა ამ საშინელი დაავადებით. ერთ დღეს მას ისეთი ძლიერი კრუნჩხვები დაემართა, რომ ჩემს ოჯახს ის მკვდარი ეგონა. დედაჩემი ჩვენი ბინიდან გამოვარდა და ადგილობრივი პასტორის სახლისკენ გაეშურა, სადაც ჩემი დის უსიცოცხლო სხეული ხალიჩაზე დააწვინა. მოძღვარმა და დედაჩემმა ლოცვა დაიწყეს, რომ ღმერთს ჩემი და გაეცოცხლებინა. მას კი თვალები გადატრიალებოდა, ყბა ჩამჯდარიყო და პულსი აღარ ჰქონდა.

მოგვიანებით აუზიდან დაბრუნებულ მამაჩემს სახლში მედდა ელოდა. „ჯობდა შენი ცოლის მოსაძებნად წასულიყავი“ - უთხრა მან - „შენი ქალიშვილი კვდება. შეიძლება უკვე გარდაიცვალა კიდეც.“ მამაჩემი ქუჩას აუყვა პასტორის სახლისკენ, რათა მსახური ეცემა და ჩემი და საავადმყოფოში წაეყვანა. მას მიაჩნდა, რომ ლოცვა სასაცილო იყო, როცა ექიმი გჭირდება. მაგრამ როდესაც სახლში შევიდა და ჩემი დის მდგომარეობა დაინახა, მიხვდა, რომ უკვე გვიანი იყო. ღვთის წინაშე გატეხილი მუხლებზე დაეცა.

ღვთისმსახურმა დედაჩემს უთხრა: „ახლა ნუღარ შეხედავ შენს პატარა გოგონას. თვალი უბრალოდ იესოს მიაპყარი და უფლისკენ იყურე“. ჩემზე ორსულმა დედაჩემმა სახე ღმერთისკენ მიაპყრო და თქვა: „უფალო, თუ ჩემს ქალიშვილს დამიბრუნებ, ჩემს სიცოცხლეს შენ მოგიძღვნი და გემსახურები, როგორც გინდა“. ჩემი და მყისიერად განიკურნა. მან ტირილი დაიწყო, წამოჯდა, მიმოიხედა და სახლში წასვლა მოინდომა. მათ ის სახლში სრულიად გამოჯანმრთელებული წაიყვანეს.

რამდენიმე კვირის შემდეგ მე დავიბადე და ექიმმა გამოაცხადა: „ბიჭი გყავთ“. მამაჩემი საავადმყოფოს დარბაზში მისრიალებდა და ყვიროდა: „დიდება შენ უფალო! ბიჭია!“ ამ დროს დედაჩემი ლოცულობდა: „გმადლობ, უფალო, რომ ჩემი ქალიშვილი დამიბრუნე. აღთქმას, რომელიც დავდე, რომ გემსახურო, ჩემი ბიჭის მეშვეობით შევასრულებ“.

დედაჩემმა ღმერთის სიტყვა გულში ადრეული ასაკიდანვე ჩამინერგა. როდესაც ეზოში გამოვდიოდი, წმინდა წერილის მუხლების დამახსოვრებაში მეხმარებოდა. ოთხი წლის რომ ვიყავი, ბიბლიის კითხვა მასწავლა. სიტყვებს, რომლებსაც სრულად ვერ ვამბობდი, დავმარცვლიდი ხოლმე. მოგვიანებით ის იხსენებდა დროს, როდესაც ყველა ასო არ ვიცოდი, მაგრამ მათ აღსაწერად ყველაფერს ვაკეთებდი. იგი სიცილით იხსენებდა, რომ „ვ“-ს (V) „ამოტრიალებულ კარავს“ ვეძახდი. მოთმინებითა და სიყვარულით მზრდიდა და უფლის შიშს მასწავლიდა.

შვიდი წლის ასაკში ბიბლიის ყველა წიგნის დამარცვლით დასახელება შემეძლო. ძილის წინ ზღაპრები არასოდეს მომისმენია, მხოლოდ ბიბლიურ ისტორიებს მიყვებოდნენ. ოქროსფერ-თმიან გოგონასა და სამ დათვთან ერთად კი არა, დავითთან და მოსესთან ერთად გავიზარდე. დედამ მასწავლა, რომ როდესაც ღმერთი შენთანაა, არაფრის და არავისი უნდა შეგშინებოდა. ვერც ერთი გიგანტი ვერ დადგება შენს წინააღმდეგ, როდესაც ღმერთია შენთან.

არ მახსოვს ისეთი დრო, როდესაც ღმერთს არ ვიცნობდი და არ მიყვარდა. არ მაქვს რაიმე სახის ქრისტესკენ მოქცევის დამოწმება. იყო დრო, საჯაროდ განვაცხადე ჩემი რწმენა და მოვინათლე, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთისა და მისი სიტყვასათვის დედის მუცლიდანვე ვიყავი გამოყოფილი.

ასაკის მატებასთან ერთად გადავწყვიტე ნეიროქირურგის კარიერას გავყოლოდი და ამ პროფესიისთვის მოსამზადებლად კურსებზე შევედი. როდესაც ჩემს ამბიციებს აღვწერდი ხოლმე, დედა უბრალოდ მიღიმოდა და მამხნევებდა. ის არაფერს მეუბნებოდა იმის შესახებ, რომ ჩემი სიცოცხლე დაბადებიდანვე ღმერთს მიუძღვნა.

ღმერთმა ჩემი ცხოვრება თინეიჯერობისას საზაფხულო ბანაკში შეცვალა. იესო ქრისტეს უფლობას სწორედ იქ მივეძღვენი. ღმერთმა გულში ჩამიბეჭდა, რომ ადამიანებს ფიზიკურ მოთხოვნილებებზე

ბევრად აღმატებული მოთხოვნილებები აქვთ. ფიზიკური მოთხოვნილებების მომსახურება დროებით დახმარებას იძლევა, მაგრამ სულიერი მოთხოვნილებების მომსახურება ადამიანებს მარადიულად ეხმარება. ღმერთმა ადამიანების სულებისთვის მისი კურნების მოსატანად მომიწოდა.

მეგონა, რომ დედაჩემი ღრმად იმედგაცრუებული იქნებოდა, როცა გაიგებდა, რომ მისი შვილი ექიმობას აღარ აპირებს. ფეხის ბაკუნსა და დაძაბულ სახეებს ველოდი, როდესაც ოჯახს ჩემი ცხოვრების მიმართულების ცვლილების შესახებ გამოვუცხადე. მაგრამ როდესაც დედაჩემს ვუთხარი, რომ ვგრძნობდი ღმერთმა მსახურებაში და ბიბლიის კოლეჯში მომიწოდა, მან უბრალოდ ღიმილით მითხრა: „კარგია, შვილო“. გამიკვირდა, რომ არც ატირდა და არც ანერვიულდა.

გავიარე ბიბლიური კოლეჯი, სპეციალური მომზადება; დავქორწინდი ქეიზე და ერთად დავიწყეთ მსახურება. დედაჩემმა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ჩემი დის სიკვდილის ამბავი მომიყვა და მითხრა, რომ ღმერთს აღთქმა დაუდო, რომელსაც ჩემი მეშვეობით შეასრულებდა. ის ერთ-ერთი ულამაზესი, ღვთისმოსავი ადამიანი, ღრმად სულიერი ქალი და უდიდესი მაგალითი იყო. ახლა შემიძლია უკან გავიხედო და დავინახო, რომ დედის მუცლიდანვე ვარ გამოყოფილი იმ მსახურებისთვის, რაც ღმერთმა ჩემთვის განიზრახა.

იცოდი, რომ ეს ჭეშმარიტება შენთვისაც იგივეა? თუ შენი მარადიული ბედი იესო ქრისტეს მოსიყვარულე ხელს რწმენით გადაეცი, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი შენი ცხოვრების მოვლენებსა და გარემოებებს მშვენიერ მოზაიკად გარდაქმის, რომელიც შენს გარშემო მყოფ მამაკაცებსა და ქალებს მხოლოდშობილ ძეს გაუცხადებს. მისი ხელი შენზეა, როგორც შენს დაბადებამდე იყო.

მადლით მოწოდებული

ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მხოლოდ მადლით არის ღვთის ხელი ჩვენზე. ყველა ჩვენგანი მადლით ვართ მოწოდებული. როგორც პავლემ თქვა: „კეთილინება ღმერთმა, რომელმაც გამომარჩია დედის საშოდან და მომიწოდა თავისი მადლით“ (გალატელთა 1:15). მე არ ვიმსახურებ მოწოდებული ვიყო ღმერთის მსახურებისთვის. არ ვიმსახურებ გადარჩენას. არ ვიმსახურებ სამოთხეში ყოფნას. მე ჯოჯოხეთში ყველაზე ცხელ ადგილს ვიმსახურებ.

მაგრამ ეს ის არ არის, რაც ღმერთმა მე და თქვენ მოგვცა. მან ჩვენი ცხოვრება წყალობით დაგეგმა და თითოეულ ჩვენგანს აღსასრულებლად განსაკუთრებული საქმე მოგვცა. ზოგიერთ ადამიანს ღმერთის გეგმის შესრულება, სულ რაღაც, ერთ საათში შეუძლია; ზოგი ჩვენგანი კი ნელი და შრომისმოყვარეა და მთელი ცხოვრება გვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენთვის გამზადებული ღმერთის საბოლოო მიზანი შევასრულოთ.

ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებული საქმე გაუმზადა და აუცილებელია, რომ ამ საქმისთვის ყველანი მოვემზადოთ.

გაიხსენეთ რა უთხრა მორდექაიმ ესთერს: „ვინ იცის, იქნებ ამ ჟამისთვის ეწიე დედოფლობას“ (ესთერი 4:14). ესთერი ღმერთის მთავარი მიზნისთვის არსებობდა, რომელიც სულ რამდენიმე დღეში შესრულდა. ღმერთმა გამოარჩია, სპარსეთის კარზე მიიყვანა და მეფე ახაშვეროშის ცოლად აქცია, რათა ებრაელები მისი შუამდგომლობით გადაერჩინა.

ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს განსაკუთრებული საქმე მისცა შესასრულებლად და აუცილებელია, რომ ყველანი მოვემზადოთ ამ საქმისთვის. ბევრი ჩვენგანი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს მომზადებაში გაატარებს, სანამ ჩვენი დღე დადგება. ჩვენი ცხოვრების მისიას შევასრულებთ და შემდეგ გადავალთ. ჩვენზე ღვთის ჩანაფიქრი აღსრულებული იქნება.

სადაც არ უნდა ვიყოთ, ღმერთს აქვს მიზეზი, რისთვის იქ მიგვიყვანა. ღმერთის ხელია ჩვენი ცხოვრების თითოეულ გარემოებაზე. შესაძლოა რთულ განსაცდელებს ვართ, მაგრამ სირთულეები აუცილებელია. ღმერთს სურს ჩვენში ისეთი მახასიათებლები განავითაროს, რომლებიც მისი გეგმის შესრულების შესაძლებლობას მოგვცემს.

ღმერთი თითოეულ ჩვენგანში მოქმედებს. ჩვენ მისი ნამუშევარი ვართ, მისი პოემა ან შედევრი (იხ. ეფესელთა 2:10). ღმერთი თითოეულ ჩვენგანში თავისი მადლის მიხედვით იშრომებს, რათა იმ საქმის აღსრულება შევძლოთ, რომელიც მან მისი დიდებისთვის დაგვიწესა.

უფრთხილდი მახეს

სატანამ იცის, რომ ღვთის ხელი გვიცავს, ამიტომ ჩვენს დასათრგუნად შეეცდება ჩვენივე სისუსტეები და უუნარობა გამოიყენოს. ეშმაკს აზრს მოკლებული მოთხოვნების წამოყენება სჩვევია. გვაფიქრებინებს, რომ ეს ღმერთისგანაა და ჩვენი შესაძლებლობების მიღმა არსებული სრულყოფილების მისაღწევად ბრძოლასა და სწრაფვას გვაიძულებს.

სატანა გვადებს ტვირთის და სადარდებელს გვიჩენს, რის გამოც ხშირად ვვარდებით სასოწარკვეთილებაში. უკიდურესი იმედგაცრუების გამო დანებების სურვილი გვიჩნდება. როდესაც იმ სტანდარტების შესრულებას ვცდილობთ, რომელიც ღმერთმა არ დაგვიდგინა, გული გვიმძიმდება. შედეგები კი შესაძლოა ტრაგიკული იყოს.

ჩვენს ეკლესიაში ფიზიკური შეზღუდვის მქონე ახალგაზრდა ბიჭი დადიოდა. ყოველი მსახურების შემდეგ ჩემთან მოსვლასა და დალაპარაკება ცდილობდა. მას საუბარი ძალიან უჭირდა, თუმცა მისი გამოხატვის უნარი ყოველთვის აღმაფრთოვანებდა. გასაოცარი იყო მისი ინტელექტიც; მას კარგი და გამჭრიახი კითხვები ჰქონდა.

თუმცა ის საშინლად უბედური იყო. ერთ დღესაც ეკლესიის წინ გადატვირთულ გზაზე მანქანის წინ გადახტომა სცადა. როდესაც ოფისში შეიყვანეს, მასთან ერთად ვილოცეთ და ხელისუფლებას დავურეკეთ. ვთვლიდით, რომ მისივე უსაფრთხოებისთვის საჭირო იყო ექიმებს გამოეკვლიათ. გამოკვლევის შემდეგ გამოუშვეს.

აშკარა იყო, რომ მსჯავრდადების ტვირთი სტანჯადა. „ჩაკ“ - წამოიძახა მან - „უბრალოდ არ შემიძლია მოწევას თავი დავანებო.“ ვცდილობდი მეთქვა, არ ენერვიულა, რადგან მოწევა მას მეორეხარისხოვან ქრისტიანად არ აქცევდა. მომდევნო კვირას ეკლესიაში დაბრუნდა და მითხრა, რომ ღმერთმა ეს პრობლემა მოაგვარა. მან თქვა, რომ რეალურად მიეძღვნა, მაგრამ ვამჩნევდი, რომ დამწუხრებული იყო. ცხადია, სატანა ხორცის სისუსტეში ადანაშაულებდა და ფიზიკური ნაკლის გამო აწამებდა.

ერთ დღეს ამ ახალგაზრდას იმედგაცრუებისა და მსჯავრდადების ტვირთი სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ის ადგილობრივი მაღალსართულიანი სასტუმროს აივნიდან გადახტა იმიტომ, რომ მტერს უფლება მისცა თავისი სისუსტეები მის დასათრგუნად გამოეყენებინა.

ნეტავ, იმ ახალგაზრდას გაეგო, რომ ჩვენ ღმერთის მიერ მოცემულ პიროვნებაზე მეტი ვერ ვიქნებით! ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აღწევს რაიმე ფასეულს, თუ არა ჩვენს ცხოვრებაში ღვთის სულიწმიდის ჩარევით. ამრიგად, არასოდეს უნდა ვიწუწუნოთ. თავი არ უნდა დავიდანაშაულოთ. მუდმივად ჩვენს წარუმატებლობაზე არ უნდა ვილანძღებოდეთ. მხოლოდ ჩვენი სისუსტე უნდა ვცნოთ და თავმდაბლად ვაღიაროთ: „უფალო, ვიცი, რომ სუსტი ვარ, დახმარება მჭირდება. შენთვის გადმომიცია ეს ყველაფერი და გთხოვ, უფალო, გააკეთე ჩემთვის ის, რისი გაკეთებაც მე არ შემიძლია,“ და ის გააკეთებს.

ყველას მივესალმებით

ქრისტეს სხეული მშვენიერია. სხეულის ყველა ნაწილი სასიცოცხლოა და მნიშვნელოვანი. რა უმწეო და უცნაური იქნებოდა სხეული, ეს ყველაფერი პირი რომ ყოფილიყო! ღმერთმა მომცა პირი სხეულში, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთელი სხეული პირი არ არის. სხეულის ბევრი ნაწილი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირი. რა მშვენიერია იმის დანახვა, რომ ქრისტეს სხეული მისი განზრახვისამებრ ფუნქციონირებს, სადაც ადამიანები ყველა დემოგრაფიული ჯგუფიდან, ფენიდან თუ განსხვავებული წარსულიდან მოდიან, რათა ღმერთს ერთობლივად ემსახურონ!

სადაურიც არ უნდა იყოთ, სადაც არ უნდა იყოთ და რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ღმერთს სურს თქვენში თავისი ძე გამოსახოს. დაე, იესო ქრისტეს მიეცით უფლება, რომ თქვენი ცხოვრებით, რეაქციებით, დამოკიდებულებითა და პასუხებით იბრწყინოს.

ეკლესიაში ასე ვმღეროდით: „დაე, ჩემში იესოს სილამაზე იხილონ, მთელი მისი მშვენიერი ვნება და სიწმინდე. ო, ღვთაებრივო სულო, დახვეწე მთელი ჩემი ბუნება, სანამ ჩემში იესოს სილამაზე არ გამოისახება.“ ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ლამაზი საგალობელი და საოცარი ლოცვა. ეს თითოეული ჩვენგანის გულის წადილი უნდა იყოს: „ო, უფალო, შენი მშვენიერება გამოისახოს ჩემში“. როგორც დავითი ლოცულობდა: „გამოღვიძებისას შენი მსგავსების მზერით გავძღები“ (ფსალმუნი 16:15).

როგორიც არ უნდა ვიყოთ: საყვარელი თუ უბრალო, ძლიერი თუ სუსტი, ბრწყინვალე თუ ნელი, სულიწმიდის მეშვეობით ყველა ჩვენგანი იესოს მსგავსები ვხდებით. ჩვენ ერთად ვართ მისი მადლის ობიექტები და ყველანი ერთად დავტკბებით იმ დიდებულ დღეს, როცა მის მსგავსებაში გავიღვიძებთ.

სხვანაირად როგორ შეიძლება?

4. მადლის პორტრეტი

ერთია მადლზე აბსტრაქტულად ლაპარაკი, მაგრამ სულ სხვაა იმის აღწერა, თუ როგორ გამოიყურება იგი. თუ „სურათი ათას სიტყვას უდრის“, რა სახის სურათი იქნებოდა მადლი?

შესაძლოა, მთელ ბიბლიაში მადლის საუკეთესო სურათი ძველი აღთქმის პერსონაჟია, რომელიც ახალ აღთქმაში რამდენიმე მწერლის მიერ მოიხსენიება. აბრაჰამი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც მორწმუნეთა მამა. ის ნათელ სურათს გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა არის მადლი და რას აკეთებს ის.

რომაელთა და გალატელთა მიმართ ეპისტოლეებში პავლე მოციქული აბრაჰამს უბრუნდება, როგორც იმ ადამიანის მთავარ მაგალითს, რომელიც ღმერთმა მისი რწმენის საფუძველზე მიიღო. რომაელთა 4:3-ში პავლე წერდა: ვინაიდან, რას ამბობს წერილი? „ერწმუნა აბრაჰამი ღმერთს და ეს ჩაეთვალა მას სიმართლედ.“ მოციქული იმავე მაგალითს გალატელთა 3:6-7-ში იყენებს: „როგორც აბრაჰამმა ირწმუნა ღმერთი, და ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას. ამიტომ, იცოდეთ, რომ ისინი, ვინც რწმენისგან არიან, აბრაჰამის შვილები არიან.“

ისტორიის გამეორება

დაბადების მე-15 თავი გვეუბნება, რომ აბრაჰამს და მის მეუღლეს, სარას, შვილების გაჩენა არ შეეძლოთ, მაგრამ ღმერთმა მათ აღთქმა მისცა, რომ მათი შთამომავლობით დედამიწის ყველა ერი იკურთხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი დაუჯერებელი იყო, აბრაჰამი ღმერთს მიენდო. დაბადების 15:6-ში ნათქვამია: „ერწმუნა იგი უფალს და ეს ჩაეთვალა სიმართლედ.“

წელი წელს მიჰყვებოდა, მაგრამ ბავშვი არსად ჩანდა, აბრაჰამსა და სარას ეჭვი გაუჩნდათ, შეასრულებდა თუ არა ღმერთი თავის დანაპირებს. ასე რომ, ერთ დღესაც სარამ საქმე თავის თავზე აიღო და აბრაჰამს შესთავაზა თავის მხევალ აგართან შესვლა. შემდეგ ბავშვს ისე გაზრდიდნენ, როგორც საკუთარს (რა საინტერესოა, რომ სუროგატი მშობლობის იდეა ისეთი თანამედროვე არაა, როგორც ჩვენ გვგონია!). აგარი დაორსულდა და ვაჟი შეეძინა, რომელსაც ისმაელი დაარქვეს. მაგრამ როდესაც ეს ბავშვი 13 წლის იყო, ღმერთმა აბრაჰამს თავისი დაპირება გაუმეორა. აბრაჰამს ჯერაც უჭირდა იმის დაჯერება, რომ ღმერთი სარას ვაჟს აჩუქებდა. მან ღმერთს უთხრა, რომ იდეა კარგი იყო, მაგრამ რეალურად, ისმაელი უკვე იქ იყო და მას რატომ არ დალოცავდა?

რამდენად გამამხნევებელია ის, რომ აბრაჰამს, ადამიანს, რომელსაც ბიბლია „ყველა მორწმუნის მამას“ უწოდებს (რომაელთა 4:11), იმის დაჯერება უჭირდა, რომ აღთქმა შეიძლება სარას შთამომავლობის მეშვეობით შესრულდეს! როდესაც უფალმა თავისი დაპირება გაიმეორა, რომ სარას მეშვეობით მისცემდა ვაჟს, ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ სარას გაეცინა. როდესაც პირობა შესრულდა და სარას ვაჟი შეეძინა, მას ისააკი დაარქვეს, რაც „სიცილს“ ნიშნავს.

ისააკი რაც უფრო იზრდებოდა, მისი უფროსი ძმა ისმაელი უფრო ნაწყენდებოდა აღთქმის შვილისადმი ასეთი ყურადღების გამო. ისააკი ძუძუს რომ მოაცილეს, წვეულება გამართეს, სადაც ისმაელი პატარა ძმას შორიდან დასცინოდა. როდესაც სარამ შეამჩნია მისი ბოროტი დამოკიდებულება, აბრაჰამს მოსთხოვა, რომ ის და დედამისი აგარი სახლიდან გაეშვა. იგი მოითხოვდა, რომ ისმაელს ისააკისთვის განკუთვნილ მემკვიდრეობა არ გაეზიარებინა.

ბუნებრივია, აბრაჰამი მოვლენების ამგვარმა განვითარებამ გაანადგურა, მაგრამ ღმერთმა დაარწმუნა, რომ ისმაელზე ის იზრუნებდა. აბრაჰამს სარასთვის უნდა მოესმინა და მონა და მისი ვაჟი სახლიდან გაეშვა. ცხადი იყო, რომ ისინი ღვთის აღთქმულ კურთხევას ვერ დაიმკვიდრებდნენ.

სურათის დახატვა

როდესაც პავლეს იმის დამტკიცება სურდა, რომ სიმართლე მადლით გვეძლევა რწმენის მეშვეობით, მან თავის მკითხველებს აბრაჰამზე მიუთითა. ის წერდა, რომ აბრაჰამის ამბავი შეიცავდა ალეგორიას, რომელიც მის აზრს ნათელს ხდიდა. ტრადიციულად, პავლეს დროინდელი რაბინები თვლიდნენ, რომ წმინდა წერილის თითოეულ მონაკვეთს ძირითადად ორი ინტერპრეტაცია ჰქონდა. პირველს პეშატი ერქვა და ტექსტის მარტივ და აშკარა მნიშვნელობას ეხებოდა. ისინი ასევე თვლიდნენ, რომ თითოეულ მონაკვეთს (რემეზს) ფარული მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთი რაბინი დამატებითი ტიპის ორ ინტერპრეტაციას ეყრდნობოდა: დერაშს, რომელიც მოიცავდა ალეგორიულ მნიშვნელობებს და ყველაფერს, რაც პირდაპირი არ არის; და სოდ (საიდუმლო), რომელიც ალეგორიულ მნიშვნელობას თმობდა. ამ რთული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი სკოლების ნაკლი ისაა, რომ ისინი წმინდა წერილის შესახებ დაბნეულობასა და ეჭვს ტოვებენ.

მე კი მჯერა, რომ ტექსტის მარტივი და აშკარა მნიშვნელობით გაგება საუკეთესო არჩევანია. ღმერთს უდაოდ შეუძლია ზუსტად ის თქვას, რისი თქმაც სურს. თავისებური სულიერი ინტერპრეტაციით წმინდა წერილის განმარტების გამო ბევრმა გადაუხვია ბიბლიის მკაფიო სწავლებას. მოდით, შევთანხმდეთ: საკმარისი „სულიერებით“, შეგვიძლია ავიღოთ ისეთივე უვნებელი ზღაპარი, როგორიცაა „მოხუცი დედა ჰაბარდი“ და მისგან უზარმაზარი ქადაგება შევქმნათ. დაფიქრდით ამ მოხუცი ქალის ღრმა სულიერ შედეგებზე, რომელიც თავისი საწყალი ძაღლისთვის ძვლის მოსატანად ბუფეტში წავიდა. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რატომ იყო ის ცხოვრებისგან გულგატეხილი, იმედგაცრუებისა და სიცარიელის ხაფანგში მოქცეული. ეს იმიტომ, რომ ბუფეტი ცარიელი დახვდა. რა ტრაგიკული დღეა, რადგან საერთოდ არანაირი რესურსი აღარ დარჩა!

მცირე ფანტაზიის გამოყენებით პატარა ბორცვებიდან უზარმაზარი დოქტრინალური მთების შექმნა შეგვიძლია. მაშასადამე, ოქროს წესია ალეგორიული ინტერპრეტაციების თავიდან აცილება, თუ თავად წმინდა წერილი არ გვაძლევს ალეგორიის საფუძველს. ამ შემთხვევაში, სულიწმიდის შთაგონებით, პავლე აბრაჰამის ცხოვრებიდან ალეგორიულ მინიშნებას ატარებს, რომლის ნდობაც შეიძლება:

„ვინაიდან დაწერილია, რომ ორი ძე ჰყავდა აბრაჰამს, ერთი მხევლისგან, მეორე კი - თავისუფლისგან. მაგრამ მხევლისგან გამოსული ხორციელად იყო შობილი, ხოლო თავისუფლისგან გამოსული - აღთქმის მიხედვით. ამაში არის ალეგორია. ეს არის ორი აღთქმა: ერთი სინაის მთიდან, რომელიც მონობისთვის შობს; და ეს აგარია. ვინაიდან აგარი არის სინაის მთა არაბეთში და ამჟამინდელ იერუსალიმს შეესაბამება, ვინაიდან ის მონობაშია თავის შვილებთან ერთად. ხოლო ზენა იერუსალიმი თავისუფალია - ის ყველა ჩვენგანის დედაა. რადგან დაწერილია: „იხარებდე, ბერწო, უშობელო! სიხარულით აყიჟინდი, სალმობის განუცდელო! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს". და თქვენც, ძმებო, ისააკის მიხედვით აღთქმის შვილები ხართ. მაგრამ როგორც მაშინ სდევნიდა ხორციელად შობილი სულით შობილს, ასევეა ახლაც. თუმცა, აი, რას ამბობს წერილი: „განდევნე მხევალი და მისი ძე, ვინაიდან მხევლის ძე ვერ გახდება მემკვიდრე თავისუფლის ძესთან ერთად!" ამრიგად, ძმებო, მხევლის შვილები კი არა ვართ, არამედ - თავისუფლისა!" (გალატელთა 4:22-31).

ისტორიის მნიშვნელობა

პავლე გვეუბნება, რომ ეს მოვლენები არა მხოლოდ სუფთა ისტორიული გაგებითაა მნიშვნელოვანი, არამედ მათ გასაჭირსაც ასახავს, ვინც ცდილობს, ღვთის კურთხევა საქმეებით დაიმკვიდროს. აგარი და მისი ვაჟი მათ სურათს წარმოადგენენ, ვინც ღვთის წინაშე რჯულის აღსრულებით ცდილობს გამართლდეს. როდესაც აბრაჰამსა და სარას დაპირების შესრულების იმედი სრულიად გადაეწურათ, საკუთარ ძალისხმევას მიმართეს, რამაც მხოლოდ გულისტკივილი და იმედგაცრუება გამოიწვია. და რადგანაც ისმაილი ხორციელი ძალისხმევის შედეგი იყო, ის წარმოადგენს მათ, ვინც კურთხევის მიღებას ადამიანური ძალით ცდილობს. მეორეს მხრივ, ისააკი არის აღთქმის შვილი, რომელიც წარმოადგენს მათ, ვინც ღვთის კურთხევას რწმენით დაიმკვიდრებს.

საინტერესოა, რომ როგორც ისმაილი დასცინოდა ისააკს, ისინი, ვინც დღეს კანონის ქვეშ ცხოვრობენ, განაგრძობენ მათ დაცინვას, ვინც ირჩევს რწმენით ცხოვრებას. პავლე ვარაუდობს, რომ იუდეველების ზეწოლის ტაქტიკის წინაპირობა ამ ძმებს შორის კონფლიქტი იყო. ანალოგიურად პავლეს დროს, ისინი, ვინც გამართლებისთვის კანონის დაცვას დაჟინებით მოითხოვდნენ, უნდა განდევნილიყვნენ. 70 წელს ეს ალეგორია შესრულდა, რადგან ტიტუსის მეთაურობით რომაულმა ლეგიონებმა იერუსალიმი დაანგრიეს. ისინი, ვინც მორწმუნე მამაკაცებსა და ქალებს დევნიდნენ, ფაქტიურად გადაასახლეს.

თავისუფლება, აღთქმა და ღვთის კურთხევა ეკუთვნის ყველას, ვინც ღმერთის წინაშე გამართლებას იესო ქრისტეს მეშვეობით ეძებს.

პავლე ლეგალისტთა სამწუხარო დასასრულს რწმენის შვილთა მშვენიერ მომავალს უპირისპირებს. ის ესაიას ციტირებს: „იხარებდე, ბერწო, უშობელო! სიხარულით აყიჟინდი, სალმობის განუცდელო! რადგან მიტოვებულს მეტი შვილები ეყოლება, ვიდრე გათხოვილს" (გალატელთა 4:27). ის გულისხმობს, რომ სასუფეველში რწმენის შედეგად შეკრებილი მორწმუნეები, უზომოდ გადააჭარბებდნენ მათ, ვინც ღმერთთან მისვლას საკუთარი საქმეებით ცდილობდა.

სწორედ აქ იკვეთება ალეგორია: „მაშ, ძმებო, ჩვენ არ ვართ მონის შვილები, არამედ თავისუფლისა" (გალატელთა 4:31). ის დაიმკვიდრებს ღვთის კურთხევებს, ვინც ქრისტეს ეკუთვნის. ამით აღსრულდება აბრაჰამისადმი მიცემული აღთქმა, რომ მის შთამომავლობაში დედამიწის ყველა ერი იკურთხება.

ჩვენ აბრაჰამის თესლის, იესო ქრისტეს მეშვეობით ვიკურთხეთ. თავისუფლება, აღთქმა და ღვთის კურთხევა ეკუთვნის ყველას, ვინც ღმერთის წინაშე გამართლებას იესო ქრისტეს რწმენით ეძებს. როგორც აღთქმის შვილები და ღვთის უპირობო სიყვარულის მიმღებნი, ახლა ქრისტესთან შესანიშნავი გამუდმებული სიარულით სარგებლობა შეგვიძლია.

ჰიმნიც ასე ლამაზად ამბობს:
„იესო ქრისტემ ჩემი ვალი გადაიხადა.
ახლა მე მმართებს, რომ მივუძღნა ჩემი ცხოვრება;
ცოდვამ დატოვა სამოსელზე ლაქა სისხლისა,
მან კი სამოსი თოვლისფერად გადაათეთრა.“

როდესაც ღვთის ტახტის წინაშე გამოვჩნდებით, მოწიწებულნი ვიქნებით იმ ყველაფრის მიმართ, რაც ქრისტემ ჩვენთვის გააკეთა. როდესაც ღვთის დაპირებების ძალას დავინახავთ, არცერთი არ ვიტყვით: „ამ დიდებას ჩემი მუდმივი და დაჟინებული ძალისხმევით მივაღწიე“. სამაგიეროდ, სიხარულით სავსენი დავხრით თავებს და ვიტყვით: „გმადლობ, იესო; ყველაფერი შენ გააკეთე! ვიცოდი, რომ გადამარჩენდი. ვიცოდი, რომ ჩემი კეთილი საქმეებით თავის გადარჩენას ვერასოდეს შევძლებდი. მადლობა, უფალო!“

საკვანძო კითხვა

ასეთი იყო აბრაჰამის რწმენა. მაგრამ მთავარი კითხვაა, როდის გამოაცხადა ღმერთმა, რომ ეს კაცი მართალი იყო, წინადაცვეთამდე თუ წინადაცვეთის შემდეგ? გალატიაში მყოფი ცრუმოძღვრები ამბობდნენ: „შეუძლებელია მართალი იყო, თუ წინადაცვეთილი არ ხარ“. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გადარჩენისთვის რიტუალი აუცილებელი იყო.

მაშ, ღმერთმა აბრაჰამის რწმენა სიმართლედ როდის ჩათვალა? ეს წინადაცვეთის რიტუალის მიღებამდე იყო თუ მას შემდეგ? მანამდე! და არა - მას შემდეგ! აბრაჰამი მანამმდე გაამართლეს, სანამ ამ რიტუალის შესახებ რაიმეს გაიგებდა. მისი სამართლიანად გამოცხადება გვხვდება დაბადების მე-15 თავში, ხოლო წინადაცვეთის რიტუალი მე-17 თავში. აბრაჰამს სიმართლე იმ მომენტში ჩაეთვალა, როდესაც ირწმუნა.

ეს ჭეშმარიტება შენთვისაც და ჩემთვისაც იგივეა. იმ მომენტში, როდესაც იესო ქრისტეს ვირწმუნებთ და მივენდობით, ღმერთი სიმართლეს გვანიჭებს. არა იმის საფუძველზე, რაც გავაკეთეთ ან რის გაკეთებასაც ვაპირებთ, არამედ უბრალოდ იესო ქრისტესადმი ჩვენი რწმენის საფუძველზე.

ვინაიდან ქრისტე ზეცის უფალი, ღმერთის ძე და ჩემი პირადი მხსნელია, მე მას ვენდობი და როცა ვენდობი, ღმერთი ჩემზე ამბობს: „მართალი!“ ერთ დღეს იესოს ჰკითხეს: „რა ვქნათ, რომ ღვთის საქმეები შევასრულოთ?“ მან უპასუხა: „ეს არის ღვთის საქმე, რომ ირწმუნოთ ის, ვინც მან მოავლინა“ (იოანე 6:28-29). თუ ღვთის საქმის კეთება გინდა, ირწმუნე იესო ქრისტე. ეს არის ღვთის საქმე. სწორედ ამას ითხოვს ღმერთი შენგან.

მაგრამ რა არის ნამდვილი რწმენა?

საინტერესოა, რომ იაკობიც - რომელიც ეპისტოლეს იმისათვის წერს, რომ ზოგიერთ ქრისტიანს ჭკუა ასწავლოს, რათა თვიანთ სიცრუეს ჩამოაშოროს და აამოძრაოს - რწმენის ილუსტრაციისთვის აბრაჰამს იყენებს. მისი სპეციფიკური საზრუნავი იმის ჩვენებაა, რომ რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია (იაკობი 2:26). იაკობი ამბობს, რომ აბრაჰამი თავისმა რწმენამ აიძულა გარკვეული რამეების კეთება და ამიტომ მისი რწმენა ღმერთმა აღიარა: „ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრული შეიქმნა რწმენა; და აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „ერწმუნა აბრაჰამი უფალს, ეს სიმართლედ ჩაეთვალა მას და ეწოდა ღვთის მეგობარი”.“ (იაკობი 2:22-23).

ჩვენი ქმედებები ჰარმონიაში უნდა მოდიოდეს იმასთან, რისიც გვწამს. რწმენა არ არის მხოლოდ ის, რასაც ვამბობთ; რწმენა ჩვენს ქმედებებში გამოიხატება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი რწმენა უფრო მეტია, ვიდრე სიტყვიერება. ჭეშმარიტი რწმენა შესაბამის ქმედებებს იწვევს. თუ ნამდვილად მჯერა რაღაცის, მაშინ ჩემი მოქმედებები შეესაბამება იმას, რისიც მჯერა. შეიძლება ძლიერ გარწმუნებდეთ, რომ რაღაცის მწამს, მაგრამ თუ ჩემი ქმედებები არ შეესაბამება ჩემ მიერ გამოცხადებულ რწმენას, მაშინ ჩემი რწმენა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს.

მაგალითად, შემიძლია ვთქვა, რომ მჯერა ორშაბათს საფონდო ბირჟის დიდი კრახი იქნება და ფული გაუფასურდება. ყველა ბანკი დაიხურება, დანაზოგები და სესხები დაიბლოკება და ფულს ვეღარ გამოიტან. თუმცა, თუ სასწრაფოდ არ ჩავალ ბანკში და არ გამოვიტან ჩემს ყველა დეპოზიტს, სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ნათქვამის საერთოდ არ მჯეროდა.

ჩვენი ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს იმას, რისიც გვჯერა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი რწმენა შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. იმის გამო, რომ აბრაჰამს ჭეშმარიტად სჯეროდა, რომ შთამომავლობა ისაკის მეშვეობით ეყოლებოდა, შეძლო თავისი ვაჟის მთაზე აყვანა, სამსხვერპლოზე დაყენება და მის მიმართ დანის აღმართვა. ის დანის მოსაქნევად მზად იყო, რადგან სჯეროდა ღმერთის დაპირებისა, რომ გვარს ისაკი გაუგძელებდა (ისაკს იმ მომენტში შვილები არ ჰყავდა) და მზად იყო ღმერთს აღთქმის შვილის მსხვერპლად შეწირვით დამორჩილებოდა. იცოდა, რომ ღმერთი ისაკს მკვდრეთით აღადგენდა, რათა თავისი დანაპირები შეესრულებინა (იხ. ებრაელთა 11:19). ასე სწამდა მას ღვთის დაპირებების.

რამდენად გვჯერა ღვთის დაპირებების? მრავალი წლის წინ ერთ თანამემამულეზე მომიყვნენ, რომელსაც ქარბუქის შუაგულში საწვავი ამოეწურა და მეზობლისთვის ზეთის თხოვნა დასჭირდა. მდინარე, რომელიც მის სახლს მეზობლისგან გამოყოფდა, გაყინული იყო, ამიტომ მუხლებზე დაეშვა, რაც შეიძლებოდა ფართოდ გაიჭიმა და მუშტების ფრთხილი კაკუნით ყინულის სისქეს ამოწმებდა. მდინარის გადაღმა სწორედ ასე გადავიდა - ხელის გაწვდითა და კაკუნით. მუშტები მალევე დაუსისხლიანდა. ზუსტად იმ დროს, როდესაც მდინარის შორეულ ნაპირზე გავიდა, ზურგს უკან გუგუნი გაიგონა... მოიხედა და რას ხედავს?! გაყინულ მდინარეზე ცხენების გუნდი გადმორბის.

ზოგიერთი ჩვენგანი ამბობს: „მე მჯერა ღმერთის აღთქმის“, მაგრამ ყინულზე კაკუნით ვამოწმებთ სანდოა თუ არა მისი დაპირება. წინ მსგავსი სიფრთხილით მივიპარებით. ვამბობ: „ვიცი, ღმერთმა თქვა, რომ ჩემი ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას აპირებს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ის ამას გააკეთებს. მისი მოქმედების დროა და ვაკაკუნებ, რომ ვნახო, აპირებს თუ არა ჩემს დახმარებას. ნამდვილად იმედი მაქვს, რომ მისი დაპირება შესრულდება!“ ამის საპირისპიროდ, სხვები ღვთის დაპირებების შესრულებას ახერხებენ. მათ გაიგეს, რომ ღმერთი ყოველთვის ასრულებს თავის დანაპირებს, რაც არ უნდა ცუდი იყოს გარემოებები. ოდესღაც შეიძლება ისინიც აკაკუნებდნენ ყინულზე, მაგრამ დროდადრო აღმოაჩინეს, რომ ღმერთი ერთგულია. საბოლოოდ მათი რწმენა განმტკიცდა და მოქმედება თავიანთი რწმენით დაიწყეს. ყველანი ჩვენი არსებული რწმენით ვმოქმედებთ, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში ვლინდება.

აბრაჰამის რწმენა მის ქმედებებში გამოვლინდა. მხოლოდ ჯდომა და ღმერთთან კამათი ნამდვილად არ იქნებოდა რწმენის ნაბიჯი. წარმოიდგინეთ, რომ ეთქვა: „ღმერთო, ისაკს ვერ შემოგწირავ. რას გულისხმობ, უფალო? ის ჩემი შვილია. შენ დამპირდი, რომ მისი მეშვეობით ქვეყნიერების ხალხები იკურთხებიან. უფალო, ამას ვერ ვიზამ.“ ბევრი ფიქრობს, რომ რაღაცის თქმა რწმენას ნიშნავს. მაგრამ რწმენა არ არის მხოლოდ თქვენი ნათქვამი; რწმენა მოქმედია. რწმენა საქმით უნდა აჩვენოთ.

იაკობი სწორედ ამიტომ ციტირებს ძველი აღთქმიდან იგივე მონაკვეთს, რომელსაც პავლე. ის ამტკიცებ, რომ რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია. იმის თქმა, რომ გწამს რაღაცის და მაინც გიჭირს ამ რწმენით

ცხოვრება, ამტკიცებს, რომ ნამდვილი რწმენა არ გაქვს. ჭეშმარიტი რწმენა თავს ავლენს ქმედებებში, რომლებიც აღაირებულ რწმენასთან ჰარმონიაშია. აბრაჰამს სწამდა ღმერთის და მისი რწმენის შესაბამისად მოქმედებდა. ღმერთმა მისი რწმენა სიმართლედ სწორედ ამიტომ მიიჩნია.

აბრაჰამი არ იყო მართალი იმის გამო, რაც გააკეთა. ის მართალი იყო იმის გამო, რისიც სწამდა. ის, რაც მან გააკეთა, შეესაბამებოდა იმას, რისიც სწამდა. ღმერთმა მოიწონა აბრაჰამის რწმენა და ამ რწმენის გამო ჩაუთვალა მას სიმართლე.

ხედავთ სურათს?

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქმედებები ყოველთვის სრულყოფილი იქნება. ჩვენ, როგორც ღვთის შვილები, რომლებსაც იესო ქრისტე სწამთ, სულიერ ომში ვართ ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სულები განახლებულია ქრისტე იესოში, ჯერაც ამ ძველ ხრწნად სახლებში - ჩვენს სხეულებში ვცხოვრობთ. ჩემი ხრწნადი სახლი ძლიერ მოთხოვნებს მიყენებს. ზოგჯერ აღმოვაჩენ ხოლმე, რომ საკუთარ ხორცს ვებრძვი, რათა არ ვაკეთო ის, რაც ნამდვილად მინდა. ზოგჯერ ჩემი ქმედებები იესო ქრისტეს მიმართ ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება.

მაგრამ არ შემიძლია ამ მდგომარეობაში ცხოვრება. შეიძლება წავბორძიკდე და დავეცე, როგორც ყველა, მაგრამ იმ მდგომარეობაში არ ჩავწვები. იქ წოლის უფლებას სული არ მომცემს. ის წამოდგომისკენ მიბიძგებს და მეხმარება. როდესაც წავბორძიკდები ან ვეცემი, ღმერთი საშლელს არ იღებს და ჩემს სახელს სიცოცხლის წიგნიდან არ შლის. როცა ცდილობ შენს შვილს ან ქალიშვილს სიარული ასწავლო, მათი წავბორძიკება არ გიბიძგებს, რომ უყვირო: „აქედან გაეთრიე, ლაწირაკო. ჩემი შვილი არ ხარ, თუკი ასე ეცემი! მომშორდი.“ არა, შენ მას ხელში აიყვან და ეტყვი: „ყველაფერი რიგზეა. კიდევ სცადე. აბა მოდი მამასთან. მოდი, მოდი!“ შვილს ამხნევებ, რომ ისევ და ისევ სცადოს.

შენ ღვთის შვილი ხარ. ის ცდილობს მასთან ერთად სიარული გასწავლოს. მანუგეშებელია იმის ცოდნა, რომ როდესაც წავიბორძიკებთ და ვეცემით, ის გარეთ არ გვაძევებს; არ გვტოვებს; არ ამბობს: „შენ ჩემი შვილი აღარ ხარ, რადგან წაიბორძიკე!“ სამაგიეროდ, აგვიყვანს, მტვერს ჩამოგვფერთხავს და ამბობს: „არაუშავს, ხელახლა სცადე“.

ვინც ღვთისგანაა შობილი, ცოდვით ცხოვრება არ შეუძლია. არ შეგვიძლია ცოდვილი ცხოვრებით ვიცხოვროთ. მაგრამ თუ ვცხოვრობთ, ამით იმას ვამტკიცებთ, რომ არ გვწამს ის, რაზეც ვამბობთ, რომ გვწამს. აბრაჰამს სწამდა ღმერთი და მის რწმენას ქმედებებიც მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადგანაც აბრაჰამმა ღმერთს რწმენით მიუძღვნა სიცოცხლე, მას ეს რწმენა აღარასოდეს შერყევია. სულაც არა! დაბადების 15:6-ში აბრაჰამის რწმენის შესახებ ბიბლიურ განაცხადს სენდვიჩივით აქეთ იქიდან ორი შემთხვევა აკრავს, რომლებიც მის რწმენაში დიდ ხარვეზებს გვამცნობენ. დაბადების მე-12 და მე-20 თავებში აბრაჰამის ტყუილებია აღწერილი, რომლებიც საკუთარი ტყავის გადასარჩენად მოიფიქრა იმის მაგიერ, რომ თავისი უსაფთხოება ღმერთისთვის მიენდო. შესაძლოა აბრაჰამიც ყინულზე აკაკუნებდა, მაგრამ ეს მისი ცხოვრების მთავარი მახასიათებელი არ ყოფილა. ის პერიოდულ შეცდომებს უშვებდა, როგორც ჩვენ ყველანი, მაგრამ ამ შეცდომებში არ ცხოვრობდა. მან თავისი რწმენა ცხოვრებაში იმ ზომით გამოხატა, რომ ბიბლია მას რწმენის კაცს უწოდებს. აბრაჰამის შინაგანი რწმენა მას თავისი რწმენის გარეგნული გამოხატვისკენ გაუძღვა.

და მაინც, ღმერთმა მისი ქმედებების გამო არ განსაზღვრა აბრაჰამის სიმართლე; მისი სიმართლე განისაზღვრა მისი რწმენით. ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. ჩვენმა რწმენამ, აუცილებლად, მორჩილებითა და სწორი მოქმედებებით ცხოვრებამდე უნდა მიგვიყვანოს, მაგრამ ღვთის წინაშე სწორი მოქმედებები ან ჩვენი მორჩილება არ გვამართლებას. იესო ქრისტეს სიმართლე რწმენით გვენიჭება.

იმის გამო, რომ მწამს ღმერთი და იესო ქრისტეს ვენდობი, აბრაჰამის ძე ვხდები - შთამომავალი. ამგვარად, დაპირებები და აღთქმის კურთხევები, რომლებიც ღმერთმა მას მისცა, მეც მეკუთვის.

მადლის ეს სახარება დიდი ხნის წინ აბრაჰამში იქადაგეს. მისი ცხოვრება დიდებული სურათია იმისა, თუ რა არის და რას აკეთებს მადლი. ის ბევრად უფრო ლამაზია, ვიდრე ნებისმიერი ნახატი, რომელიც ლუვრში, პრადოში ან მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში კიდია. ეს ცოდვილის მიმართ ღმერთის სიყვარულის განსაცვიფრებელი პორტრეტია. ის უფალზე სრულ ნდობას ამყარებს - და ყველაზე კარგი სურათზე ისაა, რომ ჩვენც სწორედ იქ ვართ, უკანა პლანზე, და ჩვენს შუბლებზე გამოსახულია სიტყვა „კურთხეული“.

5. თითო ნაბიჯი

წლების წინ ახლო მეგობარი სასურსათო მაღაზიებში მიტანის ბიზნესს აწარმოებდა. დისტრიბუციის დროს ის პატარა ბაზრის მფლობელის ცოლს შეხვდა. მათ ერთმანეთში შეხუმრება დაიწყეს და არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ერთმანეთს ყავის დასალევად და სასაუბროდ რეგულარულად ხვდებოდნენ. ერთმანეთი მალევე შეუყვარდათ, ოჯახები მიატოვეს და საცხოვრებლად ერთად გადავიდნენ. სწორედ მაშინ დაგვირეკა ამ კაცის მეუღლემ, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა, და მისთვის ლოცვა გვთხოვა.

ამასობაში მსახური იმ ეკლესიისა, სადაც ჩვენი მეგობრები დადიოდნენ, ამ კაცს ეწვია. პასტორმა უთხრა, რომ მან ხილვაში შავი კუბოს მანქანა ნახა და თუ ეს კაცი იმ ქალს არ მიატოვებდა და თავის ცოლს არ დაუბრუნდებოდა, მას ოთახიდან გაასვენებდნენ. ამ მძიმე მიდგომამ მამაკაცი მხოლოდ უფრო გააბრაზა და თავის ამორალურ გადაწყვეტილებაში განამტკიცა. შემდეგ მისმა მეუღლემ დამირეკა და მასთან გასაუბრება მთხოვა.

წასვლაზე დავთანხმდი. ჩემს მეგობარს ქალაქის ცუდ მხარეს მივაგენი. ის გაფუჭებულ ავტოფარეხში ცხოვრობდა. მისი პატარა ბინძური სახლის დანახვისას, იმის გაფიქრებაზე, თუ რამდენი დაკარგა, ლამის გულმა დამარტყა. მისი ცოლი და ქალიშვილები ლამაზი ხალხი იყვნენ. მათი სახლი საოცარ უბანში დგას. ამ კაცმა პურის ქერქის გამო სული გაყიდა. კარებთან მოსვლისას მისი სახის გამომეტყველება სირცხვილმა დაფარა. საკმაოდ თავაზიანად შემიპატიჟა. ჩამოვჯექი. ჩემი მეგობრის ახალი ცხოვრების შემხედვარე ვფიქრობდი: ღმერთო! როგორ შეეძლო ამდენის გაცვლა ასე მცირედზე?

გული მწყდებოდა, რადგან მიყვარდა ეს კაცი. მისმა ამ დონეზე დაცემამ გამანადგურა. ვერ შევძელი ჩემი გრძნობების დამალვა და სამარცხვინოდ ავტირდი. მწუხარებამ შემიპყრო და როდესაც მისი საყვარელი სამზარეულოდან გამოვიდა, მხოლოდ ტირილი შემეძლო. ბოლოს ისე შემრცხვა, რომ ვუთხარი: „ძალიან ვწუხვარ. ვიცი, რომ შენს სანახავად მოვედი, მაგრამ ახლა უბრალოდ არ შემიძლია საუბარი.“ ავდექი, იქაურობა დავტოვე და სულელივით წამოვედი სახლში. ჩემი კარგი მეგობრის ცოლს უნდოდა, რომ მასთან სტუმრობით შერიგება მეთხოვა, მე კი მხოლოდ ვიჯექი და ვტიროდი.

მეორე დილით ტელეფონზე ახალი ამბავი მაცნობეს, რამაც შოკში ჩამაგდო. ჩემი მეგობარი ჩემი ვიზიტიდან რამდენიმე საათის შემდეგ მეუღლეს და ოჯახს დაბრუნდა.

რა გამოიყენა ღმერთმა ამ დამსხვრეული ურთიერთობის სასწაულებრივი განკურნებისთვის? რა თქმა უნდა, არა - „შენზე უფრო წმინდა“ დამოკიდებულება. მისმა სულმა ჩემში თვინიერებისა და გულგატეხილობის სული წარმოშვა, რამაც სიხარულით სავსე შერიგება გამოიწვია. მე მეგონა, რომ საშინლად შევცდი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ როდესაც სულით სიარულს ვირჩევთ, ღმერთს განსაცვიფრებელი და მოულოდნელი გზებით ძლევამოსილად მოქმედება აღაფრთოვანებს.

სულით სიარული საოცრად პრაქტიკული წინადადებაა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხოვრების ოკეანეში თავზე შარავანდედითა და სახეზე ანგელოზის ღიმილით ვფარფატებდეთ. შეგვიძლია სულიერად განვიმსჭვალოთ და ადამიანებთან საუბარში მიწიერ საკითხებს მაინც შევეხოთ. ზოგიერთი მორწმუნე ჩვენს ყოვლისმომცველ ამქვეყნიურ კულტურაზე იმდენად მძაფრად რეაგირებს, რომ მეგობრებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან კომუნიკაციის უნარს კარგავს. სულით სიარული რეალობისგან არ გვაშორებს, არამედ რეალობაში ხელსაყრელი ეფექტურობით მოქმედების საშუალებას გვაძლევს.

ურთიერთობა პირველ ყოვლისა

ერთხელ ვიღაცამ თქვა: „მთავარია, მთავარი მთავრად შევინარჩუნო“. სულიერ სფეროში ეს დიდი სიმართლეა! მიუხედავად იმისა, რომ სულში სიარული წარმოუდგენლად პრაქტიკული წინადადებაა, უნდა გვახსოვდეს, რომ აქედან არ ვიწყებთ. ურთიერთობა ქცევას ყოველთვის წინ უძღვის.

ამ პრინციპის შესანიშნავი მაგალითი ეფესელთა წიგნშია. პირველი სამი თავი ურთიერთობას ეხება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მეოთხე თავი: „ამიტომ... მოიქეცით იმ მოწოდების ღირსად, რომელშიც მოგიწოდეს“. ურთიერთობა პირველ ადგილზეა, რადგან ის ქმნის საფუძველს ყველაფრისთვის, რაც მას მოჰყვება.

ჩვენ თუ სულიერად სიარულს სათანადო ურთიერთობის დამყარების გარეშე ვცდილობთ, ვერ შევძლებთ. სულიერი სიარული ჯერ წონასწორობის დამყარებას მოითხოვს. ეს ფიზიკურ სფეროშიც კი ასეა. სანამ ბავშვები პირველ ნაბიჯებს გადადგამენ, მათ ჯერ ჯდომისას უნდა ისწავლონ წონასწორობის შენარჩუნება. შემდეგ ისინი ეუფლებიან დგომის ხელოვნებას. შემდეგ ოდნავ რხევას სწავლობენ და მხოლოდ ამის შემდეგ უვითარდებათ სიარულის უნარი.

პავლე ეფესელთა მიმართ წერილში გვეუბნება, რომ იმის გაგებით, თუ რას ნიშნავს ქრისტესთან ერთად დაჯდომა, ჩვენ დავიწყებთ ღვთის ძალის განცდას, რაც თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს ვიაროთ მისთვის სასურველი გზით. ამაში არის გარკვეული პროგრესი. პირველ რიგში ღმერთთან უნდა გვქონდეს გაწონასწორებული ურთიერთობა; შემდეგ შეგვიძლია მასთან ერთად სიარულიც ვისწავლოთ.

ერთ დროს ყველანი ჩვენი ხორცის მიხედვით ვცხოვრობდით, ჩვენი ხორცისა და გონების სურვილებს ვემორჩილებოდით და ღმერთისგან გაუცხოებულნი ვიყავით. მაგრამ შემდეგ ღვთის მადლმა ჩვენი ცხოვრება შეცვალა და უფალთან საამურ მოზიარეობაში შევედით. ეს ღრმა მეგობრობა მუდმივ სიამოვნებას გვანიჭებს, რადგან ღვთის სულს უფლებას ვაძლევთ ჩვენი ცხოვრება აკონტროლოს.

რასაც ამბობ, გააკეთე

ბევრი ამტკიცებს, რომ ურთიერთობა აქვს ღმერთთან და „ყველანაირად სწორ ქრისტიანულ სიტყვებსა და ფრაზებს“ ისვრის, მაგრამ ღმერთთან ერთად პრაქტიკული გზით, უბრალოდ, არ დადის. მნიშვნელოვანია, რომ ვისწავლოთ „ჩვენი საუბრის მიხედვით სიარული“. ჩვენი ცხოვრება იმ მოწოდებას, კურთხევებსა და პროფესიას უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც ღმერთთან ჩვენი ახალი ურთიერთობიდან გამომდინარე გვაქვს.

ჩვენი გონება ბრძოლის ველია, სადაც ჩვენ თავად ვწყვეტთ, სულის მიხედვით ვიცხოვრებთ თუ - ხორციელი სურვილების.

კითხვა იმაშია, ეს როგორ მოვახერხოთ? თავიდან როგორ ავიცილოთ ქვეყნიერების ხიბლით გატაცება? პავლეს პასუხი ჰქონდა გალატელთა 5:16-ში: „აჰა, მე გეუბნებით: იარეთ სულიერად და აღარ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს.“

ბერძნული სიტყვა, რომელიც ამ მონაკვეთში ითარგმნა როგორც „სიარული“ არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ადამიანის ცხოვრების მთავარი მახასიათებლის აღსაწერად. თუ ვინმეს ნამდვილი ძუნწის რეპუტაცია ჰქონდა, მასზე იტყოდნენ სიხარბეში „დადისო“. თუ ადამიანისთვის დამახასიათებელი იყო სხვისი მდგომარეობით დაინტერესება და დახმარება, მას იცნობდნენ, როგორც სიკეთეში „მოარულს“.

სულით სიარული ნიშნავს, რომ სულიწმიდას ჩვენი ცხოვრების კონტროლის უფლებას ვაძლევთ. ყოველ დღე გვაქვს შესაძლებლობა ვიცხოვროთ ან სულის, ანდაც ჩვენი ხორციელი სურვილების მიხედვით. ჩვენი გონება ბრძოლის ველია, სადაც თავად ვწყვეტთ, რომელს ექნება ბატონობა.

სასარგებლოა გვახსოვდეს, რომ ღმერთმა ადამიანის გონება ისე შექმნა, რომ ის კომპიუტერივით ფუნქციონირებს. კომპიუტერს შეუძლია შექმნას მხოლოდ ის, რაც მასშია დაპროგრამებული. ანალოგიურად, ჩვენი გონება ყოველდღიურად პროგრამირდება. თუ ხორცთან ვართ შეერთებულნი, ჩვენი ცხოვრება ხორცით წარიმართება. თუ ჩვენი გონების დაპროგრამებას სულით დავიწყებთ, ჩვენი ცხოვრება სულის პრიორიტეტებს გამოსახავს.

რა ადვილია ხაფანგში მოხვედრა, როდესაც საარსებოდ აუცილებელი სულიერი ცხოვრების პროფესიას გაბედულად ვქმნით, მაგრამ ჩვენი ნომერ პირველი პრიორიტეტი ხორციელი სიამოვნების მოპოვებაა! რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც ცხოვრებაში ვაწყდებით, არის ძალა, რომლითაც ჩვენი დაცემული ბუნება გვიპირისპირდება. როგორ შეგვიძლია ერთი შეხედვით დაუძლეველი ხორციელი მონობისაგან გავთავისუფლდეთ?

მარტივი, მაგრამ ღრმა პასუხი ასეთია: არ ებრძოლო ხორცს, გააძლიერე სული! არ ებრძოლო სიბნელეს, აანთე სინათლე!

ამისათვის ჯერ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ბუნებას ორი მხარე აქვს: სულიერი და ხორციელი. თუ სულით უნდა ვიაროთ, სულიერი ადამიანი უნდა გამოვკვებოთ. ყველამ ვიცით, ჩვენი ბუნების ფიზიკური მხარის კვება რას ნიშნავს. თუ დამავიწყდა ჩემი სხეულის გამოკვება, ის თავისი საჭიროებების შეხსენებას არ დააყოვნებს.

ერთხელ ვიღაცამ მითხრა, სამდღიანი მარხვის შემდეგ შიმშილის გრძნობა ქრებაო. აღმოვაჩინე, რომ პირიქითაა. მარხვის სამი დღის შემდეგ, ჩემი გონება ყველაზე არომატულ კერძებზე ოცნებითაა დაკავებული. ჩემი სხეული უბრალოდ ხმამაღლა მახსენებს, რომ მისი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს. და ასე ვკვებავთ ჩვენს სხეულს. ვვარჯიშობთ და ვიტამინებს ვიღებთ, რათა ფიზიკურად გავძლიერდეთ.

სულით გაძლიერებაც მსგავს რეჟიმს მოითხოვს. სიცოცხლის პურს, ღვთის სიტყვას, რეგულარულად უნდა ვიღებდეთ.

სიტყვის მიღება

რამდენად ირონიულია, რომ სიტყვას ხშირად ყველაზე ბოლოს მივმართავთ. ვამბობთ: „რა თქმა უნდა, ღვთის სიტყვის კითხვაში და მასზე ფიქრში უნდა გავატარო დრო“ - და ვამატებთ - „მაგრამ ახლა დრო არ მაქვს ამისთვის“. არსებითად, ამ დროს სულით ვმარხულობთ (სულს ვაშიმშილებთ). ჩვენი სულიერი მხარე ხშირად არარეგულარულად, სპაზმურად და დაუბალანსებლად იკვებება. სიტყვის რეგულარულ, სისტემატურ შესწავლას უგულებელვყოფთ, სანაცვლოდ კი „მოდი ბიბლიას ავიღებ და ვნახოთ, სად გადაიშლება“ დამოკიდებულება გვაქვს. ბიბლიის შესწავლის ან პიროვნული ზრდის მუდმივი პრაქტიკა, მეტწილად, არ გაგვაჩნია. ჩვენი ხორცის ნაწილებს ბოლომდე ვკვებავთ, მაგრამ სულის მოთხოვნილებებს უგულებელვყოფთ. შედეგად სულიერი ადამიანი სუსტდება და ბატონობას ხორცი იწყებს.

თუ ჩემი სულიერი ადამიანის გაძლიერება მსურს, ყველაზე ლოგიკური ნაბიჯია სულისთვის თესვა. არ შეიძლება ხორცისთვის თესვა იმ იმედით, რომ როგორმე სულიერი მოსავალი მოვა. იმისთვის, რომ სულში ვიარო, უნდა დავიწყო სულის გამოკვება. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთის სიტყვაში უფრო და უფრო მეტად უნდა ჩავეფლო. იობმა თქვა: „... საკუთარ საზრდოზე მეტად ვიცავდი მისი პირის სიტყვებს“ (იობი 23:12). მნიშვნელოვანია ღვთის სიტყვას სასიცოცხლო მნიშვნელობას ვანიჭებდეთ. იესო ამტკიცებდა, რომ მისი სიტყვები სულია და სიცოცხლე, ამიტომ ღვთის სიტყვაში რეგულარული, სისტემატური დროის გატარება აუცილებელია, თუ სულით გვინდა, რომ ვიაროთ.

ღმერთთან მოზიარეობა

სულში სიარულით გამოწვეული სიხარულის განსაცდელად ლოცვა კიდევ ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონდე მაღალი პრიორიტეტია. ღმერთთან ურთიერთობით აღფრთოვანებულნი თრთოლვისას ვგრძნობთ, რომ სულით ვძლიერდებით. სულ უფრო და უფრო მეტად ვაცნობიერებთ, რომ ღმერთი ყველაფერშია, რასაც ვაკეთებთ და ყველა ვითარებაში - რომელშიც ვხვდებით.

სულით სიარული ნიშნავს იმას, რომ ღმერთს ჩვენს მუდმივ თანამგზავრად გამიზნულად ვაქცევთ.

გააზრება იმისა, რომ ღმერთი ჩვენთანაა, უფრო სრულ და განვითარებულ მსოფლმხედველობას გვაძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი მოთხოვნილებაა, ღმერთის თანდასწრებას უფრო და უფრო ვიაზრებდეთ და ყოველთვის ვგრძნობდეთ. როდესაც პავლე ათენში ეპიკირელ და სტოიკოს ფილოსოფოსებს ესაუბრებოდა, მან განაცხადა, რომ „მასში [ღმერთში] ვცოცხლობთ, ვიძვრით და ვარსებობთ“ (საქმეები 17:28).

ჩვენი ცხოვრება შეიძლება საოცრად გარდაიქმნას, როდესაც მივხვდებით, რომ ღმერთი მუდმივად ჩვენთანაა. ამ ფაქტის დავიწყებამ შესაძლოა სულიერ კატასტროფას გაუხსნას კარი. რაც უფრო შორს არის ღმერთი ჩვენი ცნობიერებიდან, მით უფრო ძლიერ გვიპყრობს ის, რაც ჩვენს დაცემული ბუნებას კვებავს და სიამოვნებს. როდესაც წავბორძიკდებით და ვეცემით, ჩვენი საქციელის ასახსნელად შეიძლება მრავალი გარეგანი ფაქტორი მოვიმიზეზოთ, მაგრამ ჩვენი პრობლემის საფუძველი ღვთის თანდასწრების გაუთვალისწინებლობაა. სულით სიარულის სწავლა უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ დღის განმავლობაში ღმერთი ჩვენს მუდმივ თანამგზავრად უნდა ვაქციოთ.

როდესაც სულით დავდივართ და ღმერთის თანდასწრება მუდმივად გვახსოვს, აღარ გვჭირდება სხვების შარიანი ქადაგება, რომ ქრისტიანული სტანდარტების შესაბამისად უნდა ვიცხოვროთ. ღვთის სიახლოვისა და სიყვარულის მუდმივი გაცნობიერებით ჩვენს ცხოვრებაში რევოლუცია მოხდება.

გაღიზიანება სიხარულად აქციე

როდესაც ჩვენი ცხოვრების წარმართვის უფლებას სულიწმიდას ვაძლევთ, ჩვენი შეხედულება ყველაზე ამქვეყნიურ საკითხებზეც კი რადიკალურად იცვლება. გარემოებები შეიძლება იგივე დარჩეს, მაგრამ ჩვენი დამოკიდებულება ისე იცვლება, რომ იმაშიც კი ვპოულობთ სიხარულს, რაც ადრე გვაღიზიანებდა.

ყველას გვიწევს ისეთი რაღაცების კეთება, რაც ჩვენთვის საძულველია. ამ საკითხს კლასიკურად ვუდგებით - კონფლიქტის ანულირებით, რადგან ვიცით, რომ მიუხედავად ამ საქმის სიძულვილისა, მათი შეუსრულებლობა ჩვენს მდგომარეობას მხოლოდ უფრო გააუარესებს.

მეზიზღება ნაგვის გატანა. თუმცა ვიცი, რომ ამას თუ არ ვიზამ, მალე ვერანდაზე უსიამოვნო სუნი დადგება. ამიტომ იძულებული ვარ გავაკეთო. რეალურად შოკოლადის ნაყინის დაგემოვნება მირჩევნია, მაგრამ თუ მოვალეობას უგულებელვყოფ, მალე აყროლებული ნაგვის სუნი შოკოლადის არომატს შეერევა და ნაყინის ჭამის სურვილი მყისვე დამეკარგება.

ისეთ ჩვეულებრივ საქმეშიც კი, როგორიც სახლის მოწესრიგებაა, არჩევანი მაქვს. შემიძლია იმაზე ვიწუწუნო, თუ რამდენად მძულს ნაგვის გატანა, ან შემიძლია ღმერთთან კომუნიკაციისთვის გამოვიყენო ეს დრო და საქმის კეთების პროცესში ვცე თაყვანი მადლიერებისა და სიყვარულის მელოდიის სტვენით. რაც უფრო მეტად მივეახლები ღმერთს, მით უფრო ვხვდები, რომ ნაგავზე მეტად მის მადლზე ვფიქრობ. ყველაზე უსიამოვნო დავალების შესასრულებლადაც კი შემიძლია გავცურო და ამან არც შემაწუხოს, თუკი სულიერ საკითხებზე ვკონცენტრირდი.

მომდევნო მაგალითად ლოდინი განვიხილოთ. ცოტა რამ არის იმაზე მეტად გამაღიზინებელი, ვიდრე წითელ შუქნიშანზე გაჩერება, როდესაც გეჩქარება და თან იცი, რომ დიდხანს მოგიწევს ლოდინი, სანამ ისევ ამოძრავდები.

მაგრამ დაძაბულობას ვარჩევ ახალი პრაქტიკა შევიმუშავო. გვერდითა სკამზე ბიბლია მიდევს და როდესაც წითელ შუქნიშანზე გავჩერდები და შევატყობ, რომ დრო მაქვს, წმინდა წერილის კითხვას დავიწყებ. უცებ ჩემს უკან მდგომის საყვირის ხმა გაისმის. სიტყვით როდესაც ვიკვებები, დრო ძალიან სწრაფად გადის!

როდესაც ღმერთთან ღრმა ურთიერთობის მნიშვნელობას ვსწავლობთ, სულით სიარული საინტერესო გამოცდილება ხდება. სულ უფრო და უფრო ჰარმონიულად ვერწყმით ღვთიურს - ჩვენს გულებში უფლის თანდასწრებიდან მისი შემოქმედების საოცარ საქმეებამდე.

ვინ არის წინამძღოლი?

სიარული გულისხმობს მოძრაობას. როცა დავდივართ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდივართ. ვიწყებთ ერთ ადგილას და ვამთავრებთ მეორეგან. ჩვენი დანიშნულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართულებას ავიღებთ.

ანალოგიურად, სულით სიარულს ერთი სულიერი ადგილიდან მეორეში გადავყავართ. სიმწიფის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადავდივართ, როდესაც სულს ვუსმენთ და იმ მიმართულებით მივდივართ, რომლითაც ის გვავალებს გადაადგილებას. თუმცა აქ ზოგჯერ პრობლემას ვაწყდებით.

როდესაც ჩვენს სინდისში აზრი ან მისწრაფება მოდის, როგორ შეგვიძლია გავარჩიოთ ღვთისგანაა თუ არა? წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ღმერთი თავის რჯულს ჩვენი გულის ხორციელ დაფებზე წერს (იერემია 31:33; 2 კორინთელთა 3:3). ღმერთი ჩემს სულში იდეას დანერგავს. ჩემი სული მას ჩემს ინტელექტს გადასცემს. ეს ჩვეულებისამებრ იდეად, აზრად ან მოულოდნელ შთაგონებად აღიქმება. ღმერთი ჩვენი ცხოვრებისთვის მისი ნების გადმოცემის საშუალებად სურვილს მოგვცემს.

სამწუხაროდ, სურვილები ჩემი დაცემული ბუნებიდან გამომდინარეც მაქვს. ჩემს ხორცს ჩემს გონებაში საკმაოდ ძლიერი აზრებისა და მისწრაფებების შეტანის გზა გააჩნია. ზოგჯერ ძნელია იმის გარჩევა, ეს განზრახვები ღვთისგანაა თუ ჩემი ხორცისგან.

რამდენიმე ხნის წინ, როდესაც მანქანით კალიფორნიაში, ვენტურაში საქმიან შეხვედრაზე მივდიოდი, ამ დილემის წინაშე აღმოვჩნდი. შესანიშნავი დღე იყო და გონებაში აზრმა გამიელვა, რომ პირდაპირი მარშრუტიდან გადამეხვია და წყნარი ოკეანის სანაპირო გზატკეცილის სილამაზით დავმტკბარიყავი. სერფინგის ყურება და ზღვის სასიამოვნო ნიავის შეგრძნება ისეთი ნეტარებაა, რომ დავეჭვდი, იქნებ ეს სურვილი ხორციელი იყო, მაგრამ მაინც თავის განებივრება გადავწყვიტე.

გარემოებებიდან გამომდინარე მივხვდი, რომ სანაპირო გზატკეცილზე გასვლა ღმერთმა დამიგეგმა. მალიბუს როდესაც მივუახლოვდი, ორი ავტოსტოპერი დავინახე, რომლებიც გზასთან იდგნენ. მათი

წაყვანის ძლიერმა სურვილმა შემიპყრო. სანამ ჩრდილოეთისაკენ მივიწევდით, შესაძლებლობა მქონდა მათთვის ქრისტეს შესახებ გამეზიარებინა.

ისინი ვენტურაში დარჩნენ და მეორე ღამეს მსახურებას დაესწრნენ, სადაც მე ვსაუბრობდი. იმ საღამოს მათ საჯაროდ აღიარეს ქრისტეს რწმენა და მას შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდნენ ამ ადგილობრივ ეკლესიაში. ამ თავგადასავლის შემდეგ უკან მიხედვა შევძელი და გავიფიქრე - ვაა! შესანიშნავი იყო. ღმერთმა წარმართა ჩემი ნაბიჯები. სანაპირო გზატკეცილზე გასვლის სურვილი გულში უფალმა აღმიძრა.

მიუხედავად ამისა, ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ როდის ელაპარაკება უფალი ჩვენს გულებს. ხშირად არასწორად გვგონია, რომ ღმერთი მხოლოდ მისტიკური ან დრამატული გზებით გაგვიძღვება. რა თქმა უნდა, ვფიქრობთ ხოლმე: „თუ ღმერთი დამელაპარაკება, მიწა შეირყევა, განათება ჩაქრება და თმა ყალყზე დამიდგება“. ღმერთი მე ასე არასოდეს დამლაპარაკებია. როდესაც ღმერთი მელაპარაკება, ის ჩემს სულს ესაუბრება, რომელიც თავის მხრივ ჩემს ცნობიერებაში ისე ბუნებრივად გზავნის შეტყობინებას, რომ რთულია მალევე გაარჩიო, ნამდვილად ღმერთის ხმაა თუ არა.

ნეტა შემეძლოს ფორმულა ან მარტივი, სამპუნქტიანი ტესტი მოგცეთ ღმერთის ხმის ამოსაცნობად, მაგრამ ასეთი პროცედურა თუ არსებობს, მე ის არ აღმომიჩენია. მეც ისევე ვცდილობ სულის ხმა ჩემი ხორცის ხმისგან განვასხვავო, როგორც შენ. ვისურვებდი, რომ შემეძლოს რაიმე უტყუარი გზით დაგარწმუნოთ, რომ ღვთის ხმა გვესმის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

და მაინც, ღმერთმა დამაბნეველ ნისლში არ დაგვტოვა. მან თავისი სულიწმიდა გამოგზავნა ჩვენს გულებში დასამკვიდრებლად არა მხოლოდ იმისთვის, რომ კონკრეტულ ვითარებაში გვიწინამძღვროს, არამედ მისი სიტყვის გაცხადებული ჭეშმარიტების გაგებამდე მიგვიყვანოს. ის წმინდა წერილებში გაცხადებული ჭეშმარიტებების წინააღმდეგ არასოდეს გაგვიძღვება.

უფლის სიტყვის გაგება

საინტერესოა იმის დანახვა, თუ ბიბლიის კითხვისას როგორ უცრუვდება იმედი ზოგიერთ ადამიანს, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღია უფალი. ხედავენ რაოდენ დიდი ზეგავლენა მოახდინა წმინდა წერილმა მილიონობით ადამიანის ცხოვრებასა და დასავლურ ცივილიზაციაზე და სურთ გაიგონ, რას ამბობს იგი.

ეს ხალხი მუდმივად ჭაობში ეფლობა, ბრაზდება და ბიბლიის მნიშვნელობა გამორჩებათ ხოლმე. ეს გასაკვირი არ არის, რადგან თავად ბიბლია გვეუბნება, რომ „მშვინვიერი ადამიანი არ ღებულობს იმას, რაც ღვთის სულისგანაა, ვინაიდან სისულელედ მიაჩნია და არ ძალუძს გაგება, რადგან სულიერად განისჯება“ (1 კორინთელთა 2:14). მეორეს მხრივ, სულიერ ადამიანს ყველაფერი ესმის, თუმცა მას სხვები ვერ უგებენ. იმის გამო, რომ ღმერთის წინაშე გავმართლდით და მას ქრისტეს მეშვეობით დავუკავშირდით, სულიწმიდას ჩვენს გულებში ახლა ჭეშმარიტების გამხელა შეუძლია. ღვთის სიტყვა ჩვენთვის ცოცხალი და გასაგები ხდება.

სულის ამ უწყვეტი გამოცხადების მსახურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საოცარია, რამდენად ხშირად შეიძლება წმიდა წერილის ერთი თავი წავიკითხო და აზრი ვერ გამოვიტანო. კითხვის ჩამთავრებისას საკუთარ თავს ვეუბნები: „ახლა, რა წავიკითხე?“ ამ დროს, ხშირად ვჩერდები და ვლოცულობ: „უფალო, რა თქმა უნდა, რაღაც სათქმელი აქვს ამ თავს ჩემთვის. გთხოვ, გახსენი ჩემი გონება და ნება მიეცი შენს სულს, რომ მომემსახუროს შენი სიტყვიდან.“ შემდეგ, როცა ხელახლა ვკითხულობ თავს, გაოცებული ვარ იმ ჭეშმარიტებით, რომელიც ჩემს გულში იჭრება.

„გოლგოთაში“ კვირაობით დილის მსახურების დროს ჩვეულებისამებრ ფსალმუნებს ვკითხულობთ. მესამე მსახურების შემდეგ, საღვთო წერილის ტექსტში ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც პირველი საათის

განმავლობაში ვერ შევნიშნე. ამიერიდან ის მუხლი განსაკუთრებული ძალით მომემსახურება. სულით სიარული იმ ცოცხალ გამოცდილებას მოიცავს, რომ ის ყველა ჭეშმარიტებაში შეგიძღვება.

მიაწექი!

ამ დაცემული ქვეყნიერების სისტემას, ხორცსა და თავად სატანას შორის სულიერი ზრდის რეალური დაბრკოლებების წინაშე ვდგავართ. მაგრამ წმინდა წერილის რჩევაა ვილტვოდეთ ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოსკენ, რომელიც არის ქრისტე იესოში (იხ. ფილიპელთა 3:14). იესომ თქვა: „ძალ-ღონე არ დაიშუროთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო კარიდან“ (ლუკა 13:24). „ძალ-ღონე არ დაიშუროთ“ ბერძნულად არის სიტყვა agonizomai, საიდანაც ვიღებთ სიტყვა „აგონიას“. თავს ნუ მოიტყუებთ, სულით სიარული ადვილი და ბუნებრივი როდია. ამას ჭეშმარიტი ძალისხმევა, ერთგულება და ყოველწამიერი კონცენტრაცია სჭირდება.

ზედმეტი არ იქნება იმის ხაზგასმა, რომ ეს ის არჩევანია, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა ყოველდღიურად უნდა გავაკეთოთ. როდესაც სულში სიარულს ვირჩევთ, პრაქტიკული შედეგები შესაძლოა თვალწარმტაცი იყოს. ღმერთთან მოზიარეობის შესანიშნავი სიღრმითა და თანმიმდევრულობით უდიდეს სიამოვნებას მივიღებთ. როგორც მოციქულმა იოანემ შენიშნა: „ხოლო თუ სინათლეში დავდივართ, როგორც ის არის სინათლეში, მაშინ მოზიარეობა გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის, იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვისგან“ (1 იოანე 1:7).

ღმერთთან ურთიერთობაში განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ რაც უფრო მეტად განვიცდით მას, მით უფრო მეტი გვსურს. რაც უფრო მეტად გვეხება მამასთან ინტიმური ზიარების სიმშვიდე და აღსრულება, მით უფრო რთულია მის გარეშე ცხოვრება. როდესაც მასთან მოზიარეობა გვაკლდება, შინაგანი სიცარიელე ლოცვასა და უფლის სიტყვაში გვაბრუნებს.

როდესაც სულით დავდივართ, ღმერთთან მჭიდრო ურთიერთობისგან მიღებული განუზომელი სარგებელი გვახალისებს. ჩვენს გულებში სიხარულის შეგნებული გრძნობა ჩნდება. შეგვიძლია სტვენა-სტვენით შევხვდეთ ცხოვრების მომაბეზრებელ პასუხისმგებლობებს, რადგან ბინძური სამუშაოს დროსაც კი, ჩვენი სიხარული უფალშია. სულში სიარულიდან მოდის მშვიდობის განცდა, გაგების სიღრმე, მოთმინება, სიკეთე, სიმშვიდე. ხორციელ სურვილებთან გასამკლავებლად ძალაუფლება გვეძლევა. უცებ შეგვიძლია დიდი სურათის დანახვა და სიბრძნესაც ვპოულობთ, რომ ჩვენს დაცემულ ბუნებას რეალისტური და რაციონალური გზით გავუმკლავდეთ. როგორც პავლემ შეაჯამა: „ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი ფიქრები - სიცოცხლე და მშვიდობა“ (რომაელთა 8:6).

როგორ შეიძლება მთელი გულით არ მიგვიზიდოს იმ დიდებულმა ახალმა ცხოვრებამ, რომელსაც ღმერთი თავისი მადლით საჩუქრად გვთავაზობს?! სულის მიერ სიხარულით, სიყვარულით და მშვიდობით გაძლიერებული ცხოვრება ჩვენგან რომ მოსჩქეფს - სწორედ ამის მოშურნენი ვართ.

ამ კურთხევის განსაცდელად სულით სიარული უნდა ავირჩიოთ. ღმერთთან უნდა მივიდეთ და ვთხოვოთ, რომ ჩვენს გულებში ლოცვის, სიტყვასთან მოზიარეობისა და იესოსთან ურთიერთობის მეტი სურვილი ჩანერგოს. მადლისთვის უნდა ვილოცოთ, რომ პირველ რიგში ღვთის სასუფეველი და მისი სიმართლე ვეძიოთ. სწორედ მაშინ გავიგებთ, რომ დიდებული გამარჯვება ჩვენს ყველაზე დამთრგუნველ ცოდვებზეც კი გვაქვს და ღმერთის სულიც სწორედ მაშინ შეძლებს ყველაზე არაჩვეულებრივი გზებით ჩვენს გამოყენებას.

მაშინაც კი, როცა მხოლოდ ტირილი შეგვიძლია.

6. არა ქარხანა, არამედ ბაღი

ოდესმე გიფიქრიათ უზარმაზარ განსხვავებაზე „სამუშაოსა“ და „ნაყოფს“ შორის? „სამუშაო“ გვთავაზობს ქარხანას, რომელიც სავსეა წნეხით, ვადებით და წარმოების მუდმივი საჭიროებით. მაგრამ „ნაყოფი“ ასახავს მშვიდ, წყნარ ბაღს, ადგილს, სადაც დასარჩენად ვართ მიდრეკილნი, რომ ერთმანეთთან ურთიერთობით ტკბებისას ეს სილამაზე შევსვათ.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ღმერთი თავის ქარხანაში პროდუქტების საძიებლადარ მოდის. ის თავის ბაღში მოდის, რათა დატკბეს მისი ნაყოფით. მადლის სახარება მოგვიწოდებს, რომ ქარხნის მაგვარი სამუშაო ცხოვრების ბურუსი და წნეხი უკან მოვიტოვოთ და სანაცვლოდ ის ნაყოფი გამოვიღოთ, რომელიც ღმერთს სურს ჩვენი ცხოვრების ბაღში ნახოს.

ურთიერთობის ბუნებრივი შედეგი

გალატელთა 3:2-3 კრიტიკული მონაკვეთია მათთვის, ვისაც ღმერთის მოსაწონად ცხოვრება სურს. პავლე წერს: „მხოლოდ ეს მსურს ვიცოდე თქვენგან: რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით? ნუთუ იმდენად უგუნურები ხართ, რომ სულით დაიწყეთ და ახლა ხორცით ამთავრებთ?“

ყურადღება მიაქციეთ, მოციქული ორ რამეს ადარებს:
• სული, რომელიც დაკავშირებულია რწმენასთან;
• საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია ხორცთან.

როდესაც საქმეების სამეფოში შევდივართ, საქმე გვაქვს ხორცთან. როდესაც სულიწმიდის სამეფოში ვართ, საქმე გვაქვს რწმენასთან. სული და რწმენა ერთმანეთს უკავშირდება, როგორც საქმეები და ხორცი.

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „მაგრამ ჩაკ, საჭიროა უფლისთვის საქმეები ვაკეთოთ“ - არა, არ არის საჭირო. ერთი რაღაცაც კი არ არსებობს ისეთი, რასაც ხორცში გავაკეთებ და ღმერთს ვაამებ. მეორეს მხრივ, რწმენა ყოველთვის იძლევა ნაყოფს.

თუ საქმეებმა ჩაგითრია, მაშინ ხორცს ემყარები, მაგრამ თუ იესო ქრისტესთან ერთად რწმენით დადიხარ, სული შენს ცხოვრებაში ნაყოფს იძლევა. ნაყოფს შენ არ წარმოშობ მხოლოდ იმიტომ, რომ გგონია, რომ შენ უნდა წარმოშვა; ნაყოფი ურთიერთობის ბუნებრივი შედეგია.

შეხედეთ ატმის ხეზე ჩამოკიდებულ წვნიან ხილს. ატამი შრომაში არ იტანჯება ყოველ დღე, რათა მომწიფდეს; მხოლოდ ხეზე უნდა ეკიდოს. მომწიფება ურთიერთობის ბუნებრივი შედეგია. სანამ ის ხეზე რჩება, ტკბილ ნაყოფს გამოიღებს.

ეს ჩვენც გვეხება. ქრისტეში თუ ნამდვილად ვცხოვრობთ, რაც რწმენის გამოხატულებაა, მაშინ ურთიერთობა ნაყოფს გამოიღებს. თუ ჩემს ცხოვრებაში ნაყოფი არ არის, მაშინ კითხვის უნდა გაჩნდეს: მაქვს კი მასთან ურთიერთობ? და ეს გამოწვევადაც კი უნდა ვაქციოთ.

ამიტომაც გვეუბნება პავლე: „საკუთარი თავი შეამოწმეთ, ხართ თუ არა რწმენაში. საკუთარი თავი გამოსცადეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ თქვენშია იესო ქრისტე? თუ არა, გამოუცდელნი ხართ“ (2 კორინთელთა 13:5). იესომ ცხვრის ტყვაში გამოწყობილი მგლის არსებობის შესახებ გვამცო. შეიძლება ქრისტიანად გამოიყურებოდე, ქრისტიანულად იქცეოდე და საუბრობდე, მაგრამ „ბებია, ბებია, ასეთი დიდი კბილები რატომ გაქვს?!“ გარეგნულად შეიძლება სრულიად ჰგავდე ცხვარს, მაგრამ სინამდვილეში მგელი იყო.

მაშ, როგორ გავიგოთ ვინ ვინ არის? იესომ თქვა: „მათი ნაყოფით შეიცნობთ მათ“ (მათე 7:20).

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ ჩვენი ცხოვრება გამოვიკვლიოთ, რათა განვსაზღვროთ, თუ რა სახის ნაყოფი გვაქვს. თუ ნაყოფი ცუდია, მაშინ ჩვენს ურთიერთობაში რაღაც არასწორია, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაც არასწორია ჩვენს რწმენაში. იესო ქრისტესთან რწმენის სასიცოცხლო ურთიერთობა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს.

ჩვენი დიდი შეცდომა

ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ იმით უფრო ვინტერესდებით, რასაც ვაკეთებთ, ვიდრე იმით - რაც ვართ. ხოლო ღმერთს უფრო მეტად აინტერესებს ის, რაც ვართ, ვიდრე ის, რასაც ვაკეთებთ. ის ნაყოფს ეძებს, ჩვენ კი საქმეების შექმნას ვცდილობთ.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში გვეუბნებოდნენ: „უფლისთვის უნდა აკეთოთ ეს საქმეები; ღმერთისთვის უნდა გააკეთოთ ეს საქმე“. ყოველთვის მოგვიწოდებენ და გვსტრესავენ, რომ საქმეები ვაკეთოთ სასუფევლისთვის. ასე რომ, ვდგებით და ღვთისთვის მუშაობას ვიწყებთ, რადგან ეს პასტორმა ან საძმომ გვთხოვა.

შესაძლოა, ეს ყველაფერი ხალხის ეკლესიაში მოსაზიდად იყოს, როდესაც ღმერთმა ამისთვის არ მოგვიწოდა. რამდენიმე პიროვნებას ვიცნობ, რომლებიც უცხო ადამიანთა სახლებში სტურმობის მოვალოების გამო იტანჯებიან. ისინი კარზე კაკუნისას ძლიერ ლოცულობენ: „უფალო, გთხოვ, სახლში არავინ იყოს.“ სტუმრობა მათთვის ბუნებრივი არ არის. ეს იძულებითი, ხორციელი შრომაა, რომელიც მალევე აღიზიანებთ. მათ ეს საქმე სძულთ და ფეხის თრევას იწყებენ. ასე რომ, კომიტეტის თავმჯდომარეს მათთან დარეკვა და თქმა უწევს: „გასულ სამშაბათს არ იყავით ჩვენს შეხვედრაზე. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ მომდევნო სამშაბათს მოხვალთ.“ ისინი უხალისოდ პასუხობენ: „კარგი“ და დაღმასვლა გრძელდება.

აი, ასე გიბიძგებენ შაბლონური მსახურებისკენ, რომლისთვისაც ღმერთს არ შეუქმნიხართ. იძულებულნი ხართ არაბუნებრივი საქმე აკეთოთ, რაც იმას იწვევს, რომ ღვთის მსახურება თქვენთვის გამაღიზიანებელი ხდება. მაგრამ ღმერთს თქვენგან ისეთი არაფერი სურს, რაც გავიწროვებთ. ღმერთი ვერ იტანს „ქრისტიანულ შევიწროვებას“. ეს მისთვის შეურაცხმყოფელია. მეც კი მძულს, როდესაც ადამიანები იმის გამო წუწუნებენ, რაც ჩემთვის გააკეთეს. ამ დროს თავს სულელად ვგრძნობ. მაინც ვინ სთხოვა მათ ამის გაკეთება?

თუ რაღაცის გაკეთებაც უბრალოდ არ გინდა, არ გააკეთო. არ გამოხვიდე და რაიმე დიდსულოვანი საქმე არ გააკეთო, რის მერეც უნდა იწუწუნო და იწუწუნო ამაზე. ჯობია საერთოდ არაფერი გააკეთო.

ეს მოწოდება მათ დაუტოვეთ, ვისაც ამის კეთება უყვარს. არიან ადამიანები, რომლებიც დიდი სიამოვნებით ესაუბრებიან უცნობებს. მათ სახლში ჯდომა არ შეუძლიათ, მალევე ბეზრდებათ და მოუთმენლად ელიან იმ ადამიანებთან საუბარს, რომლებსაც არასდროს შეხვედრიან. მათი ბუნებაა ასეთი. მათთვის ეს ბუნებრივია - და სწორედ ეს არის მთავარი.

როდესაც ეს ბუნებრივია, ეს ნაყოფის სფეროა; როდესაც ეს ზეწოლით ხდება, ეს საქმეების სფეროა. ღმერთი ყოველთვის გვამზადებს იმისათვის, რომ ვაკეთოთ ის, რისთვისაც მოგვიწოდა და ამის გაკეთება ჩვენთვის ბუნებრივი იქნება.

ბევრი ადამიანი თავს მეორეხარისხოვან ქრისტიანად იმიტომ გრძნობს, რომ იმის გაკეთება არ შეუძლიათ, რაც - სხვებს. ისინი გადაეყარნენ მორწმუნეს, რომელიც ამბობს: „დიდება უფალს, ამ ბოლო კვირაში, ხუთ ადამიანს დავუმოწმე და ხუთივემ მიიღო იესო“. შემდეგ ეს პიროვნება, რომელიც მახარებლობის ნიჭით არ არის დაჯილდოვებული, ფიქრობს: „ვახ კაცო, უფლის საშინელი მოწმე ვარ.

არავისთვის დამიმოწმებია. რა უბედური ვარ.“ ის თავს დამნაშავედ გრძნობს, რადგან ხალხს საყელოში ვერ სწვდა და ვერ ჰკითხა, იციან თუ არა ოთხი სულიერი კანონი.

რატომ არის ზოგიერთი ადამიანი ასეთი ეფექტური მახარებელი? იმიტომ, რომ მათთვის ეს ბუნებრივია. ამ საქმისთვის ისინი ღმერთმა დაადგინა და აღჭურვა. რადგანაც, სხეულში მხოლოდ ენა არ არის. ენა ეფექტურად ვერ იმუშავებდა თუ მის უკან ტვინი არ იქნებოდა ან ფეხები, რომ იქ წაიყვანოს, სადაც საჭიროა. თავი დამნაშავედ არ უნდა ვიგრძნოთ იმის გამო, რომ სხვის მსგავსად ეფექტური მსახურება არ გვაქვს. სხეული ერთობაში მუშაობს და ღმერთია ის, ვინც თითოეულ ჩვენგანს სხეულში ჩვენი ადგილი მოგვანიჭა.

ღმერთს სურს, რომ მისგან ბუნებრივად მონიჭებული უნარებით იმოქმედო. ქრისტიანული ცხოვრების ნაყოფი შენგან ბუნებრივად ყვავის, როდესაც იესო ქრისტეში მისდამი რწმენით ცხოვრობ. იესომ თქვა: „ამით განდიდდება მამაჩემი, თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებთ“ (იოანე 15:8). ღმერთს სურს, რომ მისთვის მაქსიმალურად ნაყოფიერი იყო. ამ ნაყოფის მოტანა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ქრისტეში ცხოვრობ. ეს კი რწმენის პოზიციაა.

არ არსებობს ხორციელი რწმენა

მათეს სახარება გვეუბნება, რომ ერთ დღეს ბევრი ადამიანი მივა იესოსთან და თვიანთ საქმეებს მოუყვებიან, უფალი კი უპასუხებს: „არასოდეს გიცნობდით“ (მათე 7:23). უფალი არ ცნობს ხორციელ საქმეებს; არც არასოდეს უცვნია.

გახსოვთ, როდესაც ღმერთმა აბრაჰამს უთხრა: „წაიყვანე ახლა შენი ვაჟი, შენი ერთადერთი ვაჟი ისააკი... და შესწირე დასაწვავად ერთ მთაზე, რომლის შესახებაც გეტყვი“ (დაბადება 22:2)? უფლის კომენტარი ცოტა უცნაურად ჟღერს - ბოლოს და ბოლოს, აბრაჰამს ხომ კიდევ ერთი ვაჟი ჰყავდა, ისმაილი, რომელიც ისააკზე სულ მცირე 14 წლით იყო უფროსი. რას გულისხმობდა ღმერთი, როდესაც უთხრა: „წაიყვანე ახლა შენი ვაჟი, შენი ერთადერთი ვაჟი“?

პასუხი: ისმაილი ხორცის საქმისგან იყო. ის არ იყო აღთქმის შვილი; ის არ იყო რწმენის შვილი. ისმაილი ხორცის შედეგი იყო. ღმერთმა ისმაილის აღიარებაზე უარი თქვა, რადგან ის ხორცის საქმე იყო. ღმერთმა მხოლოდ მისი სულის საქმე, ისააკი, რწმენის შვილი აღიარა. ამიტომ უთხრა აბრაამს: „წაიყვანე ახლა შენი ვაჟი, შენი ერთადერთი ვაჟი ისააკი.“

ღმერთი ჩვენი ხორცის საქმეებს არასოდეს ცნობს და არ აჯილდოვებს. მეორეს მხრივ, ის მოშურნეა, რომ ჩვენს ცხოვრებას სულის ნაყოფი სულ უფრო მეტად ახასიათებდეს.

იოანეს მეთხუთმეტე თავი განმარტავს, თუ როგორ იღებენ მორწმუნეები ნაყოფს. იესომ თქვა: „დარჩით ჩემში, მე კი თქვენში. როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩა, ასევე თქვენც - თუ არ დარჩებით ჩემში” (იოანე 15:4). იესომ ყურადღება გაამახვილა არა იმაზე, რასაც ვაკეთებთ, არამედ იმაზე, თუ რა ვართ. რაც ჩვენს ცხოვრებაში ვლინდება, მასთან ურთიერთობის შედეგია. არ შეიძლება უფალთან ჭეშმარიტი, სწორი ურთიერთობა გვქონდეს და ნაყოფი ვერ მოვიტანოთ. თუ ნაყოფი არ გვაქვს - რადგან “მათი ნაყოფით შეიცნობთ მათ” - მაშინ გვიჯობს უფალთან ჩვენს ურთიერთობას გადავხედოთ.

ხარისხის კონტროლის მენეჯერები

ღმერთმა შენს ცხოვრებაში თავისი სულიწმიდით საოცარი საქმე მოიმოქმედა. მან მაშინ შეგიყვარა, როდესაც ჯერ კიდევ ცოდვილი იყავი. როდესაც რწმენით მოუხმე, მან გაგამართლა ყოველგვარი ბოროტებისგან, რაც კი ოდესმე ჩაგიდენია. ღმერთმა შენი დანაშაული წაშალა. მან შენი წარსული ისე

საფუძვლიანად ამოშალა, თითქოს ის არც არასოდეს არსებულა. სწორედ ამას ნიშნავს ტერმინი „გამართლებული“.

იმ მომენტში, როდესაც იესო ქრისტე რწმენით მიიღე - სანამ ერთ გროშ მეათედს გადაიხდიდი, სანამ რაიმეს გააკეთებდი - ღმერთმა შენს წინააღმდეგ არსებული ყველა შავი ლაქა წაშალა. იესო ქრისტესადმი, როგორც შენი მხსნელისა და უფლისადმი, უბრალო რწმენის გამო, ღმერთმა გაგამართლა მთელი შენი წარსულისგან. შენი რწმენის გამო, ღმერთმა იესოს სიმართლე ჩაგითვალა. მასთან შენი ურთიერთობა რწმენით დაიწყო.

ეს ყველაფერი ხომ ძალიან ელემენტარულია, მაგრამ რატომღაც მაინც ხშირად გვავიწყდება. ზოგჯერ მორწმუნეები სხვა მორწმუნეებს აკრიტიკებენ ან ბრალს დებენ. ამბობენ, “იცით, რას აკეთებენ? ეს საშინელებაა. ისინი საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებენ, და მაინც, ამასა და ამას აკეთებენ. სტანდარტების შესაბამისად არ ცხოვრობენ - რატომ? ისინი ზღვაზეც კი დადიან. საშინელებაა!”

ახლა რას აკეთებენ ასეთი მორწმუნეები? თავიანთი თავი მსაჯულებად დაადგინეს. ისინი ხარისხის კონტროლის მენეჯერები გახდნენ. სხვისი მოსამსახურის ხარისხს განსჯიან. პავლე ამის შესახებ ამბობს: „ვინ ხარ შენ, სხვისი მსახურის განმკითხველო? თავისი უფლის წინაშე დგას იგი ან ეცემა” (რომაელთა 14:4).

ბევრად უფრო ადვილია ასიამოვნო ღმერთს, ვიდრე ადამიანს. ღმერთს რომ ვასიამოვნოთ, საჭიროა მხოლოდ გვჯეროდეს მისი და ვენდობოდეთ მას. ეს არის მადლის სახარება.

მე რომ მემსახურებოდეთ, შეიძლებოდა თქვენი სამსახური განმესაჯა. გეტყოდით: “ბოროტი მსახური ხარ. არ ვიცი, რატომ არ გიშვებ”. თუ ისეთ რამეს გააკეთებდით, რაც არ მომეწონებოდა, ასე გეტყვით: „მისმინე, არ მომწონს, ჭურჭელს როგორც აშრობ. მათზე ძალიან ბევრ წყალს ტოვებ და ჯერ კიდევ სველებს აწყობ უჯრაში. არ მიყვარს კარადიდან ჭიქის ამოღება, რომელიც ჯერ კიდევ სველია. მაგ დროს მიკრობები მრავლდება. ახლა აიღე და მთლიანად გაამშრალე.”

მეორეს მხრივ, მე შემიძლია ვთქვა: “შენ მშვენიერი მსახური ხარ. ისე კარგად აკეთებ შენს საქმეს! სასიამოვნოა ჩემთან რომ მუშაობ!” ნებისმიერ შემთხვევაში, მე ვიქნები თქვენი მომსახურების განმსჯელი და არა ვინმე უცხო.

სიმართლე ისაა, რომ მე არ ვარ თქვენი ბატონი და ვერ მიგითითებთ, როგორ უნდა იმსახუროთ. თქვენ საკუთარი ბატონის წინაშე უნდა იდგეთ და მე თქვენს სამსახურს ვერ განვსჯი. ვერ ვიტყვი, „რა საზიზღარი მსახური ხარ“. მე არ მაქვს უფლება თქვენი ღვთისადმი მსახურება განვსაჯო. ღმერთია ის, ვისაც ემსახურებით და თქვენი ბატონის წინაშე ან დგახართ ან ეცემით. პავლე ასე აგრძელებს: „ღმერთს ძალუძს მისი წამოყენება“ (რომაელთა 14:4).

არ იდარდო იმაზე, რომ ზოგიერთი ადამიანი შენს გამძლეობას ვერ ხედავს. აღმოვაჩინე, რომ გაცილებით მარტივია აამო ღმერთს, ვიდრე ადამიანს. უაზრო მცდელობაა, რომ ყველას ასიამოვნო. მაშინაც კი, თუ ამას მოახერხებ, ვიღაც დაგადანაშაულებს იმის გამო, რომ კომპლექსიანი ხარ. უბრალოდ შეუძლებელია ყველას ასიამოვნო.

რა მშვენიერია, რომ არ ვართ ვალდებული ყველას ვასიამოვნოთ. მხოლოდ ღმერთს უნდა ვასიამოვნოთ. და რა უნდა გავაკეთოთ ამისთვის? უბრალოდ გვჯეროდეს მისი და მივენდოთ მას. ჩვენი ყველა საქმითა და მოქმედებით როდი ვაამებთ ღმერთს, არამედ ჩვენი რწმენითა და ნდობით. ეს არის მადლის სახარება.

სიამოვნებით!

რწმენა აამებს უფალს და ქმნის ურთიერთობას. ურთიერთობა ნაყოფს იძლევა. მთელი დღის განმავლობაში უბრალოდ ჯდომით ვერ ვიქნები სუფთა, წმინდა და მართალი, ვერ გავიღიმებ და ვერ ვიქნები საყვარელი, ვერც სიყვარულს გამოვხატავ. ეს ქმედებებია, რომლებიც აუცილებელია, მაგრამ არ მუშაობს. ფანტასტიკურია იმის თქმა, რომ „იცით, ზუსტად იმას ვაკეთებ, რისი გაკეთებაც მინდა; ფაქტობრივად იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც მიყვარს!“ ეს არ არის საქმე, ეს არ არის სხვისი სურვილის ასრულება, ეს უბრალოდ ისაა, რაც მე მსიამოვნებს.

წლების წინ, როდესაც რომელიღაც კონფესიაში ვმსახურობდი, კონგრესებზე დავდიოდი ხოლმე. ჩემს ზოგიერთ მეგობარს ვნახულობდი და სავახშმოდ გავდიოდით ხოლმე. მე წმინდა წერილზე ვიწყებდი საუბარს, რომელიც უფალმა ჩემს გულს გაუხსნა. „კარგი რა სმიტ, პროფესიულ საუბარს მოეშვი“ - მეტყოდნენ ისინი და თემას ცვლიდნენ. მე ვუპასუხებდი: „რას ქვია „პროფესიული საუბარი“?! ეს ჩემი ცხოვრებაა! სხვა რაზე უნდა ვისაუბრო?! ამაზე უფრო საინტერესო განსახილველი არაფერია.“

როდესაც იმას აკეთებ, რაც გიყვარს, ეს სამუშაო არაა. მაღაზიაში არ ხარ. ქარხანაში არ მუშაობთ. შენი ქმედება ურთიერთობის ნაყოფია.

როდესაც ღმერთის სიყვარული შენს გულს ავსებს, მხოლოდ მასზე, მის სიტყვაზე, მის სიკეთეზე, მის სიყვარულზე საუბარი გინდება. შენთვის მოსაწონ საქმეს პლიუს-ქულების დასაწერად არ აკეთებ. ეს საქმე შენთვის ბუნებრივია და ამისთვის ჯილდოს არ ეძებ (მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი დაგაჯილდოვებს იმ ნაყოფებისთვის, რომელსაც შენი ცხოვრებით გამოიღებ). ამას იმიტომ აკეთებ, რომ გსურს გაკეთება, რადგან ბუნებით ასეთი ხარ, რადგან ღმერთმა ჩადო შენს გულში ამის გაკეთება. ფაქტობრივად, ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს ამას თუ არ გააკეთებ, მოკვდები.

“რადგან ქრისტეს სიყვარულით ვართ გარემოცულნი” (2 კორინთელთა 5:14); „და ვაი მე, თუ არ ვახარებ სახარებას“ (1 კორინთელთა 9:16).

დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანს გვქონია ისეთი გამოცდილება, როგორიც იერემიას, რომელიც ისრაელის მეფეებისთვის უფლის სიტყვის გამოცხადების გამო დილეგში ჩააგდეს. როდესაც ის სიბნელეში იჯდა, მან არსებითად თქვა: „მორჩა, დავასრულე. ღმერთო, უნდა გადავდგე. აღარასოდეს მთხოვო, რომ შენი სახელით ვილაპარაკო, აღარ ვაპირებ. ჩემს გულში შენი სიტყვა აღარ ჩადო. უფალო, დავასრულე, გესმის? მორჩა. უფლის სახელით აღარ ვილაპარაკებ. ასე მექცევი და უფლებას აძლევ დილეგში ჩამაგდონ. სულაც არ გადარდებს ჩემი ბედი. მაგრამ არაუშავს, მოვრჩი!“ (იხ. იერემია 20:9).

იერემია გამწარდა, გაბრაზდა, თუმცა მალევე აღიარა: „მაგრამ სიტყვა ცეცხლივით ამიგიზგიზდა გულში, ძვლები გამიხურდა; ვეცადე დამეოკებინა, მაგრამ ვერ შევძელი“ (მუხლი 9). ლაპარაკის გარდა ვერაფერს აკეთებდა. უნდა ელაპარაკა. მას არ სჭირდებოდა საკუთარი თავისთვის ძალის დატანება, თითქოს ეს მისი სამუშაო ყოფილიყო; ფაქტობრივად, თავს აძალებდა, რომ არ ელაპარაკა, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა. რატომ? ეს ბუნებრივი იყო; ეს მისი ღმერთთან ურთიერთობის ნაყოფი იყო.

სიხარბე სულის ნაყოფი არ არის

ღმერთი ქარხნებს არ ამუშავებს, ის ბაღებს აშენებს. მას შენი საქმეები არ აინტერესებს; სურს, რომ შენი ნაყოფით დატკბეს. მას არ სურს, რომ შენს ხორცზე იყო დამოკიდებული; ის მოგიწოდებს, რომ მის სულს დაეყრდნო.

როგორც პავლე შეგვახსენებს, სულით დავიწყეთ და ახლა ხორცით ვერ გავხდებით სრულყოფილები (იხ. გალატელთა 3:3). ჩვენს რწმენას საქმეებს ვერ დავამატებთ და ურთიერთობას ამით ვერ გავაუმჯობესებთ, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ამის გაკეთებას ცდილობს ბევრი ადამიანი.

ადამიანები ბევრჯერ უფლის რწმენით, უფლის სიყვარულით, უფლის მსახურებითა და მასთან დიდებული დროის გატარებით იწყებენ. მათია სულის სიხარული. შემდეგ რამდენიმე ძმა ჩნდება და მათზე მძიმე ტვირტის დადებას იწყებს. „ჰეი ძმაო, თუ მართლა ქრისტიანი ხარ, ეს უნდა აკეთო. მაგას როგორ აკეთებ? კაცო, შენ თავს ქრისტიანს ეძახი? რატომ? ამასაც კი არ აკეთებ.“ ისინი ყველა ამ მძიმე მოთხოვნას აწესებენ, ასე რომ, ქრისტიანობა ღვარძლად იქცევა ხოლმე. ბუნებრივობას კარგავს და აღარაა სასიამოვნო და შავ სამუშაოსა და საქმიანობას ემსგავსება.

როდის ვისწავლით, რომ შეუძლებელია ღვთის მიერ მოცემული სიმართლე გავაუმჯობესოთ?! ნებისმიერი ურთიერთობა, რომელიც საქმეებზეა დაფუძნებული, მოსაწყენი ხდება და უფალთან ურთიერთობის სიხარულს გვაკარგვინებს. უცებ იქცევა მოვალეობად, ვალდებულებად და მძიმე დავალებად. უფლის სიხარული გვტოვებს. აღარ ვსარგებლობთ თავისუფლებით, არამედ მონობის უღელის ქვეშ ვმოქმედებთ. ვფიქრობთ: სჯობს ამაღამ ვილოცო, თორემ მართლა გამიჭირდება... მაგრამ ძალიან დავიღალე. საწოლიდან ადგომა არ მინდა. ვფიქრობ, მომიწევს, მაგრამ - აუ, რა ძაან ცივა!

დარწმუნებული ვარ, ღმერთი ამბობს: „გაჩუმდი და დაიძინე რა! ასეთი განწყობით ნუ შემაწუხებ. საერთოდ ვინ გთხოვა ლოცვა?“

შეიძლება იფიქროთ, რომ ამ გაკვეთილს სახარების მსახურნი უნდა დაუფლებოდნენ. თუმცა არიან ადამიანები, რომელთაც სურთ დაგვაჯერონ, რომ ისინი ხორცის საქმეებით სულს ემსახურებიან. ისინი აღწერენ, თუ რა დიდ ძალისხხმევას მოითხოვს მათი მსახურება - რა უზარმაზარი პირადი მსხვერპლი უნდა გაიღოს ადამიანმა ასეთი ძალაუფლებისთვის. ისინი თავიანთი მიძღვნის, მარხვისა და ძალისხმევის შესახებ მოყვებიან და ყველაფერს ისე აღგიწერენ, თითქოს ამ საქმეებით სულიერების გარკვეულ დონეს მიაღწიეს, რამაც ღმერთს იმისკენ უბიძგა, რომ მათთვის თავისი ძალა მიეცა. ისინი ამბობენ, რომ ღმერთი ყველას არ მიანდობს თავის ძალას, მაგრამ მათ ეს მოიპოვეს. რეალურად ძალიან ხშირად ამბობენ ისეთ რაღაცებს, როგორიცაა: „მეორე ოთახში შევედი, კარი დავხურე და ვთქვი: ღმერთო, აქედან არ გავალ, სანამ შენი ძალა არ მექნება. და დავრჩი იქ. მანამ ვმარხულობდი და ვლოცულობდი, სანამ არ მივიღე“. ისინი ისე საუბრობენ, თითქოს ღვთის კეთილგანწყობა თავიანთი სიმართლით მოიპოვეს. მაგრამ არ მოუპოვებიათ; ეს მხოლოდ ხორცის საქმე იყო და ღმერთი ხორციელ საქმეს პატივს არასოდეს არ სცემს და არც აღიარებს.

პავლემ თქვა: „ამაოდ იტანჯეთ ამდენი? თუ ასეა - ამაოდ! ვინც სული მოგცათ და სასწაულებს ახდენს თქვენს შორის, რჯულის საქმეებით აკეთებს ამას თუ რწმენის შესმენით?“ (გალატელთა 3:4-5). ჭეშმარიტი მსახური მთელ დიდებას უფალს უძღვნის. „ასევე ანათებდეს თქვენი სინათლე ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია“ (მათე 5:16).

თითოეული ჩვენგანი მიგვიწვიეს

ღმერთი თავის საქმეებს ჩვენი სიმართლის გამო არ აკეთებს. ის ჩვენი რწმენის მეშვეობით მადლით ასრულებს. და ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია ამის გაკეთება. საჭირო არაა რაიმე სპეციალურად ცხებული სახის ჭურჭელი იყოთ.

დაე, თქვენი ცხოვრება იყოს ბაღი, სადაც ღმერთს შეუძლია ისიამოვნოს იმ ნაყოფით, რომელსაც თქვენ ქრისტეში ყოფნისას გამოიღებთ.

იაკობი ამბობს, რომ ელია ჩვენნაირი ვნებების კაცი იყო (იხ. იაკობი 5:17). იმედი წაერთვა, წყობილებიდან გამოვიდა, გაბრაზდა, გაუბერა, მაგრამ მან ილოცა და სამი წლის განმავლობაში არ უწვიმია. ელია არ იყო ვიღაც სუპერწმინდა წინასწარმეტყველი. ის არც მისტიკოსი იყო. ის ზუსტად

ჩვენნაირი ადამიანი იყო ისეთივე გრძნობებით, როგორიც ჩვენ გვაქვს და ისეთივე გულგატეხილობით, მაგრამ ღმერთი მას მისი რწმენის გამო უსმენდა.

შენც იგივე პოტენციალი გაქვს. საკმარისია მხოლოდ უფლის რწმენა და მასზე მინდობა.

რადგან სულით დაიწყე, სულში უნდა გააგრძელო. რწმენით დაწყების შემდეგ, რწმენით უნდა განაგრძო. ნუ გადაიქცევი საქმეებად; არ დაუშვა შენი ქრისტიანული გამოცდილება მოსაწყენი გახდეს. ნუ გახდები ქარხნის მუშა, არამედ დაე, შენი ცხოვრება იყოს ბაღი, სადაც ღმერთს შეუძლია დატკბეს ნაყოფით, რომელსაც ქრისტეში რწმენით ცხოვრებით გამოიღებთ.

7. რწმენა კურთხევებისთვის

ზოგიერთი შეცდომა უბრალოდ არსად მიდის. განვიხილოთ დაახლოებით 2000 წლის წინ მომხდარი გალატიის ეკლესიის გამანადგურებელი შეცდომა, რომელიც რატომღაც დღესაც ძლიერდება. მიუხედავად პავლეს წერილისა ამის შესახებ, დღემდე ბევრი მასწავლებელი ავრცელებს აზრს, რომ სულიწმიდა რჯულის საქმეებით მიიღება. რა ტრაგიკულია, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება, რაც ღვთის კურთხევისა და ძალის სისრულის განცდაში გვიშლის ხელს, არის ეკლესიაში მოპოვებული დოქტრინა! გვსმენია, რომ თუ გვინდა სულიწმიდა ჩვენს ცხოვრებაში შემოვიდეს, უმჯობესია გავასუფთავოთ ჩვენი ქმედებები. ყოველი უწმინდურება უნდა მოვიშოროთ, რათა კურთხევის ღირსნი ვიყოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სწავლება ძალიან გულწრფელია, ის გულწრფელად არასწორია. ასეთი ქადაგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჩვენივე ქცევითა და ძალისხმევით უნდა გავხდეთ მართალნი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ღმერთმა წყალობა მოიღოს და შეგვეხოს. ეს ის მცდარი სწავლება იყო, რაც ამდენი წლის განმავლობაში მიშლიდა ხელს, რომ ღვთისგან საუკეთესო მიმეღო.

როგორც ორმოცდაათიანულ ეკლესიაში გაზრდილ ბავშვს, ძლიერ მსურდა ის, რასაც სულიწმიდით ნათლობა ეწოდა „მოლოდინის შეხვედრებზე“ დავდიოდი და მამაჩემს საკმაოდ ხშირად ვახლდი შაბათ საღამოს მამაკაცთა ლოცვის კრებულებზე. უფალს ველოდებოდი და ვლოცულობდი, რომ ღმერთს ჩემი ცხოვრება თავისი ძალით აევსო.

ძალიან მიყვარდა უფალი და ღვთის მთელი ძალა მინდოდა, რასაც დავიტევდი. მაგრამ რაღაც ხელს მიშლიდა. მრავალი წლის განმავლობაში მეგონა, რომ რაღაც საიდუმლო ცოდვა მაკავებდა. და ასეც იყო - მაგრამ არა ისეთი ცოდვა, როგორიც წარმომედგინა. ჩემი პრობლემა არ იყო გულისთქმა, ან სიხარბე, ან რაიმე ყოვლისმომცველი ჩვევა. პრობლემა იყო ჩემი საკუთარი სიმართლე.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, რომ მოზარდი სულიერ სიამაყეს ებრძვის, მაგრამ მართლა ვებრძოდი. წმინდა წერილიდან მონაკვეთებს ვიმახსოვრებდი. ბიბლიის წიგნების წაკითხვა და დამარცვლა შემეძლო. ღვთის სიტყვის მთელი თავების ციტირება შემეძლო. არასდროს მივლია შოუებსა თუ ცეკვებზე. სიგარეტიც არასდროს მომიწევია. ეკლესია, სადაც დავდიოდი, ასწავლიდა, რომ ეს ყველაფერი ცოდვა იყო, ამიტომ მათ რელიგიურობით ვარიდებდი თავს.

ბევრჯერ მინახავს მქადაგებლის შვილი სიგარეტის ნამწვებს როგორ იღებდა და ეწეოდა, მაგრამ მე ამას არ ვაკეთებდი. ჩემი ეკლესიის სხვა მეგობრები თითქმის ყოველ შაბათს წარმოდგენებზე დადიოდნენ, მაგრამ მე - არასდროს. ვაპირებდი, რომ წმინდა ვყოფილიყავი.

მაშ, რა იყო ასე საშინლად არასწორი? ღმერთი ჩემს მეგობრებს აკურთხებდა, მაშინაც კი, როცა ისინი სიგარეტის ნამწვავს ეწეოდნენ! ვფიქრობდი: უფალო, შენ იცი, რომ მე მათზე მართალი ვარ. არასოდეს გამიკეთებია არცერთი მსგავსი ბოროტება. რატომ აკურთხე ისინი და არა მე? საშინელი ბრძოლა მქონდა.

ეს ყველაფერი მაშინ გაუარესდა, როდესაც ადამიანთა დამოწმებები მესმოდა, თუ როგორ ელოდნენ სულიწმიდით ავსებას. როდესაც ისინი ღმერთს ელოდებოდნენ, უფალმა მათ ჯიბეში ჩადებული სიგარეტის კოლოფი აჩვენა. იმ მომენტში, როდესაც მათ სიგარეტი ამოიღეს და სამსხვერპლოზე დადეს, ღმერთმა ისინი აშკარად აღავსო სულიწმიდით.

ღვთის კურთხევის მოპოვებას ვცდილობდი, მაგრამ საკმარისად კარგი არასდროს ვყოფილვარ. აზრადაც არ მომსვლია, რომ ღმერთისთვის უბრალო რწმენით მეთხოვა.

ალბათ ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ჯიბეში სიგარეტის კოლოფი არასდროს მქონია, რომ სამსხვერპლოზე დამედო. ამის ნაცვლად, გონებრივად ჩამოვთვლიდი ხოლმე იმ კვირაში ჩადენილ ცოდვებს და ვფიქრობდი: „უფალო, ამ კვირაში ჩემს ძმაზე გავბრაზდი. უფალო, გთხოვ, მაპატიე, რომ გავბრაზდი.“ და სულით ავსებას ველოდი. მაგრამ არ მავსებდა.

არაერთხელ მომისმენია გამომსვლელთა სიტყვები: „იცით, რომ ღმერთი უწმინდურ ჭურჭელს არ ავსებს. ის წმიდა სულია, ამიტომ თქვენ წმინდა ჭურჭელი უნდა იყოთ.“ ამიტომ ყველაფერს ვაკეთებდი, რომ წმინდა ვყოფილიყავი. რაც გამახსენდა, ყველაფერი ვაღიარე ღმერთის წინაშე (ყოველი შემთხვევისთვის, ისეთი რაღაცებიც, რაც არასდროს გამიკეთებია).

დროდადრო ჩემი სინდისის ნაკვერჩხლებს ვაგროვებდი. ღმერთს ცხოვრებას ხშირად ვუძღვნიდი. ყოველი პატარა, საეჭვო ქმედება შევწყვიტე და ჩემთვის საყვარელი ძვირფასი რაღაცები გავწირე იმ ამაო მცდელობისთვის, რომ გავმხდარიყავი საკმარისად წმინდა და მართალი, რათა ღვთის სულს ჩემი ცხოვრება აევსო. ქრისტესთან ერთად რწმენით სიარულში იმედგაცრუებული და სულშეხუთული ვიყავი.

ბოლოს სასოწარკვეთილმა ვთქვი: „კარგი, უფალო, ჩინეთში წავალ მისიონერად. გთხოვ, ამავსე შენი სულიწმიდით.“ არ ამავსო. დავპირდი, რომ წავიდოდი ჩინეთში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ინდოეთში. მაინც არ ამავსო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საქმეებით ვცდილობდი სულიწმიდით ავსებას. ვცდილობდი მართალი იმ ნორმების დაცვით გავმხდარიყავი, რაც მე დავაწესე. ვცდილობდი სული რჯულის საქმეებით მიმეღო. წრფელი შიმშილით, ღვთის მიერ აღვსებისა და მისი ნიჭების მიღების მოსურნე, ყველა ხრიკს ვიყენებდი, რაც ვიცოდი. არ მახსოვს, რამდენი ღამე ვიტანჯე მის წინაშე იმის გამო, რომ მაინტერესებდა, რატომ არასოდეს არ მაკურთხა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც სამართლიანი პლატოსთვის უნდა მიმეღწია და მერე ღმერთიც მაკურთხებდა. მჯეროდა, რომ იმ მომენტში, როცა ამ მაღალ პლატოს მივაღწევდი, სულიწმიდა ამავსებდა. და მაინც, ჩემს ირგვლივ მომხდარი მაწუხებდა. როგორ შეიძლებოდა ალკოჰოლური სასმელებისა და ნიკოტინის სუნით აყროლებული ხალხი ქუჩებიდან მოსულიყო და იესო ქრისტე მხსნელად მიეღო, და მაშინვე სულიწმიდით მონათლულიყო? თუმცა ინათლებოდნენ.

უბრალოდ უსამართლობა იყო. მე აქ უფალთან ერთად დავდიოდი, მას მთელი გზა ვემსახურებოდი და ის კი სხვებს აკურთხებდა, მე კი - არა. არ მესმოდა ღმერთის შეუსაბამობები. შეუძლებელი იყო ჩემი მიღებული სწავლების შეთავსება იმასთან, რაც ხდებოდა.

ნეტავ ღვთის მადლის არსი გამეგო! მთელი ამ წლების მანძილზე სულიწმინდის ძალით ავსებას არ დაველოდებოდი. როდესაც ღვთის სიტყვის კითხვა და გაგება დავიწყე, საბოლოოდ იმ ტექსტამდე მივედი, სადაც პავლე კითხვას სვამს: „რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით?“ (გალატელთა 3:2). უცებ მივხვდი, რომ ეს რიტორიკული კითხვაა და პასუხი აშკარა იყო. მათ სულიწმიდა რწმენის შესმენით მიიღეს.

გაოგნებული ვიყავი. ასეთი რამ არასდროს მისწავლია. ვცდილობდი თვითონ გავმხდარიყავი საკმარისად წმინდა ან საკმარისად მართალი, რომ სულიწმიდით ავსება მომეპოვებინა, მაგრამ რა თქმა უნდა, ვერ შევძელი. აზრადაც არ მომსვლია უბრალო რწმენით მეთხოვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ღმერთს ჩემი დახმარება სჭირდებოდა.

იმ დღეს მთელი ჩემი თავმოყვარეობა გადავდე და უბრალოდ ვთქვი: „უფალო, ახლა შენგან მივიღებ შენი სულიწმიდის ნიჭს“. და სწორედ იმ მომენტში მივიღე. - რა სულელი ვარ! - გავიფიქრე - ამის მიღება წლების წინ შემეძლო, მხოლოდ რომ მცოდნოდა. ვინმეს რომ ესწავლებინა!

ეჰ, რა ძვირფასი რამ დავკარგე იმ მწირ წლებში არასწორი სწავლების გამო, რომელიც წესებისა და კანონების მორჩილებას უსვამდა ხაზს! არა რაიმე გარე კოდის დაცვით, არამედ იესო ქრისტეს, როგორც ჩვენი უფლისა და მხსნელის რწმენითა და მინდობით მკვიდრდება სულიწმიდა ჩვენში, გვავსებს და გვაძლიერებს. ამიტომაც ამ მარტივ, მაგრამ ძლიერ გზავნილს უსასრულოდ ვიმეორებ. ხაზს ვუსვამ ღვთის მადლს, სიყვარულს, წყალობასა და სიკეთეს დაუმსახურებელი ცოდვილების, ანუ ჩვენ მიმართ.

კურთხევები მიღებისთვის

როგორც კი უფლის სიტყვის გაგება დავიწყე, დავინახე, რომ ჩემი სიმართლე ან სიწმინდის რაღაც პლატოზე მიღწევის შესაძლებლობა არ იყო ის, რაც ღვთის კურთხევის ღირსს მხდის. ღმერთი მაკურთხებს, როდესაც უბრალოდ ვენდობი, რომ მაკურთხებელია. რაც უფრო მემატება წლები, მით უფრო ვხვდები, ღვთის შეხებას რამდენად არ ვიმსახურებ და რაოდენ უღირსი ვარ. მას ჩემი კურთხევა სურს არა იმიტომ, რომ მე კარგი, წმინდა და სუფთა ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი ბუნებაა. მას თავისი შვილების კურთხევა სიამოვნებს.

იცოდით, რომ მხოლოდ ერთი რამ აფერხებს ღვთის კურთხევებს თქვენს ცხოვრებაში? კურთხევებს არ აკავებს ის, რომ ამ კვირაში ერთგულად ვერ მიეძღვენით. არც ის - რომ თქვენი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში მარცხს განიცდით. ყველა მარცხდება. ერთადერთი, რაც ღვთის კურთხევების მიღებას ხელს უშლის, თქვენივე უარია. თქვენ არ ენდობით, რომ ის დაუმსახურებლად გაკურთხებთ. ღვთის კურთხევები ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვისაც უბრალოდ სჯერა მისი და ენდობა, რომ ის აკურთხებს.

ნუ მიხვალ ღმერთთან შენი სიმართლის ან სიკეთის საფუძველზე. უგუნურებაა, უფალისგან იმ კარგი საქმის მოპარვა გსურდეს, რომლის გაკეთებაც თავად სურს შენს ცხოვრებაში! მისთვის ერთადერთი მისაღები დამოკიდებულება შემდეგია: „უღირსი ვარ და არ ვიმსახურებ, მაგრამ გთხოვ, უფალო, მაინც მაკურთხე“.

ღვთის კურთხევებს მას შემდეგ ვიმკიდრებ, როდესაც გავიაზრე, რომ ისინი მისდამი უბრალო რწმენით მეკუთვნის. იმდენი კურთხევა გამიცია და ღმერთისგან იმდენი მიმიღია, რომ შეუძლებელია ყველა მათგანის დათვლა. იმ კართან მივედი, რომელიც მუდამ ღიაა. ჩემი სიმართლით მისვლის დროს კარი, უმეტეს წილად, დაკეტილიყი იყო, მაგრამ ახლა, როდესაც ღმერთთან მისი სიყვარულის საფუძველზე მოვედი, ეს კარი არასოდეს იკეტება.

ღმერთს ყოველთვის ვუყვარვართ. ჩვენს მიმართ მისი სიყვარული უცვლელია. მას დღეს გუშინდელზე მეტად არ ვუყვარვართ. ღმერთის სიყვარული ცვალებადი არ არის. ღვთის სიყვარული ჩვენდამი მუდმივია - ის არასოდეს იცვლება. მისი ჩვენდამი სიყვარული ჩვენზე არ არის დაფუძნებული. ის უფალს და მისი სიყვარულის ბუნებას ეყრდნობა.

ღმერთი სიყვარულია. მას უყვარხარ და შენს სიყვარულს მაშინაც კი აგრძელებს, როდესაც მაღალი რანგის ცოდვილი ხარ. მაშინაც კი, როდესაც მის წინააღმდეგ აჯანყდი, მუშტს უქნევდი და ამბობდი: „მეზიზღები, ღმერთო!“ მას მაშინაც უყვარდი და ახლაც უყვარხარ. ღმერთს სურს, რომ გვაკურთხოს, რადგან ვუყვარვართ. ეს კურთხევები ჩვენს სიკეთეზე, ჩვენს სიმართლესა თუ ჩვენს ერთგულებაზე არაა დამოკიდებული, არამედ - მხოლოდ მის სურვილზე. ჩვენ უბრალოდ უნდა მივიღოთ და გვჯეროდეს მისი კურთხევების. გახსოვთ პავლეს რიტორიკული შეკითხვა: „რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ რწმენის შესმენით?!“ ისეთი მართალი გახდი, რომ ღმერთმა საბოლოოდ გადაწყვიტა: „აჰა, ახლა საკმარისად მართალია, ასე რომ, ვფიქრობ, მისი ავსება მომიწევს“? - არა! ჩვენ იმაზე მართალნი არ ვართ, ვიდრე იმ დღეს, როდესაც პირველად ვირწმუნეთ.

ვერც კი წარმოიდგენთ იმ კურთხევასა და ძალას, რომლითაც ღმერთი სურს, რომ გაკურთხოთ, თუ მხოლოდ ერწმუნებით და მიენდობით. უგუნურ გალატელებს ხშირად ვგავართ. რატომ ვსულელდებით ისე, რომ სიმართლეზე დაფუძნებულ ურთიერთობას ვუბრუნდებით, როდესაც ღმერთთან სიყვარულის ურთიერთობაში ყოფნა შეგვიძლია? ნუ იქნები სულელი და ნუ მოითხოვ იმას, რასაც ფიქრობ, რომ იმსახურებ, რადგან სიკვდილის მეტს არაფერს იმსახურებ. თითოეული ჩვენგანი ვიმსახურებთ სიკვდილს, რადგან ყველანი ვცოდავთ.

ღმერთს ახლა სურს შენი კურთხევა, რადგან უყვარხარ. ღმერთს შენი ცხოვრების კურთხევა სურს და ამ კურთხევის გზა შენი რწმენაა.

შეუძლებელია მე მგოლისხმობდე!

ზოგიერთმა თქვენგანმა, ვინც ამას კითხულობთ, შეიძლება დაიჯეროთ, რომ ღმერთს არ შეუძლია გაკურთხოთ, რადგან იმედი გაუცრუეთ ან ძალიან სუსტი ხართ ან რამე საშინლად არასწორი ჩაიდინეთ. შესაძლოა საზიზღარი ხასიათი გაქვთ ან თვალისცეცების ქრონიკული პრობლემა. ფიქრობთ: როგორ შეიძლება ღმერთმა მაკურთხოს, როცა ჩემს შვილებს ვუყვირი? როგორ დამიფაროს ღმერთმა, როცა ასეთი გახრწნილი ვარ? როგორ მაკურთხებს ღმერთი, როცა მე ასეთი და ასეთი ვარ? - თქვენი პრობლემა ისაა, რომ კურთხევას საკუთარი საქმეების საფუძველზე ეძებთ. ჩაფლული ხართ აზროვნებაში, რომელიც ამბობს: „როცა ძალიან კარგი და სრულყოფილი გავხდები, მაშინ შეძლებს, რომ მაკურთხოს“.

მაგრამ ეს არასწორია!

თავში უნდა შევუშვათ, რომ ღმერთს იმ მომენტშივე სურს ჩვენი ცხოვრების სულიწმიდით ავსება, როგორც კი ვიტყვით: „უფალო, მე ნამდვილად მსურს მქონდეს ეს ძალა და გთხოვ, რომ ამავსო“.

მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ. უდაოა, რომ სწორედ ამ დროს იფეთქებს სულიერი ბრძოლა. როდესაც ღმერთით აღვსებისთვის ლოცულობთ, სატანა თქვენს გონებაში მყისიერად დაიწყებს ყველა სახის სიცრუისა და ბრალდების ჩაგდებას. ის ყურადღებას გაგიფანტავთ; თავს დამნაშავედ ან უღირსად გაგრძნობინებთ და დაგცინებთ: „რას აკეთებ მაგით, ღმერთს რომ მაგას სთხოვ? საკუთარი თავის უნდა გრცხვენოდეს. არ გაქვს უფლება! შეხედე როგორი ხარ. შეხედე რა გააკეთე. როგორ შეიძლება ღმერთმა თავისი წმინდა სულით აგავსოს?“

ირონიულია, რომ სატანა ხშირად ქრისტიანებს გამოიყენებს ამ სიცრუის მოსატანად. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საკუთარი სიმართლით ცხოვრობს, აუცილებლად თქვენ დაგადანაშაულებთ: „შენი

ბრალია, ხომ იცი?! სულ ცოტათი მეტი რწმენა რომ გქონოდა. უფრო სულიერი რომ ყოფილიყავი. აი, ჩემნაირი რომ იყო.“ ასეთი მცირედი სულიერი დაბომბვა და ბევრი ჩვენგანი ამ ყველაფერში უკან დახევას გადაწყვეტს და იტყვის: „დაივიწყე, უფალო“.

ღმერთს სურს, რომ მისი სიყვარული, მისი შეხება, მისი ძალა და მისი ცხებულება იგემოთ.

რა ტრაგედიაა! ვიცი, რომ ღვთისგან კურთხევას არ ვიმსახურებ, მაგრამ ღმერთი იმიტომ არ მაკურთხებს, რომ ამას ვიმსახურებ. ის ჩემდამი სიყვარულისა და ქრისტე იესოში მისი მადლის საფუძველზე მაკურთხებს. ესაა კურთხევის საფუძველი და არა - ჩემი სიკეთე, ჩემი სიმართლე ან ჩემი სრულყოფილება. თუ ამას ჩვენი სუსტი თავის ტვინით შევძლებდით, მაშინ ისეთ კურთხევებს მივიღებდით, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია.

კურთხევები მზადაა. ღმერთს სურს, რომ გაკურთხოს. უბრალოდ უნდა გჯეროდეს, რომ გაკურთხებს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცი, ამას არ იმსახურებ. კურთხევები შენი საქმეების გამო არ მოდის, ისინი შენი რწმენის გამო მოდის იმიტომ, რომ ენდობი და გჯერა, რომ ღმერთი გაკურთხებს.

სწორედ ამ ჭეშმარიტების გაუაზრებლობა იწვევს რეალურ პრობლემებს ბევრი ადამიანის ქრისტიანულ ცხოვრებაში. „არ ვიცი ღმერთმა ის რატომ აკურთხა. ის ხომ სიგარას ეწევა! რატომ ხდება ასე? მე არ ვეწევი, მაგრამ მაინც, შეხედე მის ყველა კურთხევას! ვერ ვხვდები, რატომ აკურთხებს ღმერთი სიგარის მწეველ ადამიანებს.“ მაგრამ, რა თქმა უნდა, ღვთის კურთხევები მოწევის ჩვევებზე არ არის დამოკიდებული. ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რომ გვწამდეს, რომ ღმერთი გვაკურთხებს, რადგან ჩვენ ღვთის შვილები ვართ.

ღმერთს სურს თავისი ხალხი დღესვე აკურთხოს. უფლის თვალები მთელ დედამიწას დასცქერის, რათა განამტკიცოს და მხარი დაუჭიროს მათ, ვინც მთელი გულით მასზეა მინდობილი (2 ნეშტთა 16:9). შენი გული უბრალოდ ღმერთისკენ მოაბრუნე, გჯეროდეს მისი სიტყვის და ენდე, რომ ის შეასრულებს იმას, რასაც გპირდება. თქვი: „უფალო, ახლა მაკურთხე“ და მიიღე.

ვიცი, რომ ასეთი თავისუფალი მადლი ჩვენთვის თითქოს შეურაცხყოფასავითაა. როგორც კი ვილოცებთ: „უფალო, რეალური კურთხევა გადმოღვარე. ამ საღამოს ნამდვილად მინდა გასაოცარი მადლი“, ჩვენი გონება აპროტესტებს: რისი მიღწევა გინდა, ღმერთს რომ კურთხევას სთხოვ? რანაირად ფიქრობ ამ შუადღისას, როგორ შეგიძლია ღმერთს კურთხევა სთხოვო?

კურთხევის დამსახურების იდეის უარყოფა ჩვენთვის ძალიან რთულია. იმის ფონზე, რომ დამარცხებულები ვიყავით და არ ვიმსახურებთ ამას, გვიჭირს, რომ უბრალოდ გვჯეროდეს და ველოდოთ ღმერთის კურთხევებს. მაგრამ როდესაც საბოლოოდ გადავლახავთ ამ ბარიერს და მოლოდინი გვექნება, რომ ღმერთი გვაკურთხებს მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ დაგვპირდა, რომ გვაკურთხებდა, მაშინ ვეღარაფერი შეაჩერებს მის კურთხევებს ჩვენს ცხოვრებაზე.

აბრაჰამის კურთხევები

და თანაც როგორი კურთხევები! იგივე კურთხევები, რომლებიც ღმერთმა აბრაჰამს აღუთქვა, ჩვენია, რადგან ჩვენ აბრაჰამის შვილები ვართ. დაპირებული კურთხევებიდან მხოლოდ სამს შევეხოთ:

• „ნუ გეშინია, აბრამ, მე ვარ ფარი შენი. ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური!“ (დაბადება 15:1);
• „დიდად გაგამრავლებ“ (დაბადება 17:6);
• „აღთქმას ვდებ ჩემსა და შენს და შენს შთამომავლობას შორის თაობიდან თაობამდე, საუკუნო აღთქმას, რომ შენი და შენი მოდგმის ღმერთი ვიქნები“ (დაბადება 17:7).

ყველა ეს კურთხევა და ამაზე გაცილებით უფრო მეტი გეკუთვნით. რადგან ღმერთი ქრისტეში გხედავთ და იესოს სიმართლე გეძლევათ. ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო გაკურთხებთ საფუძვლიანად და სრულად.

მადლის სახარება ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამას არ იმსახურებთ, ღმერთს სურს, რომ მისი სიყვარული, მისი შეხება, მისი ძალა და მისი ცხებულება განიცადოთ. ღმერთმა თითოეულ ადამიანს მისცა გარკვეული რწმენა. ავარჯიშეთ, გამოიყენეთ და განვითარდება. უბრალოდ ირწმუნეთ, მიენდეთ უფალს და მოლოდინი იქონიეთ, რომ ღმერთი გაკურთხებთ.

არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ ღმერთმა თავისი სულით იმიტომ არ გვაკურთხა, რომ ერთ დღეს საკმარისად წმინდანი გავხდით, რომ ეს დავიმსახურეთ. ის ჩვენამდე მაშინ მოვიდა, როდესაც დავინახეთ სინათლე და უბრალოდ დავიჯერეთ, რომ ღმერთი თავის სიტყვას შეასრულებდა. ჩვენი სიმართლის საქმეებს ამასთან საერთო არაფერი ჰქონია.

ღვთის გზები მცირედითაც კი არ შეცვლილა. აბრაჰამის კურთხევა თითოეულ ჩვენგანთან ჩვენი უფლის, იესოსადმი, უბრალო რწმენით მოდის. ჩვენ მხოლოდ უნდა გვწამდეს, რომ ის კეთილგანწყობილია ჩვენს საკურთხებლად.

და თუ დავფიქრდებით - ეს თავისთავად საკმაოდ დიდი კურთხევაა.

8. ბრძოლა იწყება

ცოტა ხნის წინ ახალგაზრდა კაცისგან წერილი მივიღე. მან ხორცთან თავისი ინტენსიური ბრძოლების შესახებ მომწერა და აღწერდა, რომ თანდათან ყოველი მომდევნო დამარცხების შემდეგ გული ძლიერ უცრუვდება, რაც თითქოს პავლეს გამოძახილს ეხმაურებოდა რომაელთა 7:24-ში: „უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?“

მისი კარგად მესმოდა. ღმერთთან ურთიერთობაში მსგავსი რთული პერიოდი ყველა ჩვენგანს განგვიცდია. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის მოსაწონად გვინდა ვიცხოვროთ, ხორცის ძალას ვერ ვუმკლავდებით და ვმარცხდებით.

ეკლესიის ისტორიის განმავლობაში კაცები ხორცის კონტროლის გზებს ეძებდნენ. იყო დრო, როდესაც ბევრ ქრისტიანს სჯეროდა, რომ გამარჯვების მიღწევის ერთადერთი გზა მონასტრის კარადაში გამოკეტვა იყო. ისინი ნებისმიერ რამესთან ან ვინმესთან კონტაქტზე ამბობდნენ უარს, ვინც შესაძლოა საცდურის მომტანი გამხდარიყო. მაგრამ მათ მიერ დატოვებული დღიურების შემთხვევითი დათვალიერებაც კი აჩვენებს, რომ იზოლაცია ვერ დაეხმარათ.

იერონიმე, ადრეული ეკლესიის ცნობილი ღვთისმეტყველი, მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ოთახში, რომელიც გალიაზე სულ მცირედით იყო უკეთესი. გარე სამყაროსთან მისი ერთადერთი შეხება იყო პატარა ფანჯარა, რომლითაც ის საჭმელს იღებდა. მან თავი აარიდა ყველასა და ყველაფერს, რათა მთლიანი დრო ღვთის სიტყვის შესწავლისთვის, მედიტაციასა და ლოცვისთვის დაეთმო. მაგრამ მის პირად ჟურნალებში ჩაწერილია, რომ როცა ის თავის პატარა ბნელ საძინებელში იჯდა, ცხოვრების წესის სიმკაცრე და კედლების სისქე მის გონებას საზარელ აზრებს, წარმოსახვებსა და ფანტაზიებს ვერ აშორებდა.

დახმარება მანამ არ მოდის, სანამ არ მივხვდებით, რომ პასუხი ჩვენს საკუთარ რესურსებს აღემატება. ღმერთის წინაშე ღაღადი ჩვენი გამოხსნის საიდუმლოა.

ხორცი საშინლად ძლიერი მტერია. ზოგიერთი ქრისტიანი უფალთან მთელი თავისი ურთიერთობის განმავლობაში ხორცთან წამგებიან ბრძოლაშია. ისინი თავს ისრაელიანებივით გრძნობენ, რომლებიც უდაბნოში ისე დაიღუპნენ, რომ ღვთის მოსასვენებელში ვერ შევიდნენ.

რატომ არ სარგებლობენ ასეთი მორწმუნეები ღვთის გამარჯვებით? პასუხი მარტივია: ღვთიური ცხოვრებისთვის მთელ ძალისხმევასა და ენერგიას ხარჯავენ. თავიანთი ცხოვრებისა და ბრძოლის ღვთისთვის გადაცემის მაგიერ, სიმართლის მოსაპოვებლად რაიმე ახალი ტექნიკის, მეთოდისა თუ პროგრამის ძიებას განაგრძობენ, მაგრამ არცერთი მათგანი არ ამართლებს.

მანამ, სანამ რომელიმე ჩვენგანი „ამ სიკვდილის სხეულიდან“ თავის დახსნას სხვა პროგრამის ან ფორმულის სასოწარკვეთილი ძიებით ცდილობს იმისთვის, რომ თავისი ძალისხმევა წარმართოს, აუცილებლად დამარცხდება. დახმარება მანამ არ მოდის, სანამ არ მივხვდებით, რომ პასუხი ჩვენი ძალისხმევისგან გაცილებით შორსაა. საოცარია, რომ სისუსტეში ღმერთის წინაშე ღაღადი ჩვენი გამოხსნის საიდუმლოა.

არა - მომდევნო თვითგაუმჯობესების პროგრამას

უმეტეს ჩვენგანს უჭირს სრული უძლურების აღაირება. გვირჩევნია საკუთარი თავები ძლიერ, ქმედითუნარიან ადამიანებად მივიჩნიოთ, რომლებსაც საკუთარი საქმეების მოგვარება შეუძლიათ. რამდენჯერ დაგვიწყია თვითგაუმჯობესების პროგრამა დარწმუნებულებს, რომ თუ ამაზე ვკონცენ-ტრირდებით, ადვილად დავიკლებთ რამდენიმე კილოგრამს, ფორმაში დაბრუნებას შევძლებთ ან შემაწუხებელ ჩვევას მოვიშორებთ? მაგრამ სამწუხარო ფაქტი ისაა, რომ სანამ ვფიქრობთ, რომ ცხოვრების საკუთარი ძალით შეცვლა შეგვიძლია, ამას ვერასდროს მივაღწევთ.

ქრისტიანულ ცხოვრებაში ზრდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბარიერი ის მოსაზრებაა, რომ ღმერთისთვის საამებელი ცხოვრებით ცხოვრება საკუთარი ძალისხმევით შეგვიძლია. თუ ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია, დამსახურებასაც საკუთარ თავს მივაწერთ: „ხედავ, ამ მავნე ჩვევის მოშორება არც ისე რთული იყო! ვიცოდი, რომ შევძლებდი!“ ამ დროს ღმერთს არ ვადიდებთ, არამედ საკუთარი წარმატების ისტორიას ვწერთ, თითქოს ვარსკვლავები ვართ. მერე სხვებსაც ვასწავლით, თუ როგორ იმუშავებს ჩვენი ფორმულა მათთვისაც, და ჩვენი ყურადღება სულ უფრო და უფრო შორდება ღმერთს. მარტივი ამოსაცნობია, რომ მიუხედავად ჩვენი დიდი თავდაჯერებულობისა, პირველივე ტრაგედიის ან იმედგაცრუების ქარი ჩვენივე აშენებულ ბანქოს სახლს მთლიანად თავზე დაგვაქცევს.

ღმერთი საშუალებას მანამ მოგვცემს ამ თვითდახმარებისა და თვითგაუმჯობესების პროგრამებს, რომ მივყვეთ, სანამ ყოველ მათგანს არ გამოვცდით. ის ჩვენი ძალისხმევის გამოყენების უფლებას მანამდე მოგვცემს, სანამ ბოლომდე არ მივალთ წრფელ აღიარებამდე: „მე ამას ვერ შევძლებ. არ შემიძლია ჩემი ძალით ვიყო მართალი. ეჰ, რა უბადრუკი ადამიანი ვარ!“ ასეთი გულწრფელობა ჩვენთვის ძალიან რთულია, რადგან ის საკუთარი უუნარობის, წარუმატებლობისა და სისუსტის აღიარებას გვაიძულებს. ჩვენ ამ დასკვნების გაკეთება გვძულს, რადგან ეს ჩვენს სიამაყეს კლავს.

თუმცა, მხოლოდ მაშინ ვპოულობთ იმედს, როდესაც ჩვენს სრულ უძლურებას ვაღიარებთ. როდესაც საბოლოოდ მივმართავთ ღვთის მადლს, უფალი ერევა და იწყებს ისეთი საქმის კეთებას, რომელიც თვითონ არ შეგვეძლო. სანამ სასოწარკვეთილები უმწეობითა და უიმედობით არ შევღაღადებთ ღმერთს, მანამ ვერ ვტკბებით ქრისტეში ნამდვილი გამარჯვებით.

ბრძოლა იწყება

ერთის მხრივ, სიხარულის რეალური მიზეზი ის ფაქტია, რომ ბრძოლა საერთოდ არსებობს. ღმერთს სულიერად რომ არ გავეცოცხლებინეთ, კონფლიქტი არც იარსებებდა. ჩემი სული კვლავ

დანაშაულებებსა და ცოდვებში თუ იქნებოდა მკვდარი, ბოროტ სურვილებთან ბრძოლა არ მექნებოდა. პირდაპირ ჩავყვინთავდი და ხორცის მიხედვით ვიცხოვრებდი. ის ფაქტი, რომ ჩვენ ამ ბრძოლაში აღმოვჩნდით, მტკიცედ ადასტურებს, რომ ნამდვილად ღვთის შვილები ვართ.

და ჩვენ ხელჩართულ ბრძოლაში ვართ. ვის შეუძლია უარყოს, რომ თითოეულ ჩვენგანში სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობს? გალატელთა 5:17-ში პავლე მოციქული გვეუბნება: „ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი - ხორცის საწინააღმდეგო; ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა აკეთოთ არა ის, რაც გსურთ.“

პეტრემ ყველაფერი იცოდა ამ ბრძოლის შესახებ. ერთ დროს ახოვანი მეთევზე იესოს წინაშე იკვეხნიდა, რომ თუნდაც ყველა სხვა მოწაფე გაქცეულიყო, ის არ გაიქცეოდა. მიუხედავად ამისა, გათენებამდე თავისი უფალი სამჯერ უარყო. იესო ყოველთვის მართალს ამბობდა: სული მოშურნეა, ხორცი კი - უძლური.

პეტრეს მსგავსად იმპულსურად ხშირად ვრეაგირებთ ხოლმე, სანამ თავს ხელში არ ავიყვანთ. გვინდა, რომ სწორი ვაკეთოთ, მაგრამ აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ არასწორს ვაკეთებთ. როგორც პავლე წერდა: „ამრიგად, ვპოულობ ამ რჯულს: კეთილის გაკეთება მსურს და ბოროტი მეტმასნება. რადგან შინაგანი კაცის მიხედვით ღვთის რჯულით ვხარობ. მაგრამ ჩემს ასოებში სხვა რჯულს ვხედავ, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ჩემი გონების რჯულს და მხდის ჩემს ასოებში მყოფი ცოდვის რჯულის ტყვედ“ (რომაელთა 7:21-23).

ღმერთის გამარჯვება მანამ არ გვეცოდინება, სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ ჩვენს წევრებში, სულიწმინდასა და ჩვენს ხორცს შორის, კონტროლისთვის ბრძოლა მუდმივად მიმდინარეობს. ჩვენი ხორცი ჯერ არ მომკვდარა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სიცოცხლე ქრისტეს მივუძღვენით და სულის სიკეთეების გასინჯვა და ტკბობა დავიწყეთ, და მიუხედავად იმისა, რომ ხორციელი ბუნება ჩვენი ცხოვრების ტახტიდან ჩამოვიდა, ბრძოლა ჯერ მაინც არ დასრულებულა. ჩვენს მოქცევამდე ხორცი ჩვენს ცხოვრებაზე ბატონობდა და აკონტროლებდა, და სანამ ჩვენი სხეულები გამოსყიდული არ იქნება, ის ბრძოლას არასოდეს დათმობს, რათა თავისი ძალაუფლების ქვეშ დაგვაბრუნოს.

ჩვენი სურვილები არასწორია?

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შეცდომით არ ვიფიქროთ, რომ თავად ჩვენი სხეულის მოთხოვნილებები და მადა ბოროტია. ჩვენი სხეულის სურვილები ღმერთმა შექმნა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად აბსოლუტურად აუცილებელია.

ხორციელ სურვილებს შორის უძლიერესია ჰაერისკენ სწრაფვა. სუნთქვაში ცუდი არაფერია, მაგრამ შესაძლებელია ამ ბუნებრივი ფუნქციის დამახინჯება და მისი კოკაინის შესასუნთქად გამოყენება. ამით ბუნებრივ, ღვთისგან ბოძებულ ფუნქციას არაბუნებრივ დასასრულამდე ვაუკუღმართებთ. ბიბლია ამას „ცოდვას“ უწოდებს.

ჰაერისკენ სწრაფვის შემდეგ მეორე ადგილზეა ჩვენი სხეულის ტენიანობისკენ ლტოლვა. წყურვილში ცუდი არაფერია მანამ, სანამ მის მოკვლას ბარში ჯდომითა და გალეშვამდე სასმელების მუცელში ჩასხმით არ გადავწყვეთ. კვლავაც, ბუნებრივ მოთხოვნილებას ვიღებთ და ღმერთის განზრახულისგან განსხვავებული მიზნებისთვის ვიყენებთ.

ჩვენი შემდეგი ყველაზე ძლიერი ლტოლვა შიმშილია. ჭამაში უღმერთო არაფერია მანამ, სანამ საკვებს ისე არ მივიღებთ, რომ ჩვენს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებს. ზოგადად, საკვებისადმი ჩვენი ბუნებრივი მოთხოვნილების ბოროტად გამოყენებას გაუმაძღრობას ვუკავშირებთ, მაგრამ არანაკლებ

საზიანოა ზოგიერთის აკვიატება, რომ გამხდარი უნდა იყოს. ისინი კალორიების დასათვლელად ცხოვრობენ და სადაც კი შეძლებენ, ყველგან აკვიატებულად ვარჯიშობენ. ესეც ცოდვაა.

სექსუალური მოთხოვნილება ღმერთმა შექმნა არა მხოლოდ გამრავლებისთვის, არამედ როგორც ცოლ-ქმრის ურთიერთსიყვარულის მშვენიერი გამოხატულება. მაგრამ როდესაც ჩვენ ამ მოთხოვნილებას ვიღებთ და სიამოვნების მისაღებ სათამაშოდ გადავაქცევთ, სიყვარული აღარ არის მისი აქცენტი და ის არასწორი ხდება.

ხედავთ, ყველა ეს მშვენიერი, ღვთისგან ბოძებული მისწრაფება, ეგოისტური სარგებლობისთვის როგორ უკუღმართდება და სულის წინააღმდეგ აცხადებს ბრძოლას? სხეულის ყველა ეს მოთხოვნილება ღმერთმა მოგვცა, მაგრამ მას არასოდეს განუზრახავს, რომ რომელიმე მათგანი ჩვენზე გამეფებულიყო. ისინი ცხოვრების აუცილებელი ნაწილია, მაგრამ ღმერთმა ისინი ჩვენს ცხოვრებაზე დომინირებისთვის არ შექმნა.

იესომ თქვა, რომ თუ მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რა ვჭამოთ, რა დავლიოთ ან რა ჩავიცვათ, მაშინ ჩვენსა და წარმართებს შორის განსხვავება არ არის (იხ. მათე 6:31-32). ადამიანი, რომელიც ღმერთს არ იცნობს, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა ვერაფერს აკეთებს, მაგრამ ჩვენ, მორწმუნეებმა ვიცით, რომ სიცოცხლე საჭმელზე მეტია, ხოლო სხეული - ტანსაცმელზე მეტი. ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებები სწორია და თავისი ადგილი აქვს, მაგრამ ღმერთს არასოდეს განუზრახავს, რომ მათ ჩვენზე ებატონათ. მიუხედავად ამისა, ჩვენს დაცემულ მდგომარეობაში სხეულის მოთხოვნილება ცდილობს ჩვენი ცხოვრება მართოს. სწორედ აქ იწყება ბრძოლა.

ოსტატის საბრძოლო გეგმა

ამ დროს ჩნდება კითხვა: მაშ, რა ვუყოთ ხორცს? - ღმერთს აქვს პასუხი და მას „ჯვარს“ უწოდებს.

ნუ ეცდებით ხორცის გამოსყიდვას, სულიერი ხაფანგებით შემოსვას ან მის შეცვლას. ის გამოსყიდვადი არაა, არამედ ჯვარს უნდა ეცვას. პავლემ თქვა: „რადგან ვიცით, რომ მასთან ერთად ჯვარს ეცვა ჩვენი ძველი კაცი [ძველი ბუნება, რომელიც ხორცით ბატონობდა], რათა გაუქმდეს ცოდვის სხეული [დაცე-მული ბუნება, რომელსაც ბატონობა სურს] და აღარ ვიყოთ ცოდვას დამონებულნი“ (რომაელთა 6:6).

ხორცისა და სულის კონფლიქტის მოგვარების ბიბლიური რეცეპტი არა პირადი დისციპლინა ან თვითკონტროლი, არამედ - სულიწმიდის ძალაა.

ჩვენი ამოცანაა, რომ ეს ჭეშმარიტებად ვაღიაროთ. თუ ხორციელი სურვილები ჩვენს ცხოვრებაში ფაქტორს არ წარმოადგენს, მაშინ აღარ დაგვჭირდებოდა ჩაგვეთვალა, რომ ძველი ბუნება ქრისტესთან ერთად მოკვდა. როდესაც ხორციელ მხარეს ვაწყდებით, რომელიც ჯერ კიდევ გვაკონტროლებს, გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ხორცისა და სულის ბრძოლა ჩვენში რჩება. სისუსტის კონკრეტული არე ჯვართან უნდა მივიტანოთ და ჯვარცმულად მივიჩნიოთ.

თუმცა ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია! ხორცისა და სულის კონფლიქტის მოგვარების ბიბლიური რეცეპტი პირადი დისციპლინა ან თვითკონტროლი არაა. ხორცზე ძალაუფლებას მხოლოდ სულით კონტროლირებული ცხოვრებით მოვიპოვებთ. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი მანამ გრძელდება, სანამ ამ სხეულებში ვიცხოვრებთ, ღმერთი სულიერი გამარჯვებისთვის რესურსებს გვაძლევს. როდესაც ღვთის სულს ჩვენს ცხოვრებაში ძლიერი მოქმედებისთვის საკუთარ ნებას გადავცემთ, ჩვენს დაცემული ბუნებაზე გამარჯვებას შევძლებთ.

ჩვენ მიერ განწმენდის ნებისმიერი მცდელობა განისაზღვრება, როგორც ხორციელი ძალისხმევა. როდესაც სასოწარკვეთამდე მისულმა პავლემ წამოიძახა: „უბადრუკი ადამიანი ვარ!“ მას არ უკითხავს:

„რომელი სტრატეგია დამეხმარება, რომ შემდეგ ცდაზე გავუმჯობესდე? რა შემიძლია ვცადო უფრო დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღებად?“ პავლე ამ ყველაფრის ამაოებას კარგად იაზრებდა. მან გააცნობიერა, რომ ღვთიური ცხოვრების ძალა მასში არ იყო და რომ მას მხსნელი სჭირდებოდა და ამიტომ აღმოხდა: „ვინ დამიხსნის?“

როდესაც იესო ჩვენს სულს აღვიძებს, სურვილების ახალ კომპლექტს გვაძლევს. ღმერთთან ინტიმური ურთიერთობის, მისი სიტყვის უფრო ღრმა ცოდნისა და გაგების, და ქრისტე იესოში გაცოცხლებულ ადამიანებთან უფრო მჭიდრო ზიარების სურვილი გვიჩნდება. აღარ გვსურს ხორციელად ვიცხოვროთ, რადგან მივხვდით, რომ ეს იმედგაცრუებითა და სიკვდილით მთავრდება. ხორცისთვის ცხოვრება ყოველთვის მეტს გვთხოვდა, რაღაცის მიღმა ილტვოდა, რაც ბოლოს და ბოლოს გრძელვადიან კმაყოფილებას მოიტანდა, მაგრამ დაპირებული არასდროს შესრულდა.

თუმცა, როდესაც სულის მიხედვით ვცხოვრობთ, ქვეყნიერებისთვის გაუგებარ მშვიდობას ვპოულობთ. გაუთავებელი ბრძოლა და მტკივნეული სიცარიელე გაქრა და მიზნისა და მნიშვნელოვნების შესანიშნავი გრძნობა აღმოვაჩინეთ. ხორცს აღარ აქვს ის მიმზიდველობა, როგორც ადრე და ჩვენს შიგნით მიმდინარე ბრძოლა მოგებულია.

სულიერი გონების თამაშები

მოგვწონს თუ არა და ვაღიარებთ თუ არა, ჩვენში მაინც მოქმედებს ერთგვარი უკუღმართი რჯული, რადგან როდესაც სიკეთეს ვაკეთებთ, ჩვენში ბოროტების თანდასწრებაცაა. პავლე ამ ხშირად შემაძრწუნებელ კონფლიქტს, რომელიც ჩვენი ცხოვრების ნაწილია, ზუსტად აღწერს: „ვინაიდან რას ვაკეთებ, არ ვიცი: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, ვეთანხმები რჯულს, რომ კეთილია იგი. მაშასადამე, მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფება“ (რომაელთა 7:15-17).

განვიხილოთ, როგორ გავუმკლავდეთ წმინდა წერილში ერთ-ერთ უმარტივეს, ყველაზე პირდაპირ ბრძანებას. იესომ იოანეს 13:34-ში თქვა: „ახალ მცნებას გაძლევთ, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ მოგვიანებით იოანე გვეუბნება, რომ თუ ვიტყვით, რომ ღმერთი გვიყვარს, ამ დროს კი ჩვენი ძმა გვძულს, მატყუარა ვართ (1 იოანე 4:20). იოანე ფიქრობს: თუ არ შეგვიძლია გვიყვარდეს ჩვენი მოყვასი, რომელსაც ვხედავთ, როგორ შეგვიძლია გვიყვარდეს ღმერთი, რომელიც არ გვინახავს?

აქ პრობლემას ვაწყდებით: ვინაიდან ბიბლია ადამიანის მიმართ სიძულვილს ასე ნათლად კრძალავს, ზოგჯერ ჩვენ ამ საკითხის შერბილებას ვცდილობთ და ვამბობთ: „კარგი, მე არ მძულს იგი, უბრალოდ ის საზიზღარი რამ მძულს, რასაც ის აკეთებს“. მაგრამ გულწრფელები თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ინდივიდის გამოყოფა მისი ქმედებებისგან ძალიან ძნელია. მე ამის კარგად განსხვავება მიჭირს. აღმოვაჩინე, რომ მხოლოდ ბოროტი ადამიანის საქმე კი არა, თავად პიროვნებაც მძულს. თუ გავიგე, რომ მას რაღაც უსიამოვნო შეემთხვა, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მისი ახალი მანქანა დაიმტვრა, შინაგანად მიხარია. ვიცი, ბიბლია ამბობს, რომ ჩემი დამოკიდებულება განსხვავებული უნდა იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის.

ჩვენ ხშირად გონების თამაშებს ვთამაშობთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად ვემორჩილებით ღმერთს და გვიყვარს ისინი, ვინც ამას არ იმსახურებს. თუ საკმარისად ვეცდებით, თავსაც დავირწმუნებთ, რომ ნამდვილად გვიყვარს და ვპატიობთ. თუმცა ჩვენი რეალური შინაგანი მდგომარეობა ცხადი ხდება, როდესაც ის რთული ადამიანი მოდის, ხელს ზურგზე გვირტყამს და ყველას გასაგონად ხმამაღლა აცხადებს: „ეი, ძმაო, მგონი ამ დილით დეოდორანტისთვის დრო არ გქონდა!“ ჩვენი პირველი რეაქცია: „შე იდიოტო! ახლა ყველა ჩემკენ იყურება. სული რატომ არ ამოგძრება, მათხოვარო!“ ძალიან გვინდა ეს ადამიანი გვიყვარდეს, მაგრამ ჩვენი ხორცი ამის საშუალებას არ გვაძლევს!

პავლეს მსგავსად ვხვდებით, რომ ჩვენში ირონიული რჯული მოქმედებს. როდესაც სიკეთის კეთება გვინდა, ბოროტი გვეტმასნება. საკუთარ თავს იმედს ვუცრუებთ, ჩვენი წარუმატებლობები ყელშია და იმედგაცრუება გვთრგუნავს. სულიერი დამარცხების ღრმა გრძნობა გვეუფლება და პავლესთან ერთად ვღაღადებთ: „უბადრუკი ადამიანი ვარ! ვინ დამიხსნის ამ სიკვდილის სხეულისაგან?“

საამაყო არაფერია

ღვთის დიდებული ძალისთვის კარი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიხსნას, როცა ვაღიარებთ, რომ ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან თავის დახსნა არ შეგვიძლია. ის ჩვენში ამოქმედდება და იმას გააკეთებს, რაც საკუთარი თავისთვის ჩვენ არ შეგვიძლია. როდესაც ღმერთის ძალა შიგნიდან გვცვლის, ჩვენ მხოლოდ მადლიერება და ღმერთის დიდება დაგვრჩენია. ვერავის ვეტყვით: „ცოდვაში ვცხოვრობდი, მაგრამ ერთ დღესაც მტკიცედ გადავწყვიტე, რომ იესოს ეს არ მოსწონდა, ამიტომ ნებისყოფა მოვიკრიბე, დისციპლინას მივმართე და გადავწყვიტე, რომ აღარ შევცოდავდი.“ არ უნდა ვიკვეხნიდეთ, თუ რა მშვენიერი, თავდაჭერილი ხალხი ვართ. როგორც წმინდა წერილი აცხადებს: „მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით“ (გალატელთა 6:14).

ოდესმე შეგხვედრიათ ადამიანები, რომლებიც უფრო სულიერად გამოიყურებოდნენ, ვიდრე სინამდვილეში იყვნენ? ამ სახის არაგულწრფელობა მაშინ გამოაშკარავდება, როდესაც ვინმე სულიერი ბრძოლის შესახებ საუბრობს. თუ ადამიანი ხორცთან ბრძოლას აღიარებს, ეს „სულიერი“ ადამიანები მაშინვე „შენზე მართალი ვარ“, „შენზე წმინდა ვარ“ სახის გამომეტყველებას იღებენ. უსიტყვოდ ამბობენ, რომ ხორცთან ბრძოლა მორწმუნესთვის საშინელი არანორმალურობაა. „რატომ? თუ უბრალოდ მეტს ილოცებდი და სიტყვაში მეტ დროს გაატარებდი და სულიერად მოაზროვნე რომ ყოფილიყავი (ჩვენსავით), შენს ხორცთან არანაირი პრობლემა არ გექნებოდა.“

მიუხედავად იმისა, რომ ზესულიერი პერფექციონიზმის ასეთი დამოკიდებულებები ძალიან ხშირია, ისინი არ შეესაბამება წმინდა წერილის მკაფიო სწავლებას. არ მჯერა, რომ ოდესმე ისე ვიცხოვრებთ ამ დედამიწაზე, რომ პრობლემა არ გვექნება ჩვენს ხორციელ სხეულებთან. დიდი ხნის გამოცდილებით ვიცი, რომ ჩემი ხორცი ისეთივე პრობლემური შეიძლება იყოს, როგორც ყოველთვის.

როდესაც ღმერთი ხორცის იმ ნაწილს მაჩვენებს, რომლის შეცვლაც სურს, მე, მაგალითად, ყოველთვის საუკეთესო განზრახვებით ვიწყებ: ჩემი ცოდვის სიმახინჯეს ვხედავ და ვიფიცები, რომ ასე აღარასოდეს დავეცემი. ასე რომ, პრობლემის მოსაგვარებლად სხვადასხვა დისციპლინასა და სტრატეგიას შევიმუშავებ ხოლმე და ყველა სახის რჩევას ვეძებ, თუ როგორ გავუმკლავდე სიტუაციას. მაგრამ ადრე თუ გვიან, ვუყურებ, როგორ იშლება ჩემი ყველა საუკეთესო გეგმა. ისეთი იმედგაცრუებული ვარ, რომ ვყვირი: „ღმერთო, მიშველე!“ და შემდეგ, ჩემდა გასაოცრად, ის მეხმარება. მისი სული სასწაულებრივად იწყებს ჩემი ცხოვრების შეცვლას.

როდესაც მადლიერებით ვივსები, ვხედავ, ღვთისმიერი ცვლილება რაოდენ საოცარი და უბრალოა და ამავე დროს, ბევრად უკეთესი, ვიდრე ჩემი უსარგებლო ძალისხმევა. თავს ვაქნევ და ვამბობ: „როდის გავიგებ მადლის ამ მარტივ კონცეფციას?“ როგორ გავბედე და წარმოვიდგინე ის, რომ ოდესღაც რაიმე ღირებულის გაკეთება და ამით ღმერთისთვის იმის დამტკიცება შემეძლო, რომ მთლად უბადრუკი არ ვარ? თუმცა წარმოვიდგინე.

ღმერთს არასოდეს განუზრახავს, რომ ხორცი ჩვენზე გაბატონებულიყო, ამიტომ გამარჯვებისთვის საჭირო რესურსები და ძალა მოგვცა. მაგრამ სანამ საკუთარი ბრძოლებით გვინდა გამარჯვება, ჩვენი საუკეთესო ძალისხმევაც კი გზას გვიღობავს. ღვთისმოსაობის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც ჩვენივე ძალებიდან გამომდინარეობს, ხორცის საქმეა და ღვთის თვალში ისეთივე საზიზღარია, როგორც ის,

რისგან თავშეკავებასაც ვცდილობთ. როდესაც ჩვენი გამარჯვება მხოლოდ ღმერთის ჩარევით, ჩვენი საკუთარი რესურსებისგან დამოუკიდებლად მოდის, საბოლოო შედეგი უფლის ქება და განდიდებაა.

თავიდან აიცილე ხაფანგი

იმ წუთებში, როდესაც უფალთან სიახლოვეს ვგრძნობთ, შემდეგი აზრი გვაცდუნებს ხოლმე: „რა მშვენიერია! ხორციელად აღარასოდეს ვიცხოვრებ, ეს ხომ ასეთი ამაო და არაფრის მომცემია!“ სამწუხაროდ, ხვალინდელი დღე თენდება და ჩვენი კეთილი ზრახვებიც გვავიწყდება. როდესაც გრძელი და იმედგაცრუებული დღის ბოლოს საწოლში ვწვებით, უცებ ვიაზრებთ, რომ ჩვენი საუკეთესო ძალისხმევის მიუხედავად, წავედით, გასაკეთებელი გავაკეთეთ და ხორცმა გაგვაკონტროლა. ჩვენდა გასაკვირად, ჩვენმა ხორცმა ხელში კიდევ ერთხელ ჩაიგდო სადავეები და აღმოვაჩინეთ, რომ ვაკეთებდით იმას, რაზეც პირობა დავდეთ, რომ აღარასოდეს გავაკეთებდით.

სწორედ ამ მომენტში ვუშვებთ ხოლმე უდიდეს შეცდომას. საკუთარი თავის დადანაშაულებასა და გმობას ვიწყებთ და ვფიცავთ, რომ შემდეგ ჯერზე უფრო ძლეირ ვეცდებით. ხედავთ პრობლემას? ასეთი დაპირებების დროს თვითდაჯერებულობის ინვესტიციას საკუთარ ხორცში ვდებთ. ვამბობთ, რომ ჩვენი ძალისხმევა სულიერად გაგვაძლიერებს, თუმცა ისევ ხორცის ბატონობის ქვეშ აღმოვჩნდით და პეტრესავით ვამბობთ: „არასოდეს უარგყოფ!“

როდესაც გვეჩვენება, რომ განუწყვეტლივ ერთსა და იმავე ბრძოლას ვაწარმოებთ, ბევრ ჩვენგანს იმედი უცრუვდება. თუმცა არ უნდა გაგვიკვირდეს. საფეხურების პროგნოზირებად რიგს ყველა ჩვენგანი გადის. ჯერ ჩვენი თოკის ბოლოში უნდა მივიდეთ და გავაცნობიეროთ, რომ ღმერთის მოსაწონად ცხოვრება საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია. ღმერთს სასოწარკვეთილნი მივმართავთ და ის თავის მადლიან ხსნას მოგვივლენს. მინდა ვიფიქრო, რომ არის რაღაც გზა, რომლითაც შეიძლება ასე რეგულარულად არ მიწევდეს დაცემა, მაგრამ სამწუხაროდ, მე ის ჯერ ვერ აღმოვაჩინე.

შიგნიდან გარეთ

ღმერთმა თავისი მადლით შესაძლებელი გახადა მდგრადი გამარჯვებით ტკბობა. და მაინც, სამოთხის ამ მხარეს ბრძოლა არასოდეს მთავრდება. ყოველი დღე წარმოადგენს არჩევანს, რომელიც თითოეულმა უნდა გააკეთოს. ვიცხოვრებთ ხორციელი სურვილებისთვის, თუ ჩვენს სიცოცხლეს ღვთის სულის გარდაქმნის ძალას მივუძღვნით?

რა დიდებული სანახავია, როდესაც ჩვენი რესურსები იწურება და ღმერთი ჩვენს ცხოვრებას თავისი მადლით ცვლის! ჩვენი, როგორც მორწმუნეების, ერთადერთი სიამაყე ის არის, რაც იესო ქრისტემ ჩვენთვის აღასრულა. რომ არა ჯვარი, სამუდამოდ დავიკარგებოდით უიმედობაში, მაგრამ ღვთის დიდი სიყვარულის გამო, ჩვენ - ადრე დაკარგულნი, გადაგვარჩინეს და ქრისტეში მოგვნათლეს.

ჩვენ ახლა ღმერთთან ისეთი მშვენიერი ურთიერთობა შეგვიძლია გვქონდეს, რომელშიც ჩვენ კი აღარ ვცოცხლობთ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩვენში, და თუ ახლა ვცხოვრობთ, ღვთის ძის რწმენით ვცოცხლობთ, რომელმაც შეგვიყვარა და თავი გადასცა ჩვენთვის. ღვთის მადლის გამო, თითოეული ჩვენგანი ახლა ახალი ქმნილებაა ქრისტე იესოში. ძველმა განვლო; ახლა ყოველივე ახალია.

როდესაც ღვთის შვილები ვხდებით, ჩვენი სულიერი მხარე ცოცხლდება. უცებ ვხვდებით, რომ სიცოცხლე იმაზე მეტია, ვიდრე ხორციელი ინსტინქტების მორჩილება. ვიაზრებთ, რომ შინაგანი შიმშილი, რომელიც ხორცმა ვერ დააკმაყოფილა, ღმერთთან სიყვარულით ურთიერთობისას შეიძლება შეივსოს. რაც უფრო მეტად ვიცნობთ ღმერთს, მით უფრო მეტად განვიცდით მის მშვიდობასა და სიხარულს და აღმოვაჩენთ, რომ კმაყოფილების დონე, რომელსაც სულში ვხვდებით, ხორციელ ვიწრო სპექტრს უსაზღვროდ სცილდება.

რა მშვენიერია, როდესაც საკუთარ უშედეგო ძალისხმევას თავს ვანებებთ და სულს მოქმედების საშუალებას ვაძლევთ! რადგან მისი გამარჯვება მკვიდრდება შიგნიდან გარეთ და არა - გარედან შიგნით. და სწორედ ასეთი გამარჯვებაა მუდმივი.

9. ნამდვილად თავისუფალი!

მსოფლიოში ისე არავინაა თავისუფალი, როგორც იესო ქრისტეს მორწმუნე. როგორც პავლემ გალატელთა 5:1-ში თქვა: „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს.“

თავისუფლება ნიშნავს თავისუფალი მორალური მოქმედების მდგომარეობას - ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. რადგან მორწმუნეები მართლაც თავისუფლები არიან, არასწორია ამ ტერმინის ცოდვილის აღსაწერად გამოყენება. ცოდვილს მხოლოდ ერთი რეალური არჩევანი აქვს - ირწმუნოს თუ არა იესო. ის თავისი ხორცის ისეთ მონობაშია, რომ ვერ შეწყვეტს იმას, რასაც აკეთებს.

დღეს ბევრი ადამიანი აკეთებს ბოროტებას ისე, რომ არ იცის რატომ აკეთებს ამას. ისინი ამბობენ: "მეზიზღება, არ მინდა ამის გაკეთება, არ მესმის, რატომ ვაკეთებ ამას. მძულს ჩემი თავი ამის გამო, მაგრამ მაინც ვაკეთებ." ისინი შეკრულნი და დატყვევებულნი არიან ძალით - სატანის ძალაუფლებით.

სანამ ქრისტესთან მოვიდოდით, ყველანი რისხვის შვილები ვიყავით და მთელი ჩვენი ცხოვრების წესი ხორცისა და გონების სურვილების ასრულება იყო (იხ. ეფესელთა 2:3). ჩვენი ერთადერთი არჩევანი ის იყო, თუ მონობის რომელ გზას დავადგებოდით. თავისუფალი მორალის წარმომადგენლები არ ვიყავით, რადგან ცოდვისგან თავის დაღწევის შესაძლებლობა არ გვქონდა. უღმერთობის ერთი ფორმა შეიძლება მეორეში გაგვეცვალა, მაგრამ სამართლიანად ცხოვრება არ შეგვეძლო. ასეთ საშინელ მდგომარეობაში თავისუფლება არ არსებობს.

თავისუფლების შესანარჩუნებლად იგი არ უნდა გამოვიყენოთ არც ერთ სფეროში, რომელიც მონობის ქვეშ დაგვაბრუნებს.

ეს იმ დიდებული თავისუფლების კონტრასტულია, რომელიც ქრისტე იესოში მოგვეცა! ღვთის სიყვარულისა და პატიების მიღებამ ხორცის ბატონობისაგან გაგვათავისუფლა. ხორციელი სურვილების მონები აღარ უნდა ვიყოთ. ცოდვის მიტოვების უნარი მოგვენიჭა და ახლა შეგვიძლია ღვთის მსახურებასა და თაყვანისცემას შევუდგეთ. განვთავისუფლდით სიბნელის ჯაჭვებისგან, რომლებიც მონობაში გვამყოფებდა. იმისათვის, რომ ღმერთმა მიგვიღოს, რჯულის სტანდარტების მიხედვით უნდა გვეცხოვრა, მაგრამ ამისგან იესო ქრისტესადმი რწმენითა და მინდობით გავთავისუფლდით. როგორც ღვთის შვილები, თავისუფლებას ისე ვგრძნობთ, როგორც არასდროს.

ქრისტეში თავისუფალნი ვართ და ამ თავისუფლების მოცულობა იმდენად დიდია, რომ პავლეს შეეძლო ეთქვა: „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის“ (1 კორინთელთა 10:23). მსოფლიოს არც ერთ ფილოსოფიაში არ არსებობს უფრო ფართო ეთიკა. ფაქტობრივად, ადამიანი, რომელსაც შეუძლია თქვას, რომ მისთვის ყველაფერი ნებადართულია, ყველაზე თავისუფალი ადამიანია, ვისაც ოდესმე უცხოვრია.

მაგრამ პავლე ასევე ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, "ყველაფერი სასარგებლო როდია" (1 კორინთელთა 10:23). ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თავისუფლების სფეროები, რომლებისკენ ლტოლვაც საფრთხეს არ შეუქმნის ჩვენს ხსნას, ისინი ღმერთთან სიარულში ჩვენს წინსვლას მაინც შეაფერხებენ. ისეთ სფეროებს უნდა მოვერიდოთ, რომლებიც ღვთისადმი უბრალო, მთელი გულით მიძღვნაში ხელს შეგვიშლის. თუ გვინდა

თავისუფლები დავრჩეთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ეს თავისუფლება არ ვაპრაქტიკოთ იმ სფეროში, რომელიც მონობაში დაგვაბრუნებს.

ცუდად გამოყენებული თავისუფლება

ბევრჯერ ადამიანებს არასწორად ესმით ქრისტიანული თავისუფლება და ფიქრობენ, რომ ქრისტეში თავისუფლება ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ თავისუფლად ჩაიდინონ ნებისმიერი სახის ცოდვა. ისინი თავიანთ თავისუფლებას ხორცისთვის საბაბის მისაცემად იყენებენ. ეს სრულიად აუკუღმართებს იმას, რასაც წმინდა წერილი გვასწავლის ქრისტიანული თავისუფლების შესახებ. ჩვენი თავისუფლება არასოდესაა ცოდვის თავისუფლად ჩადენის თავისუფლება; ის არასოდეს გვაძლევს ცოდვის ჩადენის ლიცენზიას.

დიდებული თავისუფლება, რომლისთვისაც ქრისტე იესოში ვართ მოწოდებულნი, უპირველეს ყოვლისა, არის თავისუფლება ხორცისგან და ჩვენზე მისი ადრინდელი ბატონობისგან. რომაელების მე-6 თავში პავლე გვეუბნება, რომ ქრისტეს თავისუფლება არის ღმერთის მსახურებისა და თაყვანისცემის თავისუფლება. თავისუფალნი ვართ და ადრინდელივით ცოდვაში გარყვნილი ცხოვრებით აღარ ვცხოვრობთ.

ედემში ადამს უზარმაზარი თავისუფლება ჰქონდა. ბაღის ნებისმიერი ხისგან შეეძლო ეჭამა, გარდა სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხისა. ღმერთმა თავიდანვე იცოდა, რომ ადამი არ დაემორჩილებოდა მის ბრძანებას, აკრძალული ხისგან შეჭამდა და ამით ცოდვასა და უბედურებას მოიტანდა სამყაროში. მიუხედავად ამისა, ღმერთმა ადამს ნაყოფის ჭამაში ფიზიკურად ხელი არ შეუშალა. ადამმა თავისუფლება არასწორად გამოიყენა და დღეს მისი არჩევანის კატასტროფულ შედეგებს ვიმკით. ცოდვა სამყაროში ერთი ადამიანის მიერ თავისუფლების არასწორი გამოყენების შედეგად შემოვიდა.

ანალოგიურად, შეგვიძლია ავირჩიოთ, რომ ქრისტეში ჩვენი თავისუფლება არასწორად გამოვიყენოთ. შესაძლებელია ეს დიდებული თავისუფლება ისე გამოვიყენოთ, რომ ისევ მონობაში აღმოვჩნდეთ. ყველას გვსმენია ადამიანთა ასეთი საუბარი: "მე, როგორც ქრისტიანი, თავისუფალი ვარ. ასე რომ, ჩემი ხორციელი გულის წადილის დაკმაყოფილებას ვაპირებ, რადგან ამის თავისუფლება მაქვს." უნდა გვახსოვდეს, რომ იმის თავისუფლებაც გვაქვს, რომ ცოდვა არ ჩავიდინოთ. არასოდეს არ უნდა გამოვიყენოთ თავისუფლება, როგორც ხორცის მორჩილების საბაბი. ებრაელთა 12:1-2 გვეუბნება, რომ „ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი, და ვუმზიროთ რწმენის წინამძღოლსა და სრულმყოფელ იესოს".

თავისუფლება, რომ ემსახურო

ნათელია, თუ ქრისტეში მოპოვებული თავისუფლება როგორ არ უნდა გამოვიყენოთ. რეალური კითხვაა, თუ როგორ გამოვიყენოთ იგი? როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენი თავისუფლება ისე, რომ პატივი მივაგოთ ღმერთს და მადლი გაიზარდოს? პავლეს პასუხი ჰქონდა გალატელთა 5:13-ში. მან თქვა, რომ თავისუფლება ერთმანეთის სიყვარულით მსახურებისთვის უნდა გამოვიყენოთ: „ხოლო თქვენ, ძმებო, თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს.“ წმინდა წერილი მუდმივად გვახსენებს იმ მაღალ ფასეულობას, რომელსაც ღმერთი თავმდაბალ მსახურებს ანიჭებს.

ბიბლია მუდმივად გვახსენებს, რომ თუ გვინდა ღვთის სამეფოში მართლაც დიდებულნი ვიყოთ, უნდა ვიმსახუროთ. იესომ ამაღლებამდე ბრწყინვალე განაცხადი გააკეთა, რასაც ჩვენ "დიად დავალებას" ვუწოდებთ. მან თქვა: „მოცემული მაქვს მთელი ხელმწიფება ზეცაში და დედამიწაზე.“ (მათე 28:18).

წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა ძალაუფლება უნდა იყოს? სამყაროს მთელი ხელმწიფება მას მიეცა. იგივე ძალა, რომელმაც ვარსკვლავების ცეცხლი აანთო და ყველა ატომს ერთად აკავებს, იესოს ეკუთვნის.

და რა გააკეთა მან ამ ძალაუფლებით? სამყარო შეარყია? რამდენიმე ახალი გალაქტიკა შექმნა? არა. იესომ სამოსელი გაიხადა, შემოიხვია როგორც მსახურმა და მოწაფეებს ფეხები დაბანა. მას შემდეგ, რაც მან ბოლო ჭუჭყიანი კოჭები და ფეხის თითები დაბანა, ჰკითხა თავის მოწაფეებს: "იცით, რა გავაკეთე? მაგალითი მოგეცით. თუ მე, თქვენი უფალი, გემსახურებით, მაშინ თქვენც ასევე უნდა ემსახუროთ ერთმანეთს“ (იხ. იოანე 13:12-14).

რა მოხდება, თუ ახლა შეგეძლოთ გეთქვა: „სამყაროს მთელი ძალაუფლება ჩემია“? რას გააკეთებდი ამ ძალაუფლებით? იესომ აიღო პირსახოცი და წყალი და თავის მოწაფეებს ბინძური ფეხები დაბანა. სამყაროს მთელი ძალაუფლება მისი იყო და რა გააკეთა ამით? - მოწაფეებს ფეხები დაბანა.

ძალიან ცოტანი არიან ჩვენ შორის ისეთები, ვისაც სხვისი მომსახურება სურს. ამის ნაცვლად, ჩვენ ბრძანებების გაცემა და ლოდინი გვიყვარს. "წადი, წყალი მომიტანე!"; "ეს ინსტრუმენტი მომეცი"; "საჭიროა, რომ წახვიდე". როგორ გვიყვარს ბრძანებების გაცემა და როგორ გვეშლება ნერვები, როდესაც ბრძანებები არ სრულდება! გვტკივა, ვღელავთ. მმართველი კლასის ნაწილად ყოფნა სასიამოვნოა... მაგრამ ღვთის უდიდესი კურთხევები იქ არ არის. იმისთვის როდი გაგვათავისუფლეს, რომ სხვებს მითითებები ვაძლიოთ, არამედ რომ სიყვარულით ვემსახუროთ ერთმანეთს.

ეჭვგარეშეა, რომ ამ კურთხევას ჩვენს გულებში ღვთის სულის მოქმედება სჭირდება. ჩემი ხორცი, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ სხვას სიყვარულით ვემსახურო. ხშირად უბრალო თხოვნაზეც კი ჩემი რეაქცია ასეთია: "წყალი თუ გინდა, შენ თვითონ მოიტანე. შენი მონა კი არ ვარ?!" ჩემს ხორცს უყვარს როდესაც ემსახურებიან. მოუთმენლად ელის, როდის მოემსახურებიან, მაგრამ მე ხომ ჩემი ხორცის მონობისაგან გავთავისუფლდი და ახლა შემიძლია სხვებს სიყვარულით ვემსახურო. რა სასიამოვნოა, როდესაც სიყვარულით ემსახურები! მთელი რჯული თავმოყრილია ერთ მცნებაში: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათე 22:39).

თავისუფლება სიყვარულისთვის

ბუდამ იესომდე ორასი წლით ადრე თქვა: „ნუ გაუკეთებთ სხვას იმას, რაც არ გინდა, რომ თქვენ გაგიკეთონ“. გაითვალისწინეთ, რომ მან ეს უარყოფით ფორმაში დააყენა. თუ არ გინდა, რომ ვინმემ ცხვირი გაგიტეხოს, მაშინ ნუ დაარტყავ ცხვირში. ეს უარყოფითი ფორმის ბრძანებაა.

ოქროს წესი არა უბრალოდ შეცდომების თავიდან აცილებაა, არამედ სიყვარულის პრაქტიკული გზებით გამოხატვის აქტიურად ძიება.

დღეს გარშემო უამრავი ადამიანია, ვისაც ბუდას რჩევა ოქროს წესში ერევა. მათ სჯერათ, რომ მართალნი არიან იმის გამო, რომ ცუდს არ აკეთებენ. შეიძლება თქვან: ”ჰო, მე არავის ვავნებ, არასოდეს არავინ მომიკლავს და არ ვმრუშობ”. მათი ცხოვრება ნეგატივს ისე ეფუძნება, რომ ისინი ფაქტობრივად „უპასუხისმგებლოები“ ხდებიან.

მაგრამ დააკვირდით, იესომ ეს ეთიკა მკაფიო პოზიტივად ჩამოაყალიბა. მან თქვა: „და როგორც გინდათ, რომ ადამიანები გექცეოდნენ, თქვენც ასევე მოექეცით მათ“ (ლუკა 6:31). როგორც მე მინდა, რომ მემსახურონ, ისევე უნდა ვემსახურო. როგორც მე მინდა, რომ ვუყვარდე, ასევე უნდა მიყვარდეს. როგორც მსურს, რომ საჩუქრებს ვიღებდე, ისევე უნდა გავცემდე.

გვიყვარდეს მოყასი, როგორც საკუთარი თავი, ნიშნავს ინიციატივის აღებას, რომ სხვებს შემოქმედებითად, აქტიურად და მხიარულად მოვემსახუროთ. ოქროს წესი არ გახლავთ მხოლოდ

შეცდომების თავიდან არიდება, არამედ ჩვენი სიყვარულის გამოხატვის პრაქტიკული გზების აქტიური ძიება.

იესო ამბობს, რომ ჩვენ ვასრულებთ კანონს ჯერ იმით, რომ გვიყვარს ღმერთი, შემდეგ გვიყვარს სხვები და ისე ვექცევით, როგორც ჩვენ გვინდა, რომ მოგვექცნენ. გვსურს, რომ სხვებმა კარგად ისაუბრონ ჩვენზე, ამიტომ ჩვენ მათზე უნდა ვილაპარაკოთ კარგად. ჩვენ გვსურს, რომ გვაპატიონ შეცდომები, ამიტომ მათ მიმართ იგივე კეთილგანწყობა უნდა გამოვიჩინოთ.

ეკლესიური კანიბალიზმი

რატომ ხდება, რომ როდესაც ვინმე ჩვენზე რაღაც უსიამოვნოს ამბობს, ხშირად ჩვენი პირველი რეაქცია მისთვის ხმის ჩაწყვეტინებაა? რამდენიმე შენიშვნა წამოგვცდება ხოლმე იმის შესახებ, რომ ჩვენი კრიტიკოსები ისეთი წმინდანები არ არიან, როგორადაც თავს აჩვენებენ: „დიახ, მე მხოლოდ სიმართლის თქმა მიყვარს და ამ ადამიანზე მინდა გითხრათ...“ შემდეგ, როდესაც ისინი ამას გაიგებენ, ზურგს უკან საუბრისა და მტრობის გაუთავებელი ციკლის კიდევ ერთი რაუნდი იწყება.

მეორეს მხრივ, თუ გავიგებ, რომ ვიღაცას ნამდვილად მოვწონვარ და ჩემზე კარგს ლაპარაკობს, ვამბობ: "ის, რა თქმა უნდა, ხასიათის შესანიშნავი მსაჯულია. ის ხომ უბრალოდ საოცარი ადამიანია."

ადრე, როდესაც ვინმე სხვის გამოლანძღვას და მათ შესახებ ნაგვით სავსე ტვირთს ჩემთან დაცლიდა, ვეტყოდი ხოლმე: "ჰმ, ძალიან საინტერესოა. ვფიქრობ, არ იცოდი, რომ ის ბიძაჩემია, ჰო?" და მათი რეაქციის ყურებით ვერთობოდი.

პავლემ გაგვაფრთხილა: „მაგრამ თუ კბენთ და ჭამთ ერთმანეთს, ფრთხილად იყავით, ერთმანეთი არ მოსპოთ“ (გალატელთა 5:15). თუ აღმოვაჩენთ, რომ ერთმანეთს ვკბენთ და ვჭამთ (გულის დამჭრელი, დამანგრეველი, თუნდაც სარკასტული სიტყვებით), სიყვარულის საპირისპიროდ მივდივართ. სამწუხაროდ, ერთგვარი ინტერპერსონალური და ურთიერთობითი კანიბალიზმი იწყება. აღმოვაჩენთ, რომ გამანადგურებელი უზნეობის წრეში ვართ დატყვევებული. ვითარდება ეჭვიანობა, სიმწარე და მოუთმენლობა და მალე აღმოჩნდება, რომ ეკლესია თავის თავს ჭამს. ერთი მეორის მიყოლებით ვნადგურდებით.

ერთხელ ინგლისში ერთი კაცის ისტორია წავიკითხე, რომელმაც მოჩხუბარე მამლების განსაკუთრებით ავი ჯიში წარმატებით გამოიყვანა. მისი მამლები ორმოში თითქმის დაუმარცხებელნი იყვნენ და ეს კაცი დიდად ამაყობდა იმ ღირებულებითა და რეპუტაციით, რომელიც თავისი ძალისხმევის შედეგად მოიპოვა. ყოველ დილით გამოდიოდა და თავისი მებრძოლი ფრინველების შესახებ აღფრთოვანებით საუბროდა.

ერთ დღეს თავისი მამლების შესამოწმებლად გამოვიდა და საშინელი სურათი დახვდა. საქათმე ბუმბულით, სისხლითა და გვამებით სავსე იპოვა. მისი ძვირფასი შემოსავალი ძირს ნაჭრებად ეყარა. სასწრაფოდ დაურეკა ერთ-ერთ დაქირავებულს და დასჭექა: "ასეთი აგრესიული არსებები ერთ საქათმეში რომელმა სულელმა შეყარა?" - მსახურმა თვინიერად უპასუხა: „მე, ბატონო“. - "და ასეთი სისულელე რატომ გააკეთე?" - იკითხა დამქირავებელმა. პასუხად მიიღო: "მეგონა, რომ ამდენი ხნის მერე ყველა მათგანს ეცოდინებოდა, რომ ერთ მხარეს იბრძვიან." მაგრამ, რა თქმა უნდა, ფრინველები ძალზედ სულელები იყვნენ საიმისოდ, რომ ნამდვილი მტერი ამოეცნოთ.

სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როდესაც ეკლესიაში ასეთივე დაბალ ინტელექტის დონეს ვიჩენთ. ხშირად გვავიწყდება ვინ არის ჩვენი ნამდვილი მტერი. მტერი არ არის ბაპტისტების ან პრესვიტარიანელთა ჯგუფი. ნამდვილი მტერი სიბნელის ძალაა, რომელიც ადამიანებს ტყუილისა და ცოდვის მონობაში ამყოფებს. თავი უნდა დავანებოთ დამღუპველ მეტოქეობას და ღვთის სამეფოს

საერთო კეთილდღეობისთვის ერთად შრომა უნდა დავიწყოთ. რადგან თუ ერთმანეთს ვკბენთ და ვჭამთ, ერთმანეთის მოსპობას ვაპირებთ. ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიას სისხლიანსა და გატეხილს ვიპოვით და მსოფლიო იტყვის: "ესეც შენი ქრისტიანობა!"

რა ტრაგიკულია, რომ ეკლესიის ისტორიის უდიდესი ნაწილი სწორედ ერთმანეთის განადგურებასა და შთანთქმას მოიცავს. ზედმეტად ვართ მიდრეკილი უსამართლო იარლიყების მიწებებისკენ და სხვა კრებულების ლანძღვისკენ. ღვთის სასუფევლის წინსვლისთვის კი არაფერია უფრო კონტრპროდუქტიული.

როგორც ქრისტეში თავისუფალმა მამაკაცებმა და ქალებმა, სულით უნდა ვიაროთ - სიყვარულის, მიტევებისა და სიკეთის სულით. უფალს უნდა შევხედოთ მისი მადლისა და ძალაუფლებისთვის. ეს არჩევითი არაა. სხვაგან სად ვიპოვით ძალას, რომ გავექცეთ ამ დამანგრეველ ტალღას და იმაზე ვკონცენტრირდეთ, რაც სხვებში კარგი და საქებარია, თუნდაც მათში, ვისაც არ ვეთანხმებით?

თავისუფლების პასუხისმგებლობა

თავისუფლებას დიდი პასუხისმგებლობა ახლავს. ყოველთვის. ერთხელ ვიღაცამ თქვა: თავისუფლების ფასი მარადიული სიფხიზლეა. თავისუფლების შესანარჩუნებლად ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან მისი დაკარგვა ძალიან ადვილია.

ნუ შეცდებით და ხორცის დასაკმაყოფილებლად თავისუფლებას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. დიახ, ქრისტეში თავისუფალნი ვართ იმის საკეთებლად, რაც გვინდა. და დიახ, შესაძლოა ღმერთმა რაიმე საეჭვო ქმედების გამო თქვენი სული ჯოჯოხეთს არ გადასცეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს ჰკითხეთ: ეს განელებთ? ეს თქვენი მიზნისკენ წინსვლას აფერხებს?

ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი და სურვილი, რომელიც ქრისტეში ვიპოვე, მასშივე აღსრულდება. პავლემ თქვა: „განა არ იცით, რომ ასპარეზზე ყველანი გარბიან, მაგრამ მხოლოდ ერთი იღებს ჯილდოს? მაშ, ირბინეთ ისე, რომ ჯილდო მოიპოვოთ“ (1 კორინთელთა 9:24). განზრახული მაქვს, რომ „ვილტვოდე მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში“ (ფილიპელთა 3:14). „ამიტომ ჩვენც ... ჩამოვიცილოთ ყოველგვარი ტვირთი და დამაბრკოლებელი ცოდვა, და მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი, და ვუმზიროთ რწმენის წინამძღოლსა და სრულმყოფელ იესოს“ (ებრაელთა 12:1-2).

არ მინდა, რაიმემ შემანელოს. არ მინდა, ჩემი წინსვლა რაიმემ შეაფერხოს. ვინმემ შეიძლება მითხრას, "მაგრამ ჩაკ, ამაში ცუდი არაფერია. ქრისტიანს შეუძლია ამის გაკეთება." რა თქმა უნდა, მას შეუძლია ეს აკეთოს, მაგრამ ასევე შეუძლია ამით შეფერხდეს მისი მიზნისკენ წინსვლა! " ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია" (1 კორინთელთა 6:12). ზოგიერთი ნებადართული რამ მანადგურებს და ზიანს აყენებს იესოსთან ჩემს ურთიერთობას. "ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები“ (1 კორინთელთა 6:12).

თუ მინდა თავისუფალი დავრჩე, ფრთხილად უნდა ვიყო, რომ არ ჩემი თავისუფლებით ისეთ არაფერს გამოვეკიდო, რამაც შეიძლება თავისი ძალაუფლების ქვეშ დამატყვევოს. მას შემდეგ რაც მისი ძალა დამატყვევებს, თავისუფლებას ვკარგავ. თუ მსურს ჩემი თავისუფლება გამოვიყენო ისეთ რამეში, რაც მეუფლება და არ მიშვებს, მაშინ თავისუფალი აღარ ვარ. უგუნურად გამოვიყენე ჩემი თავისუფლება და თავი ისევ მონობაში ჩავიგდე. ასე არ უნდა ვცხოვრობდეთ.

მადლობა ღმერთს, რომ ქრისტეში თავისუფლება მოგვეცა! მადლობა ღმერთს, რომ ამ თავისუფლების შესანარჩუნებლად ყველა რესურსი მოგვცა! უბრალო სიტყვები ვერ გამოხატავს იმას, თუ რას ნიშნავს იყო ჭეშმარიტად თავისუფალი.

დაე, უფალი დაგვეხმაროს, რომ თავისუფლად გვიყვარდეს, თავისუფლად ვემსახუროთ და თავისუფლად ვაკეთოთ ერთმანეთისთვის საუკეთესო სარგებლის მომტანი საქმეები. რადგან საბოლოოდ ასე შევძლებთ შეუდარებელი სიამოვნების სრულად განცდას, რაც მხოლოდ ღვთის დიდებული მადლის თავისუფლებაშია.

10. არ გაველურდებიან?

ბევრ ადამიანს აქვს დიდი და უსაფუძვლო შიში იმისა, რომ ღვთის მადლი ცოდვილ ცხოვრებამდე მიგვიყვანს. ისინი შიშობენ, რომ თუ მორწმუნეები მიხვდებიან, რომ ღმერთი მათ საქმეებით კი არ განსჯის, არამედ ქრისტეს რწმენით, გაველურდებიან. "ერთი წუთით, ჩაკ! შენ კარი ასე გააღე და ახლა ხალხი ყველა სახის ბოროტებასა თუ საშინელებას ჩაიდენს და თავს იმით გაიმართლებს, რომ უფლის მადლი ფარავს ყველაფერს."

ეს არგუმენტი ახალი არაა. პავლეს მიერ წარმართთა შორის მადლის სახარების ქადაგებამ იუდეველთა მყისიერი პროტესტი გამოიწვია. მათ ეგონათ, რომ ასეთი თავისუფლებით წარმართები გაგიჟდებოდნენ. პეტრეც ხედავდა პავლეს სახარების არასწორი ინტერპრეტაციის საშიშროებას და თავის ეპისტოლეში თქვა: „როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ, პავლემაც, მოგწერათ მისთვის მინიჭებული სიბრძნით; ამის შესახებ ლაპარაკობს იგი ყველა წერილში, რომლებშიც ზოგი რამ ისეთი რთული გასაგებია, რომ უმეცარნი და არამყარნი, სხვა წერილების მსგავსად, საკუთარი თავის დასაღუპად ამახინჯებენ“ (2 პეტრე 3:15-16).

სამწუხაროდ, ყოველთვის იყვნენ ისეთები, ვინც საკუთარი თავის დასაღუპავად ღვთის სიტყვას კონტექსტიდან გლეჯდნენ. ისინი პავლეს სახარებას მასობრივი არეულობების გამომწვევი ცოდვილი ცხოვრების გამართლებისთვის იყენებენ, მაგრამ სახარების ასე განმარტება, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება!

მკვდარი ხარ!

რომაელთა მე-5 თავში პავლე მადლის მეშვეობით ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას ძლიერი, დიდებული სიტყვებით აყალიბებს. მე-20 მუხლში ის ამბობს: „როცა ცოდვა გამრავლდა, მადლმაც გადააჭარბა“. მომდევნო თავის პირველ მუხლში ის ზოგიერთი ადამიანის სათქმელს ამბობს: "მაშ, მოდით და ბევრი ცოდვა ჩავიდინოთ, რათა მადლი კიდევ უფრო გამრავლდეს. ღვთის უხვი მადლი შესანიშნავია. მოდით მივცეთ მას კიდევ უფრო გამრავლების შესაძლებლობა." პავლე, ფაქტობრივად, პასუხობს: "მოკალით ეგ აზრი! ჩვენ, რომლებიც მოვუკვდით ცოდვას, როგორღა ვიცხოვროთ მასში?" (იხ. რომაელთა 6:2). მისი პასუხი ქრისტიანული ცხოვრებისა და გამოცდილების მნიშვნელოვან გასაღებს შეიცავს.

დავუშვათ, დამიჭირეს ბანკის ძარცვაში. დროებით იზოლატორში გადამიყვანეს და სასამართლო დამინიშნეს. მრავალი კვირის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ: „ჩვენ მას დამნაშავედ ვცნობთ“. ამის შემდეგ მოსამართლე ჩემი განაჩენის დღეს ადგენს. დანაშაული ითვალისწინებს ხუთი წლიდან უვადო პატიმრობამდე სასჯელს, რადგან იარაღი გამოვიყენე, ჭერში ვისროლე და მოლარეები შევაშინე. ბოლოს დადგა ის დღეც, როდესაც მოსამართლის წინაშე სასჯელის მისაღებად უნდა წარვსდგე.

კანონმა თავისი საქმე გააკეთა - ბრალდებული დააკავა და დამნაშავედ სცნო. შევდივარ სასამართლოში და მოსამართლე მეუბნება: "ბრალდებულს ვთხოვ, წამოდგეს." - წამოვდგები. "სასამართლომ დამნაშავედ გცნოთ და სახელმწიფო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხუთ წლამდე უვადო პატიმრობა მოგისაჯათ“. ეს ამბავი იმდენად შემზარავია, რომ გულმა დამარტყა და ადგილზე მოვკვდი.

ნუთუ სასამართლო ჩემს გვამს ციხეში ხუთი წლის განმავლობაში შეინახავს? არა. ჩემი სიკვდილი განაჩენისგან მაშინვე მათავისუფლებს. კანონს ჩემზე ძალაუფლება აღარ აქვს, რადგან მკვდარი ვარ.

სწორედ ამას ამბობს პავლე ჩვენზე, ვინც ღვთის წინაშე იესო ქრისტეს რწმენით გავმართლდით და ახლა მისი დიდებული მადლის ქვეშ ვცხოვრობთ. აღარ ვემორჩილებით ხორცს. ჩვენი ძველი მე მკვდარია. რჯულმა სიკვდილი მოგვისაჯა. კანონის მოთხოვნები მაშინ შესრულდა, როცა ქრისტესთან ერთად ჯვარს ვეცვით. ძველი მე და შენ ჯვარს გვაცვეს. მაშ, თუ ძველი მე მკვდარია, როგორღა შეგვიძლია ცოდვაში ცხოვრება? ჩვენ იმ ძველი ცხოვრებისთვის მკვდრები ვართ.

პავლე წერს: „ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული! მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში“ (გალატელთა 2:20). ძველი, ეგოისტური ცხოვრებით აღარ ვცხოვრობთ. ეგოზე ორიენტირებული დღეები დასრულდა. ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ხორცის მიხედვით. ახლა თავისუფანლი ვართ რჯულისგან, ჩვენი ცოდვილი ბუნებისა და საშინელი დანაშაულისაგან, რადგან ძველი, დამნაშავე კაცი იესო ქრისტესთან ერთად ეცვა ჯვარს. ახლა ღმერთს იესოზე მინდობილნი მივყვებით.

თუ მკვდარი ხარ, შესაბამისად მოიქეცი

რწმენა, რომელიც ღმერთის წინაშე მამართლებს, თავს ღმერთის საქმეებში ავლენს. თუ, ჯერ კიდევ, ჩემი ძველი ცოდვილი ბუნების ხრწნადობასა და სიბინძურეში ვცხოვრობ, მაშინ ღვთის მადლს ჩემი ბოროტი ცხოვრების შესამოსად ვიყენებ. ამით კი მხოლოდ საკუთარ თავს ვატყუებ. ნამდვილად არ ვარ ღვთის შვილი. იაკობის 2:26-ში ნათქვამია: „რადგან როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე მკვდარია რწმენაც საქმეთა გარეშე.“

ადამიანი, რომელიც ღვთის სულისაგან დაიბადა, ამას თავის ცხოვრების წესში გამოავლენს. იესომ თქვა: "რატომ მომმართავთ: უფალო, უფალო, და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით? ყველა, ვინც ჩემთან მოდის, ჩემს სიტყვებს ისმენს და ასრულებს მათ; გიჩვენებთ, ვისაც ჰგავს. იგი ჰგავს სახლის მშენებელ კაცს, რომელმაც ამოთხარა, ჩააღრმავა და კლდეზე დააფუძნა საძირკველი. წყალდიდობისას ეძგერა მდინარე იმ სახლს, მაგრამ ძვრა ვერ უყო, რადგან კარგად იყო ნაშენები. ხოლო ვინც ისმენს და არ ასრულებს, იგი ჰგავს კაცს, რომელმაც სახლი მიწაზე უსაძირკვლოდ ააშენა, და როცა მდინარე დაეძგერა, მაშინვე დაინგრა; და ძალზე დიდი იყო იმ სახლის ნგრევა“ (ლუკა 6:46-49).

მოციქული იოანე წერს: „იმით გავიგებთ, რომ შევიცანით იგი, თუ ვიცავთ მის მცნებებს. ვინც ამბობს, შევიცანიო იგი, მაგრამ მის მცნებებს არ იცავს, ცრუა და ჭეშმარიტება არ არის მასში“ (1 იოანე 2:3-4) და იმავე წერილში ორჯერ დასძენს, რომ ღვთისგან შობილს ცოდვაში ცხოვრება არ შეუძლია (იხ. 1 იოანე 3:9; 5:18) ნუ შეურაცხყოფთ ღვთის მადლს. გჯეროდეთ და მიენდეთ იესო ქრისტეს, როგორც თქვენს უფალსა და მხსნელს და ამ ურთიერთობის სიახლის მიხედვით იარეთ.

გიყვარდეს ღმერთი და აკეთე რაც გინდა

ამ დროს, ზოგი იკითხავს: „თუ ჩვენი კეთილი საქმეები არ გადაგვარჩენს, მაშინ რა გვიშლის ხელს სიგარეტის მოწევაში, ღრეობასა თუ ღამის ბარებში სირბილში?" საქმე იმაში არაა, რომ ამ ყველაფრის კეთება არ შემიძლია, უბრალოდ სურვილიც კი არ მაქვს. ქრისტეს სიყვარული მაიძულებს ისეთი ცხოვრებით ვიცხოვრო, რომელიც მას სიამოვნებს. ვიგემე რა მისი სიყვარულის სიკეთე, არ მინდა მისგან წავიდე. მინდა, რაც შეიძლება ახლოს მივუახლოვდე იესოს, რადგან მიყვარს ის და მას ვუყვარვარ მე. არ მინდა ისეთი რამე გავაკეთო, რაც მას შეურაცხყოფს.

რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, მადლის ქვეშ ყოფნის დროს გაცილებით უფრო სწორი ცხოვრებით ვცხოვრობ, ვიდრე - რჯულის. რჯულისმიერი ურთიერთობის ქვეშ ყოველთვის საკუთარ ძალას

ვეყრდნობი. ყოველთვის ვცდილობ გავარკვიო, კონკრეტული ქმედებები სწორია თუ არასწორი. ყოველთვის ვეძებ ხარვეზებს. რაციონალურად ვხსნი და ვამართლებ იმას, რასაც ვაკეთებ.

ღმერთს რჯულით შენი შებოჭვა არ სურს. მას სურს თავისი სიყვარულით მიგიზიდოს. ესაა მადლის სახარება.

ღმერთთან სიყვარულის ურთიერთობა მკვეთრად განსხვავდება ამისგან. აღარ ვკამათობ რამე სწორია თუ არასწორი, არამედ საკუთარ თავს ვეკითხები: "ზეციერ მამას ვაამებ ამით? მიყვარს ის და მინდა ვასიამოვნო. მას ისე ვუყვარვარ, რომ არ მინდა გული ვატკინო. ვაამებ კი მას, ამის გაკეთებით?" ხანდახან მაშინაც კი, როდესაც რჯული დუმს, გული მეუბნება, რომ ღმერთი დამწუხრდება, თუ კი იმას ვიზამ, რაზეც ვფიქრობ.

ღმერთი თითოეულ ჩვენგანთან სიყვარულის ურთიერთობას ეძებს. მას არ სურს რჯულით შენი შებოჭვა. მას სურს, რომ თავისი სიყვარულით მიგიზიდოს თავისკენ. ეს ღვთის მადლის სახარებაა, სიმართლე, რომელიც ღმერთმა რჯულისგან დამოუკიდებლად მოგვანიჭა.

ბევრი ჩვენგანი ვერ ხვდება, რომ სიკეთის ერთადერთი ჭეშმარიტი მოტივაცია სიყვარულია. შიში ქრისტიანულ ცხოვრებაში მთავარი მამოძრავებელი ძალა არასოდესაა. თუ კარგები მხოლოდ იმიტომ ვართ, რომ გვეშინია ცუდები არ ვიყოთ, ამით ვერ გავმართლდებით. ყველა სახის არასწორი და უკუღმართი მოტივაციის დასაფარად შეგვიძლია წინდახედული გარეგანი ქცევა გვქონდეს. თუ მხოლოდ შედეგების შიშის გამო ვიკავებთ თავს, შეიძლება შეკავებული ბოროტების მაგალითი ვიყოთ. ეს არ არის ნამდვილი სიკეთე. ჭეშმარიტი სიკეთის მუდმივი და განსაკუთრებული მოტივი სიყვარულია. თუ ჩვენი მორალური არჩევანი გულმოდგინე სიყვარულს ემყარება და სურვილს, რომ თავი შევიკავოთ იმისგან, რაც ღვთის გულს ამწუხერბს, ესე იგი სიმართლის ჭეშმარიტი მოტივი აღმოვაჩინეთ.

სულის ნაყოფია სიყვარული. სიყვარულის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება სიკეთეა. როდესაც სიყვარულს ვაცნობიერებთ, სიხარული გვეუფლება. როდესაც სიყვარული იპყრობს ჩვენს ცხოვრებას, მშვიდობა ისადგურებს. სიყვარულის გამოხატულება ყოველთვის მოთმინება და სულგრძელობაა. სიყვარულის ხასიათი სინაზე და სიკეთეა. დასკვნა ის არის, რომ როდესაც სული ჩვენში თავის ნაყოფს გამოიღებს, რჯულის მსგავსი გარეგანი მძიმე ფაქტორების საჭიროება ქრება. რჯულს სიყვარული აღასრულებს.

ასე რომ, მშვენიერ აღმოჩენას ვაკეთებთ: სამართლიანი ცხოვრება ჩვენთვის ტვირთი კი არა - სიხარულია, რადგან იესოსთან სიყვარულის ურთიერთობა გვაკავშირებს.

გაჭიანურებული პრობლემა

ჩვენთვის შესაძლებელია ვიცოდეთ და გამოვცადოთ ღვთის მადლი. შეგვიძლია იესო ქრისტეს რწმენით გამართლების სიხარულსა და მშვიდობაში ვიცხოვროთ და დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ქრისტეში ღმერთის წინაშე სამართლიანად ვდგავართ. ამ დაჯერებას იმის ცოდნა მაძლევს, რომ მე ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული. ჩემი ცხოვრება, რომელზეც ხორცი ბატონობდა, მკვდარია და ახლა მე ახალი, იესო ქრისტეს სულით მართული ცხოვრებით ვცხოვრობ. ახალი ბუნება მაქვს, იესო ქრისტეს ბუნება. „მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“ (2 კორინთელთა 5:17). ეს წარმოუდგენლად გამათავისუფლებელი ჭეშმარიტებაა.

მაგრამ პრობლემა ჯერ კიდევ არსებობს. ჯერაც ამ სხეულში ვიმყოფები და სანამ ამ მდგომარეობაში ვარ, ჩემი სხეულის ძლიერ მოთხოვნილებებს ვექვემდებარები. ამრიგად, ჩემში ბრძოლა მიმდინარეობს. ხორცი იარაღს იღებს და სროლას იწყებს. ჩემი ხორცი, ჩემი ძველი კაცი, მკვდარია, და მაინც, თითქოს ეს ძველი ცხედარი თან უნდა ვათრიო, როგორც სემ მაკგის (ლირიკული გმირი, რომელიც ძლიერი

დაზიანებით გარდაიცვალა) პარტნიორმა, რომელიც სემის ცხედარს ვერ იშორებდა, რადგან მისთვის მიცემული დაპირების თანახმად სხეულისთვის კრემაცია უნდა ჩაეტარებინა.

წმინდა წერილი ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ ჩემი სული გამოსყიდულია, სხეული კი - არა, რაც უზარმაზარ კონფლიქტს ქმნის. პავლემ რომაელთა 8:22-23-ში განაცხადა: „ვინაიდან ვიცით, რომ მთელი ქმნილება ერთად კვნესის და იტანჯება აქამდე; და არა მარტო ის, არამედ ჩვენც, რომელთაც სულის პირველი ნაყოფები გვაქვს, ჩვენ თვითონაც ვკვნესით ჩვენს თავში, მოველით რა შვილებას და ჩვენი სხეულების გამოსყიდვას.“ რაოდენ ხშირად ვკვნესი და ვტირი ღმერთის წინაშე ჩემი ხორცის სისუსტეების გამო.

მას შემდეგ, რაც იესომ გეთსემანიის ბაღში ილოცა, "მოვიდა და ნახა მოწაფეები მძინარენი და უთხრა პეტრეს: "სიმონ, გძინავს? ვერ შეძელი, ერთ საათს გეფხიზლა? იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მოშურნეა, ხოლო ხორცი უძლური” (მარკოზი 14:37-38). ამაზე დიდი ჭეშმარიტება არასდროს უთქვამთ. ჩემი სული ნამდვილად მოშურნეა, მაგრამ ხორცი სუსტია. ვიტანჯები, ვკვნესი და ვამბობ: "ღმერთო, დააჩქარე იმ დღის მოახლოება, როდესაც ამ ხრწნადი სხეულისგან მიხსნი!" ერთი სული მაქვს, როდის მოვიშორებ ამ ძველ გვამს.

როდესაც ვსუსტდები, სული რწმენასა და ძალას მმატებს და ჩემი გონება უფალთან ბრუნდება.

ერთ დღეს ჩვენი დაცემული ბუნებისგან ყველანი გავთავისუფლდებით. წმინდა წერილში ნათქვამია: "ვინაიდან ეს ხრწნადი უხრწნელობით უნდა შეიმოსოს და ეს მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს. ხოლო, როცა ეს ხრწნადი უხრწნელობით შეიმოსება და ეს მოკვდავი - უკვდავებით, მაშინ აღსრულდება დაწერილი სიტყვა: "სიკვდილი შთაინთქა გამარჯვებით”. სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი ძლევა? სიკვდილის ნესტარია ცოდვა, ხოლო ცოდვის ძალა რჯულია. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს გამარჯვებას ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით“ (1 კორინთელთა 15:53-57).

ამასობაში ყველაფერი დაკარგული არ არის. ჩემი სისუსტის დროს, სული რწმენასა და ძალას მმატებს და ჩემი გონება უფლისკენ ბრუნდება. მის დახმარებასა და ძალას ვეძებ. მისი გამარჯვების განცდას ვიწყებ. მივხვდი, რომ ყოველდღიურად უნდა დავეყრდნო იესო ქრისტეს ძალას, რომ ვიცხოვრო ისე, როგორც მას სურს. ჩემს ცხოვრებას თავის ნებაზე ვერ მივუშვებ. თუ მივუშვი, ხორცი აღზევებას და ძალაუფლებისა და ავტორიტეტის მიტაცებას დაიწყებს. ჩემი მოთხოვნილებები მორჩილებაში უნდა ვამყოფო, თორემ ისინი გაბატონდებიან. პავლე წერდა: „არამედ ვთრგუნავ და ვიმონებ ჩემს სხეულს, რათა სხვებს რომ ვუქადაგებ, თვითონ უღირსი არ აღმოვჩნდე“ (1 კორინთელთა 9:27).

ახლა, თუ ვერ ვიფხიზლე და აღმოვაჩინე, რომ ისევ ხორცს ვემორჩილები, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ აღარ ვარ დახსნილი? თავიდან უნდა გადავრჩე? არა. მე ჯერაც მწამს იესო ქრისტესი, მიყვარს უფალი და ჩემი რწმენა მეთვლება სიმართლედ. სწორედაც რომ ჩემი რწმენისა და ქრისტეში ჩემი ახალი ცხოვრების გამო არ შემიძლია ჩემს ხორცს ჩემზე ბატონობის უფლება მივცე.

თუმცა შეიძლება ცოტა ხნით ორმოში ჩავვარდე, მაგრამ იქ ვერ დავრჩები. ღმერთი ასეთ მდგომარეობაში დარჩენის ნებას არ დამრთავს. უფლებას არ მომცემს, ისეთი რამ ვაკეთო, რაც მე მინდა და რასაც სხვები აკეთებენ. შეიძლება მათ ეს გააკეთონ, მაგრამ მე - არა. ის იზრუნებს, რომ არ გავაკეთო! თუ ამქვეყნიურ გზებს მივყვები და იმას ვაკეთებ, რასაც „ცხოვრებით უნდა დატკბე“-ბრბო აკეთებს, მაშინ ან არ გამომივა, ან შემძულდება, ან საშინელ სიტუაციაში აღმოვჩნდები. იმის გამო, რომ მას ვუყვარვართ და ჩვენ მისი შვილები ვართ, უბრალოდ ვერ ვიქნებით ცოდვაში, როგორც ქვეყნიერება.

სტანდარტები საერთოდ არ არსებობს?

შეიძლება ვინმე ჯერაც ფიქრობდეს: მაშ, თუ მადლის ქვეშ ვართ, შეგვიძლია უბრალოდ უგულებელვყოთ ღვთის სტანდარტები პირადი ქცევის შესახებ? სულაც არა. ჩვენს ახალ ურთიერთობაში ღვთის დინამიკური ძალა მივიღეთ და სულიწმიდა თავისი თანდასწრებით მკვიდრობს ჩვენში. ქრისტეში ახალ ბუნებას ვიღებთ, რომელსაც ღვთის სიყვარულსა და სიწმინდესთან ჰარმონიაში ცხოვრება სურს. სულიწმიდის ძალით აღარ გვჭირდება დაძაბულობა და სწრაფვა იმისკენ, რომ სწორად მოვიქცეთ. სწორედ ამას გულისხმობდა იოანე, როდესაც წერდა: „ღვთის სიყვარული ის არის, რომ ვიცავდეთ მის მცნებებს; ხოლო მისი მცნებები მძიმე როდია“ (1 იოანე 5:3). ჩვენში ღმერთის არსებობა გვაძლევს ძალას, რომ სწორი ავირჩიოთ და ბოროტებისგან თავი შევიკავოთ.

ვისაც კლასიკა წაუკითხავს, ალბათ კარგად იცნობს ულისეს ისტორიას. მოგზაურობის დროს ამ უძველესმა ავანტიურისტმა სირინოზების კუნძულის ისტორიები მოისმინა - დაუნდობელი გრძნეულები, რომლებიც ისეთ მშვენიერ მუსიკას ქმნიდნენ, რომ ნებისმიერი ჩამვლელი მეზღვაური, გეზს ნაპირისაკენ იღებდა და კლდეებს შორის იმსხვეოდა. თუკი ვინმეს სმენია ამ სირინოზების სიმღერა, ცოცხალი არ გადარჩენილა. ისეთი გაბედული კაცისთვის, როგორიც ულისეა, ეს ღირსეულ გამოწვევად ჟღერდა. მან გადაწყვიტა გამხდარიყო პირველი, ვინც ამ მუსიკას მოისმენდა და გადარჩებოდა.

თავისი მიზნის მისაღწევად, ულისემ ეკიპაჟს ყურებში ცვილი ჩაადებინა და თავის კაცებს დაავალა, რომ იგი გემის ბოძზე ძლიერად მიებათ. როდესაც ისინი სირინოზების კუნძულს მიუახლოვდნენ, მაცდუნებელი მუსიკა გაისმა. ულისე თოკების გახსნას ცდილობდა, თავის დაღწევას ლამობდა, რომ ნაპირამდე გაეცურა. მეზღვაურებს ლანძღავდა და წყევლიდა, რომ ნავი კლდეებისკენ მიებრუნებინათ, მაგრამ მისი ღრიალის მოსმენაში მათ ცვილმა შეუშალა ხელი. ულისე მანამ აგრძელებდა გათავისუფლებისთვის ბრძოლას, სანამ გემმა უსაფრთხო დისტანციას არ მიაღწია. ულისემ სირინოზების სიმღერა მოისმინა და იცოცხლა - მაგრამ მას შემდეგ, მას ამ მაცდური მუსიკის მოგონებები აღარ ასვენებდა.

ბერძნული მითოლოგია კიდევ ერთი გემის შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც ამ კუნძულთან ჩაიარა, მაგრამ გადარჩა. როდესაც ამ გემის ეკიპაჟი მომაკვდინებელმა მელოდიამ მიიზიდა, ბორტზე მყოფმა ნიჭიერმა კაცმა, სახელად ორფეუსმა, ქნარი აიღო და დაკვრა დაიწყო. ორფეუსის მუსიკამ იმდენად გადააჭარბა სირინოზების მუსიკას, რომ მეზღვაურები კლდეებს მოშორდნენ და უსაფრთხოდ გამოცურეს იქიდან, რადგან აღტაცებულნი იყვნენ ამ ახალი, დახვეწილი მელოდიებით, რომლებიც სიცოცხლეს ანიჭებდა.

როდესაც ცდუნების მიზიდულობის წინაშე ვდგავართ, შეგვიძლია ან ულისეს მივესადაგოთ ან - ორფეუსს. ზოგიერთისთვის, ქვეყნიერების სირინოზების სიმღერას თითქმის დაუძლეველი მიმზიდველობა აქვს. ისინი აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ძელზე რჯულით არიან მიბმულნი, მაგრამ როდესაც ხორცის ძალით ცდუნდებიან, წესების წინააღდეგ ბრძოლას იწყებენ. მათი ერთადერთი იმედი რჯულია, რომელიც მათ აკავებს.

ქრისტეში ერთიანობის სიხარული ბევრად აღემატება იმ ყველაფერს, რაც ქვეყნიერებამ ან ხორცმა შეიძლება შემოგვთავაზოს.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც თავიანთ გულებში ახალი სიმღერა - ზეცის მუსიკა მოისმინეს. მათ აღმოაჩინეს, რომ იესო ქრისტეს სიყვარული იმდენად ძლიერი და დამაკმაყოფილებელია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნიერება მაინც მიმზიდველია, ისინი სიამოვნებით ტოვებენ მას, რათა მეტად დაუახლოვდნენ მის უმშვენიერეს თანდასწრებას. მათ არ სჭირდებათ ბოძზე მიბმა. ისინი

დამცავი თოკების წინააღმდეგ არ იბრძვიან. მათ ღმერთთან ინტიმურ მოზიარეობაში სიარულის სიდიადე აღმოაჩინეს.

ქრისტეში ასეთი ერთიანობის სიხარული ბევრად აღემატება ყველაფერს, რასაც ქვეყნიერება ან ხორცი გვთავაზობს. ცოდვის მიმზიდველობამ და ცდუნებამ ძალა დაკარგა. მათ, ვინც ასეთი აღსრულება აღმოაჩინეს, რჯული არ სჭირდებათ. იმის მაგივრად, რომ მონურად მიჰყვეთ რეგულაციას, რომელიც ამბობს: "ახლა, შენს მოყვასს თავს ნუ გაუტეხავ!" მათ ამის სურვილიც კი არ აქვთ, რადგან ღვთის სიყვარული მათ გულს შეეხო. მათ უბრალოდ მოყვასის გადარჩენა სურთ.

სულ ცოტა ხნის წინ ეს პრინციპი მოქმედებაში ვიხილე. როდესაც გოლგოთას სამლოცველოს მახლობლად ხალხმრავალ ქუჩაზე მანქანით მივდიოდი, ერთმა მანქანამ გზა ჩამიჭრა, რის გამოც ლამის მუხრუჭები ჩამეკეტა. იმ მანქანას პატარა, ჭაღარა მოხუცი ქალბატონი მართავდა. მან ვერ დაგვინახა ვერც მე და ვერც სხვა მრავალი ავტომობილი, რომელთაც თითქმის შეეჯახა. სხვა მძღოლებს რომ არ გამოეჩინათ ყურადღება, საშინელი ავარია მოხდებოდა. მან იმდენი სახიფათო მანევრი გააკეთა, უცებ აღმოვაჩინე, რომ ვლოცულობდი: "უფალო, გთხოვ, ამ პატარა მოხუც ქალბატონს სახლში უსაფრთხოდ დაბრუნებაში დაეხმარე". ვინც მიცნობს, დაამოწმებს, რომ ჩემი მზრუნველობითი დამოკიბელება იმ სიტუაციაში სხვა არაფერი იყო, გარდა სასწაულისა! დიდებულია იმ ცვლილებების განცდა, რომლებიც ღმერთთან ჩვენი სიყვარულის ურთიერთობამ მოახდინა იესო ქრისტეს მეშვეობით.

მუდმივი სიყვარული

ქრისტეს წყალობით შეგვიძლია ღმერთთან ჭეშმარიტი ერთობა გვქონდეს. ღმერთი ერთ მომენტში ჩვენთან ახლოს და მეორეში შორს არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დრო და დრო ვმარცხდებით და ჯერ კიდევ სუსტები ვართ ბევრ სფეროში, ჩვენი მართალი პოზიცია ღმერთის წინაშე ჩვენი ცვალებადი დამოკიდებულების ან განწყობის ცვლილების მიხედვით არ იცვლება. ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა სტაბილური და უსაფრთხოა, რადგან ის არ არის დაფუძნებული ჩვენზე ან ჩვენს საქმიანობაზე. ეს ურთიერთობა ემყარება იესო ქრისტეს საქმეს, რომელიც ჩვენთვის აღასრულა. მან ჩვენი ცოდვები საკუთარ თავზე აიღო და ჩვენს ნაცვლად მოკვდა, რათა რეალობად აქციოს ჩვენი ხსნა რწმენით. ჩვენ შეგვიძლია უკან დავტოვოთ ის მენტალიტეტი, რომელიც ამბობს, რომ ღმერთს მხოლოდ მაშინ ვუყვარვართ, როდესაც „კარგები“ ვართ და უარგვყოფს, როდესაც ცუდები ვართ.

ჩემს შვილიშვილს ტელეფონზე საკმაოდ ხშირად ვურეკავ. მიყვარს დილით მასთან საუბარი და კითხვა, თუ როგორ მიდის მისი საქმეები. ხანდახან როდესაც ველაპარაკები, მეუბნება: „დღეს ჯიუტი გოგო ვარ, ბაბუ“. ნაკლებად მიყვარს, როცა ამას ამბობს? მან იცის, რომ კარად არ იქცევა, მაგრამ ეს ჩემს სიყვარულს მის მიმართ ოდნავადაც არ ცვლის. არც იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე მაშინ, როდესაც ის ტკბილი პატარა ანგელოზია. მე უბრალოდ მიყვარს იგი. მიყვარს ჯიუტიც და მიყვარს ტკბილიც.

ღმერთიც ასე გვიყურებს. როდესაც ვღიზიანდებით, მიდრეკილნი ვართ ვიფიქროთ, რომ ღმერთს დღეს არ ვუყვარვართ. საკუთარი თავიც არ გვიყვარს. უბედურები ვართ. არავინ გვჭირდება. ასევე მიდრეკილნი ვართ ვიფიქროთ, რომ ღმერთს არც მაშინ ვუყვარვართ, როდესაც სულეირ ბრძოლაში ვმარცხდებით. ასე არაა! ღმერთის წინაშე ჩვენი დგომა რომ ჩვენს საქმეებზე ყოფილიყო დაფუძნებული, იესო ქრისტეს არასოდეს მოუწევდა სიკვდილი.

როდესაც იესო რწმენას სიმართლედ გვითვლის, ამით მასთან მშვენიერ, სტაბილურ, მოსიყვარულე ურთიერთობას გვაძლევს. უფლის წინაშე ისეთი დგომით ვსარგებლობთ, რომელიც ამბობს: „შემოდი და დაჯექი. ნება მომეცი დაგეხმარო, გაგაძლიერო“.

ღმერთს უყვარხარ. მისთვის იმდენად ძვირფასი ხარ, რომ აგირჩია და მოგიწოდა, რომ მარადიულად მისი იყო. სწორედ ამიტომ არ იწვევს ღვთის მადლი აღვირახსნილ ცხოვრებას. უსაზღვროდ უფრო მეტი სიხარულია მაცხოვარში, ვიდრე - ცოდვაში.

11. ხაფანგები და ნაღმები

როგორც ჩანს, ყოველთვის არიან ისეთები, რომლებიც ნარჩენი მოსავლის მოსაგროვებლად მზად არიან სამკალში გადავიდნენ.

ჩვენს ეკლესიაში ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც უცნაური დოქტრინების შემცველ ბროშურებს ავრცელებენ. მათ ყოველთვის ვეკითხებით: „რატომ მიდიხართ ეკლესიაში ამ ბროშურების დასარიგებლად?" ჩვენ რომ რაიმე განსაკუთრებულ ღონისძიებას ვგეგმავდეთ, მაშინ ბავშვებს სანაპიროზე ან სავაჭრო ცენტრებში გავგზავნიდით და არა სხვა ეკლესიაში! რატომ უნდა წახვიდე ეკლესიაში და გადაიბირო ისინი, ვინც უკვე იქ არიან დამკვიდრებულნი?

თუ თქვენ გაქვთ სასიცოცხლო დოქტრინა, რომელიც თქვენი აზრით სხვებმაც უნდა გაიგონ და დაიჯერონ, მაშინ ჩვენი გადმობირების ცდას სჯობია დაგვანახოთ თუ მაგ ჭეშმარიტებამ როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება იესო ქრისტეს ხატად და მსგავსად. დაგვანახეთ ეს ჭეშმარიტება თქვენი ცხოვრებით. როდესაც ჩვენ დავინახავთ თქვენს არაჩვეულებრივ მიძღვნას და ახლო ურთიერთობას უფალთან, მაშინ ჩვენ თქვენით ნამდვილად დავინტერესდებით.

სამწუხაროდ, ადამიანები ამას არ გვანახებენ. პირიქით, ისინი აგრძელებენ ქრისტეს სხეულის გაძარცვას. ამიტომაა ახალი აღთქმა სავსე ცრუ მასწავლებლებისა და მათი მაცდუნებელი გზების წინააღმდეგ გაფრთხილებებითა და შეგონებებით.

შეგიძლია დარწმუნებული იყო

ყველა კულტი მიდრეკილია ქრისტეს სახარების დამახინჯებისაკენ. როგორც წესი, ისინი ხაზს უსვამენ საქმეების მიერ გამართლებას. თუ ერთ-ერთ ასეთ რელიგიურ ადამიანს ჰკითხავთ, არის თუ არა იგი ხელახლა შობილი, იგი გიპასუხებთ: "ძმაო, სანამ არ მოკვდები, ამას ვერ გაიგებ, რადგან არ იცი, რა იქნება შენი ბოლო ნამოქმედარი". ხომ საშინელება იქნებოდა ამ დროს ამის აღმოჩენა?

ღმერთს სურს, რომ გადარჩენის გარანტია გვქონდეს. თუ იესო ქრისტეზე და მის ნამოქმედარზე ვართ დამოკიდებულნი, მაშინ შეგვიძლია გარანტიაც გვქონდეს. თუ ჩვენი ხსნა ჩვენს საქმეებს ემყარება, მაშინ ეს გარანტია ვერ გვექნება. თუ ჩვენი ხსნა დაფუძნებულია სარწმუნოების ან საქმეთა სისტემის ერთგულებაზე, მაშინ ვერ გვეცოდინება ჩვენი მარადიული ბედისწერის შესახებ იქამდე, სანამ არ გარდავიცვლებით... და შემდეგ უკვე გვიანი იქნება. მაგრამ თუ ჩვენი ხსნა დაფუძნებულია მხოლოდ იესო ქრისტეს რწმენაზე და იმის რწმენაზე თუ რა გააკეთა მან ჩვენთვის, მაშინ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ ჩვენს გადარჩენაში.

ბიბლია გვასწავლის, რომ ხსნის გზა მართლაც ვიწროა.

ჩემს საქმეებში დარწმუნებული არ ვარ. არც - ჩემს თვით-სიმართლეში. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ უფლის საქმესა და მის ჭეშმარიტებაში. როგორც ერთ-ერთი საგალობლის ავტორმა თქვა: "ჩემი იმედი ეყრდნობა მხოლოდ იესოს სისხლსა და სიმართლეს; მე ჩარჩოებს კი არ ვეყრდნობი, არამედ მთლიანად იესოს სახელს." პავლე იმდენად დარწმუნებულია ამ ჭეშმარიტებაში, რომ წერს: "მაგრამ თუნდაც ჩვენ ან ანგელოზმა ზეციდან გახაროთ არა ის, რასაც ჩვენ გახარებდით, წყეულიმც იყოს იგი“ (გალატელთა 1:8).

როგორი მძიმე სიტყვებია! პავლე იყენებს ტერმინ ანათემას, რომელიც ნიშნავს "ჯოჯოხეთამდე დაწყევლილს".

მოდით დავუშვათ, ვითომ ამაღამ რომელიმე ანგელოზი გესტუმრათ. თავს მოუსვენრად გრძნობთ, იღვიძებთ და ხედავთ თქვენი საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ, ორ მეტრზე მაღალ, მბზინავ არსებას. თუ ის გეტყვით: „ნუ გეშინია! მოვედი, რომ კარგი ამბავი გახარო; შენ განსაკუთრებული ადამიანი ხარ - ღმერთმა ამოგირჩია განსაკუთრებული საქმისთვის; თუ შენ უბრალოდ დათანხმდები და ამ საქმეს შეასრულებ უფლისთვის, მაშინ შენ ხსნას მიიღებ". რას დაასკვნიდით აქედან? ერთი რამ ცხადია: ეს ანგელოზი არ არის უფლისგან. დაე, წყეულიმც იყოს იგი!

ბიბლია გვასწავლის, რომ ხსნის გზა მართლაც ვიწროა. პავლეს სიტყვებმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენა იმ პოპულარულ აზროვნებას, რომელიც ამბობს: „მე მჯერა, რომ ადამიანს, რომელიც იმას აკეთებს, რაც გულით მიაჩნია სწორად, ღმერთი მიიღებს". პეტრემ თქვა: "[ქრისტე] არის ლოდი, დაწუნებული თქვენგან, მშენებლებისგან, რომელიც ქვაკუთხედად იქმნა. სხვა არავისში არსებობს ხსნა და არც არის ცის ქვეშ ადამიანთათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც გადავრჩებით" (საქმეები 4:11-12).

დღეს ბევრი ადამიანი ეტყოდა პეტრეს: "ოჰ პეტრე, შენ ძალიან შეზღუდული აზროვნება გაქვს. შენ გინდა მითხრა რომ იესო ერთადერთი გზაა? ეს ძალიან ვიწრო გზაა, პეტრე. ამ გზას ვერ გავყვები." ძალიან კარგი. მაშინ დარჩი წყეულ მდგომარეობაში. "მაგრამ ეს ისეთი მკაცრი სიტყვებია" - გვიპასუხებდნენ. "ეს მართლაც ვიწრო გზაა, მაგრამ იესო ამაზე უფრო ყოვლისმომცველი იყო!" თავად იესომ თქვა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე: მამასთან ვერავინ მივა, თუ არა ჩემით" (იოანე 14:6) და იესო იყო, ვინც თქვა: „შედით ვიწრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს, და მრავალნი დადიან მასზე. რადგან ვიწროა კარიბჭე და რთულია გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ მიჰყავს და მცირედნი ჰპოვებენ მას" (მათე 7:13-14).

პავლეს ეს ყოველთვის სწორად ესმოდა. დღესაც კი, თითქმის გაიგონებთ, თუ როგორ ევედრებოდა პავლე გალატელებს: „ახლა კიდევ ვამბობ, თუ მე, ან ზეცის ანგელოზი ან რომელიმე კაცი მოვა და გაიძულებთ დაეყრდნოთ საკუთარ თავს, საკუთარ საქმეებს, საკუთარ სათნოებას, საკუთარ სიმართლეს, თქვენ მიერ რჯულის დაცვას, წინადაცვეთას, რიტუალების შესრულებას, რომელიმე ჯგუფში გაწევრიანებას და ქველმოქმედებას - დაე, ასეთი ადამიანი წყეულიმც იყოს!"

პავლეს ეს ასე მტკიცედ რატომ სჯეროდა? იმიტომ, რომ ღმერთმა მიგვიღო ისეთები, როგორებიც ვართ - რადგანაც ჩვენ ვერწმუნეთ მის ძეს, იესო ქრისტეს. მან გაგვწმინდა ყველა ჩვენი ცოდვისგან და მიგვიღო. ღმერთს ჩვენზე თავისი სიყვარულის სიმდიდრე და სისავსე სურს, რომ გადმოავლინოს - იმიტომ არა, რომ ამას ვიმსახურებთ, არამედ იმიტომ, რომ მას ვუყვარვართ. ეს არის იესო ქრისტეს მადლის სახარება. ეს არის ის, რასაც საბოლოოდ პავლე შეეწირა.

ეს საოცარია

ოდესმე თუ გაოცებულხართ, თუ რატომ პოულობს ხალხის ცხოვრებაში ძლიერ დასაყრდენს ის სწავლებანი, რომლებიც ამბობენ, რომ გამართლება კარგი საქმეების მეშვეობითაა? მე გავოცებულვარ.

ეჭვგარეშეა, პავლესაც უკვირდა ხოლმე, რადგან მან გალატელებს უთხრა: „მიკვირს, რომ ასე მალე გადახვედით სხვა სახარებაზე იმისგან, ვინც მოგიწოდათ ქრისტეს მადლით" (გალატელთა 1:6). საოცარია, რომ ადამიანები ქრისტეს მადლს სხვა სახარებაზე ცვლიან - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს „სახარება" სულაც არ არის კეთილი უწყება!

როდესაც ადამიანი ამბობს: „კარგია იესო ქრისტეს რწმენა, მაგრამ უფრო მეტია საჭირო", აი, აქ ფრთხილად! იმ წუთას, როდესაც მეუბნები, რომ მართალი უნდა ვიყო და ეს ღვთის წინაშე ჩემი

სიწმინდით უნდა დავამტკიცო, ღმერთთან არ მიგყავარ, პირიქით, ასე მას მაშორებ. მე მართალი არ ვარ, არც წმინდა ვარ და არც შემიძლია ვიყო. ამგვარად, რასაც მეუბნები, კეთილი უწყება არაა. ის კეთილი უწყებისგან შორსაა - სიკვდილის გამოცხადებაა.

პავლე ვერ ხვდებოდა, თუ რატომ დატოვებდა ვინმე ღმერთთან მოსიყვარულე ურთიერთობას და საქმეებზე, წინადაცვეთაზე ან რჯულის დაცვაზე დაყრდნობით რატომ მოუნდებოდა ღმერთთან ურთიერთობა. ის წერდა: „არსებობენ ადამიანები, რომელთაც არეულობა შემოაქვთ თქვენში და სურთ დაამახინჯონ ქრისტეს სახარება“ (გალატელთა 1:7).

სიყვარული, როგორც იარაღი

გასაკვირია, რომ ხალხი ნამდვილ სახარებას ცრუ სახარების გამო ტოვებს, მაგრამ არ არის გასაკვირი, თუ როგორ კრებენ ხშირად ცრუ მასწავლებლები ახალ მოწაფეებს. პავლე აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი გავრცელებული ტექნიკაა სიყვარულის მოშურნედ გამოყენება: ”სასიკეთოდ როდი არიან თქვენთვის მოშურნენი, არამედ სურთ თქვენი დაცილება ჩვენგან, რათა მათთვის გქონდეთ მოშურნეობა“ (გალატელთა 4:17).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ადამიანს ცხოვრებაში დიდი სიყვარული და ყურადღება ჰქონდა, ბევრმა კულტმა მაინც მოახერხა მათი გადაბირება მაცდუნებელი პერსპექტივის შეთავაზებით. ადამიანები სიყვარულით გექცევიან იქამდე, სანამ მათი დოქტრინის ერთგულებას არ დაიწყებ. მაგრამ როგორც კი მათ გუნდს შეუერთდები, ეს სიყვარული ქრება და შენ ექვემდებარები მკაცრ ფიზიკურ დისციპლინას, რაც საბოლოოდ იზოლირებამდე და ტყვეობამდე მიგიყვანს. თუ მათ არ უერთგულებ, გარიყული და განდევნილი აღმოჩნდები.

ტუსონში მსახურების პირველ წლებში უსიამოვნო შეხვედრა მქონდა ორმოცდაათიანელების ერთ ჯგუფთან სახელწოდებით „მხოლოდ იესო“. ეს გაერთიანება გვასწავლის, რომ მამა, ძე და სულიწმიდა - სამივე ტერმინი იესოზე მიუთითებს (რა თქმა უნდა, მათ უჭირთ იმის ახსნა, თუ ვის ესაუბრებოდა იესო როდესაც მამის სახელზე ლოცულობდა, ან ვინ წარმოთქვა სიტყვა ზეციდან იესოს ნათლობისას. შესაძლოა ხმა მათეს 3:17-ში: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე“ მხოლოდ ხრიკი იყო?). ამ პოზიციის სისუსტე აშკარაა, მაგრამ ამ აზროვნების მიმდევრებს კონფლიქტში შესვლა და ამის მტკიცება უყვართ.

სამწუხაროდ, ჩვენს ეკლესიაში რამდენიმე გავლენიანმა ოჯახმა მიიღო ეს დოქტრინა. მალე მათ მიზანში მე ამომიღეს და ჩემზე დაიწყეს "მოშურნედ ზემოქმედება". საჭმელად წამიყვანდნენ ხოლმე და მესაუბრებოდნენ ჩემი დიდი პოტენციალისა და იმის შესახებ, თუ ეკლესია რამდენად უყვარდათ.

ხალხთან წმინდა წერილზე კამათს ვერ ვიტანდ. როგორც წესი, ნებას ვრთავ თავიანთი არასრულყოფილი პოზიცია გამოხატონ. არ ვეკამათები. ამგვარად ეს ხალხი ციტირებს წმინდა წერილიდან, სადაც იესომ თქვა: "მე და მამა ერთი ვართ" (იოანე 10:30), მერე მეც ვეუბნები: "დიახ, მართალია. ეს ისაა, რაც მან თქვა." ყოველთვის, როდესაც ისინი ციტირებენ წმინდა წერილიდან, მე ვამბობ: "დიახ, ასე წერია ბიბლიაში." მე მათთან არ ვკამათობ.

რა თქმა უნდა, ბიბლიიდან მრავალი ადგილი ვიცოდი, რომელიც ამ საკითხს ნათლად ახსნიდა, მაგრამ ამ ხალხთან კამათით თავი არ შევიწუხე. იესომ თქვა: „სასწრაფოდ დაუზავდი შენს მეტოქეს, ვიდრე მასთან ერთად ადგახარ გზას“ (მათე 5:25), შესაბამისად, ბიბლიიდან მათ მიერ მოყვანილ ადგილებს ვეთანხმებოდი. მე მათ თავისებურ გაგებას კი არ ვეთანხმებოდი, არამედ ვეთანხმებოდი თავად წმინდა წერილს. და რადგანაც მათთან არ ვკამათობდი, ფიქრობდნენ, რომ ჩემი დარწმუნება შეძლეს.

ერთ დღესაც მოზარდთა საკვირაო სკოლაში თავიანთი დოქტრინა წამოაყენეს. როდესაც მასწავლებელმა ფაქტობრივად უარყო მათი პოზიცია, ზოგიერთმა მათგანმა იმის მტკიცება სცადა, რომ მეც მათ ბანაკში ვიყავი. მასწავლებელმა დავის მოსაგვარებლად მაშინვე დამიძახა. როდესაც კლასს განვუცხადე, რომ მე მჯეროდა რომ ღმერთი ერთია, მაგრამ 3 განსხვავებული პიროვნება - მამა, ძე და სულიწმინდა - გააჩნია, ეს რელიგიური გაერთიანება "მხოლოდ იესო" გაცეცხლდა.

მომდევნო დღეს ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს: „დღეს საღამოს შენი ნახვა გვინდა." იმ საღამოს ვესტუმრე და მკითხეს: "როგორ შეგიძლია უარყო ჭეშმარიტება, როგორ შეგიძლია უარყო ის, რისიც მართლა გჯერა?" და მე ვუპასუხე: "მე არ უარვყავი ჭეშმარიტება. მე არ უარვყავი ის, რისიც მჯერა. მე კლასში ზუსტად ის ვთქვი, რისიც მჯერა. მე არ მგონია, რომ იესო იაფ ხრიკებს თამაშობდა და ხალხის მოტყუებას ცდილობდა, როდესაც მამის სახელზე ლოცულობდა. მე მჯერა, რომ მამა, ძე და სულიწმიდა ცალკეული პიროვნებები არიან, თუმცა ღმერთი ერთია".

აი, ზუსტად მაშინ მათ თითების ქნევა დამიწყეს:

- ძმაო, - დამემუქრნენ ისინი, - ღმერთმა გამოცხადება მოგვცა შენზე. ხილვა გვქონდა, რომ შენ შავ კუბოში ჩაწვები თუ ეკლესიის წინაშე არ გამოხვალ და არ ეტყვი, რომ ჩვენ მართლები ვართ! ამ საშინელი მუქარის მოსმენისას გაოცებული ვფიქრობდი, სად გაქრა ის სიყვარული, რომელიც ამ ხალხს ჩემ მიმართ აქამდე გააჩნდა?

„დროს შაბათამდე მოგცემთ, რომ გადაწყვიტო, აპირებ თუ არა დანაშაულის აღიარებას." - მითხრეს მათ. მე ვუპასუხე: „დრო არ მჭირდება. ახლავე შემიძლია გითხრათ." - „არაფერი არ თქვა." - მითხრეს მათ - „მხოლოდ ილოცე, ძმაო, და თუ შაბათისთვის არ დაგვპირდები, რომ ამას გააკეთებ, მაშინ შენს ეკლესიაში აღარასდროს დავბრუნდებით". ბუნებრივია, ჩვენს საკვირაო სკოლაში 53 ბავშვიდან 11 ბავშვი მათი იყო.

შაბათს საღამოს დამირეკეს. – „აბა, ძმაო, რა გადაწყვიტე?" – „მე საერთოდ არ შემიცვლია ჩემი გადაწყვეტილება და აზროვნება", - ვუპასუხე მე. - „კარგი. ჩვენ გაგაფრთხილეთ". ამის შემდეგ მათ ჩვენი საკვირაო სკოლა თავიანთ 11 ბავშვთან ერთად დატოვეს.

ეს გაერთიანება სიყვარულს გულმოდგინედ მანამ ავლენდა, სანამ პოტენციურ ახალმოქცეულად მთვლიდნენ, მაგრამ როდესაც აღმოაჩინეს, რომ ვერ გადამიბირეს, მაშინვე მიმატოვეს მეც და ეკლესიაც ისე, თითქოს ცუდი ჩვევა მიეტოვებინოთ.

ეს ნამდვილი სიყვარული არ იყო. ეს მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, რათა თავისკენ გადავებირებინე. როგორც ერთხელ შექსპირმა თქვა: "სიყვარული ნამდვილი არ არის, თუ ის განსაცდელის ჟამს იცვლება." როდესაც ვერ მომაქციეს, მათი რეალური დამოკიდებულა გამოვლინდა.

ეს ცრუ მასწავლებლების ხშირი ტაქტიკაა. თქვენი გადაბირების მიზნით თავიანთ სიყვარულს ძალიან გულმოდგინედ წარმოჩენენ, მაგრამ ადამიანი მათ მოძღვრებას თუ არ დაეთანხმება, მყისვე გარიცხავენ.

ადამიანები შეიძლება ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს ძალიან მოსიყვარულენი, სასიამოვნონი და ტკბილნი არიან, მაგრამ შეიძლება ასე იქცეოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი გადაბირება სურთ. თუ ვერ გადაგიბირეს, მაშინ ფრთხილად იყავით! ისინი წმინდა წერილს გამოიყენებენ, რათა განგსაჯონ. ეს არ არის მადლის სახარება!

არ შეცდეთ

რთულია უყურებდე ხალხს, რომელმაც სიმართლე სიცრუეზე გაცვალა. თქვენ ისინი გიყვართ და გინდათ ის ტკივილი აარიდოთ, რაც წინ ელოდებათ, მაგრამ ბევრს ვერაფერს აკეთებთ. პავლემ ეს

კარგად იცოდა. გალატელეთა 5:7 მოციქულსა და გალატელებს შორის ურთიერთობაზე საუბრობს. პავლე წერს: „კეთილად რბოდით და ვინ დაგაბრკოლათ, რომ არ დაემორჩილოთ ჭეშმარიტებას?"

გალატელები ადრე ისეთი სიყვარულით დადიოდნენ ღვთისა და ერთმანეთის წინაშე, რომ უკიდურესი გარემოებების დროს პავლეს ღიად და თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ. მზად იყვნენ საკუთარი თვალებიც კი დაეთმოთ მისთვის, მაგრამ ახლა უფალთან სიარულში იმდენად იყვნენ შეფერხებულნი, რომ ზოგიერთი მათგანი პავლეს მტრადაც კი მიიჩნევდა. რატომ? რადგან პავლეს მათზე იმდენად შესტკიოდა გული, რომ მათ სიმართლეს ეუბნებოდა.

პავლემ მძლეოსნობის სფეროდან ანალოგია გამოიყენა და გალატელები მეტოქეებს შეადარა, რომლებმაც კარგად დაიწყეს რბოლა, მაგრამ შემდეგ, რბოლის დროს, შეფერხდნენ. „ვინ დაგარწმუნათ? არა იმან, ვისგანაც ხართ მოწოდებულნი“, - წერდა პავლე (გალატელთა 5:8). ის ამტკიცებდა, რომ იუდაიზატორების (ებრაელ ქრისტიანთა ფრაქცია) მიერ მოტანილი „ახალი და ღრმა ჭეშმარიტება“ ღვთისგან არ იყო.

ყოველი მორწმუნე ვალდებულია წმინდა წერილი გადაამოწმოს, რათა გაარკვიოს სწავლებები ჭეშმარიტია თუ ყალბი.

მაინც რამდენი ადამიანია გადაბირებული ასეთი ცრუ სწავლებებით? ხშირად გულწრფელი მორწმუნეებიც კი ცდუნდებიან ხოლმე მახარებლის ჭკვიანური ისტორიებით. ისინი ცრუ სწავლებას იღებენ არა იმიტომ, რომ გამოიკვლიეს წმინდა წერილი, არამედ იმიტომ, რომ დამაჯერებლად მოსაუბრე პიროვნების ზეგავლენის ქვეშ მოექცნენ.

ასეთი უღმერთო გავლენის სამწუხარო შედეგი ისაა, რომ ადამიანები ტყვეობაში ხვდებიან და საკუთარ პიროვნებას თითქმის კარგავენ. ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, ერთი შეხედვით ნორმალური ადამიანები როგორ შეიძლება იმხელა ზეწოლის ქვეშ მოექცნენ, რომ ბოლოს მათი ლიდერისათვის აეროპორტში ყვავილების ან არაქისის გაყიდვა დაიწყონ? ასეთი გადაბირება, რა თქმა უნდა, ღვთისგან არ მოდის. სინამდვილეში, ტყვეობაზე ორიენტირებულ ყველა სისტემაში, ადამიანები აღმოაჩენენ, რომ ადრე თუ გვიან, კაცთა ბატონობის ქვეშ არიან.

ასე რომ, არ მოვტყუვდეთ, საჭიროა ყველაფერი გამოვცადოთ და კეთილს ჩავეჭიდოთ (1 თესალონიკელთა 5:21). რაც არ უნდა პატივცემული და გამორჩეული იყოს ადამიანი, ან რაც არ უნდა ბევრი მიმდევარი ჰყავდეს, მაინც არ შეიძლება ვინმეს სიტყვა სახარებისეულ სიმართლედ ჩავთვალოთ. ყოველი მორწმუნე ვალდებულია წმინდა წერილი გადაამოწმოს, რათა ზუსტად იცოდეს ჭეშმარიტია თუ არა მოძღვრება.

რა ტრაგიკულია, როდესაც სიფრთხილის ზომებს აღარ ვიღებთ და კონკრეტული მასწავლებლის რეპუტაციის, საუბრის სტილის, ან სატელევიზიო თუ რადიო მსახურების გამო მის ნემისმიერ ნათქვამს ვიჯერებთ. როდესაც ჩვენთვის წარმოდგენილ სწავლებებს ვერ ვამოწმებთ, დაუცველები ვართ ცრუ მოძღვრებისგან, რისთვისაც ღმერთს არ მოვუწოდებივართ. ის კი აზრს არ იცვლის; თავის ჭეშმარიტებას ახალ გამოცხადებებს არ ამატებს. მადლის სახარებას არ ცვლის, თუმცა მარტივია ისეთი მქადაგებლების პოვნა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მადლის სახარება შეიცვალა.

მონობა ნებისმიერი სხვა სახელით

დღესაც კი ბევრი ქადაგებს ლეგალიზმს. ისინი სვამენ კითხვებს, როგორებიცაა: „როგორ მოინათლე, ძმაო? ვინ მოგნათლა? რა სიტყვები წარმოთქვეს შენი ნათლობისას?“ ზოგი ასეთ რამესაც კი ამბობს: „თუ სწორად არ მოინათლე, მაშინ ეს არ არის ნამდვილი ნათლობა. უბრალოდ ჩაგაყურყუმელავეს თუ ღრმად შთაგფლეს წყალში?“

ტრაგიკული ისაა, რომ ეს სწავლებები იმას ემსახურება, რომ ჩვენს გულებში იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით ღმერთის მიერ აღსრულებულ საქმეს ჩამოგვაშოროს. ვერცერთი რიტუალი, იქნება ეს ნათლობა, ზიარება თუ ფეხის დაბანა, ვერ გაგვამართლებს. ღვთის წინაშე სწორად დგომა მხოლოდ რწმენითაა შესაძლებელი - რწმენით, რომელიც სიყვარულით მოქმედებს. ეს ნამდვილი ძალაუფლებისა და მშვიდობის გასაღებია უფალთან ერთად სიარულისას. გასაკვირი არ არის, რომ დიდმა მოციქულმა თქვა: „მიკვირს, რომ ასე მალე გადახვედით სხვა სახარებაზე იმისგან, ვინც ქრისტეს მადლით მოგიწოდათ“ (გალატელთა 1:6).

ჭეშმარიტი სახარება კეთილი უწყებაა ღვთის მადლისა და იესო ქრისტეს დასრულებული საქმის მეშვეობით ცოდვების მიტევების შესახებ. შენი ღმერთთან ურთიერთობა არ არის დამოკიდებული შენს სიმართლეზე, შენს საქმეებზე ან გარკვეული წესების დაცვაზე. ის დამოკიდებულია ღვთის მსხვერპლის რწმენაზე. თუ დაიჯერებ, რა გააკეთა ღმერთმა იესო ქრისტეს მეშვეობით, მაშინ ღმერთთან ლამაზი, დაურღვეველი ურთიერთობა გექნება. შენი ყველა ცოდვა ჩამოირეცხება და ყველა ნაკლოვანებისა და წარუმატებლობის დანაშაული გაქრება. ისინი აღარ იარსებებენ, რადგანაც იესო ქრისტეს რწმენამ გაგამართლა.

პავლემ იცოდა, რომ თუკი შენს საქმეებზე ხარ დაიმედებული, ღმერთთან ურთიერთობის მცდელობა ამაოა. პავლე ხედავდა რითიც დასრულდებოდა ასეთი მცდელობა, ამიტომაც ის ალბათ იტყოდა: „არაფერი მითხრათ რჯულზე. ვიცი რჯული რასაც ნიშნავს. მთელი რჯულის ჭეშმარიტება ვიცი. ფარისეველი ვიყავი. მოშურნე ვიყავი. ჩემს ძმებზე მეტად მოშურნე ვიყავი, მაგრამ ღმერთს მადლობა, რომ ამ ყველაფრისგან გამათავისუფლა, როდესაც ღმერთთან ახალი ურთიერთობა დავიწყე იესო ქრისტეს რწმენის მეშვეობით!“

ჩვენც გამოგვიხსნა ღმერთმა. მაშასადამე, მადლის სახარებაში დამკვიდრებულნო, ნუ მისცემთ ადამიანებს უფლებას დანაშაულის გრძნობა დაგაკისროთ ან საქმეებით გამართლებაში დაგარწმუნოთ. არ ღირს. არც ერთ ჩვენგანს არ სჭირდება ჩვენს სახელზე მიმაგრებული ანათემის მსგავსი სიტყვა.

12. ყველაფერი ან არაფერი

რამდენიმე ხნის წინ ორეგონში პასტორთა პროგრამას დავესწარი. დაწყებამდე ვიღაცამ მკითხა, გამიგია თუ არა ავტოსტოპერის შესახებ, რომელმაც უფლის დაბრუნებაზე ისაუბრა და შემდეგ მანქანიდან გაქრა. ვუთხარი, რომ გამიგია. პირველად ამის შესახებ ძალიან ადრე, 1944 წელს, ბერბანკში, კალიფორნიაში მოვისმინე. ისტორიას ყოველთვის იგივე დასასრული ჰქონდა. წყვილი, რომელმაც ავტოსტოპერი აიყვანა, ავტოსერვისთან გაჩერდა, „აორთქლებული“ ავტოსტოპერის ამბავი მოყვა და პასუხად მიიღო, რომ იმ დღეს იგივე ამბით ისინი მეცხრე მომხმარებელნი იყვნენ. პასტორმა, რომელმაც გამომკითხა, ჩაიცინა და თქვა: "ეს გვაჩვენებს, თუ რამდენად შორსაა ორეგონი - ამ ჭორების აქ მოსვლას 50 წელი დასჭირდა!"

როგორი მიდრეკილნი ვართ ისეთ საკითხებზე აღვფრთოვანებისკენ, რაც არაფერს ნიშნავს! და როგორი მადლიერი ვარ, რომ ჩვენი რწმენა ღვთის სიტყვის მყარ საფუძველს ემყარება. მირჩევნია, რომ უფალი მელაპარაკოს წმინდა წერილის გამოცდილი და ჭეშმარიტი გვერდებიდან, ვიდრე რაღაც ზებუნებრივი, განსაკუთრებული გამოცხადება მივიღო. თუნდაც ანგელოზი გამომეცხადოს და რაღაც რევოლუციური ჭეშმარიტება მამცნოს, გამოვიკვლევდი, იყო თუ არა ეს გზავნილი ღმერთისგან.

დაუსრულებელი „მკითხაობა“ პრობლემა არაა, როდესაც უფლის სიტყვას მივმართავთ. ბიბლია ჩვენი რწმენისა და ქრისტიანული გზებით სიარულისთვის ერთადერთი მყარი საფუძველია. როდესაც ჩვენი

ცხოვრება ღვთის სიტყვას ეფუძნება, უახლესი დოქტრინალური მოდა ან „ახალი და გაუმჯობესებული“ სახარების ვერსია არ გაგვიტაცებს. რამდენად გადამწყვეტია ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებაზე მყარად დგომა! ეს ერთადერთი გზაა იმ დიდებული თავისუფლების შესანარჩუნებლად, რომელიც ქრისტეში ასე უხვად მოგვეცა.

როგორ შევინარჩუნოთ სიმტკიცე?

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ადამიანი მტკიცედ ვერ დგას იმის გამო, რომ ვერ ერწმუნა ქრისტეს და ღვთის სიტყვა ვერ შეიმეცნა. ნამდვილი სტაბილურობა ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ წმინდა წერილის მტიცე ათვისებას მოაქვს.

პავლე აღნიშნავს, რომ ღმერთმა ეკლესიაში „წმინდანთა სრულყოფისათვის“ მწყემსები, პასტორები, მოციქულები, მახარებლები და მოძღვარ-მასწავლებელნი დაადგინა (ეფესელთა 4:11-12). ამ სრულყოფილების ნიშანი იმდენად სტაბილური რწმენის ერთიანობაა, რომ „აღარ ვიყოთ ბალღები, რომელთაც არყევს და იტაცებს მოძღვრების ყოველი ქარი, კაცთა ცბიერებითა და ცდუნების მზაკვრული ხერხით“ (ეფესელთა 4:14). რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ უფლის სიტყვაზე ვიყოთ დაფუძნებულნი, განსაკუთრებით ამ სიცრუით აღსავსე დროში!

წარმატების მოძრაობის მატერიალისტური ექსცესებიდან („რა თქმა უნდა, ღმერთს ყველა თავისი შვილისთვის მერსედესი სურს. შენ რა, ტოიოტას მართავ? რა არასულიერი ხარ!“) "ახალი" გამოცხადებებამდე ნათლობის ერთადერთი სწორი გზის შესახებ დოქტრინის უცნაური გადახვევები დღეს წესია და არა გამონაკლისი.

პავლე თავის გალატელ მეგობრებს (5:1-ში) მოუწოდებს: „თავისუფლებისთვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს.“ მისი გზავნილი დღესაც ისეთივე აქტუალურია, როგორც მაშინ, როდესაც მან ეს წერილი პირველად დაწერა. ხშირად, თავად ეკლესია იქნება პირველი, ვინც სამართლიანობის ლეგალისტურ სტანდარტს შემოგვთავაზებს. ეს წესები და რეგულაციები, ჩვეულებრივ, ადვილად მიიღება, რადგან კანონით განსაზღვრულ შეზღუდვებს გარკვეული უსაფრთხოების შეგრძნება ახლავს. კულტები (ცრუ-ქრისტიანული) ხალხს პიროვნული მიმართულების უმაღლეს ხარისხსა და „უსაფრთხოებას” სთავაზობენ, რომელიც ავტორიტეტის ბრმა მორჩილებიდან მოდის.

მაგრამ ისინი, ვინც ასე მკაცრად რეგულირებულ ცხოვრების წესს ემორჩილებიან, ამას პირადი თავისუფლების ფასად აკეთებენ. ვერ ხვდებიან, რომ ამ ჯგუფების მიერ შემოთავაზებულ უსაფრთხოების განცდასთან ერთად, მათი სტანდარტების დარღვევის დროს, იგივე დონის მსჯავრდადება მოდის. მრავალნი, რომლებიც ასეთ სისტემებს ემონებოდნენ, გვეუბნებიან, რომ იმ დროს სწამდათ, რომ იმ ჯგუფის დატოვება მათთვის ღმერთის დატოვების ტოლფასი იყო. თუ კი ვინმე მიუღებელ კითხვას სვამს ან თუ ჯგუფიდან სადმე სხვაგან გადაწყვეტს წასვლას, ეუბნებიან, რომ ჯოჯოხეთის საფრთხე ემუქრება. ზეწოლის ასეთი ტაქტიკა და აღმაშფოთებელი განაცხადები ჭეშმარიტებას ექსკლუზიურად კეტავს.

მეორეს მხრივ, ეკლესია, რომელიც ხალხს მოუწოდებს იპოვოს ადგილი, სადაც უფალთან სიარულში გაიზრდებიან, სულიერი სიჯანსაღის ნიშანს აჩვენებს. „გოლგოთას სამლოცველოში“ ადამიანებს ხშირად სთავაზობენ, მიმოიხედონ ირგვლივ და იპოვონ ადგილი, სადაც ყველაზე ეფექტურად იმსახურებენ. ზოგიერთს, ვინც ჩვენს მოზიარეობას უერთდება, მეტი ემოციურობა სურს, ამ ადამიანებს მოვუწოდებთ, რომ თავიანთი თავისუფლება გამოიყენონ და მათი სურვილების შესაბამისი ადგილი იპოვონ. არ გვინდა ვინმე ჩვენს ეკლესიაზე იყოს დამოკიდებული, ეს ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს.

ჩვენთვის ეს ჭეშმარიტება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია: თუ კი გადასარჩენად საქმეს ვერწმუნებით, ეს ღვთის მადლს დაგვაშორებს.

პავლეს მიერ ნათქვამი „მონობის უღელი“ ალბათ იერუსალიმის პირველ კრებაზე წარმოთქმულ სიმონ პეტრეს სიტყვებზე მიუთითებს. საქმეების 15:10-ში პეტრე ღვთის მოწოდებას აცხადებს: „ახლა რაღატომ გინდათ გამოსცადოთ ღმერთი და მოწაფეებს ისეთი უღელი დაადგათ ქედზე, რომლის ტარება ვერც ჩვენმა მამებმა შეძლეს და ვერც ჩვენ?” პავლე პეტრეს სიტყვებს იყენებს, რათა ხაზი გაუსვას, რომ უწყება მადლით თავისუფლების შესახებ თვითონ არ გამოიგონა. ქრისტეში ეს თავისუფლება ეკლესიის მყარი მდგომარეობა იყო.

რიტუალები არ გადაგვარჩენს

იერუსალიმის კრებაზე უარყოფილი სწავლების მთავარი ასპექტი შემდეგი დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ წინადაცვეთის რიტუალი გადარჩენისთვის აუცილებელია. საბჭო დაეთანხმა პავლეს განაცხადს, რომ საქმეები ვერავის ვერ გაამართლებს. მოგვიანებით მან თქვა, რომ რიტუალით გადარჩენის მიღების რწმენა სახარებას ეწინააღმდეგება. ის წერს: „აჰა, მე, პავლე გეუბნებით თქვენ: თუ წინადაიცვეთთ, არავითარი სარგებლობა არ გექნებათ ქრისტესგან“ (გალატელთა 5:2).

ეს იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ რაიმე გადასარჩენად საქმისადმი რწმენის გამოვლენა ღვთის მადლს გვაშორებს. ჩვენთვის ამ ჭეშმარიტების გათავისება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბევრი მასწავლებელი აღარ უჭერს მხარს გადარჩენისთვის წინადაცვეთას, მაგრამ რამდენჯერ გვსმენია ძალიან გულწრფელი ადამიანების დაჟინება, რომ ნათლობის რიტუალის გარეშე ვერ გადავრჩებით?

ზოგს ეს პრინციპი სხვადასხვა უცნაურ უკიდურესობამდე მიჰყავს. არიან სექტები, რომლებიც ასწავლიან, რომ მხოლოდ გადარჩენისთვის კი არ უნდა მოვინათლოთ, არამედ - „სწორადაც“. ზოგი ამტკიცებს, რომ მხოლოდ იესოს სახელით უნდა მოვინათლოთ. სხვები ამტკიცებენ, რომ ამის უფლება მხოლოდ კონკრეტულ აღმსარებლობაში ნაკურთხ მსახურს აქვს. ზოგი იმდენადაა შეპყრობილი ტექნიკური საკითხებით, რომ ეკლესიები გაყვეს. მიზეზი კი შემდეგია: ვერ შეთანხმდნენ, ადამიანს წყალი უნდა შეასხურონ თუ მთლიანად ჩაიყვანონ წყალში, ან თუნდაც წაღმა უნდა მოინათლოს მსურველი თუ უკუღმა!

მთელი ამ დაყოფის საფუძველი კი არასწორი რწმენაა, რომ ღმერთის წინაშე სწორ მდგომარეობას თითქოს ამ კონკრეტული კარგი საქმით მივაღწევთ. წმინდა წერილის მკაფიო სწავლება ისაა, რომ გადარჩენისთვის თუ რაიმე კარგ საქმეს დავეყრდნობით, მაშინ ქრისტე ჩვენთვის ღირებული არ ყოფილა. მონეტა ერთდროულად ორივე მხარეს ვერ დაეცემა. ან ქრისტეს უნდა ვერწმუნოთ, ან - ჩვენს კეთილ საქმეებს. თუ გადარჩენის საფუძვლად ნათლობას მივიჩნევთ, მაშინ საქმეების გვწამს. ჩვენს სულიერ სახლს ქვიშიან საძირკველზე ვაშენებთ, რომელიც ვერ დაგვიცავს.

რამდენიმე წლის წინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა მოვიდა და მითხრა, რომ ქრისტიანი აღარ იყო, არამედ მორმონთა ეკლესიას შეუერთდა. როდესაც ვკითხე, თუ რის რწმენას ეყრდნობოდა მისი მარადიული სიცოცხლის იმედი, მან მიპასუხა, რომ მისი იმედი ეფუძნებოდა მის რწმენას იესო ქრისტესადმი და მორმონთა ეკლესიის მუდმივ წევრობას. პირდაპირ ვუთხარი, რომ მისი გადაწყვეტილება ტრაგიკული იყო. იმ მომენტში, როგორც კი, იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმის გარდა სხვა რამეზე დადო იმედი, ძალიან შორს შეტოპა.

ღვთის წინაშე გამართლებულად დგომისთვის მხოლოდ ქრისტეს რწმენა გვჭირდება. თუ იესოს რწმენასაც და წინადაცვეთასაც (ან ნათლობას, ან მეათედს, ან რომელიმე კონკრეტული ეკლესიის წევრობას) დავიჟინებთ, მაშინ არავითარი სარგებელი არ გვექნება ქრისტეში.

ყველაფერი ან არაფერი

ისინი, ვინც გამართლებისთვის საკუთარ საქმეებს ენდობიან, ერთადერთი არჩევანის იდეას ვერ ხვდებიან. თუ ხსნისთვის საჭიროდ მხოლოდ ერთ კეთილ საქმეს მივიჩნევთ, მთელი რჯულის მოვალენი ვხდებით; რჯული მთლიანად უნდა დავიცვათ. როგორც პავლემ გალატელთა 3:10-ში აღნიშნა: „ვინაიდან ყველანი, ვინც რჯულის საქმეთაგან არიან, წყევლის ქვეშ იმყოფებიან, რადგან დაწერილია: "წყეულია ყოველი, ვინც არ ასრულებს ყოველივეს, რაც რჯულის წიგნშია დაწერილი, რათა ყველაფერი შეასრულოს". იაკობმა ეს ჭეშმარიტება გააძლიერა: „რადგან, ვინც მთელ რჯულს იცავს და ერთში შესცოდავს, იგი ყველაფერში დამნაშავე ხდება“ (იაკობი 2:10).

თუ სიმართლისთვის რჯულს მივმართავთ, არა მხოლოდ სარგებელს ვკარგავთ ქრისტეში, არამედ სრულყოფილებისთვის ყოველი ბრძანების დაცვა მოგვიწევს. ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა ან კანონებზეა დაფუძნებული, ან - მადლზე.

პავლეს იუდეველთა ცრუ სწავლების უარყოფაში უკან არ დაუხევია. მან დაწერა: „თქვენ, რომლებიც რჯულით იმართლებთ თავს, უქრისტეოდ დარჩით და მოსწყდით მადლს“ (გალატელთა 5:4). მათ, ვისაც ქრისტიანობაში „შენზე წმინდა ვარ“ დამოკიდებულება შემოაქვთ, მადლი უარყვეს.

სასარგებლოა გვახსოვდეს, რომ სამოთხეში თავისი კარგი საქმეების გამო არავინ იქნება. არ მოგვიწევს აბრაჰამს, დავითს ან პავლეს საუბარს ვუსმინოთ ყველა იმ შესანიშნავ საქმეზე, რითიც ღვთის წინაშე წარდგომა დაიმსახურეს. მათ უბრალოდ სწამდათ ღმერთის და ეს ჩაეთვალათ სიმართლედ. არცერთი ჩვენგანი არ დადგება სამოთხეში და კარგ საქმეებს ერთმანეთს არ შეადარებს, რადგან მხოლოდ ერთი იქნება ღვთის ტახტის წინაშე, ვისი საქმეებიც პატივის ღირსია - ჩვენი უფალი, იესო ქრისტე. იესო და მხოლოდ იესო მიიღებს დიდებას ჩვენი ხსნისთვის. ის რომ არა, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ მივიდოდა იქ.

როგორც პავლემ თქვა, „მე კი ნუმც დამეკვეხნოს, თუ არა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ჯვრით, რითაც წუთისოფელი ჩემთვის არის ჯვარცმული, მე კი - წუთისოფლისთვის“ (გალატელთა 6:14). მნიშვნელობა არ აქვს რამდენი კეთილი საქმე გვიკეთებია მისთვის, რამდენი ადამიანი მივიყვანეთ მასთან ან რამდენი ეკლესია დავაარსეთ მისთვის, ჩვენი ერთადერთი დიდება იესო ქრისტეშია, რომელიც ჩვენთვის მოკვდა. ჩვენი სიმართლე კარგი საქმეების, ადამიანური ძალისხმევის, გარკვეული რიტუალების ან კანონების დაცვის საკითხი არაა. ჩვენი სიმართლე, როგორც ახლა, ისე მარადისობაში, ღვთის ძის, იესოს მიმართ ჩვენი უბრალო რწმენის შედეგია.

რწმენით გამართლება ყველა განსხვავებას შლის მათ შორის, ვინც ქრისტეს ეკუთვნის. არც მე ვარ შენზე უკეთესი, არც შენ - ჩემზე. ყველანი ცოდვილნი ვართ და მხოლოდ ღვთის დიდებული მადლით გადავრჩით. ღვთის წინაშე სწორი დგომის სხვა გზა არ არსებობს. ღმერთი მხოლოდ ერთი სახის სიმართლეს მიიღებს: იესო ქრისტეს მიერ ჩვენთვის ბოძებულ სიმართლეს.

ეს ჩვენთვის, როგორც მორწმუნეებისთვის, მეორე ხარისხოვანი პატარა საკითხი როდია. ჩვენ ქრისტეს მიერ ნაჩუქარ თავისუფლებაში უნდა ვიდგეთ. არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი ცხოვრება მსჯავრდამდებმა წესებმა მართონ. ჩვენი სიმართლე იმაზე არაა დამოკიდებული, თუ რამდენს ვკითხულობთ, ვლოცულობთ, ვმარხულობთ ან გავცემთ. ჩვენი სიმართლე იესოსადმი ნდობაზეა დაფუძნებული, რომ ჩვენი ცოდვები ჩამოგვრეცხოს, გაგვასუფთაოს და გაგვწმიდოს მამის თვალში.

ჩვენი ხსნის საქმე დასრულებულია. მის გასაუმჯობესებლად ვერაფერს გავაკეთებთ. ჩვენი კარგი საქმეები ღვთის მიმღებლობისა და სიყვარულის შედეგია; საქმეებს მისი სიყვარულის მოსაპოვებლად არ ვაკეთებთ. ქრისტეს მცნებების დაცვა მეტად ვერ გაგვამართლებს - უბრალოდ უფრო ბედნიერს და კმაყოფილს გვხდის. რა ჯობია ისეთ ცხოვრებას, რომ ჩემი არსებობა მას მივუძღვნა, ვისაც ასე ძლიერ

ვუყვარვარ აქ და ახლა, და მპირდება, რომ სამუდამოდ იზრუნებს ჩემზე? ღმერთის წინამძღოლობა და მმართველობა მსოფლიოში ყველაზე სრულფასოვანი განცდაა.

მხოლოდ ორი არჩევანი

ყოველი ჩვენგანი ან საკმარისად კარგად მოქცევას ვცდილობთ, რომ ღმერთს ვასიამოვნოთ, ან გვჯერა და ვენდობით, რომ ჩვენთვის შეუძლებელს ის გააკეთებს. ჩვენი ცხოვრების ყოველ მომენტში ამა თუ იმ გზაზე ვხვდებით. თუ ჯერაც იმას ვცდილობთ, რომ ღმერთს ჩვენი სიკეთით ვასიამოვნოთ, ხელთ მხოლოდ დამარცხება და იმედგაცრუება შეგვრჩება. თუ ღვთის მადლს ვენდობით, რომ გარდაგვქმნას და ქრისტეს სახიერება წარმოშვას ჩვენში, მაშინ მშვიდი ცხოვრებით დავტკბებით.

მარადიული გაკვეთილი ვისწავლე, რომ კანონები და წესების დაცვა ჩვენს გულებს ვერასოდეს შეცვლის.

მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენს სახლში მთელი ოჯახი ერთობლივი ძალისხმევით ქრისტესმიერი ატმოსფეროს შექმნას არასწორად ვცდილობდით. ჩვენი შვილები იზრდებოდნენ და დადგა დრო, როდესაც მათმა და-ძმურმა მეტოქეობამ პიკს მიაღწია. რატომღაც ჩვენი შვილები ერთმანეთს ასეთი ტერმინებით მიმართავდნენ: მატყუარა, სულელი ან იდიოტი. ამიტომ შევეცადეთ გარკვეული დისციპლინა შემოგვეღო და განსაზღვრული წესები შეგვექმნა.

ახლა ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო ამოცანა ორსართულიან სახლში კიბეების მტვერსასრუტით დასუფთავებაა, ამიტომ, ჩვენი საშინაო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, იმ ოჯახის წევრების აღრიცხვა გადავწყვიტეთ, რომლებიც ერთმანეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ყველაზე მეტი დარღვევის მქონეს კიბეების დასუფთავება უწევდა. ეს ყველაფერი იმ დროს ძალიან გონივრულად მეჩვენებოდა, მაგრამ დღემდე მაქვს საშინელი განცდა, რომ მახეში მაბამდნენ.

ერთ დღეს ჩვენი შვილები ერთმანეთს წაეკიდნენ. როდესაც ოთახში შევედი, იქაურობა თითქმის განადგურებული დამხვდა. ჩემი პირველი სიტყვები იყო: „რომელმა სულელმა იდიოტმა აურია აქაურობა?“ - რა თქმა უნდა ნათელია, ვის შერჩა მტვერსასრუტით კიბეების გაწმენდა.

თუმცა ამან ერთი სიკეთე მაინც მოიტანა. კვლავ მარადიული გაკვეთილი ვისწავლე, რომ კანონები და წესების დაცვა ჩვენს გულებს ვერასოდეს შეცვლის. ჩვენი მოტივები კარგი იყო. ჩვენი ოჯახის რჯულის დაცვას ყველანი ვცდილობდით, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა.

როგორც ჩანს, რაც არ უნდა ვეცადოთ სიწმინდის შენარჩუნებას, მაინც გვიწევს იმ ფაქტის აღიარება, რომ ჩვენი სიმართლე უფლის თვალში ჭუჭყიანი სამოსივითაა. ღმერთმა სიმართლის განსხვავებული იმედი მოგვცა - მასთან დგომა და ურთიერთობა, რომელიც უბრალოდ გვაჩუქა. სიმართლე იესო ქრისტეს რწმენითა და იმის ცოდნით გვენიჭება, რომ ჩვენ სრულყოფილი სტანდარტებით ცხოვრება არ შეგვიძლია. ეს ჩვენს წინაშე არსებული გადამწყვეტი არჩევანია. შეგვიძლია ჩვენი ჭუჭყიანი სამოსის გაწმენდა და სამოთხეში ლამაზად წარდგომა ვცადოთ, ან რწმენით ქრისტეს სრული სიმართლით შემოსვა ავირჩიოთ.

ჩემი მტვერსასრუტი მახსენებს, რომ ჩემი ერთადერთი იმედი მადლის არჩევაა.

კურსიდან გადასვლა და თვალთახედვის დაკარგვა

ყოველთვის მაოცებდა ის, თუ რაოდენ ადვილია ქრისტიანული ცხოვრების გზიდან გადახვევა. რწმენის ან სულეირი ცხოვრების ნებისმიერ მცირე არეალში დაშვებულმა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ხარვეზმაც კი მთლიანად შეიძლება შეარყიოს ჩვენი ქრისტიანული ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტი. ამიტომ დოქტრინული სიწმინდის შესანარჩუნებლად სრული ძალისხმევის გამოჩენა დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ცოტა ხნის წინ სულიერ საკითხებს განვიხილავდი ერთ ადამიანთან, რომელსაც სჯეროდა, რომ ეკლესია დიდ გასაჭირს გაივლიდა და აინტერესებდა, თუ რატომ ვიჭერდი ასეთ მტკიცე პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რასაც იგი ესხატოლოგიის უმნიშვნელო ასპექტად მიიჩნევდა. მე კითხვით ვუპასუხე: „თუ ეკლესია დიდ გასაჭირს გაივლის, ვინ არის 144000 მოხსენიებული გამოცხადების წიგნში?" მან მიპასუხა, რომ ეს ხალხი ეკლესიის ნაწილი იყო, რადგან ეკლესია სულიერი ისრაელია. ვკითხე, სჯეროდა თუ არა, რომ ისრაელის ერისადმი ღვთის ყველა დაპირება სულიერად სრულდებოდა ეკლესიაში. მან თქვა, რომ სრულდებოდა. ვუპასუხე: „რა საინტერესოა, რომ ესხატოლოგიის ასეთმა „უმნიშვნელო“ სფერომ მთლიანად იმოქმედა შენს დოქტრინაზე ეკლესიის შესახებ.“ პავლეს სიტყვებით რომ ვთქვათ, მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს (გალატელთა 5:9).

მოდით, სხვანაირად შევხედოთ. წარმოიდგინეთ, რომ ლოს-ანჯელესიდან ჰავაისკენ თვითმფრინავით მგზავრობთ. აფრენამდე პილოტი აცხადებს: „ხალხო, ნავიგაციის სისტემასთან დაკავშირებული მცირე პრობლემა გვაქვს, მაგრამ არ ინერვიულოთ, კურსიდან მხოლოდ ორ გრადუსიანი გადახრა გვაქვს.” ასეთი გადახრით ლოს-ანჯელესის გარეუბანში მისვლა პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ როდესაც წყნარ ოკეანეში 5000 კილომეტრს გავივლიდით, უიმედოდ დავიკარგებოდით. იმ დიდებულ კუნძულს ვერსად დავინახავდით.

ცხადია, საუკეთესო მიდგომა კურსიდან, თუნდაც, მცირე გრადუსიანი გადახრის თავიდან აცილებაა. დოქტრინის საკითხებში აუცილებელია შევისწავლოთ წმინდა წერილი, დავამტკიცოთ ყველაფერი და თავი ავარიდოთ ადამიანთა დამაჯერებელ არგუმენტებს. მადლში სწორედ ასე ვრჩებით.

ძვირი სიფხიზლე

არ მოტყუვდეთ - ამ სიფხიზლეს ფასი აქვს. დაპირისპირება და დევნა სახარების ქადაგებას თავიდანვე გარშემოერტყა. როგორც პავლემ გალატელთა 5:11-ში აღნიშნა: „მე კი რისთვის ვარ დევნილი, ძმებო, თუ კვლავ წინადაცვეთას ვქადაგებ? მაშინ განქარდებოდა ჯვარზე გამოწვევა.“ თუ პავლე იქადაგებდა, რომ ღმერთის წინაშე სწორი დგომა კარგი საქმეების სერიით მოიპოვება, ქრისტიანობას მოწინააღმდეგე არ ეყოლებოდა. მაგრამ ქრისტეს ჯვარი ყოველთვის წინააღდეგობაში იყო.

ჯვარი გვიჩვენებს, რომ ღვთის წინაშე სიმართლით დგომის მხოლოდ ერთი გზა არსებობს. ქრისტეში ხსნის ჭეშმარიტი გზავნილი ადამიანებს თავისთავად აწუხებს, რადგან ძალზედ ვიწრო და ექსკლუზიურია. ჯვარი ქვეყნიერებას უცხადებს, რომ მარადიული სიცოცხლის მხოლოდ ერთი იმედი არსებობს - იესო ქრისტეს სიკვდილი და აღდგომა. პავლე არსებითად ამბობს: „თუ ლიბერალობა მსურს, ვიტყოდი: „თუ გიღირთ, წინადაიცვითეთ” და აღარც არავინ გამდევნიდა, მაგრამ მდევნიან, რადგან ჩემთვის ჭეშმარიტების დაცვა უმნიშვნელვანესია.”

პავლე სიტყვებს უბრალოდ არასოდეს ისროდა. ჭეშმარიტებისადმი პავლეს ემოციური მიძღვნა შეგვიძლია მისი სიტყვების ნაკადში დავინახოთ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც წინადაცვეთის საკითხმა მოიცვა. ის გალატელეთა 5:12-ში წერს: „ო, ნეტა განიდევნებოდნენ თქვენი შემაშფოთარნი“. მოცემული ტერმინი “განიდევნებოდნენ” სიტყვასიტყვით “დაკნინებას“ ან “კასტრირებას“ ნიშნავს. პავლე გულისხმობდა: „თუ ამ ცრუ მასწავლებლებს სჯერათ, რომ ხორცის მცირე დასახიჩრება გვამართლებს, მაშინ რატომ არ დაიწყებენ საკუთარი თავით და საქმეს ბოლომდე არ მიიყვანენ!“ პავლეს განცხადების თანამედროვე პარალელი შეიძლება ასეთი იყოს: „ნეტა, ვინც გეუბნებათ, რომ წყალში ნათლობის გზით გამართლდებით, ბოლომდე მიიყვანდნენ საქმეს და თავს დაიხრჩობდნენ!“ პავლე თავის გრძნობებს მათ მიმართ გამოხატავდა, ვინც მადლის დამახინჯებას გაბედავდა.

წარმოიდგინეთ მოციქულს ამ მოვლენების გამო როგორი გულისტკივილი ექნებოდა. მორწმუნეებს ჰქონდათ მოზიარეობა, სადაც სული მოქმედებდა, სადაც ადამიანებს უყვარდათ ღმერთი და ერთმანეთი,

უფალში ერთობა და აღტაცება ჰქონდათ მანამ, სანამ ასპარეზზე ცრუ მასწავლებლები არ გამოჩნდნენ. სახარების საკუთარი ვერსია შემოიღეს, რითიც განხეთქილება გამოიწვიეს და მალე ფრაქციებმა იწყეს განვითარება. უმშვენიერესი სიყვარული და მოზიარეობა, რომელიც ამ სხეულმა იცოდა, სულ მალე შორეულ მოგონებად იქცა. გასაკვირი არცაა, რომ პავლე მათ სწავლებას ასე პირდაპირ აკრიტიკებდა!

მადლობა, პავლე!

ჩვენ, ვინც იესო ქრისტეს დიდებულ მაცხოვნებელ მადლთან მოვედით, პავლეს მიმართ დიდი მადლიერება გვმართებს. რომ არა ის, ეკლესიაში ბევრნი შეიძლება ადვილად გამხდარიყვნენ ებრაული სექტის ნაწილი. მაგრამ პავლე მტკიცედ იდგა და ახალმოქცეულები იესო ქრისტეს მადლში დაამკვიდრა. ეს მას გარკვეულ ფასად დაუჯდა - დევნიდნენ, ცილს სწამებდნენ და თითქმის მთელი მსახურების მანძილზე სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ; მაგრამ ღირდა. სიცოცხლის ბოლოს ამ აღმაფრთოვანებელი სიტყვების დაწერა შეეძლო: „კეთილი ღვაწლით ვიღვაწე, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მომელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული; და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვისაც უყვარს მისი გამოჩენა“ (2 ტიმოთე 4:7-8).

დაე, ღმერთმა მოგვანიჭოს მადლი, რომ ვიდგეთ ჭეშმარიტებისა და სიბრძნის დასაცავად და სიყვარულით ვაზიარებდეთ მას. დაე, მან მოგვანიჭოს ჭეშმარიტებისა და ქრისტეს შემეცნებაში მყარად დგომისა ძალა. დაე, გავაცნობიეროთ კურთხევისა და თავისუფლების წარმოუდგენელი სიღრმე, რომელიც ღმერთმა ასე უხვად მოგვანიჭა. და დაე, ღვთის უმშვენიერეს სიყვარულში სიარულისას და მის დიდებულ მადლში მყარად დგომისას ყოველდღიურად განვიცდიდეთ ამ კურთხევებს.

13. სამეფო ოჯახის წევრები

ოდესმე თუ გიფიქრიათ სამეფო ოჯახში დაბადება როგორი იქნებოდა? ვინც ღარიბი ოჯახებიდან ვართ, ალბათ დიდი დრო გაგვიტარებია მსგავს ოცნებებში, თუ როგორია სიმდიდრეში ცხოვრება.

შეიძლება მდიდარი ოჯახებიდან არ მოვდივართ, მაგრამ ბიბლია ცხადჰყოფს, რომ ქრისტესთან ჩვენი ურთიერთობის გამო, რწმენის მეშვეობით სულიერ ერად გარდავიქმნებით. როგორც პავლე გალატელთა 3:29-ში წერს: „თუ ქრისტესნი ხართ, მაშ, აბრაჰამის თესლი ხართ და მემკვიდრენი აღთქმის მიხედვით“. როდესაც ჩვენს ნამდვილ მემკვიდრეობას დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი იდენტობა ფესვგადგმული აღარ არის ევროპაში, აზიაში ან აფრიკაში. მადლის საშუალებით ჩვენს ნამდვილ წარმომავლობას შეგვიძლია ქრისტესთან, ღვთის მიერ აბრაჰამისთვის მიცემული აღთქმის შესრულებასთან მივაკვლიოთ. სწორედ ამ განსაკუთრებული ურთიერთობის გამო ვართ ღვთის სამეფოს მემკვიდრეები.

ვინ არის მემკვიდრე?

ექვსი ან შვიდი წლის ბავშვი, რომელიც დიდ მემკვიდრეობას იღებს, რეალურად ძალიან მდიდარი ადამიანია. მიუხედავად ამისა, სანამ ეს ბავშვი სრულწლოვანი არ გახდება, როგორც ეს მშობლების ანდერძშია გათვალისწინებული, ის პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება დაქირავებული მსახურისგან. რა თქმა უნდა, მემკვიდრის ყველა ფიზიკური მოთხოვნილება დაკმაყოფილდება, მაგრამ სანამ ის სრულწლოვანი არ გახდება, მემკვიდრეობის საკითხების გადაწყვეტის უფლება არ აქვს.

პავლეს დროიდან მოყოლებული მემკვიდრის ცხოვრებისეული მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. პავლე წერდა: „ვამბობ: მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ჩვილია, არაფრით განირჩევა მონისგან, თუმცა ყოვლის მფლობელია. არამედ აღმზრდელთა და მოურავთა ხელქვეით იმყოფება იგი

მამამისის მიერ დანიშნულ ვადამდე“ (გალატელთა 4:1-2). პავლე განმარტავს, რომ მემკვიდრე აღმოჩნდა მმართველის უფლებამოსილების ქვეშ, რომელსაც სრული პასუხისმგებლობა დაეკისრა ქონების მართვაზე. როგორც წესი, მეურვესაც ნიშნავდნენ, რათა ბავშვის აღზრდა ეკონტროლებინა და მისთვის სწორისა და არასწორის გარჩევა იქამდე ესწავლებინა, სანამ ბავშვი სრულწლოვანი გახდებოდა.

რომაულ საზოგადოებაში ბიჭი შვიდ წლამდე ჩვილად ითვლებოდა. 7-დან 17 წლამდე მას პატარა მეწამული სალტეს მქონე ხალათი უნდა ეტარებინა, რომელიც მიანიშნებდა, რომ ის ჯერაც ბავშვია, მაგრამ 17 წლის ასაკში მას სხვა მოსასხამს აძლევდნენ, რომელსაც მეწამული სალტე აღარ ჰქონდა. ანუ ის ახლა კაცად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, 25 წლამდე კაცს ბიზნესის დაწყების კანონიერი უფლება არ გააჩნდა.

ებრაულ კულტურაში საქმე უფრო მარტივად იყო. 12 წლის ასაკში ბიჭი ბარ-მიცვის სახელწოდებით ცნობილ ცერემონიაში იღებდა მონაწილეობას, რომლის წყალობითაც ის სრულფასოვანი “აღთქმის შვილი" ხდებოდა. ბიჭის მამა ადგებოდა და მადლობის ლოცვას აღავლენდა, რომ ამიერიდან შვილის ქმედებებზე პასუხისმგებელი აღარ იყო. ბიჭიც თავის მხრივ აღავლენდა ლოცვას, რომ ამიერიდან იგი, როგორც მამაკაცი, საკუთარ თავზე პირად პასუხისმგებლობას აიღებდა.

პავლე ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკამდე გადასვლას იყენებს, რათა რჯულსა და ღვთის ხალხს შორის არსებული კავშირი აჩვენოს. როდესაც ისრაელი რჯულის ქვეშ მოექცა, ის ღვთის აღთქმების მემკვიდრე გახდა. მიუხედავად ამისა, სანამ ერი რჯულის ქვეშ იყო, მათი დიდებული მემკვიდრეობის აღთქმები არ შესრულდებოდა. ისინი „დროის სისრულედ“ წოდებულ დღეს ელოდებოდნენ, როდესაც ღმერთი ყოველ დაპირებას თავისი ძის გამოჩენით აღასრულებდა. აი, ამ დრომდე ისრაელი რჯულის მმართველობის ქვეშ მყოფ პატარა ბავშვს ძალიან ჰგავდა.

რჯულის ტყვეობა

რჯული ყოველდღიურ ცხოვრებაში, დიეტიდან დაწყებული საქმიანი გარიგებებითა და ოჯახური ურთიერთობებით დამთავრებული, თითქმის ყველა შემთხვევას მოიცავდა. რჯული ღვთის ხალხს მკაცრად იქამდე ზედამხედველობდა, სანამ სრულწლოვანებას არ მიაღწევდნენ და სანამ ბოლოს და ბოლოს, მათთვის აღთქმული მემკვიდრეობით სრულად სარგებლობას შეძლებდნენ. მესიის მოსვლით ღმერთთან ისრაელს ახალი და მშვენიერი ურთიერთობის აღთქმა მიეცა, მაგრამ ეს დაპირება მამის მიერ დანიშნულ დრომდე ვერ შესრულდებოდა.

რჯული ჩარჩოში სვამდა როგორც ინდივიდებს, ისე მთელ საზოგადოებას, რათა მათ წესრიგსა და ჰარმონიაში ეცხოვრათ. თუმცა, თუ ჩვენი ღმერთთან ურთიერთობა მხოლოდ გარეგანი მითითებებია, მაშინ ტყვეობაში აღმოვჩნდებით. ამიტომაც წერდა პავლე: „ასევე ჩვენც, ვიდრე ყრმანი ვიყავით, წუთისოფლის წესებს ვემონებოდით“ (გალატელთა 4:3).

რჯული ვერასოდეს მიგვიყვანს იმ მდიდარ, სრულ და თავისუფალ ცხოვრებამდე, რომელიც სულიწმიდას სურს ჩვენთვის.

ყოველთვის ირონიულად მიმაჩნდა ის, რომ პირველი საეკლესიო კრება (აღწერილია საქმეების 15-ში) ასე მკაცრად განიხილავდა მორწმუნეთა ცხოვრების წესებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი დასკვნით მორწმუნეები აღარ იყვნენ ვალდებულნი გარე ქცევის კოდექსი მონურად დაეცვათ, დღესაც ბევრი ეკლესიაა, რომელიც ცდილობს თავის ხალხზე მსგავსი კონტროლის დაწესებას.

ისეთ ეკლესიაში გავიზარდე, რომელსაც სწამდა, რომ ღვთიური მანდატი ჰქონდა, რომ ქალებისთვის ეთქვა, თუ როგორ უნდა ჩაეცვათ და რომელი ვარცხნილობა შეეფერებოდათ და რომელი - არა. ლიდერებს ასევე სჯეროდათ, რომ გამოცხადებით იცოდნენ, თუ რას ფიქრობდა ღმერთი მაკიაჟის

შესახებ. ბავშვობაში გაუთავებელ ბრძანებებს გვაძლევდნენ იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეგვეძლო და რისი - არა. არ ვამბობ, რომ ეკლესიამ მოსეს რჯულის ქვეშ დაგვაბრუნა, მაგრამ ეს ისეთი მძიმე ტვირთი და ტყვეობა იყო ჩემთვის, რომ ამ სიმძიმის ატანა ვეღარ შევძელი. გამუდმებით მონანიებაში ვიყავი, რადგან, უბრალოდ, არ შემეძლო ეკლესიის მიერ დაწესებული სტანდარტების დაცვა.

სულიწმიდას ჩვენთვის მდიდარი, სრული და თავისუფალი ცხოვრება სურს. ამ ყველაფერს რჯული ვერასდროს მოგვცემს. მას მხოლოდ დანაშაულის გრძნობა და იმედგაცრუება მოაქვს. საბედნიეროდ, ყველაფერი რჯულით არ სრულდება.

როცა დრო მოვიდა

პავლეს დროს, მემკვიდრეობის მინიჭების კანონიერი პროცედურები ძალიან ზუსტი იყო. როდესაც ბავშვი ანდერძით განსაზღვრულ ასაკს მიაღწევდა, ზედამხედველობისთვის მეურვე ან მმართველი აღარ სჭირდებოდა. "დროის სისრულის" ასაკში მყოფი მემკვიდრე ანდერძით აღთქმულს პირდაპირ იღებდა.

პავლეს ეს ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: „და როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც დედაკაცისგან იშვა და დაემორჩილა რჯულს“ (გალატელთა 4:4). იესოს დაბადება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ უფლის მიერ აღთქმული კურთხევების სისრულე გამოვცადოთ. მაგრამ ტერმინ „დროის სისრულეს“ კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. ოდესმე თუ გიფიქრიათ, რატომ აცხოვრა ღმერთმა თავისი ხალხი რჯულის ქვეშ თითქმის 1400 წლის განმავლობაში, სანამ თავის ძეს გამოგზავნიდა? მართალი გითხრათ, ბოლომდე შეიძლება ვერასდროს მივხვდეთ, თუ როგორია უფლის დროის საზომი. მისი გზები არ არის ჩვენი გზები და მისი აზრები არ არის ჩვენი აზრები, მაგრამ თუ ისტორიას გადავხედავთ, ბევრი ნათელი მიზეზი შეიძლება დავინახოთ, თუ რატომ იყო იესოს დედამიწაზე მოსვლის დრო განსაკუთრებით ხელსაყრელი.

პირველ რიგში, ქრისტე უპრეცედენტო მშვიდობის ხანაში დაიბადა. იესოს დაბადებამდე 13 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, რომში იანუსის ტაძრის კარიბჭე დახურული იყო. როდესაც რომი ომში მიდიოდა, ეს ტაძარი მლოცველებით ივსებოდა ხოლმე, რომლებიც იანუსს გამარჯვებას ევედრებოდნენ, მაგრამ ქრისტეს ეპოქაში, ეგრეთ წოდებული „რომაული მშვიდობა“ სუფევდა.

რომს ასევე ტრანსპორტის მიმართულებით წინ გადადგმული დიდი ნაბიჯები ჰქონდა, რადგან იმპერიის მასშტაბით გადაჭიმული გზების კარგად შემუშავებული სისტემა შექმნეს. და აგრეთვე, ბერძნული ენა, რომელიც ნათელ, გამომხატველ და საოცრად სპეციფიკურ ენას წარმოადგენდა, რომაული მმართველობის დროს უნივერსალური ენა გახდა.

ყველა ამ ფაქტორმა პირველ საუკუნეში სახარების სწრაფ გავრცელებას შეუწყო ხელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღმერთი სწორედ ამ სტრატეგიულ მომენტს დაელოდა, რათა მისი სიყვარულისა და პატიების გზავნილი მთელ მსოფლიოში გავრცელებულიყო.

ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ პავლე მამის მიერ ქრისტეს „გამოგზავნაზე“ საუბრობდა, რაც არა მხოლოდ ქრისტეს მარადიულ არსებობას გულისხმობდა, არამედ იმასაც, რომ იესო კონკრეტული დანიშნულებით მოვიდა. ის ამ სამყაროში კაცობრიობის გამოსყიდვის დასასრულებლად გამოიგზავნა. ახალი შეთანხმების დასადებად მოვიდა, რომლის მიხედვითაც ადამიანს ღმერთთან უახლოესი ურთიერთობა შეეძლო ჰქონოდა და უფლის აღთქმული კურთხევების სისავსე განეცადა.

პავლე ასევე გვეუბნება, რომ იესო „დედაკაცისგან იშვა და დაემორჩილა რჯულს“. ქალწულისგან შობაზე მინიშნება მტკიცედ მიუთითებს მესიის მოსვლის პირველ დაპირებაზე, რომელიც წმინდა წერილშია მოცემული. დაბადების 3:15-ში ღმერთმა პირობა დადო, რომ ქალის თესლი თავს გაუჭეჭყავდა გველს და

რომ ეშმაკის მიერ ედემის ბაღში მოტანილ სიკვდილის საქმეებს გააუქმებდა. იესო ასევე „დაემორჩილა რჯულს“. ეს შეგვახსენებს, რომ ქრისტე ებრაელად დაიბადა და პირველ რიგში, ებრაელი ხალხის გამოსასყიდად გამოიგზავნა. ის მოვიდა, რათა ღვთის ხალხმა სულიერ ზრდასრულობას საბოლოოდ მიაღწიოს და თავისი სულიერი მემკვიდრეობით დატკბეს. ზეციური მემკვიდრეობის მიღება მხოლოდ იესოს მეშვეობითაა შესაძლებელი.

როგორი მამიკოა!

ხშირად მენატრება ჩემთვის ძვირფასი, გარდაცვლილი წმინდანი, სახელად ივა ნიუმენი. ამ ღვთისმოსავმა ქალმა ღმერთთან იმაზე მეტი დრო გაატარა, ვიდრე მე მიცხოვრია. მისი ლოცვის მოსმენა მიყვარდა. „მამა, ძვირფასო...“ - დაიწყებდა ხოლმე. მას ღმერთთან ახლო და ლამაზი მეგობრობა აკავშირებდა. იგი ღმერთს ასე მიმართავდა - „მამა, ძვირფასო“.

იცოდით, რომ ქრისტეს სიკვდილმა და აღდგომამ იგივე მდიდარი და ახლო ურთიერთობა მოგიტანათ? პავლეც სწორედ ამას ამბობდა, როდესაც წერდა: „და რაკიღა თქვენ ძენი ხართ, ღმერთმა მოავლინა თქვენს გულებში თავისი ძის სული, რომელიც შესძახის: “აბბა, მამაო!” (გალატელთა 4:6).

ამ მონაკვეთში, მორწმუნის ცხოვრებაში სრული სამების ჩართულობის საოცარ სურათს ვხედავთ: მამა ღმერთი ჩვენს გულებში თავისი ძის სულს აგზავნის. რომაელთა 8:15,16-ში ნაპოვნი პარალელური მონაკვეთი გვეუბნება, რომ თვით ღვთის სული ემოწმება ჩვენს სულებს, რომ ღვთის შვილები ვართ. ასეთი ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სულიერად ხელახლა ვიშვებით. როგორც თავად იესომ თქვა: „ხორცისგან შობილი ხორცია და სულისგან შობილი - სული. ნუ გიკვირს, რომ გეუბნები, მაღლიდან უნდა იშვა-მეთქი“ (იოანე 3:6-7). როდესაც სულიერად ხელახლა ვიბადებით, ღმერთთან უახლოესი ურთიერთობის დამყარების ძალა გვეძლევა, რაზეც პავლეს მიერ გამოყენებული ტერმინი „აბბა“ მიუთითებს.

ტერმინი „აბბა“ სიტყვა "მამის" მოფერებითი ფორმაა. ეს არამეული სიტყვაა. თუ ისრაელს ეწვევით, დღესაც კი მუდმივად გაიგონებთ ბავშვების ძახილს: "აბბა, აბბა!" ისინი სინამდვილეში ამბობენ: „მამიკო! მამიკო!“

იესო ხშირად იყენებდა ამ ტერმინს. ეჭვგარეშეა, რომ მის მოწაფეებს იმდენად ხშირად ესმოდათ იესოს მიერ ლოცვისას ნათქვამი ეს სიტყვა, რომ ბერძნულად არც კი უთარგმნიათ. არამეულ გამოხატულებას იყენებდნენ, რადგან ზუსტად დაეფიქსირებინათ ის სითბო და სიახლოვე, რომელიც იესოს მამა ღმერთთან ჰქონდა.

ღმერთის განზრახვაა, რომ შევიცნოთ იგი, როგორც ჩვენი მოსიყვარულე მამა, ან თუნდაც - მამიკო.

რა დიდებულია იმის ცოდნა, რომ ღმერთს ასეთივე სიყვარულის პირადი ურთიერთობა სურს ჩვენთან! ძალიან ხშირად ვართ მიდრეკილნი, რომ ღმერთი შორს მყოფ შემოქმედად მივიჩნიოთ, მაგრამ მისი განზრახვა ისაა, რომ შევიცნოთ იგი, როგორც ჩვენი მოსიყვარულე მამა, ან თუნდაც - ჩვენი მამიკო.

ზოგიერთი ადამიანი ამ სახის ურთიერთობას უპატივცემულობად თვლის, თუმცა თავად ღმერთი მოგვიწოდებს ასეთი სიახლოვისკენ. ერთხელ, ლოცვის მსახურებაზე, იტალიელ მორწმუნეებს შევხვდი. ჩემდა საბედნიეროდ ისინი ინგლისურად ლოცულობდნენ, მაგრამ მაშინაც კი ისინი ღმერთს „პაპას“ (Papa - მამიკო) უწოდებდნენ. თავიდან მეგონა, რომ ლოცვა არაფორმალური ხდებოდა, მაგრამ ერთ მომენტში ჩემი შეხედულება გადავამოწმე. იმ გამოთქმაში წმინდა წერილის შესაბამისი სიახლოვე და სიყვარულის სიღრმე ჩანდა.

რა საოცარია, რომ ღმერთი თავის თანდასწრებაში გვიღებს, როგორც საყვარელ შვილებს და არა როგორც მშიშარა და კრიჭაშეკრულ მონებს. მამასა და შვილებს შორის ასეთი ურთიერთობა ხომ არ უნდა არსებობდეს? როდესაც ჩემი შვილები ჩემთან სტუმრად მოდიან, საუბრის დროს არ დგებიან და შიშისგან არ კანკალებენ. ისინი ფორმალურად არ მომმართავენ: "ო, ამაღლებულო მამა, შეასრულე შენი შვილის ეს მოკრძალებული თხოვნა". ჩვეულებრივ ასე მესაუბრებიან: "სალამი მამი, ხუთი დოლარი მჭირდება. ასახსნელად ახლა დრო არ მაქვს, უბრალოდ ფული მომეცი და დაწვრილებით მოგვიანებით აგიხსნი!"

ღმერთს სურს, რომ მასთან ერთად გატარებული დრო ჩვენს გულებს ამშვიდებდეს და აღადგენდეს. სურს, რომ მასთან თავი ისე ვიგრძნოთ, როგორც სახლში და ურთიერთობაში ვიყოთ თავისუფალი და ღია. ჩვენ კი ნამდვილად შეგვიძლია თავი ასე ვიგრძნოთ, რადგანაც ჩვენი ცხოვრება ხომ მის წინაშე გადაშლილი წიგნია. ის ჩვენ იმაზე უკეთ გვიცნობს, ვიდრე ჩვენ - საკუთარ თავებს.

ღმერთს არ სურს, რომ მასთან ცივი და მოკრძალებული ურთიერთობა გვქონდეს. მას სურს, რომ მისი სიყვარული ჩვენი გულის სიღრმეში პირადად განვიცადოთ. როგორი გამოხატულებაც არ უნდა ჰქონდეს ასეთ სიახლოვეს, სრულიად მისაღებია, იქნება ეს „მამა“, „მამიკო“, ან თუნდაც "პაპა".

იდეალური მამიკო

ღმერთი, ყველაზე ჭეშმარიტი და უწმინდესი გაგებით, ჩვენი მამაა. ის ჩვენი იდეალური მამაა. ჩვენმა ამორალურმა კულტურამ მამაზე წარმოდგენა ბევრი შვილის გულში გაანადგურა. ეს ტრაგედიაა. მე მადლობას ვწირავ ღმერთს ჩემი ღვთისმოსავი მამისთვის, რომელიც ყოველთვის მეხმარებოდა, რათა ღმერთთან ახლო, დიდებული ურთიერთობა მქონოდა. ვწუხვარ იმ ადამიანების გამო, რომლებიც თავიანთ ცხოვრებაში ცუდი მაგალითების არსებობის გამო ღმერთის მამობას ვერ აცნობიერებენ.

როგორი გამოცდილებაც არ უნდა გქონდეს, ღმერთს სურს, რომ შენ მასთან ყველაზე ახლო მოზიარეობა და სიახლოვე გქონდეს, და რომ იცნობდე მას, როგორც მოსიყვარულე, ჭეშმარიტ, წმინდა, უნაკლო და მზრუნველ მამას. მისი სული ჩვენს გულებში ღაღადებს: "აბბა! მამიკო! მამა!"

ღმერთს შეუძლია თავისი სიყვარული მოგვანიჭოს და თავისი სიკეთითა და სათნოებით აგვავსოს, რომ ჩვენ უფრო და უფრო მეტად შევიყვაროთ იგი. სწორფედ ესაა ღმერთის მიზანი ადამიანებისთვის. შენი ცხოვრება სრული არასდროს იქნება, სანამ შენში ღმერთის მიზნები არ მიიღწევა; სანამ ღმერთთან ახლო, პირადი ურთიერთობა არ გექნება; სანამ გულიდან მთელი შეგრძნებით არ ეტყვი: „ო, აბბა!“

მამებო, თუ გახსოვთ, პირველად თქვენმა შვილმა როდის დაგიძახათ "მამა"? ეს განსაკუთრებული მომენტია. ნათლად გემახსოვრებათ. ჩემი პატარა გოგონას პირველი სიტყვა „მამა“ იყო. ძალიან გარკვევით გავიგე. შემოვტრიალდი და დავიყვირე: „რა?“ - დავნაღვლიანდი, რადგან ირგვლივ ჩემ გარდა არავინ იყო ამის გამგონე და ვინ დამიჯერებდა? მოგვიანებით ვცადე ჩემი გოგონასთვის ეს სიტყვა კიდევ მეთქმევინებინა. მან ყველაზე ტკბილი და გააზრებული ღიმილი მაჩუქა, თუმცა სიტყვა არ გაიმეორა. და მაინც, მე ხომ გავიგონე! თუმცა, მალე მან მამიკოს დაძახება ყველას თვალწინ დაიწყო, რაც ჩემში დიდ აღფრთოვანებას იწვევდა.

იმ დღეს, როდესაც უფალს პირველად მივმართავთ: "ო, აბბა!" ის გვისმენს და აღფრთოვანებულია. ეს არის ურთიერთობის დასაწყისი, როდესაც გულით ვამბობთ, "შეხედე, ეს ჩემი აბბაა. ეს ჩემი მამიკოა". გასაოცარი ისაა, რომ ეს ღმერთთან ჩვენი მოზიარეობის სიმდიდრის მხოლოდ დასაწყისია.

ღვთის მემკვიდრეები

რაც არ უნდა ჩაუწვდომლად დიდებული იყოს ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან, როგორც ჩვენს "აბბასთან", ეს მხოლოდ დასაწყისია. პავლე გვეუბნება: „ამიტომ, უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო

თუ ძე, მემკვიდრეც ხარ ღვთის მიერ“ (გალატელთა 4:7). ღმერთმა გვიშვილა და მასთან ურთიერთობა გვაქვს, რის შედეგადაც მისი სული ჩვენი გულებიდან ღაღადებს: "ო, აბბა!". ასე რომ, ჩვენ ღვთის მარადიული, დიდებული სამეფოს მემკვიდრეები გავხდით.

ზეციერ მამას იმდენად ვუყვარვართ და იმდენად სულგრძელია, რომ თავის მემკვიდრეებად გვაქცია და განიზრახა, რომ ეს სულიერი მემკვიდრეობა ჩვენს ცხოვრებაში რეალური და მაკურთხებელი იყოს.

ზოგი ადამიანი შეცდომას უშვებს, როდესაც ფიქრობს, რომ მორწმუნე თავისი მემკვიდრეობის მისაღებად სამოთხეს უნდა დაელოდოს, მაგრამ ეს სიცრუეა. ბიბლია გვეუბნება, რომ ღვთის სასუფეველი არის სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულიწმიდაში (რომაელთა 14:17). ეს შესანიშნავი კურთხევები შეგვიძლია აქ და ახლავე გამოვიყენოთ. ღვთის მშვიდობას, რომელიც ყველანაირ გაგებას აღემატება, ახლავე შეუძლია დაიცვას ჩვენი გული და გონება. ჩვენი სულიდან ახლავე შეიძლება გადმოდინდეს ენით აღუწერელი და დიდებით სავსე სიხარული. შეგვიძლია დანაშაულისა და შიშისგან სრულიად განვთავისუფლდეთ, რადგან იესო ქრისტეს მიერ დასრულებულ საქმისადმი რწმენის მეშვეობით სრულიად მართლებად გამოვცხადდით.

ადამიანო, ეს ყველაფერი არ არის!

ეს ჩვენი დიდებული მემკვიდრეობის მხოლოდ რამდენიმე დიდებული ელემენტია, რომელიც უკვე ჩვენია, რადგან ღმერთმა იესოს თანამემკვიდრეებად გვაქცია. ჩვენი ზეციერი „მამიკოს“ შესანიშნავი სიყვარულისა და მადლის მეშვეობით უმაღლესი კურთხევების ადგილას შეგვიძლია შევიდეთ.

და მაინც, ეს ყველაფერი არ არის. იესომ თქვა, რომ დადგება დღე, როდესაც მის მარჯვნივ მდგომთ ეტყვის: „მოდით, მამაჩემის მიერ კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სამეფო“ (მათე 25:34). მე ვარ ღვთის მემკვიდრე, მე მეფემ მიშვილა. ასე რომ, თუ მამაჩემი მთელი სამყაროს მეფეა, ეს მე ამ სამყაროს პრინცობას მანიჭებს!

შენ პრინცი ან პრინცესა გამოდიხარ. სამეფოს მემკვიდრე ხარ, იმ სამეფოსი, რომელიც ღმერთს სურს, რომ მასთან ერთად გაიზიარო. და შემდეგ ადამიანებზე ღმერთის განზრახვები აღსრულდება, როდესაც ისინი ღმერთთან ამ სრულყოფილ, უახლოეს მოზიარეობას აღიდგენენ.

ჩვენი გული მადლიერებით შეიძლება აივსოს იმ სითბოსა და უსაფრთხოებისთვის, რომელსაც ახლა უფლის ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარულიდან გამომდინარე განვიცდით. რამხელა ძალაა იმის დარწმუნებით ცოდნა, რომ ღმერთი ჩვენზე იზრუნებს, დაგვიცავს და თავის სიყვარულში გვატარებს. შეგვიძლია თავდაჯერებით ვიცხოვროთ და დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ გვყავს მამა, რომელიც ჩვენს მხარესაა და ყოველი ჩვენგანის უკან ყოველი ფეხის ნაბიჯის გადადგმისას მტკიცედ დგას, რომელიც უზარმაზარ რესურსს გვაძლევს, რომ მასთან ერთად სიარული შევძლოთ.

ჩვენი „აბბა“ მოწოდებულია დაგვიფაროს დაცემისგან და უნაკლოდ წარმოგვაჩინოს თავისი დიდების წინაშე სიხარულით (იხ. იუდას 24). მან ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მეშვეობით ძეობა და უხრწნელი მემკვიდრეობა მოგვცა. იმიტომ არა, რომ ვიმსახურებდით. ჩვენ ეს არ დაგვიმსახურებია. ეს ყველაფერი მხოლოდ მისი მდიდარი წყალობისა და უხვი მადლის საშუალებით გახდა შესაძლებელი.

რა საოცარია, რომ როდესაც ხელახლა ვიბადებით, აღმოვაჩენთ, რომ სულიერად მდიდრები და სამეფო ოჯახის წევრები უნიკალური გზით გავხდით. რადგანაც ღვთის შვილები ვართ, სამეფოს პრინცებად და პრინცესებად ვიქეცით. ქრისტეს მიერ აღსრულებული საქმის გამო უხრწნელ, უბიწო და მარადიულ მემკვიდრეობას მივიღებთ, რომელიც თითოეულ ჩვენგანს მარადისობაში ტკბობისთვის გველოდება.

14. ჩვენი ერთადერთი პასუხისმგებლობა

ახალი აღთქმის გზავნილი მარტივი, პირდაპირი და უტყუარია. ჩვენ ღვთის მადლით ვართ გადარჩენილნი მხოლოდ რწმენის მეშვეობით და არა ჩვენ მიერ გაკეთებული რაიმე კარგი საქმის საფუძველზე. ქრისტიანის ერთადერთი პასუხისმგებლობაა სწამდეს იმ სიყვარულისა და მადლისა, რომელსაც ღმერთი საჩუქრად სთავაზობს.

ეს მკაფიო გზავნილი მკვეთრად ეწინააღმდეგება მათ სწავლებას, ვისაც სურს, რომ ქრისტეს ვერწმუნოთ და გარკვეულ წესებს დავემორჩილოთ ან რიტუალებს მივდიოთ. ეს მასწავლებლები თავიანთ სწავლებას სახარებას უწოდებენ, მაგრამ ეს სულაც არ არის კეთილი უწყება. ისინი აცხადებენ, რომ თუ გვინდა ღვთისათვის მისაღები ვიყოთ, შესაბამისი საქმეები უნდა ვაკეთოთ. რჯული და საქმეები მადლთან ერთად მოიაზრება, როგორც გამართლების ორ ნაწილიანი ბილეთი. ამ მასწავლებლებისგან განსხვავებით, ახალი აღთქმა ამტკიცებს, რომ რჯული და საქმეები კი არ გვამართლებს, არამედ - ღვთის მადლი და ჩვენი რწმენა.

კლასიკური სიტუაციის წინაშე ვდგავართ. გამართლება ან მხოლოდ ქრისტეს რწმენით უნდა მოვიდეს, ან - ღვთის რჯულის სრულყოფილად დაცვით. ღმერთის წინაშე რწმენით სწორი დგომა და საქმეებით გადარჩენა ურთიერთგამომრიცხავია. როდესაც ღვთის წინაშე ჭეშმარიტებას ვეძებთ, არჩევანი უნდა გავაკეთოთ ყოველგვარი კომპრომისის გარეშე. შუალედი არ არსებობს.

აბრაჰამი იყო ადამიანი, რომელსაც უბრალოდ სწამდა ღმერთის და მანაც იგი მართლად მიიჩნია. აბრაჰამის მსგავსად ჩვენც იგივე ადგილზე ვდგავართ და იმავე კურთხევებისა და აღთქმების მემკვიდრეები ვართ, რომლებიც მან მიიღო. ეს პრივილეგია მხოლოდ რწმენით მოდის და არა - რჯულისა და კანონის მორჩილებით. თუ ვცდილობთ ღვთის წინაშე ჩვენი საქმეებით გავმართლდეთ და არა - რწმენით, წყევლის ქვეშ აღმოვჩნდებით ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

თუ რჯულს ვუყურებთ, როგორც ღვთის წინაშე ჩვენს გარანტიას, მაშინ ჩვენს უსაფრთხოებაში მხოლოდ მაშინ დავრწმუნდებით, თუ ყველა მცნებას უნაკლოდ დავიცავთ. როგორც პავლე წერდა: „წყეულია ყოველი, ვინც არ ასრულებს ყოველივეს, რაც რჯულის წიგნშია დაწერილი, რათა ყველაფერი შეასრულოს" (გალატელთა 3:10). ეს იმას ნიშნავს, რომ გარდაცვალებამდე ვერასდროს გავიგებდით, გადარჩენილები ვიყავით თუ არა. ამხელა წნეხის ქვეშ ვის შეუძლია იცხოვროს?

წარმოიდგინეთ, რომ სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრეთ, იცავდით ყველა მცნებას, არასწორად არასდროს მოქცეულხართ. ერთ მშვენიერ დღესაც გადაწყვიტეთ ქუჩის გადაკვეთა. მოულოდნელად, რომელიღაც მძღოლი წითელ შუქნიშანზე გაივლის და გეჯახებათ. თქვენ მუშტს სწევთ და ამქვეყნიდან წასვლის წინ ამ იდიოტი მძღოლის უნარჩვევების შეფასებას ასწრებთ. ამ ერთი პატარა მოქმედების გამო ყველაფერი დაკარგეთ. სრულყოფილება დაკარგეთ. შესცოდეთ. ბიბლია ამბობს, რომ ცოდვის საზღაური სიკვდილია.

თქვენ შეიძლება სრულყოფილად შეასრულოთ ღვთის ცხრა მცნება, მაგრამ მეათე მცნებას თუ არ შეასრულებთ, მაინც ცოდვილი გამოდიხართ. ცუდი ამბავი ის არის, რომ თუ მთელ რჯულს არ დაიცავთ და ყველაფერს არ გააკეთებთ, რაც მასში წერია, დამნაშავდ ითვლებით. არ აქვს მნიშვნელობა რომელ კანონს არღვევთ, მხოლოდ ერთი მარცხიც კი გაკარგვინებთ ყველაფერს.

მაშასადამე, იმის შანსი არ გაქვთ, რომ თქვენი სათნოების საფუძველზე გამართლდეთ. მხოლოდ რჯულის წყევლას უნდა ელოდოთ. კარგი საქმეებით გამართლება შეუძლებელია, რადგან ის არასრულყოფილ ადამიანურ ძალისხმევას ეყრდნობა.

პირიქით, ჭეშმარიტი სიმართლისა და კურთხევისაკენ მიმავალი გზა რწმენის გზაა, რადგან ის არა შენს ძალისხმევას, არამედ იესო ქრისტეში შენდამი ღვთის დიდ წყალობასა და უხვ მადლს ემყარება. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ძალებით გამართლება წარუმატებლად სცადე, ღმერთმა თავის ძეში მაინც გაგამართლა. შენი დაცემის პასუხისმგებლობა იესომ აიღო და შენზე დაკისრებული ჯარიმა გადაიხადა, რომელსაც თავად ვერასდროს გადაიხდიდი. თუ მას უბრალოდ ირწმუნებ და შენს რწმენას მასზე დაამყარებ, ის თავის სრულყოფილ სიმართლეს გაძლევს. ახლა კი, როცა მისი მეშვეობით ღვთის წინაშე გამართლებული ხარ, შეგიძლია უფლის ყველა შესანიშნავი კურთხევით ისარგებლო.

ტრაგიკული შეცდომა

ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული შეცდომა, რომელიც ეკლესიამ შეიძლება დაუშვას, იმ საქმის ხაზგასმაა, რასაც მორწმუნეები უფლისთვის უნდა აკეთებდნენ. რამდენჯერ გსმენიათ მძიმე ქადაგებები, რომლებიც გეუბნებათ: "მეტი უნდა ილოცო! მეტი უნდა გასცე! მეტი უნდა დაამოწმო და მეტად იკითხო შენი ბიბლია და უფრო მეტად ემსახურო ღმერთს!" რამდენჯერ წასულხარ ეკლესიაში გამხნევების მოსასმენად, მაგრამ მხოლოდ იმის შესახებ საუბრობენ, რომ შენი მარცხით ღმერთს იმედი გაუცრუე?

ყველაზე ნაკლებად ის მჭირდება, რომ ჩემი მარცხის გამო ვიღაცამ მძიმე ტვირთი დამაკისროს. ვიცი, რომ მეტი უნდა გავაკეთო. არავინ არ უნდა მითხრას, რომ საკმარისად არ ვლოცულობ ან საკმარისად არ ვკითხულობ. ასეთი მოწოდებებიდან მხოლოდ უზარმაზარ დანაშაულის შეგრძნებას ვიღებ. ჩემი იმედგაცრუება იზრდება, რადგან ნამდვილად მინდა ღმერთი უფრო მეტად მიყვარდეს, მეტი ვილოცო, უფრო ახლო მოზიარეობა მქონდეს მასთან. როდესაც აქცენტს წარუმატებლობის სფეროებზე ვაკეთებთ, დამარცხებულ, იმედგაცრუებულ ქრისტიანებს ვქმნით, რომლებიც ნებდებიან და რბოლას ეთიშებიან.

როგორ განსხვავებულ გზავნილს ვხედავთ, როდესაც ახალ აღთქმას მივმართავთ! იგი ხაზს იმას კი არ უსვამს, თუ რა უნდა გავაკეთოთ უფლისთვის, არამედ იმას, თუ თვითონ ღმერთმა რა გააკეთა ჩვენთვის. ჩვენ რაც არ უნდა გავაკეთოთ ღვთისთვის, საკმარისი არასოდეს იქნება. ჩვენი არასრულყოფილება გამართლებისთვის გაღებულ ძალისხმევას ყოველთვის შეგვილახავს. მაგრამ ის, რაც ღმერთმა ჩვენთვის გააკეთა, სრულყოფილი, ლამაზი, სრული და ფანტასტიკურია. რა სამწუხაროა, რომ განტოლება შევცვალეთ და ღვთის დიდებული მადლის ნაცვლად გამუდმებით ჩვენს პასუხისმგებლობაზე მივუთითებთ! ამიტომაც ვხედავთ ძალიან ბევრ მომაკვდავ ეკლესიას. ჩვენი მარცის შემხსენებელი იმდენად არ გვჭირდება, რამდენადაც ის - ვინც ჩვენი პრობლემიდან გამოსავალს დაგვანახებს. მადლი გვჭირდება და არა - დანაშაულის შეგრძნება.

შენი ერთი მოვალეობა

ღმერთმა მხოლოდ ერთი მარტივი პასუხისმგებლობა მოგცა: გჯეროდეს მისი აღთქმის. იმის მიუხედავად, საკმარისად ლოცულობთ თუ არა, ან საკმარის მსხვერპლს იღებ თუ არა, მაინც შეგიძლია ღმერთთან ურთიერთობის კურთხევა გქონდეს, თუკი გწამს ის, რაც ღმერთმა შენთვის გააკეთა.

ღმერთმა იესო ქრისტე შენთვის ცოდვად აქცია, რათა მისი მეშვეობით ღვთის სიმართლე გამხდარიყავი. იესო თავის სიმართლეს განიჭებს, როდესაც უბრალოდ გწამს და იმ ყველაფერს ენდობი, რაც მან შენთვის გააკეთა. ეს ყველაფერი მადლია.

პავლემ გალატელებისადმი გაგზავნილი წერილი მისალმებით დაიწყო: „მადლი თქვენ“ და ასე დაასრულა: "ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მადლი იყოს თქვენს სულთან, ძმებო, ამინ!“. პავლეს კურთხევა დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან წერილში აქცენტი ზუსტად ღვთის დიდებულ მადლზეა გაკეთებული. გალატელებს იესოს მადლი სჭირდებოდათ და არა მოსეს რჯული. გალატელთა მოწოდება იყო, დარჩენილიყვნენ იესოს სულის ძალაუფლებაში და არა - ხორციელ ამაო ძალისხმევაში.

როგორ უპასუხეს გალატელებმა? არ არის ცნობილი. ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ გალატიაში დასმული კითხვა ყოველთვის ღიაა. საკუთარ სიმართლეს დაეყრდნობი თუ ღვთის წყალობას ენდობი? ხსნის მარტივ გზავნილს მიიღებ „მადლის მიერ რწმენის მეშვეობით“ თუ ქრისტეს დასრულებულ საქმეს შენი მართალი საქმეების სიას მიამატებ? ხორციელად ივლი, თუ - სულიერად? მხოლოდ ქრისტეს ჯვარს განადიდებ, თუ ხორციელ განდიდებას დაუწყებ ძებნას?

ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხებსაც ყველა თაობის მორწმუნე უნდა ეძებდეს. შენი პასუხები კი მშვიდობასა და შიშს შორის, სიამაყესა და ნამდვილ თავმდაბლობას შორის, სულიერ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის განსხვავებას გამოაჩენს.

დაე, მერყეობის გარეშე მდგარიყავით იესო ქრისტეს მადლში. დაე, ადამიანთა გულისმოგების სურვილმა ვერ შეძლოს თქვენი შეცდენა; დაე, ისეთი ზეციური გონება გქონოდეთ, რომ ამ წუთისოფლის სიამეებისგან შორს იყოთ, რათა სიცოცხლის სიტყვით შეძლოთ გადარჩენა ამ ბნელ და უიმედო წუთისოფელში. და დაე, განადიდოთ ის დღე, როდესაც იესო ქრისტემ თქვენთვის ხსნა მოიტანა.